

1959/3



მნათობი

4

წაკრილი



1959

საქართველოს საბჭოთა მწიგნობის კავშირის ორგანო

7772

შ ი ნ ა ა რ ს ი

	83-
სიმონ ჩიქოვანი — ლექსები	3
ლადო ავალიანი — ახალი პოეზიონტი, რომანი. გაგრძელება	10
ნოდარ შამანძე — ლენინის ძველი თბილისში, ლექსი	46
ოთარ ჭელიძე — წერილი შვილს პიონერთა ბანაკში, ლექსი	47
ნელი გაბრიანიძე — ლექსები	48
მარი აბრამიშვილი — შე ერთადერთი გოგონა შეავს, ლექსი	50
ჰაინრიხ მანი — გრეტჰენი, მოთხრობა, თარგმანი გერმანულიდან ნოდარ რუხაძისა	51
ნიკოლოზ ტახონოვი — სერგო მთებში, პოემა. დასასრული. თარგმანი ქარლო კა- ლაძისა	66
იაროზირ იედლიჩკა — მოთხრობები. ავტორიზებული თარგმანი ჩეხურიდან ელენე ერისთავისა	73

კრიტიკა და კუბლიცისტიკა

ვლ. ესაიაშვილი — ვ. ი. ლენინი და საქართველოს კომუნისტების მოღვაწეობა მსოფლიო იმპერიალისტურ ომის პერიოდში	83
პ. გუჯაბიძე — ვ. ი. ლენინის ბრძოლა სახელმწიფოს შესახებ რევოლუციონისტულ შეხე- დულებათა წინააღმდეგ	95

მგნათე ნინოშვილის დაბადებიდან 100 წლისთავი

სიმონ ჩიქოვანი — ეგნატე ნინოშვილი	104
გივი ფლენტი — ეგნატე ნინოშვილი როგორც ისტორიული რომანისტი	108

ბ. მეორე გვერდზე



ზ. შებუჯე — ახალი მასალები ეგნატე ნინოშვილისა და მისი ზოგიერთი ნაწარმოების პრაქტიკის შესახებ	116
ფ. ჯიჯიშვილი — თქმულებები და მოგონებები ეგნატე ნინოშვილზე და მის გმირებზე 123 კარპ. დონაძე — ეგნატე ნინოშვილის უკანასკნელი დღეები	123
ს. ფანცხავა — ე. ნინოშვილი და რ. ზომელაი	126

ნ. ვ. გოგოლის დაბადებიდან 150 წლისთავი

თენგიზ ბუაჩიძე — ნ. ვ. გოგოლი	133
დეშნა შენგელაია — დიდი რუსი მწერალი	141

შალვა აფხაიძე — ცოცხალი გრძნობისა და აზრის პოეზია	147
ვიორჯი ხუჩუაშვილი — გზები და ფიქრები	153
მ. ბაღუბა — აფხაზური ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის	157
კონსტანტინე გრიგოლია — V — VI საუკუნეთა ქართლის პიტიახშები, და მათი სახელოს საკითხისათვის	166

მეშუარული ლიტერატურა

ექვთ. თაყაიშვილი — მოგონებები, გაგრძელება	175
---	-----

წიგნების მიმოხილვა

ილია მახიურაძე — თურქული საისტორიო წყარო საქართველოს შესახებ	179
პაველე ხუტუა — მნიშვნელოვანი შრომა ქართულ ქორეოგრაფიაზე	184
ს. ჩხარტიშვილი — წიგნი საქართველოში მუშათა რევოლუციური მოძრაობის შესახებ	187
დ. რამიშვილი — წერილი რედაქციის მიმართ	190
ახალი წიგნები	გარეკანის შესამე გვ.

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია

დ. ბენაშვილი, დ. გაშვარდაშვილი, დ. კალანდაძე (პ/მგ. მღივიანი), გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66, ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/7-59 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შეკვეთა № 244. უე 00888. ანაწყოების ზომა 7 1/4 X 12 1/2. ქაღალდის ზომა 70 X 108. ტირაჟი 6500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლოგრაფიამოცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილი ქ. 5.

სიმონ ჩიქოვანი



თბილისის ჩუქურთმები



მთვარე შიშველი მტკვარში ეშვება,
ჩუმი ჩრდილები მთაზე დაეჩითე,
შენს თავდაღმართზე ფეხი მესლდება,
შემეშველე და ხელი ჩამჭიდე.

ვაკე მეძახის თუ საბურთალო,
ვიჭერ ცაცხვიდან აფრენილ ფურცელს.
მინდა ეს გული შენ მოგიტალო,
ან შივადულო მთაწმინდის ფუძეს.

მინდა კარდაკარ თარფი ვატარო,
სულში ჩაგწვდე და ვძლიო სიმორცხვე,
ჩახვეულია, როგორც ფათალო,
შენს სიცოცხლეში ჩემი სიცოცხლე.

თუ გადმოგძახო, ნუ გაოცდები,
ჯამი დამიდგი კოშკის ლიბოზე,
შენს ხუთწლედებში მეც აღმოვცენდი
და შენ არსობის პური მიბოძე.

თუ რამ შეგცოდო, შოლტით გამცოცხე,
ჩრდილით დალოცე ჩემი ქვაკუთხე,
შენი გოგირდის წყლებით მაცოცხლე,
ან ცისარტყელის შვილდით შაკურთხე.



ვაკის შშენებლებს ვაშა ვავძახე,
მთამ დამიბრუნა ჩემი ხმის ეხო.
ჩემო თბილისო, ნუთუ დამძრახე,
თუ ეს ერთი ხმა ორივეს გვეყო!

თუ ვერ გაეშალე ვაშა ვაკეზე,
შემეცილე და სირცხვილი ვკამე,
მინდა დაგვიდო მთვარე ანკესზე,
მტკვართან ჯამივით გაეტეხო ღამე.

მინდა შენი ხმის მრეკავი ეხო.
 გულში ვატარო, როგორც ვარსკვლავი,
 შენ ზეთისხილის რტო მომიტეხო,
 შემომახვიო ნისლის ჩარსავი, —

ფიჭრის გორაზე გვერდი გამითბო,
 მასწავლო ქვაზე ფიჭრის დაკლობა,
 მტკვართან მუღმივი სკამი დამითმო
 და არ მაცალო სკამზე დაჯდომა.

შენი აღმართი მკერდზე მაჯახე,
 ან თავდაღმართზე კვერთხით მიშველე,
 ჯერ ჩემი სული მტკვარზე გაჩარხე,
 მერმე ფირუზის ღამე მიჩვენე.

ჭადრის შრიალით შინ დამამშვენე,
 ხევეში მომიწყვე უცხო სერობა,
 თუ გსურს, დამფუშე და ამაშენე,
 როგორც ფიჭვებით სავესე შენობა.

თუ გსურს, ამკიდე კბლევე ჭაბანი,
 მორცხვი ოცნება ფრთებით შემოსე
 და მითხარ ათას ერთი ზღაპარი
 მთებში ჩაჯირულ საქართველოზე.

საით მივბრუნდე...

საით მივბრუნდე, თვალებს ვაცეცებ,
 შენს თავდაღმართზე ფეხი მეშლება,
 ვკეცე ღამე და ცა ვერ დავკეცე,
 მთვარე შიშველი მტკვარში ეშვება.

კიდევ ყოვიან მთებში მამლები,
 მტკვარი გვერდს მივლის და შინ
 ვხუნდები.
 შენ გეფერება ივრის ჭალები,
 მე კი ჭადრების აღერსს ეუნდები.

რა გზას დავადგე, რომელ თავ-
 დაღმართს,
 მთებში გარბიან მკვირცხლი ქუჩები,
 ჯერ გადმოღმა ვარ, მერმე ვადღმა,
 მერმე ვარსკვლავებს ვერ ვეურჩები.



მთებში შევნიშნე ნისლის ფათური,
მტკვარზე მეტეხმა ყელი იღერა,
ჩემს ფიქრს სჭირდება შენი დასტური,
შენს სილამაზეს ჩემი სიმღერა.

როგორ შენდები, როგორ ქუნდები,
თუმცა მეტეხზე ძველი პეწია,
შენი მკვირცხლი და ლაღი ქუჩები
ცხოვრების გზაზე წამომეწია.

წამომეწია, როგორც ნუგეში,
სადაც ვფუსფუსებ წელი რამდენი,
შენს ისანში და შენს დიდუბეში
მეც ამინთია სულის სანთელი.

არ შემინელო სანთლის პარპალი,
შრომის დროს ღამე შემეშველება,
მკერდი გავიპე, როგორც ნაპრაღი
და ზედ აღვბეჭდე შენი მშვენება.

ქუჩის დაგადება

ხევი იყო, დაიბადა ქუჩა,
გაიკაფა, როგორ გაფართოვდა!
არ შემეძლო თვალი დამეხუჭა,
არ მეგონა ფოთლებს დამათოვდა.

მაფხიზლებდა ფუსფუსი თუ გარჯა,
ვშორდებოდი წუთისოფლის შუკებს.
ამ უბანში სიჭაბუკე დამრჩა
და მივყვები სხვების სიჭაბუკეს.

შინდა ვიყო ქვისმთლელი და ხურო,
ჭვას ვრანდავდე ან ვარღვევდე ზღუდეს,
ლუკმა ღრუბლით სული დავაპურო,
ცალი ფეხით წინ გავუსწრო სტუდენტს.

მომაყარეთ ხის ფურცლები მწვანე,
თავს მიხრიან მორცხვი ყვავილები,
მომავლის გზას ქუჩა დავამგვანე
და მიფრენენ ცისკენ აივნები.

ვინ მეძახის, მოხუცი თუ მოყმე,
სად მოსულან თრიალეთის მთები?
შორს მივდივარ, მეგობარო, მომყევ,
ჩემი ჭვეყნის ფიქრებს ვუერთდები.



იმ სახლიდან...

იმ სახლიდან ამ სახლამდი
საჩრდილებელ ჭადრებს ვრგავდი,
სანამ შენს კვალს შინ ვნახავდი,
დამილარა წალამ ტერფი.

იმ ქუჩიდან ამ ქუჩამდი,
სანამ ფოთლებს მივქუჩავდი,
თვალს შენს მკლავზე მივხუჭავდი,
გამეფანტა სიყრმის ღველფი.

იმ უბნიდან ამ უბნამდი,
მკერდში წმინდა ხმა ჩაერაზე,
და ცხოვრებამ წყვილი ლანდი
ამ კოშკის წინ დაგვსვა ქვაზე.

ხან მზე გვწვავდა, ხან გვაწვიმდა,
ხან მტკვრის პირას მომკელს ვგავდი,
ორი ფიქრი გზად დაწყვილდა,
იმ სახლიდან ამ სახლამდი.

ქვაზე გაცვდა სქელი ლანჩა,
ვერ მიკლავდა წყურვილს მტკვარი,
მაინც იმ ძველ სახლში დაგვრჩა
თმის ვერცხლი და ცრემლის ღვარი.

დაგვრჩა ბოლით საესე სხენი,
ქუჩა ჩრდილით დაღამბულა,
და იქ ჩვენი სიყრმის დღენი
სხვის სკამებთან განაბულან.

იმ კერიდან ამ კერამდი,
საგზლის ხურჯინს მიკერავდი,
ზომლიანი ცის პერანგი
ტანზე მეცვა ამ კერამდი.

იმ სახლიდან ამ სახლამდი
ციხის ქვაზე ხმას ვჩარხავდი,
ხან წყალს ვსვამდი, ხან ვნაყავდი,
ფეტვს ვფქვავდი და ცხენს ვდაღავდი
და სანამ მთის გზას ვნახავდი,
მე შესმოდა მტკვრის დაღადი
იმ სახლიდან ამ სახლამდი.



გულს ვარსკვლავები ეჯახებოან

მწუხრზე მებრუნის ხილზე მივდივარ,
მტკვარი ლანჭერთ ნაპირს მიაპობს.
მე საქართველოს ერთი მკვიდრი ვარ
და რაც გადამხდა, ციხე გაიმბობს.

მე არ მხიბლავდა სხვა მოგონება,
დამრჩა სიცოცხლის მანძილი მოკლე.
მეუბნებიან, რომ მონღოლებმა
ბარათაშვილის მერანი მოკლეს...
და მე დაღუპულ მერანს დავტერი.

ამგვარ შეცდომამ ფიქრი წაწყვიდა,
ველარ განზანოს მტკვარმა ცოდვები,
თავზე დამნათის მაინც მთაწმინდა
და მკერდს მითბობენ მისი ლოდები.

მომეცით ხელი, უნდა გადავხტე,
ჩემი ცრემლებით საესე ლელაზე!
შენ ჩემი ცხენი ისევ დარახტე,
ციხის ჭრილობა კირით შელესე
და არ მოგტაცოს ხოხობი ძვრამ.

მტკვართან ფიქრები აღრე დავთესე,
თმაში ჭალარა გამჩალებია
და, ვით პეპლები თაფლის სანთელზე,
გულს ვარსკვლავები ეჯახებოან.

მებრუნის ქვაზე

მებრუნის ქვაზე ლოგინს გავიშლი,
მე ვარ თბილელი, მოხუცი აბო,
მინდა ღრუბელი, ვით ყურბალიში,
თავქვე დავიდო და გავინაბო.

თბილისის ერთი ღამის მეხრე ვარ,
აღრე მხიბლავდა ამქრის სუფრები.
გოგირდის წყლიდან ორთქლი მეხვევა
და მე მგონია ისნის ღრუბლები.

მე ამ ღრუბლებში გამოვშუშდები,
მტკვარზე ცხვრებივით წვანან
ჩრდილები,
მთაზე ყვავიან თეთრი ნუშები
და მე მგონია მატყლის ფრთილები.



აბო ვიყავ და ახლა მეხრე ვარ,
მტკვარს სანთელივით თავზე ვეველები,
ცხელი შხეფები თმაზე მეფრქვევა
და მე მგონია ციხის ცრემლები.

თბილისის ღამე

მეტეხზე ზომლის წვერები ვთვალე,
კიდევ ვითვლი და ვამგვანებ ზუტურს.
მონღოლის ისრით დაჭრილი მთვარე,
ახლა ჰგავს ფუტკრის დაკბენილ ძუძუს

ამ ძუძუმ კვება მთაწმინდის უბე,
აბოს კუთხე და ისნის ბორცვები,
მეც აქ დამჭრეს და არ დავიღუპე
და ისევ ციხის ხავსს ვუზნორცდები.

მთვარე ეშვება მთაზე მახათის,
ეთელიმება და ქრება ქაღები.
მტკვრის ხეობაში მესმის ლაღადი
და ღამე ციხეს მიევეჯახები.

ვეტყვი, შენ იყავ კუთხე მამაცი,
კედლის წიბოდან როგორ დამბადე!
შენი პერანგი ტანზე ჩამაცვი
და აბლაბუდა კრილზე დამადე.

ივრის ღრუბლები ყელზე მომხვიე,
არ დამიფუშო თხელი ქულები,
ან ისნის ცისკარს კალთა მოხიე
და შემიხვიე ძველი წყლულები.

ქვაზე ნუ წაშლი პაპის ნაფიქრალს,
ბიგი მწეა და სულის მთაფლავი
და გთხოვ ეს გული ისე ჩაიკრა,
როგორც ჩაგიკრავს აბოს საფლავი.

სამასი არაგველის თბილისში შემოსვლა

გვიხმობსო ერეკლე ბატონი,
ვარაშში თბილისის უბნებია,
სჭირდება არაგვის ნახტომი,
თვალში ჩაყანგული ღრუბლებია.



დაბრუნდა წისკვილის ბორბალი,
 თუმცა ხეობაში ლაქვარდია...
 და მოქრის სამასი თორღვი,
 უღაყზე ულო თუ აბეანდია!

ახაპეს მთის წყალი მარაგი,
 ხარფუხში დამკნარი ბალახია,
 მოვარდა ოთხივე არაგვი
 და თბილისს ტოტები გადახვია.

სროლის ხმამ ისანიც დანისლა,
 ნაბადას ფერდობი ჩაღეწვია,
 არაგვი ჩხრიალებს კრწანისთან,
 მტკერის ტალღას მეორედ დაეწია-

დაეცნენ გმირები არაგვის,
 ორწოხებს ცხენები ჩარაგვია,
 მტრის ჯაერი არ ჩაპყვა არავის,
 არაგვი თბილისშიც არაგვია.

არავინ გაბედოს გოდება,
 ციხეზე მხედრული დარდებია,
 ხეობა საღამოს ღონდება,
 თუ მეტეხს ღრუბლები დასდებია.

ცხრა მუხის ჩრდილშია ვრეკლე
 და დროში ბერმუხას უკავია,
 სიონში ზარებმა დარეკეს,
 არაგვი კრწანისშიც უკვდავია.



ახალი ჰორიზონტი*

რომანი

წუხანდელი ღამენათევი ნიკო ფეხზე ძლივს-ლა დგებოდა. მას ღიდად აკვირებდა, ადრე ორი ღამეც რომ თეთრად გაეთენებია, დილას, უძილობისაგან გაღახვას ისე ვერ გრძნობდა, როგორც ახლა, ერთი უძილო ღამეც კი მოშლიდა ხოლმე.

სადილი მზად ჰქონდა ასმათს, მაგრამ ნიკომ წაძინება ირჩია და ორი საათი მართლაც ისე გაუნძრევლად იწვა, ასმათი დროდადრო ეკვითაც კი დააყურებდა ხოლმე — სუნთქავს თუ არაო. ნიკომ წყნარი ძილი იცოდა. ხვრინვა არ ჩვეოდა. აივანზე მწოლარეს ძილში უეცრად ჩაესმა ძახილი. ეზოში ლეონტი ბუზალაძის შემოსვლა არავის შეუნიშნავს. აივნის კიბის პირველ საფეხურზე ცალფეხ შემოპიჯებული ბუზალაძე საკმაოდ ხმაძაღლა უხმობდა.

— ამხანაგო ა-რა-ბი-ძე! რა დროს ძილია, შე კაცო, ჩემისთანა მახარობელს ასე უნდა დახვედრა?!

ასმათს და დარეჯანს არაფერი გაუგიათ; ისინი სახლის უკან, კარგა მოშორებით, ბოსტანში საქმიანობდნენ. სულიყო კი ხან ერთი მეზობლისას იყო ხან მეორისას. ხან მოხუცებს ელაზღანდარებოდა, ხან მეცხრე-მეათე კლასელ გოგონებს ელაციცებოდა.

მეორედ დაძახება და დაფეთებულივით ნიკოს წამოჯდომა ჰქილობდა დაფარებულ ტახტზე ერთი იყო. მან თვალების ხამხამით აჭეთ-იჭით იწყო ცქერა, მაგრამ ვერაფერ შენიშნა, ვერ მიხვდა, საიდან ეძახდნენ, ვიდრე ლეონტიმ მესამედ არ ასძახა: — კაცო თავს იმძი-

ნარებ, თუ მართლა ასე მაგრად გძინავსო.

ნიკო უმალ ჩაეგება ბუზალაძეს, თუმცა ახლა არც მისი ხმის გაგონება ესაიძოვნა, არც მისი დანახვა. ბევრი ეხვეწა თავმომწონე უფროსს, შინ, აივანზე ამობრძანდიო, მაგრამ ლეონტისთან ხვეწნა არ გაუვიდა, სტუმარმა იქვე, მახლობელი ხის ჩრდილისაკენ გადაინაცვლა და ნიკოც აიძულა, გაჰყოლოდა. ლეონტის ჩვეულებად და წესად ჰქონდა — არასოდეს სხვის ხვეწნას და რჩევას არ შეისმენდა. ჯერ მისი ფეხის ხმას უნდა აჰყოლოდით, თუ გინდოდათ, მერე ცოტა თქვენსკენაც გადმოზარილიყო ბუზალაძის სასწორი!

— კაცო, ვითამ მომესმა, ძილში მათხრა ვინმემ, თუ... შენ დაიძახე — მახარობელი ვარო?!

— მე დაეძახე, ჩემო ნიკო და, ასეც არის!.. ამხანაგო, რომ გამომელაღე კაბინეტიდან, იქ გაბამდი, თუ რა?! ესეც არის, ბეგლარიც გავისტუმრე და...

ნიკო უგუნებოდ უსმენდა; ნამძინარევის სახეს ახლა ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, გაგიკვირდებოდათ, ასე რას შეუწუხებიაო.

— ვიცი, ჩემო ლეონტი, რის მახარობელიც ხარ!.. ბეგლარსაც უთხარი ჭარქაშაძის უბანში ჩემი გადაყვანის შესახებ და დაგეთანხმა, არა?

ლეონტის სიცილი აუტყდა.

— მაგის შესახებ მერე ვილაპარაკოთ. — ხომ ასეა და... სულ ერთი არ არის, როცა მეტყვი?!

— კარგი, რახან არ მაცალე... — ლეონტიმ ცბიერის ღიმილით გახედა

* გაგრძელება იხ. „მნათობი“, № 1, 2, 3.

დაბლა დახრილ ტოტს. ერთ ფოთოლს მისწვდა, მოგლიჯა და ორ თითს შუა მომწყვდევული ყუნწით დააბზრიალა. ის ახლა თან დაბზრიალებულ ფოთოლს აკვირდებოდა, თან სიტყვასაც ისე განაგრძობდა, თითქო სასხვათაშორისო ამბავს ჰყვებოდა. — ნიკო! შენც იცი, ქვეყანა შახტის უფროსად ჩემს დანიშვნაზე ლაპარაკობს. თუ მე მკითხავ... გუნებაში არც კი მინდა!.. ეხუმრები კაცო ამისთანა დროს შახტის უფროსობას?! არ მინდა, მაგრამ ვინ მკითხება! ან მე რა პირით უნდა ვთქვა უარი?

ნიკოს გუნებაში გაეცინა — „ისე ღმერთი გიშველის, შახტის უფროსობა არ გინდოდეს“.

ლეონტი კი იმავე, აუღელვებელი კილოთი, შემპარავად განაგრძობდა.

— ახლა რომ კაცი სიძნელეს გაეკცევა ეს... ეს თითქმის დეზერტირობაა ჩემო ნიკო!

— თითქმის კი არა, ასეა! — ნიკოს მოთმინება აღარ ეყო, ბოლო სიტყვებზე ბუზალაძისათვის დასტური არ მიეცა.

— შენც თანახმა ხარ? დილაშშვიდობისა! — ლეონტიმ ღმილით თავი დაბლა დაუკრა არაბიძეს. — ბეგლარს უკვე ჩავაწვეთე ყურში: იმ ოჯახდასაქმევი ქარქაშაძის დაქვეულ უბანში უფროსად ნიკოს დაწინაურებას ვაპირებ მეთქი. კარვად მოგიფიქრებიაო, შემაქო.

— შენც ეგ გინდოდა!.. ჭება უკვე დაგიმსახურებია, მაგრამ... ახლა ჩემი ამბავიც იკითხე! მე რაღას მივიღებ თუ იცი?

— ნუ გეშინია. მომენდე!

ნიკომ უნდობლად გაუშტერა თვალი ბუზალაძეს. „ჩემი მტერი იყოს შენს იზედად“ — უფრო უკეთესი რა უნდა გაეფიქრა.

გარდა იმისა, რომ ნიკოს შემოხედვა არ მოეწონა, ლეონტიმ რაღაც არა სასიკეთო იგრძნო და გაფრთხილების კილოთი დაიწყო:

— ნიკო, იცოდე თუ ყელს გამომპრი... თუ ამის შემდეგ ქარქაშაძის უბანში გადასვლაზე უარს... — ბუზალა-

ძეს სიტყვაც გაუწყდა, მუხის ფოთოლიც ცივად გააგლო და ორჯერ ხელის გული ყურებზე ისე აიფარა, ~~ქვედაფერი~~ გასაგები იყო არაბიძისათვის. ლეონტის უეცრად სახე გაებადრა; მარცხენა ხელი რომ შუბლზე იტყიცა, მარჯვენა გულისჯიბისაკენ წაიღო და დიდის მოწიწებით ამოაცოცა ნაცრისფერი კონვერტი.

— ჩემისთანა მახარობელს ხელები უნდა დაუკოცნო! შენ კი, ამხანაგო არაბიძე...

ნიკო ყველაფერს მიხვდა. მამის გულმა ამ წუთიდან სხვაგვარად იწყო ძგერა, სახეანთებულს, თვალებიც ერთბაშად გაუბრწყინდა. მისი მზერა, მისი გულისყური ახლა მარტო იმ ნაცრისფერი კონვერტისაკენ იყო მიპყრობილი, რომელიც მაღლა აწეულ ხელში ორი თითით ეჭირა ბუზალაძეს.

— დავანებოთ თავი, ჩემო ნიკო, საქმეზე ლაპარაკს...

ნიკოს ამ ერთ წუთში სულ შეეცვალა გუნება. შატბიას გარდა ქვეყანაზე აღარაფერი და აღარავინ არ ახსოვდა, როცა ნაცრისფერ კონვერტზე, ვაეის ხელით დაწერილ გვარსა და სახელს კითხულობდა. კონვერტი გახსნილი აღმოჩნდა; ერთი ვიწრო მხარე წაჭრილი და კვლავ შეწებებული ჰქონდა, მაგრამ, ეტყობა წებოს მაინც ვერ დაემაგრებია ნაპირი.

არ ვიცი, ასე მოიტანეს თუ... ჩვენთან კანცელარიაში ვის უნდა გაეხედა შენი წერილის გახსნა!.. საიდან მოდის, ეხუმრები?!

შორს არ იყო წასვლა საჭირო. აქ მარტო ლეონტის ხელი ერია.

ნიკო ჩუმად, მაგრამ გატაცებით და სულმოუთქმელად კითხულობდა შვილის ბარათს.

— კაცო, შენთვის რას ჩურჩულებ, ხმა მაღლა წაიკითხე! რას გწერს ბიჭი, უკვე მიუღია თუ არა საბრძოლო ნათლობა?

ნიკომ წუთით თვალი მოსწყვიტა ბარათს, ლეონტის შეხედა.



ეროვნული

— „მოუნათლიათ“ და... ორჯერ უკვე მსუბუქად დაკრაც მოუსწრია! — ჰო რა ჯილდოებს ჩამოგიტანს!

ნიკომ ბარათის კითხვა დაასრულა. ერთხანს გარინდებული იდგა. იღიმებოდა, მაგრამ თვითონ არ გრძნობდა ამ ღიმილს, ვიდრე თავიდან შეუდგებოდა ბარათის კითხვას, ლეონტის წელანდელ შენიშვნაზე დინჯად უბასუხა.

— ყველაზე დიდი ჯილდო ჩემთვის ის იქნება თუ... ცოცხალი დაგვობრუნდება.

— დაბრუნდება, აბა რა იქნება. შეკაცო! — ლეონტიმ საათს დახედა და წასასვლელად ნაბიჯის გადადგმაც დააპირა, მაგრამ ნიკომ გზა მოუჭრა.

— ლეონტი სევასტიევიჩი, აღარ კითხულობ, შენისთანა მახარობლის ასე გაშვება ნიკო არაბიძეს შეუძლია თუ არა?

ლეონტიმ გულზე ხელი მიახვირა ნიკოს, ახლობელივით გაუღიმა.

— თუ სამახარობლოს ვადახლას აპირებ, კარგათ იცი, ყველაზე უფრო რით გამახარებ! ახლა ტრესტში, თათბირზე მეჩქარება, თათბირიდან კი, როგორც ვატყობ, ისევ შახტში მომიხდება მიბარუნება.

ამ სიტყვებზე ლეონტიმ უყუსვლით რამდენიმე ნაბიჯი სწრაფად გადადგა, შერე შეტრიალდა და წავიდა. ჭიშკრის ცოტა ქვემოდ, ღობესთან ჩრდილში მანქანა ელოდებოდა.

ნიკომ უფროსის მანქანა ხელისქინევით გააცილა.

ბუზალაძის მიერ ასე მოხერხებულად გულმონადირებულ ნიკოს შეეძლო განა, უარი ეთქვა თუნდაც ქარქაშაძის უბანში გადასვლაზე?

უკან რომ ბრუნდებოდა, ჭიშკრიდან სახლამდე ნიკომ ორჯერ კიდევ გადაიკითხა ბარათი. ყოველი სიტყვა ასწონდასწონა გუნებაში, და რახან საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა, უკანა ეზოში გაეილა, ასმათს ერთი ხმამალა უხმო.

— მოვდივარ! — მოესმა ასმათის საპასუხო ძახილიც.

ნიკომ დილაადრიან ბრწყინებულ კვლავში გაისტუმრა თუ არა ხალხი, ლეონტის ეახლა და მოახსენა — თანახმა ვარ ქარქაშაძის უბანში გადასვლაზე. ამის თქმა და ლეონტის წამოდგომა ერთი იყო. სახეგაბადრულმა მაგიდას თავი დაუარა არაბიძეს ხელი გაუწოდა.

ნიკოს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა. მართალია, წინასწარვე იცოდა, თუ რა სიხარულს გამოიწვევდა ეს თანხმობა, მაგრამ არც შეეძლო წარმოედგინა, არც ახსოვდა, ბუზალაძეს როდისმე ასე კეთილად გაღიმებოდეს. იცოდა, სიკეთეც და გულწრფელობაც ბუზალაძეს სისულელედ მიიჩნდა, და მით უფრო უკვირდა ნიკოს, როგორ ახერხებდა ეს კაცი რწმენის გარეშე აგრე დამაჯერებლად გადასახიერებას.

„ხომ გავაბრიყვეო“ — ლეონტის ახლა ეს ახარებდა, ეს იყო მისთვის მთავარი.

ბუზალაძემ უმალ ქარქაშაძეს უხმო და ნიკოს თანხმობა საზეიმო კილოთი აუწყა. კოსტასაც გაეხარა ეს ამბავი. ბუზალაძესთან მას ხომ პირი ჰქონდა შეკრული და იცოდა, რა მიზანსაც ისახავდა ლეონტი, ასე რისთვის ეწადა არაბიძის შეტყუება მეხუთე უბანში. კოსტამ ნიკოს ხელი მაგრად ჩამოართვა და ერთხანს აღარ გაუშვა.

— თუ ასე ხელიხელ ჩაკიდებული ვიმუშაებთ, ვერაფერი სულიერი ვერ მოგვერევა!

ნიკომაც, კოსტამაც ლეონტის კაბინეთშივე დასწერეს განცხადება, ერთმა ქარქაშაძის უბანში, ხოლო მეორემ არაბიძის უბანში გადაყვანის შესახებ.

როცა კოსტა გავიდა, ნიკომ უკანვე მოსთხოვა თავისი განცხადება ბუზალაძეს; ტექსტში პატარა შესწორება მაქვს შესატანიო. ლეონტიმ ერთი აღმაცერად, ეჭვით შეხედა ნიკოს და რაკი მის იერში უარის თქმის განზრახვა ვერ ამოიკითხა, სეიფიდან განცხადება გამოიღო და ისე გაუწოდა არაბიძეს, მისთვის

თვალი არ მოუშორებია. ნიკომ იცდოთუ არა ხელთ თავისი განცხადება, ზუსტად იქნება ცოტა აღელვებით, მაგრამ მტკიცე ხმით აუწყა:

— ამხანაგო ლეონტი! თუ კოსტა ქარქაშაძე ჩემს უბანში უფროსად გადაიყვანა, იქაურობა მისთვის ჩაგებარებულია, მე უარს ვამბობ ჩემს თანამოზარულს და განცხადებასაც აქვე, შენს თვალწინ დავხევი..

ზუსტად იქნება თვალიც არ გაუხანძრავებია, ისე მიუგო: — მერე ვინ ამბობს შენს უარსო, და არაბიძეც ამით მყის „განიარაღა“.

— დამამტკიცონ ერთი შახტის უფროსად და ქარქაშაძესაც ჩემს თანაშემწედ დავსვამ. ამის საწინააღმდეგოც გაქვს რამე?

ზუსტად იქნება რახანია განზრახული ჰქონდა თავის თანაშემწედ ქარქაშაძის გადაყვანა, მაგრამ ჯერ არ ამხელდა, ახლა კი იძულებული გახდა თავისი ხვამალი არაბიძისათვის გაეხდოდა. თავის თანაშემწედ ქარქაშაძის დანიშნვას ლეონტი იმ მოსაზრებით ამართლებდა რომ, ქარქაშაძე თუმცა ვერაფერი შვილია, მაგრამ „ზურგში“ მტრის ყოლას, აჯობებს ისევე მაგისტანა შტერი მყავდესო.

ნიკოს უბანში გონტა დარჩა. დროებით მას დაევისრა უბნის ხელმძღვანელობა. გონტა ჯერ უარზე იყო; დაქინებით მოითხოვდა — სადაც ნიკო იქნება, მეც იქო, მაგრამ არაბიძემ დაარწმუნა, ახლა ასე აჯობებდა, შეილივით ნასათუთეე უბანს, სხვას, მის მეტს ვერაფერს ანდობდა და გონტამაც დაიჯერა; თუმცა აქ, დასაჯერებელი არაფერი იყო. ეს სხვაზე უკეთ იცოდა გონტამ.

არაბიძე დანიშნვის გაფორმებას აღარ დაელოდა; ლეონტისთან საუბრისა და განცხადების გადაცემის შემდეგ კიდევ შეუდგა ქარქაშაძის უბნის შესწავლას, იქ მომუშავეთა უფრო ახლოს გაცნობას. თუ ცვლების გასტუმრებისას საგანრიგოში იყო და ქარქაშაძის უბნ-

ლებს ესაუბრებოდა, შემდეგ მათ მუშაობას ადგილზე ამოწმებდა. ქარქაშაძის უბნის სავალალო მდგომარეობამ არაბიძე უფრო მეტად დააღონა და ჩააფიქრა, ვიდრე მოელოდა. კოსტასათვის არაფერი უთქვამს, გუნებაში კი ბრავმოჩეული ეკამათებოდა ბედოვლათ კოლეგას — „რას გავს, ბიჭო, აქაურობა, შეგარცხვინა ლმერთმა.. თუ ხალხს არ უფროთხილდებოდი, თავი მაინც არ გებრალბოდა?! მიკვირს, აქამდე ერთხელ მაინც რატომ არ დამარცხდი!“

ნიკო ისეთი სიფრთხილით და შიშისფრებით ათვალეირებდა შუროს, შტრეკებს, ლაგებს, კაცს ეგონებოდა შახტაში პირველად შემოსულაო. ბიგებისათვის ხელის უბრალოდ შეხებისაც კი ეშინოდა — აქაურობა თავზე არ ჩამომეჭყესო. ზოგ მუშას მძინარეს წაასწრეს. როცა კოსტა მათ მუჯღუგუნით აღვიძებდა, უკვირდათ — რა მოხდაო. აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, მათი მყუდროება ერთხელ მაინც ვინმეს დაერღვიოს. რაც უფრო მოსდიოდა გული ნიკოს ქარქაშაძეზე, მით უფრო ებრალებოდა აქ მომუშავენი. მათი შრომა ბედოვლათი უბნის უფროსის წყალობით განიორწყლებული იყო.

ნიკოს შინაურებისათვის ხმა არ გაუცია. ჩვეულებრივზე ადრე დაწვა, მაგრამ ძილი არ მიეკარა და დიდხანს იბორბა ლოგინში. ნიკოს არ გააკვირვებია, რადგან გამოცდილებით იცოდა, აკვირებულ ფიქრებს ძილის გაფრთხობა სჩვევია. როცა შუალამე გადავიდა, ფრთხილად წამოდგა, ლოგინი აივანზე გაიტანა და იატაკზე გაშალა — იქნებ სუფთა ჰაერზე უფრო ადვილად ჩამეძინოსო, მაგრამ პირიქით, გრილმა ჰაერმა უფრო გამოაფხიზლა. თხელი საბანი ხელის ერთი აკრით გადაიძრო და წამოჯდა. შარელის ტოტებში ერთად გაჰყო ფეხები. პერანგისამარა, ფეხშიშველი ეზოში ჩავიდა... ახლა უფრო

დარწმუნდა, ძილს რაც უფრო თხოვდა ერთის მხრივ ძილის გასაფრთხობად ისიც კმაროდა, რაც დღეს ქარქაშაძის უბანში იხილა მისმა თვალებმა, მაგრამ ნიკოს ახლა სულ სხვა საფიქრალი გასჩენოდა... როგორ დაეწყო და აეწყო მუშაობა, როგორ გამოეყვანა უბანი იმ თითქმის კატასტროფული მდგომარეობიდან, რომელიც იქ ქარქაშაძეს შეექმნა, როგორ დაერახმა და გადაეგგუებინა ხალხი, ვინ სად უფრო გამოდგებოდა. ნიკო უდარდელი კაცივით დაეხეტებოდა ამ შუალაშეზე თავის ეზოში. მთვარით განათებული ბაღების მუქ-ზურმუხტოვან ხავერდზე. სადაც ადვილად მისწვდებოდა, ხან ვაშლს მოსწყვეტდა. ხან საადრეო მსხალს, თუ კლიავს; შეექცეოდა ანგარიშმიუცემლად და ფიქრობდა გატაცებით, იქნებ, თავდავიწყებითაც, როგორ წარემართა მუშაობა ახალ უბანში.

ღროის გამალებული სრბოლა მხოლოდ მამლებს საალიონო ყვირილზე იგრძნო არაბიძემ.

გოშინ ნაშუადღევს წასული ნიკო ამ დილით შინ ძლივს დაბრუნდა შაბტიდან. ჩვეულებრივ, მეორე სართულზე აივანს მიაშურებდა და იქ ტახტზე მოისვენებდა ხოლმე, ახლა, ეზოში მუხის ძირას ჭვის მაგიდასთან მოსხლეტით ჩამოჯდა, ქუდიც დააგდო, დამძიმებული თავი მკლავზე ჩამოაყარნო. განახულს თვალებიც მოეხუჭა და ერთხანს ასე უსმენდა გარემოს.

თუ ჭიშკრის ნაცნობი კრიალი და ხეხილის ტოტების სიხშირეში ნიკოს გამოჩენა ასმათს იღუმალ სიხარულსა გვრიდა, მისი შეხედვა ეს ერთი ხანია სწორედ გულს უკლავდა; სამი, ხანაც ოთხი დღის გაუპარსავი წვერი ღამენათევ ნიკოს სახის ავადმყოფურ სიფერმკრთალეს უფრო მეტად აძლიერებდა. ამ ამბავს ასმათი მით უფრო ვერ შეერიგებოდა, რომ მუდამ სუფთად გაპარსულ და მხნედ მზირალ მეუღლის

ცქერას იყო ჩვეული. ასმათმა, ჯერ იყო და, გადაკვრით უთხრავს რატომ იკლავ კაცო თავსო, მერე კი... თან სალაპარაკოდ არ გცალია, დრო წვერის გასაპარსავად მაინც გამონახეო.

ნიკო უმალ მიხვდა, ეს მეორე შენიშვნაც სხვა სიტყვებით გამოთქმული პირველი საყვედური იყო.

— შენთან დამნაშავე ვარ ასმათ! წვერს კი... თუ არ გავიპარსავ, არ ეწყინება!..

მას შემდეგ, როცა კი ნიკოს გაუბარსავ წვერზე ხელი მოუხვდებოდა, უმალ ასმათის საყვედური და თავისი პასუხი აგონდებოდა; თუ მეუღლეს სადმე ახლოს იყო, ღიმილით, დამნაშავესავით შეხედავდა ხოლმე.

შაბტში, ომის დაწყების შემდეგ, მუშაობა, მართალია გაძნელდა, მაგრამ ნიკო დღეგამოშვებით მაინც ახერხებდა ხოლმე შინ ღამის გათევას. მას მერე კი, რაც ქარქაშაძის უბანი ჩაიბარა, შინ ღამის გათევანზე, თუნდაც დღეგამოშვებით, ფიქრიც არ შეიძლებოდა. ადვილი არ იყო ნახევრად დაქცეული უბნის „ფეხზე დაყენება“, ისეთი გამოცდილი ხელმძღვანელისთვისაც კი, როგორც არაბიძე იყო. ისიც თავს არ ზოგავდა. სულ ერთია, თავი რად გვინდა ცოცხალი, თუ მტერი დაგვცინებსო — იტყოდა ხოლმე ნიკო, როცა გასაჭირში იყო.

ნიკომ ფეხის ხმაზე თავი ასწია. ასმათი ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდა.

— კაცო, ამ დილაუთენია რაში მოგეხასიათა ეზოში ცივ ქვანზე ჯდომა!.. არც გშია, არც გწყურია?!

— ქარქაშაძის უბანში ღამისთვის შემდეგ სწორედ მოგენატრება ასე „ცივ“ ქვანზე ჯდომა და ამ სამოთხესავით გადამწვანებულ ეზოში სულის მობრუნებაც...

— მას მერე, რაც ეს ხეები გადააჩენივ, სამოთხეს კი არა, თხის გადაკმულს გავს!..

— რას იზამ.

ასმათი ახლა გულხელდაკრეფილი იდგა ნიკოს წინ.

— ველარ მორჩი, ველარ გაართვი თავი იმ ქარქაშაძის უბანს? კაცო, თუ ამისთანა საღორე იყო, რას იკლავდი თავს?!

— გარედან არაფერი ეტყობოდა... შიგნით რომ შევიხედდე რაღას ვიზამდი, შემრჩა ხელში კიანი საპატარძლოსავით.

— გეთქვა, არ გადავალ-თქვა და გათვლებოდა საქმე!

ნიკოს გაეცინა. ასმათმა გაკვირვებით შეხედა მეუღლეს.

— ვითომ ვათავდებოდა?... პირიქით, სწორედ მაშინ დაიწყებოდა...

თუ ნიკომ სათქმელი აღარ დაასრულა, სამაგიეროდ ასმათმა არ დააყოვნა:

— იმ შეჩვენებულმა ბუზალაძემ, რაღა მაინც და მაინც ქარქაშაძის უბანში გიკრა თავი?!.. სულ რომ გაქებს — კარგი ხარო, ასე უნდა კარგი ხელმძღვანელის პატივისცემა?!

— რას ამბობ, აქეთ დამაყვედრა — ქარქაშაძის უბანში რომ გამწვებს, ამით... გაწინაურებო!

— ისე დაწინაურდეს მაგის ჯიშში!..

მართალია ნიკო ლაპარაკის გუნებაზე არ იყო, მაგრამ ასმათს ხათრს არ უტეხდა.

— უყუღმართისაგან, შე ქალო, სხვანაირი დაწინაურების იმედი ანკი რატომ უნდა მქონოდა... — ნიკომ ხელი ჩაქნია, ქუდი ანგარიშშიუცემლად მობლუჯა, დაუდევრად დაიხურა, მაგრამ იმავე წამს ასევე ანგარიშშიუცემლად მოიხადა, მაგიდაზე გულმოსულად დააფრთხა. ერთ წამს იყუჩეს. სიტყვა კვლავ ნიკომ განაგრძო. თითქო ლეონტი ბუზალაძეზე გამწყრალი ასმათის დამოშმინებას ლამობსო, ისე შენიშნა მეუღლეს:

— თანხმობა ბუზალაძის ხათრისათვის არ მითქვამს. საქმეს დავატყვე — სხვა გზა არ იყო... სინდისმა შემაწუხა. ჩემს სინდისს, ჩემს თავმოყვარეობას ვერ გადავაბიჯე თუ არა, ბუზალაძისთვის ბევრჯერ მითქვამს უარი და ამ ერთხელაც არ გამიპირდებოდა... რამ-

დენიც უნდა ეხტუნა, ხომ იცი, არც შენეშინდებოდა, არც შემეცოდებოდა!

— ნიკოს ხელის ჩაქნევებზე ასმათი მიხვდა, მეუღლეს ამის შესახებ ლაპარაკი, ძველის გახსენება, არ ესიამოვნებოდა. ჩაქნეული ხელი ნიკომ მოულოდნელად ქლიავის ხისაკენ გაიშვირა და ხვეწნის კილოთი უთხრა ასმათს:

— თუ ქალი ხარ, ეგერ დახრილ ტოტზე რომ ასხია ოთხი თუ ხუთი, ნუ ამაყენებ, მომიწყვიტე... ბუზალაძეზე ლაპარაკით ენის გაშრობას, მავით პირის გასველება არ ჯობია?

ასმათს თუმც გაუკვირდა, მაგრამ გუნებაში ესიამოვნა რომ თავისი ხელით ხილის მოწყვეტის მოყვარულმა ნიკომ ასეთი სურვილი გამოთქვა.

ასმათმა მაგიდაზე დაუწყო მეუღლეს მოკრეფილი შავქლიავი.

ნიკომ აიღო ერთი ცალი; ჯერ თვალით მოესიყვარულა, მერე ხელი ფრთხილად გადაუსვა, თრთვილი გადააცალა და სანამ შექამდა, ნერწყვმოსულმა გულისტკივილით და ეჭვით შენიშნა ასმათს:

— ნეტავი-თუ იმ ბიქსაც ენატრება თავისი ეზოს ხილი და...

ამის გაგონებაზე ასმათმა თავის მობრუნებაც ვერ მოასწრო, ისე გადმოსკდა ცრემლი.

ნიკომ ერთი კი გაიფიქრა — რა ღმერთი გამიწყრა, რომ ვთქვიო. გულაჩუქებულმა მამამ ნერწყვი ძლივს გადაყლაბა. ქვედატუჩი ნერვიულად აუთრთოლდა. ის ხელიც, ქლიავი რომ ეჭირა, ოდნავ შესამჩნევად უკანალებდა. ქლიავი ნიკომ მაგიდაზე დასდო. ნელა წამოდგა, ასმათს ბეჭზე ხელი სიყვარულით, ნუგეშისცემით მოხვია და ორივენი ასე, უხმოდ, სახლისაკენ გაემართნენ. როდის — როდის შესძლო ნიკომ ათრთოლებული ტუჩის, აკანკალებული მარჯვენის „დამორჩილება“ და წაჩურჩულება:

— ახლა, მეც ვთქვი... ხილი არა და, ჩვენ კი მოვენატრებოდით, რაც მართალია, მართალია ის კი, რაც მოვენა-

ტრება, უფრო საყვარელიცაა! ნუ გე-
შინია, შატბიასთანა ქართველ ვაჟკა-
ცებზე უთქვამთ სწორედ ძველათ ჩვე-
ნში — ომში შევა და გამოვა, გული არ
მეუშინდება!

მაგრამ ადვილი აღარ იყო, ახლა ას-
მათს „შეშინებული“ ვულის დამოშმი-
ნება, გამაგრება, გამხნეება. დარღმა
ერთი თუ დაიწყო ცრა შემოდგომის
წვიმასავით, მერე აღარაფერ იცის, რო-
დის შეწყდება. ნიკო, მართალია, ას-
მათს დასჩურჩულებდა გამამხნეებელ
სიტყვებს, მაგრამ გულში კი ცუცხლი
ენტო. „ახლა ომში შესვლა შედარებით
ადვილია, იქიდან გამოსვლა თქვი!“ —
ფიქრობდა იგი. წელან, ეზოში წამით
გამოცოცლებული და მოლონიერებუ-
ლი, ამ ფიქრმა ისევ „მოცელა“. აივან-
ზე ასვლისთანავე, ნიკომ ტახტს მია-
შურა, წუხელი დაგებული ლოგინი ას-
მათს ისევ ააყვინთა, ფეხთ გაუხდელი
წამოწვა და როგორც ჩვეოდა, თვალი
მიაშტერა ვაზის „ფარდას“. ახლა გულ-
მა ვერ გაუძლო და ნახევრად მკვახე
მტევანსაც ისე შეავლო ხელი, თითქო
ვალერსებოდა. ამ აღერსში კვლავ ას-
მათს მიუბრუნდა. ის უკვე საუზმის
სამზადისს შესდგომოდა.

— არაფერი არ გინდა, ასმათ! ერთი
წაძინება ახლა ყველაფერს მიჩვენია. —
მუთაქაზე, თავქვეშ, როგორც ყოველ-
თვის ძილისწინ ჩვეოდა, მოხერხებულად
ამოიღო მკლავი, მაგრამ იმავე წამს
გადმობრუნდა და მეუღლეს ხელმეო-
რედ უხმო.

— რა გინდა ნიკო? — მოესმა ოთახი-
დან.

— გამოიხედე, ერთი! რამდენჯერაც
დავაპირე, იმდენჯერ დამავიწყდა მე-
კითხა...

ასმათი კარებში გამოჩნდა; ხელში
გაზეთი და ნიკოს სათვალე ეჭირა.

— მაგისტვის არ გეძახოდი, შენ ის
მითხარი, იმ ჩვენი მეზობლისას რაღა
ამბავია?

— რომელი მეზობლისას? — ცნობის-
მოყვარებით და უსიამოვნო ამბის

შეტყობის შიშითაც იკითხა ასმათმა,
ნიკოს ფერხთით ჩამოჯდა.

— შესტიდან რომ მოვდივარ, ქარ-
ქაშაძის უბნის მოწესრიგებაზე ფიქრ-
ში უეცრად ჩამესმა შეცხადებასავით
ძახილი. გავჩერდი, ყური მივუღდე.
ერთის შეცხადებას, მეორის, შემდეგ
ნესაძის ხმაც შეერთო და შეწყობილი
გლოვის ხმა ისე ისმოდა იმ არემარე-
ზე, რაღა გითხრა... შეცხადების გაგო-
ნებაზე ეს ოხერი, გულიც ისე ამიძგე-
რდა, მუხლიც, უნდა გამოგიტყდე, ისე
მომეკვეთა, გამოვიკირდა. სულ მოვიშალე
კაცი! ძლივს გადავდგი რამდენიმე ნა-
ბიჯი, გზიდან რომ გადამეხვია და სა-
ყვარელიძეების ეზოს სარკეს წაეპოტი-
ნებოდი. ხმა სწორედ იქიდან ისმოდა.
ოღა სახლის აივნის კიბეზე სამი, თუ
ოთხი ქალი ერთმანეთის მიყოლებით
ჩამომჯდარიყო და... მოთქვამდა. მარ-
თალია, ნუგეშის საცემად ღონე არ
გამაჩნდა, ორიოდ სიტყვის სათქმელა-
დაც, ვატყობდი, ენას ადვილად ვერ
მოვაბრუნებდი, ერთი პირობა, მაინც
გავიფიქრე — ეზოში შევალ, ამბავს შე-
ვიტყობ-თქვა. მაგრამ უშალ გადავი-
ფიქრე... თავდაბრილმა, საყვარელიძე-
ების კარმიდამოს დამნაშავესავით ჩაეუ-
არე და სახლისაკენ გამოვეშურე...

სანამ ნიკო ამ ამბავს ჰყვებოდა, ას-
მათმა ორ-სამჯერ კიდევ ამოიოხრა,
მუხლზედაც დაიკრა ხელი.

— ღმერთო კი მომკალი!..

— რა იყო ქალო, გამაგებეი!..

— რავა, არ იცი? მაგათ ორი ბიჭი
ყავთ ფრონტზე და... ვაი თუ რომელი-
მეს შესახებ აცნობეს...

— გადადი, გადადი ერთი, თუ ქალი
ხარი.. მეზობელია.

ასმათს ნიკოს წაქეზება და კარნახი
არ სჭირდებოდა. ის უკვე მზად იყო
მეზობელთან გადასასვლელად და, ახ-
ლა თავშალს-ღა ეძებდა. იპოვნა თუ
არა კიბეს მიაშურა. შესამე საფეხურზე
უცებ შემობრუნდა, აფორიაქებულმა,
შეწუხებულმა, მეუღლეს დამნაშავეს
კილოთი შემოსჩივლა:

— ნიკო, ასე დაქანცული და დამწეული კაცი არ გასაუწმო, ისე წავიდე?

— წადი, თუ ქალი ხარ. რა მესაუბმება!

ასმათი ერთი შეყოყმანდა, მერე კი დაჰყვა ნიკოს ნებას, ერთხელაც შეისწორა თავშალი და კიბეზე ჩავიდა.

ბეგლარს ახლა საქმე არც დღე ელეოდა, არც ღამე, მაგრამ კვირაში ეოაიორჯერ შახტის მონახულებას და მიასი ზოგიერთი უბნის დათვალიერებას მაინც ახერხებდა. ლეონტიც გაფრთხილებული ჰყავდა — მოვალ, თუ არ მოვალ, შენ მაინც ყოველდღიურად შემატყობინე — რა მდგომარეობა ჰქვნიებათო; ლეონტიც გულმოდგინედ ასრულებდა ბეგლარის ამ მოთხოვნას.

ნიკოს წასვლის შემდეგ, ლეონტიმ ათიოდე წუთში მთხოვნელებიც გაისტუმრა თუ არა, მერის უთხრა — ცოტახნით ნურავის შემოუშვებო. კაბინეთში მარტო ჩაკეტილი ლეონტი ერთი წუთი უძრავად იჯდა სავარძელში, მერე კედლის ტელეფონისაკენ მიბრუნდა. ბერკეტზე დაკიდებულ მილაკს რაღაც მიპარვის მსგავსი ხელის მოძრაობით სწვდა. ამ მოძრაობაში ჩანდა იღუმალი, ეშმაკური ზრახვა.

— შემეერთე რაიკომი! — ლეონტიმ ეს ორი სიტყვა ისე სთქვა, კილოზე, გამომეტყველებაზე ადვილად შეატყობდით, ვისთან ჰქონდა საქმე. თითქო დიდ მოწყალეზად უნდა ჩაეთვალა ტელეფონისტს, ლეონტი ბუნალაქემ რომ თავისი ხმის გაგონების და ასე გასინჯეთ, თხოვნის ღირსიც კი გახადა. ლეონტის ამ წუთში პირის კუთხეში პაპიროსი ჰქონდა გაჩრილი და მის კილოს ესეც აძლევდა დაუდევრობის და მედიდურობის ელფერს. დაუდევრობა და მედიდურობა იყო აღბეჭდილი მის სახეზედაც, სანამ რაიკომიდან ტექნიკური მდივნის ნაცნობი ხმა არ ჩაესმა. მაშინ კი წაშალა ღიმილი დაუდევრობის კვალი მის სახეზედაც და მის კილოშიაც. პაპიროსიც ახლა საფერფლებზე

იღო და ცისფერი კვამლი ნელი რხევით შევეულად ადიოდა.

როგორ გიკითხო „ქალბატონო?“ მეც არამიშავს... სამუშაო ახლა ყველას ბევრი გვაქვს... რა თქმა უნდა, გავუძლებთ... ჰო, ბეგლარი მინდოდა... კაბინეთშია? დამალაპარაკებ?... კარგი. მოახსენე. გელოდები, ჩემო დაიკო..

თითქო კვამლსაც კი შეუძლია ხელი შეუშალოსო, ლეონტიმ სწრაფად მოუსრისა თავი პაპიროსს საფერფლეში; აქაიქ დაცვენილ ფერფლისაგან სულის ერთი შებერვით მაგიდის მაუდი გაასუფთავა, მერე სკამზე უფრო მოხერხებულად დაჯდა და ბეგლარის ხმის გაგონების მოლოდინში ცოტა ადელვებულები და დაძაბულები ისე გაინაბა ისე გაშეშდა, თითქო სურათს უღებენო. მყუდროება ჩამოვარდა. ლეონტის ყურადღება უნებლიედ მიიქცია მაჯის საათის ხმამ... უცებ, ლეონტი ერთბაშად მოეშვა, სახეზედაც ისე შეიცვალა, თითქო მკვანე ტყეშალი გაკბინაო. მილაკში ბეგლარის მაგივრად ისევ ტექნიკური მდივნის ხმა გაიგონა. „ათ წუთში შახტში ვიქნებით?!“ — თითქო ყველაფერს მოელოდა და ამას კი არაო ისეთი კილოთი გაიმეორა ლეონტი. მილაკის დაკიდება რომ დააპირა, მაშინდა გაახსენდა, ტექნიკური მდივნისათვის არც ის უთქვამს — ძალიან კარგი, სიამოვნებით დაველოდებით ბეგლარის მობრძანებასო, არც ვაიმომშვიდობებიო. ყველაფერი უთქმელი დარჩა. ტექნიკური მდივანს უკვე „მოესწრო“ მილაკის დაკიდება.

ლეონტის გადაწყვეტილი ჰქონდა — ტელეფონით გასაუბრების დროს „სხვათა შორის“ ბეგლარისათვის ეთქვა: სწორედ ის მოხდა, რასაც არ მოველოდით... ნიკო არაბიძის გარდა შახტში ყველა უბანი ასრულებს გეგმას... გამოიგონა რაღაც რემონტი. მუშების გულის მოსაგებად კი გაიძახის — კაცს რომ მოსთხოვო, ჯერ პირობები უნდა შეუქმნაო!.. ახლანდელ პირობებში, რა პირობებზე შეიძლება ლაპარაკებ... რახან

სტატი

ბეგლართან ტელეფონით საუბარი ვერ მოუხერხდა, წუთით ჩაფიქრდა ბუზალაძე. გუნებაში უნებლიედ შეესიტყვა საკუთარ თავს: „კი, მაგრამ, ამხანაგო ლეონტი, წედან სწორედ შენ არ ეუბნებოდი არაბიძეს? — ყოჩაღ, მომწონს! უბანს რემონტი ამდენხანსაც სჭირდებოდა მხოლოდ კაცი არ იყო, რომ ეთავა“. — ლეონტიმ ხელი გაკვირვებით შეათამაშა „ეს, მართლა რა გამოდის?!“, მაგრამ „საკვირობოროტო“ კითხვას უმაღლესად უპასუხა გუნებაში: „რა ვუყოთ!“.

ლეონტის თეთრი ღილისათვის თითო არ უშვია, სანამ ზარის გაბმულ, ხრინწიან ხმაზე, კაბინეტში ტექნიკური მდივანი — მერი არ შემოვიდა.

— გასწი ახლავე და გააფრთხილე ამხანაგები: კომბინატში ყველაფერი რიგზე იყოს! რაიკომის მდივანი მოდის!!!

ერთი წუთის შემდეგ ლეონტი თვითონაც გამობრძანდა კაბინეტიდან, როგორც მეორე, ისე პირველი სართულის ყველა განყოფილება, ყველა საგანრიგო მოინახულა, ზოგან შენიშვნა მისცა „ამხანაგებს“, ზოგან „მიუთითა“ ყველაფერი რიგზე არა გაქვთო, ზოგან თუ კრინტიც არ დაუძრავს, ერთი-ორგან კიდევაც იყვირა. ეს „ლონისძიება“ უფრო შიშისფრთხებისა და ცნობისმოყვარეობის გამოსაწვევად იყო ნაანგარიშები. და მართლაც, სადამდეც კი მისი ხმა მისწვდა, თუ შიშისფრთხება ვერა, ცნობისმოყვარეობა მაინც აღძრა — „სად?“, „ვის?“, „რატომ უყვირა ბუზალაძემო“.

ოციოდე წუთის შემდეგ რაიკომის მდივნის მანქანა კომბინატის ეზოში შემოიჭრა. ლეონტიმ ჯერ ვითომ ვერ „შენიშნა“ იგი, ვერც მანქანის ხმა „გაიგონა“, ისე იყო „გართული“ საქმეში. ცარიელი ვაკონეტების სასწრაფოდ მიწოდების თაობაზე ხმამაღლა ეკამათებოდა მოძრაობის ცვლის უფროსს. მაგრამ, როცა მუშებმა ახალ-მოსულისაკენ იწყეს ცქერა, ლეონტი-

მაც გაიხედა და... აღარ დააყოვნა. უმაღლესად ბეგლართან შესაგებებლად გაემშურა.

ბეგლარმა ეზოში თვალი მოაწყო ხეტყის თითქმის ცარიელ საწყობს — ცოტა ჩაღრმავებულ, საკმაოდ მოზრდილ ტერიტორიას. გეგონებოდათ, აქ ხეტყის საწყობი კი არა, ვეებერთელა სახლის საძირკველის ჩასაყრელად მომზადებული ორმოაო.

ლეონტიმ შეატყო, ეს „სიცარიელე“ ბეგლარს არ ეჭაშნიკა და, შემბარავად შენიშნა:

— ხეტყეს, რამდენსაც ვმოულობთ, ამხანაგო ბეგლარ, მაშინვე ვანაწილებთ... ის კი არა, ზოგ უბანში იმის შიშით, ვაი თუ ხვალ ველარ მივილოთო, იმარაგებენ კიდევ... ყოველნაირად ცდილობენ ორი-სამი საბიგე ძელით მეტი „გამოგვტყუონ“. რა დასამალია, ერთი-ორჯერ უბნებში ერთმანეთსაც კი მოპარეს...

— ჰმ! — უკმაყოფილოდ და თითქო გაკვირვებითაც წამოიძახა ბეგლარმა.

ახლა ლეონტი კი არ მიუძღოდა რაიკომის მდივანს, პირიქით, გამობმულივით ფეხდაფეხ მისდევდა.

ბეგლარი შახტის უფროსს მისსავე კაბინეტში შეუძღვა. ლეონტის ახლა დაჯდომა ერთ რამედ უღირდა, მაგრამ რამდენჯერაც შესთავაზა სკამი, ბეგლარს თითქო ვერ გაეგონოს, ერთთავად გამაღებით განაგრძობდა კაბინეტში ბოლთის ცემას. თანაც დროდადრო შეკითხვას შეკითხვაზე აძლევდა ბუზალაძეს, რომელიც ახლა ჩრდილივით დასდევდა აქეთ იქით რაიკომის მდივანს და მორჩილის ხმით პასუხობდა. პასუხს ზოგჯერ სწრაფად ახერხებდა, ზოგჯერ ყოყმანობდა, ბორძიკობდა. ლეონტიმ მაშინ ამოიღვა ენა თავისუფლად, როცა ბეგლარმა მეხუთე უბნის შესახებ ჰკითხა. მას აღარ ახსოვდა თუ ნიკო არაბიძე მეხუთე უბანში გადაიყვანეს. ამ ამბავს მარტო მაშინ მიაქცია ყურადღება, როცა ლეონტიმ მოახსენა — მარტო მეხუთე უბანი ჩამორჩებაო.

— არაფერი ეშველა იმ ქარქაშაძეს, არა?

რახან ამ შენიშვნას ლეონტის ფიცხელი პასუხი არ მოჰყოლია, ბეგლარი წუთით შესდგა და შახტის უფროსს მომწესხველი მზერა შეაგება.

— ამხანაგო ბეგლარ... ქარქაშაძე რახანია აღარ გახლავთ... მეზუთე უბანში.

ბეგლარი ერთხელ კიდევ შეჩერდა. ახლა უფრო ცნობისმოყვარეობის, ვიდრე ავის თვალთ ერთხელ კიდევ გადახედა ბუზალაძეს და უმაღლესი თვითონაც გაახსენდა.

— ო, არაბიძეა ახლა იქ, არა? მერე რა ღმერთი გაუწყრა?!

ლეონტიც რახანია „ამ წუთს“ ელოდა. რა იცოდა ბეგლარმა, რომ იღუპილმა სიხარულმა შახტის უფროსის მოვალეობის ამსრულებელს წუთით ენა დაუბა.

— ამხანაგო... ბეგლარ! — ხმადაბლა დაიწყო ლეონტიმ. — ზოგი ადამიანის საქმე სწორედ კურდღელს მაგონებს! აღმართში თუ მწვევარიც ვერ დაეწევა, დაღმართში იქნებ ეზოს ძაღლმაც გაასწროს.

ლეონტიმ შეატყო-რა, ბეგლარი ყურადღებით უსმენდა, ცოტა ხმამაღლა, მაგრამ იმავე შემზარავი, თილისმური კილოთი განაგრძო თავისი „არაკი“.

— თუ არაბიძე თავისი უბნით შახტში მოწინავედ ითვლებოდა, ახლა თვით უკანასკნელი უბნის უფროსად ცნობილ ქარქაშაძესაც კი ჩამორჩა. თავისი მაჩვენებლებით!

— თქვენც და თქვენი მაჩვენებლებიც... — დაცინვით ჩაურთო ბეგლარმა და, რახან სიტყვა აღარ დაასრულა, ბუზალაძემ ერთი მლიქვნელურად გაუღიმა. თვითონ განაგრძო:

— მერე, ისიც რა დროს?! როცა შახტში მაგ ერთს გარდა ყველა უბანი გეგმას ასრულებს!

„მაგ ერთს გარდა“ — ლეონტიმ შედარებით უფრო ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულთ სიტყვა, რათა მის გასაგო-

ნად ბეგლარს სმენა უფრო გაემიჯნებოდა. მეტი ყურადღება მიექცეოდა, ვითომ მისათუჩეხებლად ხმადაბლა წარმოთქმულ სიტყვებისათვის. მართლაც, ბეგლარი სწორედ ამ, ჩურჩულთ წარმოთქმულმა სიტყვებმა უფრო გააღიზიანა.

— ჯერჯერობით, ამხანაგო ბეგლარ... ვერ გამოდგა ის „ძველი“! ვიზუალურ იმედებს ამყარებ, ხშირად სწორედ ის გიტევს ზოლმე!.. რა ვიცოდი... მეგონა ყველაზე ძნელ უბანს ყველაზე გამოცდილს ვანდობ-თქო და... ესეც „ყველაზე გამოცდილი“ შევეციდი, ამხანაგო ბეგლარ, მაგრამ რაღა დროს!.. ახლა უნდა გავწყდეთ წელში, სხვებიც როგორმე მივეხმაროთ და, იქნებ რამე ეშველოს!..

ბოლოს ცემაში გართული ბეგლარი ერთბაშად შესდგა.

— უკან რაღას დამდევი? გაჩერდი აგერ და ისე მელაპარაკე! ნუ გეშინია, ყველაფერი მესმის, თუმცა... კვიციანურს ცოტას ლაპარაკობ!

ლეონტიმ იგრძნო, როგორ დასცხა.

— შენ რა, არ იცი?! ზოგჯერ კარგი მუშაყის წარმატებას ცული ხელმძღვანელი უშლის ხელს!!!

წელან თუ დასცხა, ახლა ბეგლარის ამ შენიშვნამ ლეონტის თავბრუ დაახვიდა.

— ზოგი შენ გაქებდა, ზოგი იმას!... ვინ იცის, იქნებ არაბიძე უფრო უკეთ გასძლოლოდა შახტს, რომ... — ბეგლარმა გამომცდელის თვალთ ახედ-დახედდა ახლა მართლაც ბუზივით დაბატარა-ვებულ ბუზალაძეს, — ჯერაც არ არის კვიანი!

„რა?“ — მყის იკითხა გუნებაში ლეონტიმ — „არაბიძის შახტის უფროსად დანიშვნა?“ თავზარდაცემული ბუზალაძე თვალეებში ძლივს იხედებოდა. წელან რომ დატუქსა ბეგლარმა, მას მერე ლეონტის იმ ადგილიდან ფეხი აღარც მოუცვლია. უბედურება ახლა ის იყო, ფეხთან ერთად ენაც გაუშეშდა.

ბეგლარს ცოტა ეხამუშა მისი ღუმით.

— უნდა დაეხმაროთ ამხანაგს! მაშ როგორ გინდათ? თუ ამ საქმეში მეტი გესმით, სხვებსაც გააგებინეთ. გამოცდილების განიარება ჩვენი წესია!

„ეს სულ სხვა ჰანგია“, — კმაყოფილებით გაიფიქრა ლეონტიმ, მაგრამ თავისი მაინც არ დაიშალა, არაბიძის სახელობაზე ერთი ეკალი კიდევ დაასო.

— არაბიძეს, ამხანაგო ბეგლარ, მართო თავისი ქუთაზე უყვარს სიარული!

— თუ მეტი აქვს, იაროს! მაგრამ რაში ჩანს, მეტი ჰქონდეს? — უფრო გულშემატყვიერის, ვიდრე დამცინავის კილოზე შენიშნა ბეგლარმა და კვლავ გამალებით იწყო კაბინეტში ბოლთის ცემა.

„აღარ აპირებს წასვლას ეს ოჯახქორი?“. — თავისთავს იღუმალ შეუწყროა ლეონტი, ბეგლარს კი მლიქვნელური ღიმილიც შეაგება და სავარძელიც შესთავაზა.

ლეონტიმ ხუთიოდე წუთი კიდევ ილაპარაკა და ბეგლარს „აუხსნა“: თუ აქამდე არაბიძეს ყველა გამოცდილ ხელმძღვანელად სთვლიდა, როგორც ხედავთ, საქმე ასე არ ყოფილაო.

— ხანდახან იმასაც კი ვფიქრობ ხოლმე, — ცბიერის ოსტატობით დასძინა ბუზალაძემ, — იქნებ... გონტა იყო არაბიძის „მავიური ჯოხი“, იქნებ გონტა აკეთებდა ყველაფერს, არაბიძის სახელი კი აბრასავით ეკიდა უბანს!

ბეგლარს ბოლთა არ შეუწყვეტია. არც მის სახეზე გამოუწვევია რამე ცვლილება ბუზალაძის ბოლო სიტყვებს, მხოლოდ სინანულით გაიფიქრა — „ჰო, როგორ ვჭამთ ერთმანეთს!“.

— ახლა მოუნდა მაგ დალოცვილსაც, — ბეჯითი მოწაფესავით განაგრძო ბუზალაძემ, — მუშახელის გაფანტვა! ხალხს ნახშირის მონგრევას არ აცლის, უცბათ უბნის გადამაგრებაზე გადაყავს!.. მუშახელს უნდა გაუფრთხილდეო!!! გაუფრთხილდეს ბატონო, მაგრამ... თუ ნახშირის მონგრევის გეგ-

მას არ შეასრულებს, ისე ან მუშახელი რად უნდა?!!

„გველია!“ — გაიფიქრა ბეგლარმა და ბუზალაძის წინ უეცრად შესდგა. ეტყობოდა, რაც აქამდე ითმინა, მის ძაღლონესაც აღემატებოდა. რაიკომის მღივანმა თავშეუკავებლად უყვირა ლეონტის:

— მე რომ შემომწუწუნებ, შენ სადა ხარ?! მე ვარ შახტის უფროსი, თუ შენ? ტყუილად ჩაგაბარე აქაურობა?!! წამით სიჩუმე ჩამოვარდა,

— სად არის არაბიძე?
— მგონია... მაშინ უნდა იყოს წასული... გამოვუძახოთ?...

— არა, ერთი მაჩვენე იმ ქარქაშაძის უბანი, ახლა არაბიძისთვის რომ „გადაგილოცინა“!

ბეგლარი ლეონტის ვაძლოლას აღარ დაელოდა, პირველი გაიჭრა გარეთ.

რაწამს ასმათი თვალს მიეფარა, ნიკო ისევე დამარტოხელეს უსიამოვნო ფიქრებმა. წელან, რაც უფრო შორდებოდა საყვარელიძეების ეზოს, მართალია, მოთქმის ხმა თანდათან ნელდებოდა, მაგრამ ნიკოს არსებაში მით უფრო ძლიერდებოდა რალაც გაურკვეველი შიშის გრძნობა. ძალიან ცდილობდა, მაგრამ მაინც ვერ აღწევდა თავს ერთიმეორეზე უფრო უცნაურ და აკვიტებულ ფიქრებს. რამდენადაც არასასიამოვნო იყო ფიქრები, იმდენად უცნაური იყო ჩაძინებულის ხილვები... ვითომ ნიკო არაბიძის ეზოში ხალხი იყრიდა თავს, ვითომ ნიკოს ეჭმებდნენ, ის კი არა ჩანდა. სიზმრებმა მთლად გადარიეს იგი. უეცრად ვალვიძებულმა, ვითომ სადღაც რომ უპირებდნენ გადაგდებას, თვალები აქეთ-იქით მიმოაცეცა. შორი-ახლოს აიენის ბოძთან ქალი რომ დალანდა, არც გაურჩევია ვინ იყო, ისე იფიქრა — ასმათი დაბრუნებულაო და ხელახლა თვალმინაბულმა ნახევრად-მძინარის ხმით იკითხა:

— მოხვედი?...

— დიახ...

ეს „დიახ“ ნიკოს რალაც ეუცხოვა, ასმათის ხმას არა ჰგავდა. ხელახლა გაახილა თუ არა თვალი, გაოცებულმა კიდევ წამოიწია, კიდევ წამოიძახა:

— თამარელა?! მღვიძავს, თუ შენც სიზმარში გხედავ?

— გღვიძავს, ნიკო ბიძია, ისე წვალობდი ძილში, ცოტა ადრეც მინდოდა გამეღვიძებინე, მაგრამ ვერ გავებედე...

— ნეტავი! მაგისთანა გაუბედავი რომ არ იყავი?

ნიკო ტახტის ნაპირზე ჩამოჯდა, თამარელასაც იქვე, სკამზე ანიშნა.

— არ გელოდი... ნამძინარევემაც უცებ ვერ გიცანი. მეგონა — ასმათი დაბრუნდა-თქვა!

— დეიდა ასმათი გზაში შემხვდა... მეც მინდოდა, მაგრამ საყვარელიძეებისას არ წამიყვანა. ჩვენთან აღიო, ნიკო ბიძია მარტოა და ილაპარაკეთო.

— ისე არ აპირებდი ამოსვლას?!

— რომ გამოგოტყუდე... თქვენს სანახავად მოვდიოდი. საყვარელიძეებისას თუ რამე ამბავი იყო, არც ვიცოდი.

— რა მოხდა ნეტა?

წამით ისევ საყვარელიძეებისაკენ, საყვარელიძეებისაკენ კი შატბიასაკენ გაიტაცა ფიქრმა ნიკო... და რომ ამ უსიამოვნო ფიქრებისათვის გასაქანი აღარ მიეცა, ისევ თამარელას მიუბრუნდა.

— რაჟა თქვენსკენ საქმე?

— ჯერჯერობით კარგად. როგორ უნდა იყოს?

— თქვენ იცით, ყოჩაღად მოიქეცით!

თამარელამ ნიკოს ერთი ისე შეხედა, თითქო რამეს უსაყვედურებდსო. საყვედურის კილოზედვე წამოსცდა:

— რალა ყოჩაღად, რა...

ახლა ნიკომ შეხედა თამარელას გავირეებით, მაგრამ არაფერი სთქვა.

— ნიკო ბიძია, — თამარელამ ღმილით შეხედა ნიკოს, — სანამღი წახვიდოდი, ყველანი დარწმუნებული

ვიყავით, მთავარი — უბანიაო, ახლა კი, ასე მგონია იქაურობა გადაკარივლდა. მთავარი — ადამიანი ყოფილა!

ნიკო ჯერ თავს იკავებდა, ბოლოს მაინც გულით გაეცინა. სიცილში გამოხატული ეს გულწრფელი და უნებლიე თანხმობა სიტყვით მაინც უარყო.

— არ დაიჯერო! თქვენ იმუშავებთ და, როცა მაგაზე ფიქრის დრო აღარ გექნებთ, ჩემს იქ არყოფნასაც ველარ იგონებთ!...

თამარელამ ნაღვლიანად გადახედა და ეჭვით შენიშნა:

— ვითამ? ვცდილობთ, მაგრამ...

ერთხანს იყუჩეს. შემდეგ ნიკომ მოულოდნელად გაიხსენა თამარელასთან ამდღიანდელი შეხვედრა.

— წელან კაბინეთის კარებში რომ შემეფეთე, რა გინდოდა ბუზალაძესთან?!

— თვითონ დამიბარა... რას აპირებო, მკითხა. არაბიძის ყოფილ უბანში რჩები, თუ მასთან გადადიხარო. მე ვუთხარი... ჯერ არ ვიცითქო, მეტი არაფერი. წამოსვლისას მითხრა — როგორც მოისურვებ, ისე იქნებო. საერთოდ თუ რამე დაგჭირდეს, არ მომერიდო, კაი მუშას უარს ვერაფერზე ვეტყვიო.

— იცი, თამარელა?, მაგ ბუზალაძის ნურაფერი გინდა! ნურც დაპირების გჯერა!

თამარელამ გაოცებით მიაპყრო მზერა ნიკოს.

— რატომ, ნიკო ბიძია?!

— რატომ და... რა ვიცი. ხალხი გავწყდით, უმაგისოთ ვერაფერი გისაშუალოთ?!

— ნიკო ბიძია, მაგ ახლა შატბის უფროსია!

ნიკომ უცმაყოფილო, მაგრამ შერიგებულის კილოთი შენიშნა:

— ჰო, მართალია. სამწუხაროდ ასე მოხდა!

თამარელას აღარაფერი უპასუხია. ნიკოც გაჩუმდა. ახლა ის რალაცას ჩაეფიქრებია. თამარელა თუმცა უხერხუ-

ლად გრძნობდა თავს ამ დუმილში, მაგრამ მაინც ისე გამოიყურებოდა, ამ უხერხულობას ვერ შეატყობდით.

— ბუზალაძე... არც ისე ცუდი კაცი უნდა იყოს, როგორც ამბობენ. — მცირეოდენი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ გულუბრყვილო გარკებით შენიშნა თამარელამ.

— როცა აღამიანს არ იცნობ, ძნელია სხვას დაუჯერო, გინდა აქებდეს, გინდა აგინებდეს!

— კი მარა, ბუზალაძეს ხომ იცნობენ, ნიკო ბიძია?!

— ძალიან ნაკლებად!

— ათი წელიწადია აქ მუშაობს!

— რა ვუყოთ! — უბრალოდ, მაგრამ ისე სთქვა ნიკომ, მარტო მისი კილო დაგაჯერებდათ ნათქვამის სისწორეში... — ზოგის გამოსაცნობად წლების სიმრავლეს იმდენი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენიც ერთ უბრალო შემთხვევას... — ნიკო ისე შედგა, იფიქრებდით უჭირს „იმ უბრალო“ შემთხვევის გახსენებო. — ერთი სიტყვით... ჩემგან ასე იცოდე! ბუზალაძისთანებზე უთქვამთ — აქე და ერიდო!.. კაცის ლანძღვა და გამეტება რა საკადრისია, არც მიყვარს, მაგრამ მაგაზე კი უნდა ვაგაფრთხილო — დიდზე დიდი აგვაბაკი და გაიძვერა კარიერისტი! შეიღს ვაიშვებებს!

თამარელას ისე ეოცა ნიკოს ნათქვამი, თვალეზიცი კი გაუფართოვდა. ნიკომ გაიღიმა. ნათქვამს დინჯად დაუმატა.

— დარწმუნდები. ამისთვის დიდი დრო არ დაგჭირდება. ეგ ეხლა ისეა გათამამებული... „ნიღბის ტარებას“ საჭიროდ აღარც კი ცნობს!..

განცვიფრებული თამარელა, როგორც არაჩვეულებრივ ვაკვეთილს, ისე უსწინდა ნიკოს შენიშვნებს, მაგრამ ახლა მისი ნალაპარაკევიდანაც არა სჯეროდა ყველაფერი.

ლენინისთან პირველმა შეხვედრებმა თამარელაზე არ დასტოვა კარგი შთაბეჭდილება. მაგრამ ბუზალაძე იმით იყო საშიში, მისი ძალა სწორედ იმაში გა-

მოიხატებოდა, ძალიან ფხიზლისათვისაც ადვილად შეეძლო თვალის „ახვევა“. მან კარგად იცოდა, დროდადრო „სიფხინულეც“ დუნდებდა. იცოდა და „მსხვერპლს“ მოთმინებით სდარაჯობდა. რაც დრო გადიოდა, თამარელა იძულებული იყო შეეცვალა ამ კაცზე თავისი შეხედულება. თავის ისე მოჩვენება, როგორც ეს ბუზალაძისათვის ხელსაყრელი იყო, შეადგენდა მისი წარმატების საიდუმლოებას. ამას იგი ადვილად აღწევდა ერთგული „მოციქულების“ შემწეობით. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ყველას მოტყუება ძნელია და, ბუზალაძე ზოგის თვალში ისე უმწეოდ გამოიყურებოდა, როგორც მახინჯი ლამაზებში.

— დილით დამიძახა მამა შენმა ბუზალაძემ და...

— ჩემი რატომ არის, ნიკო ბიძია, რას შერჩი?

ნიკომ თამარელას სიცილით გადახედდა თავზე ხელი გადაუსვა.

— ვითომ... არაფერი იცოდა... დაწვრილებით გამომკითხა ჩემი ახალი უბნის შესახებ.

როგორც კი ნიკომ ახალი უბანი ახსენა, თამარელა გამოცოცხლდა, გამტრებებით შეაეცქერა ნიკოს და იხელთა თუ არა დრო, უმაღლესი გაამხილა თავისი გულისდარდო:

— ნიკო ბიძია! რატომ არაფერს მეუბნები... როდის უნდა გდმოვიდე შენს უბანში?!

ნიკოს წუთით დაფიქრებაც არ დასჭირვებია, ისე უპასუხა თამარელას:

— სადაც ხარ, იქიდან ფეხი არ მოიკვალო!

— რატომ რა...

— დღეს თუ მე-5 უბანში გამამწესა ბუზალაძემ, ხვალ, ვინ იცის, სად „მიკრაეს“ თავს!... მეც ხომ კატის კნუტივით არ გატარებ, სადაც წავალ!

ნიკო ამას, მართალია, ერთი შეხედვით ადვილად ლაპარაკობდა, მაგრამ გულის სიღრმეში მწვავედ განიცდიდა თამარელასგან დაშორებას. მასაც თამარელაზე ნაკლებად არ უნდოდა, ეს

შვილივით შეთვისებული გოგონა ახლოს ჰყოლოდა. სანახავად ეცალა თუ არა, სანამ თავის უბანში ჰყავდა, რა უჭირდა, მაინც სულ მის თვალწინ ტრიალებდა თამარელა. ეს არა მარტო უბრალო სიამოვნება, დიდი ნუგეშიც იყო მამისათვის, რომელსაც შვილი ომში ჰყავდა.

— გადაყვანაზე რომ ყოფილაყო, შე ქალო, საქმე, რამდენი მარჯვე და გამოცდილი მუშა დაგიტოვეთ უბანში. ბარემ იმათ წაიყვანდი. შე შენ გეტყვი, არ მჭირდება..

— მერე რატომ არ წაიყვან, ნიკო ბიძია?

— რატომ არ წაიყვან! ბუზალაძესაც ეგონა, ჩემი უბნიდან ნახევარს გადავიყვანდი, მაგრამ... გამოვაღლე პირში ჩალა!

— რაფერ?!

— აღამიანს რაც ვინდა შეუღახო, თავმოყვარეობა მაინც უნდა დაუტოვო!.. მუშების გადაყვანის თაობაზე სწორედ მეხუთე უბნის დათვალეირების დროს ჩამომიგდო სიტყვა ბუზალაძემ. მეც „ვეიშმაკე“ და მუშების გახაგონად ვუთხარი — ერთი შეხედვლეონტი სევასტიევიჩი ჩემს უბნელებზე ნაკლები რით არიან ეს საწყლები! ასწავლე, კაი მაგალითი აჩვენე, სწორად აუხსენი, რაც გასაქეთებელია, და ნახე, თუ ვინმეზე ნაკლებად იმუშავენ-ბენ-თქვა. ეს, ჩემო თამარელა, ზოგიერთ ჩვენს „ამხანაგს“ სჩვევია ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანისას, შტატის ნახევარიც რომ თან დაყავს. აქო და „ჩემი“ ხალხიო; „ჩემი“ და „სხვისი“ რას ქვია? თუ შენ პატიოსანი ხარ, ყველგან ჩვენი მოქალაქეები არ არიან?... მაგრამ აქ ცოტა მაჰაძღლობაცაა! იმას ვამბობდი — ლეონტიმ მისმინა, მერე ერთი გაკვირვებით შემომხედა, ჩაიციინა და დამტოვა. მიმიხვდა, მეორე დღეს მითხრეს: კაცო რა თქვი, ან რა ქენი ისეთი, ქარქაშაძის უბანში „მიძინებულები“ რომ გამოგიცოცხლებიო. ახლა ყველანი მხნედაც

გამოიყურებიან, ის კი არა კიდევაც იმუქრებიან — მოვეკლებით და არაბიძეს არ შევარცხვენთო! ამას „შენ გეტყვინები“ საიდუმლოთ, თამარელა, რცი, ტრაბახი არ მიყვარს და არც ის მიკვირს, რაც მოხდა, მაგრამ... მიხარია..

ნიკოსთანა გულშემატკივრები ასე ცოტანი რომ არ იყვნენ, ალბათ უფრო ადვილი იქნებოდა სიცოცხლეც და ცხოვრებაცო. — გულუბრყვილოდ ფიქრობდა ახლა თამარელა.

როცა ტელეფონის ზარის ხმა გაისმა, ნიკომ გაიხედა იქით, მერე თამარელას უბრალოდ უთხრა:

— ერთი, უპასუხე.

თამარელამ სწრაფად შეასრულა ნიკოს თხოვნა.

— ბუზალაძის მდივანმა დაგირეკა: მახტის უფროსი თხოვს არაბიძეს, სასწრაფოდ გამოცხადდესო.

— დასვენებაც არ მაცალა იმ წყეულმა!

„წყეულის“ გაგონებაზე თამარელას გაეღიმა, გუნებაში კი გაკვირვებით შეეკითხა თავს — ნეტა რა დაუშავა ბუზალაძემ ნიკო ბიძიას, ეს ღვთისნიერი კაცი ასე რომ იხსენიებსო.

სანამ ნიკო* გასაქირში იყო, ლეონტის თავი ისე ექირა, ვითომც დიდად თანაუგრძნობდა ჩამორჩენილი უბნის უფროსს. სინამდვილეში კი კმაყოფილებით ადევნებდა თვალს „ამ სეირს“, სიტყვით თუ ყველაფერს აღუთქვამდა, ამხნეებდა, საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, თავს ათანხარად იკატუნებდა — „მართალია, ვითხარი, ძალიან მინდოდა, მაგრამ... რაც კაცს უნდა, ყველაფერი ხომ არ გამოვა? ანდაზა! მაინც არ გაგიგონია? „კაცი ბუობს, ღმერთი იცინისო“. შედავებას ჯერ ვერ გაუბედავდით, და თუ გაუბედავდით, იმდენს რას გამოჩნებოდით, მოგებულები დარჩენილიყავით.

ბოლო ხანებში, დიდი ვაი-ვაგლახით მოპოვებულა ნიკოს უბნის წარმატებუ-

ბი ლეონტი ბუზალაძეს ბარემ არ მოსწონდა, მაგრამ ამას როგორ გაამხელდა. რაც დრო გადიოდა, თავისი გულის იდუმალ ტკივილს უახლოეს მესაიდუმლეს — ქარქაშაძესაც კი უმაღავდა. — „დღეს რომ შენ შემოგტყერის თვალებში და კუდსაც გიჭიკინებს, ვინ იცის, ხვალ ვის გაუგორდება ფეხებშიო“, — შიშობდა ლეონტი. უფრო ხშირად „ერთი შეხედვით“, მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით ან წარბის შეკუმხვებით ახვედრებდა თავისიანებს — რა მოსწოდა, რა არა „მოწინააღმდეგეთა საქმიანობაში“.

მას მერე კი, რაც ნიკომ დიდი გასაქირიც გამოიარა, ქარქაშაძის ყოფილი უბანიც ცოტად თუ ბევრად „რალაცას დაამგვანა“, დაქცევისაგან იხსნა, ხალხიც ხიფათს გადაარჩინა, ლეონტი მწარედ ჩააფიქრა ამ დაწუნებული უბნის უფროსის წარმატებამ. — „ეგ ისეთი ძაღლია, მიღწეულსაც არ დასჯერდებაო“, — შიშობდა ბუზალაძე და მისი შიშნარევი ვარაუდი, მართლაც არ იყო საფუძველს მოკლებული...

თუ არაბიძე დღე და ღამე „ფრთების გაშლაზე“ ფიქრობდა, ბუზალაძე დიდი სიფრთხილით, მაგრამ ყოველგვარი საშუალებით ამ ფრთების შეკვეცას ლამობდა. აქამდე ვერ დაევიწყებინა ბეგლარის ნათქვამი: ვინ იცის, იქნებ არაბიძე შახტს უფრო უკეთ გასძლოლოდაო.

ნიკო არაბიძეს თავისი გაწყობილი უბნის იძულებით დატოვება ჯერ ვერ მოენდებინა და ახალ უბანში მუშაობა ხეირიანად ვერ გაეშალა, რომ ბუზალაძემ ცეცხლი კიდევ უფრო შეუწითო: — აქაო-და ბეგლარმა შემახურა — რატომ მერე ყურადღებას არ აქცევ არაბიძის ჩამორჩენილ უბანსო, ნიკოს წამდაუწუმ ურეკავდა შახტშიაც, საგანრიგოშიაც, სახლშიაც, თავისთანაც იძახებდა, უბანშიაც თავს ესხმოდა და აღარც დაფიქრებულად მუშაობის საშუალებას აძლევდა, აღარც დასვენებისა; კრებებზე თვითონ თუ განზრახ მზარს უქერდა, სამაგიეროდ, ორი სამი

„თავისი კაცი“ წინასწარ ჰყავდა გაფრთხილებული: ასეთი „ლმობიერებისათვის“ არაბიძესთან ერთად ისიც გვეყრტიკებინათ. ბუზალაძის „კაცები“ ამ იდუმალ „მითითებას“ არტისტულად ასრულებდნენ და კრებაზე ეჭვი არავის ეპარებოდა საქმისადმი მათს ერთგულებაში. მეორე მხრით, ლეონტი გულმოდგინედ ცდილობდა არაბიძის მომხრეთა, ნამდვილ გულშემმატკივართა დაქსაქსვას, დაშინებას, გადაბირებას. არაბიძეს ბევრი გულშემმატკივარი ჰყავდა, მაგრამ უმრავლესობა ბუზალაძის შიშით, აშკარად გამოქომაგებას, როცა ეს არაბიძისათვის საჭირო იყო, ვერ ბედავდა, ჩუმი დრტყინვა კი საქმეს ვერ შეელოდა. ამ მხრივ ყველასაგან განსხვავდებოდა თამარულა, რომელიც ხშირად „კაკალს ამტრევედა თავზე“ ნიკოს აშკარა მოწინააღმდეგეებს და ბუზალაძის ფარულ მომხრეებს. ალბათ ესეც იყო მიზეზი, გადმოსაბირებელთა შორის პირველ კანდიდატად ბუზალაძემ ეს „თავგასული გოგო“ რომ აირჩია. პირველად თამარელასათვის თუ მოულოდნელი იყო და, ერთი მხრით, კიდევ ეოცა, მეორე მხრით, იდუმალ, რაც მართალია-მართალია, მოეწონა, ლეონტი მისი შრომითი წარმატებების შესახებ რომ გატაცებით ლაპარაკობდა. იდუმალად ნასიამოვნებმა კიდევაც გაიფიქრა — „რა მოეჩვენა ამ უკუღმართსო“. მეორე კრებაზე ლეონტის იმდენი შთაბეჭდილება აღარ მოუხდენია თამარულაზე, მაგრამ ქება თავბრუს ვის არ დაახვევს, და თამარულაც ცოტა თავბრულახვეულივით გამოიყურებოდა. მესამე კრებაზე თამარელამ უხერხულადაც იგრძნო თავი, როცა ლეონტი კვლავ მის ქებას მოჰყვა. ახლა ზოგს კიდევ შეშურდა მისი „ბედი“ და „გუნებაში გამწყურალი იყო“ — „რა მოხდა, თუ ერთი ვინმე ამოვიჩემეთ, მერე აღარ მოვეშვებით და ცას ვაყრუებთ მისი ქებითო“. ზოგს უბრალოდ უკვირდა: „რა უნდა გაეკეთებინა თამარელას ისეთი, ბუზალაძის ქება დაემსახურებიაო“.

მორიგ კრებაზედაც იშოვნა ბუზალა-
ქემ თამარელას ქების საბაბი, ბუზალა-
ქე ახლა მარტო აღარ ეწეოდა ამ აგი-
ტაციას. თამარელას უფრო იმაზე მოს-
დიოდა გული, ნიკო არაბიძეს რომ
სულ არ ახსენებდნენ, ან თუ ახსენებდ-
ნენ, მხოლოდ გასაკრიტიკებელთა შო-
რის.

— რას ჩამაცივდა ეს ხალხი! — წყე-
ნით უთხრა თამარელამ გვერდით
მჯდომ ლელას. — შახტში სწორედ
იმისთვის ვარ, ვიმუშაო... აქ ან გასაკვი-
რი რა არის, ან საქები?!

კრების დამთავრების შემდეგ ლელამ
თამარელას ურჩია:

— აცალე, თუ ჭკუა გაქვს, რაც შეიძ-
ლება, მეტი გაქოს, სახელი მოგიხვევოს,
უცნობი და უსახელო, ვერც მტერს
დააკლებ რასმე, ვერც მოყვარეს გა-
შობადგები, მაგ ბუზალაძის ამაგის წყალ-
ში გადაყრას კი რაც გვიან ეცდები, მით
უფრო მოგებული იქნები!

— მაშ ახლა ხმა არ გავცე?

— მოითმინე!

— დაგიჯერებ. — გამგონეს კილოთი
თქვა თამარელამ და ლელას მოულოდ-
ნელად აკოცა.

ლეონტიმ დროზე შეატყო, ცარიელი
სიტყვებით, იაფი ხრიკით თამარელას
გულის მონადირება არ მოხერხდება და
სხვა ხერხს მიმართა. ქების არე ცოტა
უფრო გააფართოვა. რაიონულ გაზეთ-
ში დროდადრო ბუზალაქე ვრცელ წე-
რილს ბეჭდავდა შახტის სხვადასხვა
საქიბობორტო საკითხზე. ერთ-ერთ
ასეთ წერილში წარმატებულ მეშახტე-
თა შორის არათუ დაასახელა, ვრცლა-
დაც ასწერა თამარელას საქმიანობა.
თამარელას ერთხელ კილევ დაესხა ბრუ,
როცა პირველად თავისი გვარი გაზეთ-
ში ნახა დაბეჭდილი. ახლა არა მარტო
მეშახტეთა ქალაქმა, მთელმა რაიონმა
გაიცნო თამარელა, როგორც მოწინავე
მუშა. „ამ გაზეთს უსათუოდ შახტისასაც
გავუგზავნიო“, — გაიფიქრა და, თვი-
თონ რომ უხერხულად მოეჩვენა, სამი
ცალი გაზეთის ყიდვა გურამს დაავალა.

მაიაც სიხარულით ცას ეწია, როცა ეს
ამბავი შეიტყო. იმ წამსვე ბუზალაქეს
დაურეკა და თამარელას მადგირად გა-
დაუხსნა მადლობა.

თამარელამ „თვითნებური“ საქციე-
ლისათვის დიდი საყვედური უთხრა
დიკოს, გუნებაში კი გაიფიქრა —
„სხვაგვარად როგორ შეიძლებოდაო“!
ბუზალაქემ მართალია, თავაზიანად
მოუსმინა მაიას და „მორცხვად“ უბა-
სუხა, — მადლობა რა სათქმელია, სხვა
თუ არაფერი, თქვენი ოჯახი ფრონტე-
ლის ოჯახია და მისი წევრები მორა-
ლურ მხარდაჭერასაც საჭიროებენო.

ამ პასუხის შემდეგ მაიას მარტო
გული კი არ აუჩუყდა, აზრიც შეე-
ცვალა „კვიმატად“ მონათლულ ბუზა-
ლაქეზე. თამარელას იმ დღის შემდეგ
სულ იმას ჩასჩინებდა — ლეონტი
ბიძიას არაფერი აწყენიო. თამარელა
არც ყურს უგდებდა, არც რამე მნიშე-
ნელობას აძლევდა დის ამგვარ დარი-
გებას.

ნიკო არაბიძე გრძნობდა, რასაც მოას-
წავებდა ბუზალაძის მიერ თამარელას
„აღმოჩენა“ და ასე ამოჩემება, მაგრამ
ვერ მოხერხებინა, ამის შესახებ თამა-
რელასათვის თუნდაც გადაკრულად
ეთქვა რამე. „ჩემი აზრი ზომ იცი მაგ
ბუზალაქეზე და ისიც კმარაო“, — იმ-
შვიდებდა გულს ნიკო. „უშჯობესია და-
ნარჩენს თვითონ ჩაუყვირდეს და თვი-
თონ მიხვდეს, უფრო უკეთესად დარწ-
მუნდება ბუზალაძის არაკეთილსინდის-
იერ განზრახვაში“.

კაცმა რომ თქვას, ნიკოს არც ეცალა
ასეთი ახსნა-განმარტებისათვის სანამ
უბანში საქმეს არ გამოასწორებდა ფეხ-
ქვეშ მტკიცე ნიდაგს არ იგრძნობდა,
ყველაფერი უმნიშვნელოდ და წვრილ-
მანად ეჩვენებოდა. ნიკომ მართალია,
იცოდა — თუ „წვრილმანები“ თავს
მოიყრიდა, გამკლავება ძნელი იყო, მაგ-
რამ ჯერჯერობით სულიერი და ფიზი-
კური წონასწორობის შენარჩუნებისათ-
ვის, წყარუების გარდა, სხვა საშუალე-
ბა არ გააჩნდა. ნიკო იმასაც ფიქრობდა,

რაც უფრო შემავიწროვებს ბუზალაძე, იქნებ კიდევაც სჯობდეს ჩემთვის... ამით უფრო ადვილად და მალეც გამოამჟღავნებს თავის „კაი კაცობასო“.

გასაჭირში მყოფ არაბიძეს ლეონტი ახალი უსიამოვნებით გაუმასპინძლდა. მის ყოფილ უბანში მოულოდნელად ქარქაშაძე გაამწყსა. ბუზალაძემ, მართალია, გამოაცხადა—ქარქაშაძე ჩემ თანაშემწედ გადაწყვესო, მაგრამ როგორ შეეძლო ამის გაკეთება, სანამ თვითონ შახტის უფროსად არ დაამტკიცებდნენ. ამ საბაბით ბუზალაძემ განსწრახ გადადგა ასეთი ნაბიჯი, იცოდა, მეორე უბანში ქარქაშაძის დანიშვნით გულსაც ატყენდა, მოთმინებიდანაც გამოიყვანდა არაბიძეს. „მართალია, ნიკომ თავიდანვე პირობა ჩამომართვა, ქარქაშაძეს მის ყოფილ უბანს ახლო არ გავაკარებდი, მაგრამ... ახლა შეიძლება რაღაც პირობის დაცვა, როცა ქვეყანა ტორტმანებს? ვითომ რას იზამს, უბანს მიატოვებს? კიდევ უკეთესი... დეზერტირად გამოვაცხადებთ!“

ამ ამბავმა ნიკო ისე ააღელვა, მართლა კინაღამ მიატოვა მეხუთე უბანი. „სულ მოვშორდები აქაურობას... მეზობელ შახტში გადავალ და იქ ვუჩვენებ მაგ ბუზალაძეს ვინ არის ნიკო არაბიძე“. მაგრამ თავისი სულიერი აფორიაქება არაბიძემ მალე სძლია და თუ ვინ იყო ნიკო არაბიძე, ამის „ჩვენება“ მან იქ, დაქვეულ უბანში გადაწყვიტა.

როდესაც ელიზბარმა ლეონტის გაახსენა — არაბიძის ყოფილი უბნიდან მის ახლანდელ უბანში გადაეყვანა ზოგი მეშახტე და ამითაც დახმარებოდნენ განსაცდელში ჩავარდნილ არაბიძეს, ლეონტიმ იყვირა:

— რა ამბავია? ვაგონილა, ასე აქეთ-იქით ვახტუნოთ მუშები?!

— კი, მაგრამ... ადრე ხომ თქვენც თანახმა ყოფილხართ, ლეონტი სევასტიევიჩი!

— ადრე იმაზედაც თანახმა ვიყავი, მე რომ მყავს, ის ქალი ცოლად შემერ-

თო, მაგრამ... რა იცი, იქნება ახლა გაცრაზე ვარ თანახმა?

— ლეონტი სევასტიევიჩი...
— შია ასეთი ხუმრობა!.. კიდევაც გიკითხავთ არაბიძისათვის, შენი ძველა უბნიდან ვინ მოგყავსო და.. რატომღა გიკვირთ, არ მესმის! — სიტყვა რომ დაიწყო, თუ ღიმილა არ შორდებოდა სახეზე, ბოლოს ასე წყენით დაამთავრა წარბშეკრულმა ელიზბარმა.

სამაგიეროდ ყვირილით რომ დაიწყო, მშვიდი კილოთი განაგრძო ბუზალაძემ.

— რა მოხდა, იმ ერთ კაცს ხომ არ გადაგყვებით! თუ შეუძლია, იმუშაოს გადიების გარეშე, თუ არა-და, მაშინ ნულარ გამოვუტყედავთ ხალხს ყურებს, არაბიძე ასეთია და ისეთიო! მე ბიძია, „სასწაულმოქმედი ხატი“ კი არა, უბნის ნამდვილი უფროსი მჭირდება!

— ამხანაგო ლეონტი, ჩემგან, შეიძლება არ გესწავლებათ, მაგრამ მაინც ვიტყვი: ნამდვილი, თუ გინდა, ეგ არის, „ხატი“ კი... ქარქაშაძეც გვეყოფა!

„ისე მედადგება, ეტყობა, ამ ვაჟბატონსაც დედაფუტკრად წარმოუდგენია თავი“ — გაიფიქრა ბუზალაძემ და ჩაიციხა.

— მაინც ვინ გინდა, რომ „მიაშველო“ — ეს „მიაშველო“ ბუზალაძემ აშკარა დაცინით წარმოთქვა. ელიზბარი არც ერთ წვრილმანს არ გამოჰკიდებია „ოლონდ საქმე გაკეთდესო“, გაიფიქრა გუნებაში და პასუხი აღარ დააყოვნა:

— მეოთხე უბნიდან მე გადავალ არაბიძესთან. დანარჩენებს — ერთ ოთხ-ხუთ კაცს მისი ყოფილი უბნიდან წამოვიყვან... მე მეგონია იქმარებს.

— გაიტანს თავს ეგ არაბიძე, მამ რა იქნება თქვენისთანა ძიძების ხელში! ასე, კაცო, თუ მხარს დაუჭერდით, ქარქაშაძეც არავის ჩამორჩებოდა! — ვითომ ხუმრობთ შენიშნა ბუზალაძემ, მაგრამ ამ ხუმრობის კილოთი ნათქვამში რა გულისწყრომაც იმალებოდა, მისი გამოცნობა ახლა ელიზბარისათვისაც

აღარ იყო ძნელი; იმ ელიზბარისათვის, რომელიც აქამდე საეკვოს და ასახირებელს ვერც სიტყვაში, ვერც საქმეში ბუზალაძეს ვერაფერს ამჩნევდა. თუ ხანდახან, ზოგიერთ საკითხში ელიზბარი მისი მხრით წინააღმდეგობას აწყობდა, ეს ზოგი ხელმძღვანელის აუცილებელ მანკად მიიჩნდა.

პარტორგანიზაციის მდივნის ღონისძიებებში ლეონტის ყველაზე მეტად ის არ მოსწონდა, რომ თვითონ ელიზბარი აპირებდა არაბიძის უბანში გადასვლას. მტანჯველ ფიქრებში ბუზალაძეს დაებადა ბრწყინვალე აზრიც: „მოდი, არაბიძის ყოფილი უბნის უფროსობას ელიზბარს შევთავაზებ, მის გულსაც მოვრგებ და არაბიძესაც დავუპირისპირებო“, მაგრამ ახლა ამის გამხელასაც მოერიდა და არაბიძის უბანში ზოგიერთი მუშის გადაყვანის თაობაზე კამათსაც. მოიგო კიდევ. იმავე დღეს დაწვრილებით შეიტყო მეოთხე უბნის მდგომარეობა. რა თქმა უნდა, რიგზე არც იქ აღმოჩნდა ყველაფერი. მეორე დღეს კი, როცა ელიზბარმა არაბიძის უბანში გადასაყვანი ხალხის სია შესათანხმებლად შეუტანა, ლეონტიმ დინჯად გადაავლო თვალი და, როგორც აღრევე ჰქონდა გადაწყვეტილი, — ელიზბარის გვარს წითელი ფანქრით ხაზი გაუსვა.

— პირველს მე მშლი, ამხანაგო ლეონტი?!

— ჯერჯერობით მეოთხე უბანში უფრო საკირო ხარ!

— რაც უნდა საკირო ვიყო მეოთხე უბანში... ნიკოს უკვე შეგვირდი, შენთან გადმოვდივარ-მეთქი.

— ნუ გეშინია, არ იღარდებს! — დაცინვით, გამაბიაბრუებლად მიუგო ლეონტიმ გულწრფელად შეწუხებულ ელიზბარს. — რა დაგემართა, შე კაცო, მეოთხე უბანიც ჩვენი არაა? ცოტახანს კიდევ ნუ მოაკლებ იქაურობას შენს ხელს და მერე როგორც გენებოს... მიეშველე არაბიძეს! მე მგონია, არც მაშინ იქნება გვიან... არაბიძე ისე

ჩაწვა „ლაფში“, დიღხანს ვერ ამოგაქ — ვითომ? — ეკვით იკითხა ელიზბარმა, — არაბიძეს ნუ ეხუმრები, ლეონტი სევასტიევიჩი!

მეხუთე უბანში გადასვლისაგან ელიზბარს კი შეაკავებინა თავი ბუზალაძემ, მაგრამ დანარჩენებს ველარ აუხირდა.

თავისი ყოფილი უბნიდან გადმოსული მუშები ნიკომ მამაშვილურად მიიღო.

ყველაზე მეტად მას კვერნაძის შემომატება გაეხარდა. მარტო ეს ერთი ცვლის უფროსი. უბანში მომუშავე ხალხის ნახევრად უღირდა არაბიძეს. საქმე ახლა ისე აღარ იყო, შტრეკი რომ შტრეკს არა ჰკავდა, შურო შუროს, სანგრევი სანგრევს. ახალმოსულებმა შეატყვეს, ნიკოს ხელი უკვე დასტყობოდა მეხუთე უბანს. ცოტა „მოლონიერდა“ თუ არა არაბიძე, როგორც ლეონტი შიშობდა მართლაც არ დაკმაყოფილდა მიღწეულით. ჯერ ელიზბარს გაანდო თავისი ზრახვა ცეცხლებიანი ლაგების გახსნის შესახებ, შემდეგ ტრესტის მთავარ ინჟინერს — მოსკოვის და, ბოლოს, ბუზალაძეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ლეონტიმ ხელები გაასავსავა; უარით სცადა „გათამამებული“ არაბიძის გასტუმრება, მაგრამ ნიკომ არ დაუთმო.

— ელიზბარი რომ დაგვეთანხმოს, მაშინ რას იტყვი, ლეონტი სევასტიევიჩი?

— ამ საკითხში ელიზბარს კი არა, სამთო აკადემიის პრეზიდენტს არ დავუჯერებ!

— მაშინ... ტრესტის მთავარ ინჟინერს მოველაპარაკოთ.

— შენი აზრით, იმან სამთო აკადემიის პრეზიდენტზე მეტი იცის? შენ, ბაბია, არ გცოდნია... კაცი რაც მაღლა დგას, მისი უცოდინარობაც უფრო დაფარულია!

— რა მოგახსენოთ... თქვენი სიტყ-

ვიდან ახლა ისე გამოდის, მე თქვენზე მეტი მცოდნია, აფრასიონ უკლებას — ჩემზე მეტი...

რაკი არაბიძემ ასე უბრალოდ მოუკრა სიტყვა, ლეონტიმ ერთი როგორღაც სულელივით გაიციინა და კვლავ შეიკრა წარბი.

— ნიკო, დანებე თავი, თუ კაცი ხარ, მაგ ცეცხლებიან ლავეებს... თავგმა თხარა თხარაო, არ გავიგონია? მეტი რაღა ვითხრა...

— მაშინ, საერთოდ, დავანებოთ თავი ამდენ თხრას... რა გვინდა მიწისქვეშ? ზედაპირზე საქმე გამოილია?!

— გეუბნები, რაც ცეცხლი გვიციდია, ისიც კმარა... აწი შენ იცი!..

— თუ იმ ცეცხლის ასე გეშინიათ, ზელწერილს დაგიწერთ... მე ვიქნები ყველაფერზე პასუხისმგებელი... ცეცხლთან ახლოს არ მიგაკარებთ!

— პა, დამიწერე! — ლეონტიმ სუფთა ფურცელი გაუწოდა, მაგრამ ნიკომ მართლა დააბირა თუ არა გამოერთმევა, შახტის უფროსმა ფურცელი ისევ უჯრაში ჩასდო, ნიკოს კი სიცილით უთხრა, — ამ ჩემს ტერიტორიაზე რაც მოხდება, იმაზე პირველად მე მომთხოვენ პასუხს! ნებას რომ რთავდი, არ იცოდი, რა მოჰყვებოდაო? სად გჭონდა თავიო, არ მეტყვიან?

— თუ ასე ყველაფერს წინასწარ შიშით ვუცქირეთ...

— შენ თუ გინდა, ნუ უცქერ, მე კი ვალდებული ვარ!

— ვალდებული ჩვენ უფრო იმაში ვართ, როცა ქვეყანა გასაკვირშია, ნაკლებად ვიფიქროთ საკუთარ თავზე!

— ყველაფერზე უნდა ვიფიქროთ, ჩემო ნიკო! — შემარბებლური კილოთი შენიშნა განაწყენებულ არაბიძეს, ყელში ბოღმა მიბჯენილმა ბუზალაძემ. — უერთმანეთოდ არაფერი არ ვარგა!

ნიკოს ბევრი აღარ უკამათია ბუზალაძესთან. რაზან შეატყო, „ჯორზე“ ჯდომას მოყვარულ ზელმძღვანელთან ვერაფერს გააწყობდა, თავი მდაბ-

ლად დაუკრა და გაეცალა.

მეორე დღეს, პირველ ცვლაშივე გახსნა არაბიძემ ადრე გაღებული ორი ლავი. ის ამ საქმეში საკმაოდ გამოცდილი იყო და ყველაფერი ისე გაითვალისწინა, არ შეიძლებოდა, რამე მარცხი მოჰყოლოდა ასეთ სარისკო ღონისძიებას. მართლაც, მარცხის მაგივრად, ლავეების გახსნას და დარჩეული ბიჭების თავგანწირულ შრომას მოჰყვა დღიური გეგმის დიდი გადაჭარბებით შესრულება. ამ ამბის შეტყობის უმალ ბუზალაძემ ყველაფერი მიატოვა, სპეცსამოსი ჩაიცვა და არაბიძის უბანს დაეცა. როცა ცეცხლებიანი ლავეები მართლა გახსნილი დაუხვდა, ლავის

ცეცხლი რა იყო იმასთან შედარებით, რაც მან იქ დაანთო არაბიძისა და მისი „მომხრების“ ვარშემო. მაგრამ უკვე გვიანდა იყო. ნიკოს „შეჩერება“ ახლა აგრე ადვილად აღარ შეიძლებოდა. ლეონტიმ შუროდანვე დარეკა ტრესტში ნიკოს ამ „თვითნებობის“ შესახებ:

— მეშინია, არაბიძემ უბანი სულ არ გამოიყვანოს მწყობრიდანო... ტრესტიდან კი უბასუხეს: — დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, არაბიძემ იცის, რასაც აკეთებსო. სამწუხაროა, რომ ეს მხოლოდ თქვენ არ გცოდნიათ აქამდეო.

ტრესტის მთავარ ინჟინერსა და მმართველზე უკეთესად იცოდა ყველაფერი ბუზალაძემ, და ეს იყო სწორედ მისი აფორიაქების მიზეზი. გაწბილებულმა უმალვე დატოვა მეხუთე უბანი. „მე დროზე გავაფრთხილე და ახლა თუ ღმერთმა ქნა და რამე მოხდა, თავის თავს დააბრალონ მოსკვინმა და არაბიძემ! — უთხრა მან ზოგიერთებს, ვინც ნიკოს ღონისძიებას ჯერ კიდევ ეჭვით უყურებდა.

თუმცა არაბიძემ „გააშავა“, მოსკვინმა კი „გააწითლა“, ბუზალაძეს მაინც იღუმალ სწამდა: პირველი წარმატებები ნიკოს გაათამამებდა... სულ მალე სწორედ ის ცეცხლებიანი ლავეები აქცევდნენ ფერფლად მის იმედებს.

ნაწილი მეოთხე



შინისაგენ მიმავალი ნიკო არაბიძე სულ იმის ნატვრაში იყო, ნეტავი ას-მათი სახლში არ დამხვდესო და, მართ-ლაც, აუხდა წადილი. ამას ნატვრა არც უნდოდა; ბოლო ხანებში ასმათი გარეთ მეტ დროს ატარებდა, ვიდრე ოჯახში. რაც ფრონტელებისათვის თბილი ტან-საცმელის შეგროვების საქმე ითავა და სხვა დიასახლისებიც აიყოლია, ოჯახის-სათვის სადღა ეცალა; შინ საქმისათვის გულიც წინანდებურად ვეღარ დაედო.

ნიკოს არ სურდა ასმათს ასე აღელ-ვებული ენახა იგი. თქმა არ უნდოდა, შეატყობდა, რაღაც ამბავი იყო მის თავს და გამოკითხვაც არ დასჭირდებოდა, ისე გამოუტყვებოდა ნიკო — ამ დილით ბარდლა-ბიძინას სადგურის რესტორანში შეხვედრია ჰოსპიტალიდან შევბულებით ჩამოსული ვიღაც აჭაური მერკვილაძე, ბარდლას კითხვაზე, შატ-ბია არაბიძის ხომ არაფერი გსმენიაო, მერკვილაძეს უთქვამს, როგორ არა, ასეულში ერთად ვიყავით და რომ დავიჭერით, ჰოსპიტალშიაც ერთად მოგხვდითო. ბარდლას ეს ბეჟან-ბუსთვის უამბია, თან ლელასთვის უთქვამს: თუ დღეს ნიკო არაბიძეს ნახავ, უთხარი, იქნება ის ბიჭი მართლს ამბობს და, ინახულოსო. ბეჟან-ბუს თუმცა ხელი ჩაუქნევია, დაანებეთ თავი, ისედაც გაიგებს, არაბიძესაც და მის მოდგმასაც კისერი უტეხიაო, მაგრამ ლელა მაშინვე გამოქცეულა და, რაც ბარდლამ ამბავი მოიტანა, უმალ ნიკოსთვის უხარებია. ნიკოს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, აქი იმიტომაც გადაყოცნა ლელა. რამდენი დაჭრილიც კი ჩამოვიდა მეშახტეთა ქალაქში, ნიკოს არც ერთი არ დაუტოვებია უნახავი და გამოუკითხავი. თითქოს წინასწარ დათქვესო, ყველანი ერთსა და იმავეს გაი-ძახოდნენ — არ გვინახავს, არა გვსმენია, არაფერი არ ვიცითო. ზოგი მათგანი ამას ისე ამბობდა, ნიკოს ეჭვიც კი ეპარებოდა — ალბათ კარგი ამბავი არ

არის ჩემს თავს და მიშალავენო. გულს მიინც არ იტეხდა ამბის შეტყობას წუთი-წუთს ელოდა: აღრე იქნება, თუ გვიან, ბარათი როგორ არ მოვა, ან ცნობის მომტანი როგორ არ გამოჩნდებაო. ერთხანს არ ჩანდა, და, აი, უეცრად ლელამ ახარა იმ კაცის ჩამოსვლა, რომელსაც არათუ გაუგონია და სცოდნია შატბიას ამბავი, ასეულში ერთადაც ყოფილან...

ტანსაცმელი რომ გამოიცვალა, გული შინ ერთი წუთითაც აღარ დაუდგა. ჭიშკარში გავიდა თუ არა, წვიმაც დაიწყო. ერთი კი შეყოყმანდა და გაიფიქრა: ვაითუ დიდი თქეში მოჰყვეს, ბრეზენტის ლაბადა მიინც წამომელო, მაგრამ შინ არ შებრუნებულა.

გადადგა თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, ისევ შეყოყმანდა: ასე ხელცარიელი მისვლა იმ ქაბუკთან ივარგებსო?! — უსაყვედურა თავის თავს არაბიძემ, ბევრი ყოყმანი და ფიქრი აღარ დასჭირვებია. ფუი, ეშმაკსო, ერთი ორჯერ ხმამალა წამოიძახა და ჭიშკარში უკანვე შემობრუნდა.

ათ წუთში უკვე სხვენიც იყო. სიბნე-ლეში, ნახერხიან ყუთებში ცალკ-ცალ-კე ჩაწყობილ ხილს თავ-თავისი სურ-ნელებით აგნებდა განსაკუთრებით სა-მოდ აღიზიანებდა ყნოსვას კომში. არც ვაშლის მიგნება გასჭირვებია. ყურძენ-სა და საზამთრო მსხალს კი ხელის ფათურით მიაკვლია; რაც ჩაეჭია, ერთ მოზრდილ კალათაში ჩააწყო. სხვენიდან კალათის ჩამოტანა ცოტა გაუჭირდა. მისადგმელ კიბეზე კინაღამ დაუცდა ფეხი. ძირს რომ ჩამოვიდა, ერთი შვე-ბით მოითქვა სული. ახლა უფრო იგრძ-ნო, ჩამოსვლისას ცოტა შეშინებოდა. კიბე აიგნის მოაჯირის გასწვრივ დაწ-ვენილი მიაყუდა და, სანამ ეზოში ჩავი-დოდა, ერთხელ კიდევ გაიფიქრა ეჭვით — ხომ არაფერი მივიწყებდაო. გაახსე-ნდა, მოსაკითხს ჩურჩხელა და ტყბილი კვერი აკლდა. უმალ მომცრო ოთახის

კარს ეცა... სადაც ასმათის კომოდი
 რდა, ნახევრად ბნელში ხელის ფათუ-
 რით გაეშურა ოთხივე უჯრა გამოალო
 და რაც ეწყო ტანსაცმელი თუ თეთრე-
 ული, სულ აურ-დაურია. ქვედა უჯრა-
 ში ძლივს მიაგნო მოზრდილ შეკერას.
 თეთრ გაუთოვებულ ტილოში გახვეუ-
 ლი იყო ჩურჩხელები და ტკბილი
 კვერი. დაუთვლელად, რაც ხელში
 მოჰყვა, ამოიღო ჩურჩხელები, გაახვია
 თათრული ლავაშივით ერთ გრძელსა
 და სიფრიფანა ტკბილისკვერში და საჩ-
 ქაროდ გარეთ გამოიჭრა... აქამდე რომ
 არ გახსენებია, წვიმის ხმამ კვლავ მოა-
 გონა ლაბადა. ლაბადამოსხმულმა და-
 ვლო კალათას ხელი... კიბეზე რომ
 ჩაიღოდა, შიშით ისევ იმას ფიქრობ-
 და — ხომ არაფერი მრჩებო. ეს შიში
 ჭიშკრამდე მიჰყვა.

ძველი მესხტე ისე ღელავდა, თით-
 ქო ვიდაც უცნობი ჰაბუკის კი არა,
 შატბიას სანახავად ეშურებო. ახლა
 მისთვის არა მარტო შატბია, თვით
 მისი მნახველიც კი ძვირფასი და სანა-
 ტრელი იყო.

გზაში მართლაც დიდმა წვიმამ მოუს-
 წრო ნიკოს. ამ თავსხმაში და სიბნელე-
 ში არსად ციციანთელასოდენა სინათ-
 ლის ნახაბიც არ ჩანდა, სიარული ძა-
 ლიან ჭირდა. ეტყობოდა, ყველა მოსა-
 ხლე იცავდა შუქშენილობის წესებს.
 ნიკომ ბევრი იარა, ბევრი ტალახი ზილა,
 ერთი-ორი მოსახლეც შეაწუხა და ბო-
 ლოს ძლივს მიაგნო მერკვილაძის სახლს.
 ამ სიბნელეში ნიკოს წარმოდგენაც
 არა ჰქონდა, სად იმყოფებოდა.

ნიკოს ძახილზე — ესა და ეს კაცი
 თუ აქ ცხოვრობსო, მასპინძელი ერთ-
 ხანს ღუმდა. სანამ შეიპატოვებდნენ,
 არაბიძეს ეჭვით ჰკითხეს — ვინ ბრძან-
 დებითო. როცა ვინაობა შეიტყვეს,
 უმალ ფეხქვეშ გაეგნენ. კარი ერთი
 წამით გაიღო და ისევ დაიხურა. მესხ-
 ტეთა ქალაქშიაც და ქალაქ გარეთაც
 ნიკო არაბიძეს ყველა იცნობდა და
 ახლა მისი სტუმრობა რამდენადაც მო-
 ულოდნელი, იმდენად უფრო სასიამო-

ვნო იყო მერკვილაძეების ოჯახისათვის.
 ოთახში ნახევრად ბნელში ნიკომ
 კალათი კარის ახლოს ტახტის თავთან
 შეუმჩნევლად დადგა ტყვიასავით დამ-
 ძიმებული ბრუნენტის სველი ლაბადაც
 გაიხადა, მაგრამ არ იცოდა, სად ჩამო-
 ეკიდა და ასე ხელში შერჩა, სანამ ღია-
 სახლისმა არ შეამჩნია და მოსაბოდი-
 შებელი — „ღმერთო მომკალის“ შეძა-
 ხილით არ ჩამოართვა იგი სტუმარს.
 ფრონტელი არსად ჩანდა. აქეთ-იქით
 ცქერაზე დიასახლისი მიხვდა, ნიკო
 თვალთ, უსიტყვოდ ეძებდა მის ფრონ-
 ტელ ვაჯაკს.

— ბიჭიკოც ახლაც გამოვა, ჩემო
 ბატონო. — აღერსიანი კილოთი შენი-
 შნა სტუმარს და მეორე ოთახში გავადა.

„ახლავე“, ჩვეულებრივ, ათ-თხუთ-
 მერ წუთს გაგრძელდა და ნიკო ატყო-
 ბდა თავს, იმ უცნობი ბიჭიკოს მოლო-
 დინში ყმაწვილივით ღელავდა: არ იცო-
 და, რას ეტყოდა იგი შატბიას შესახებ,
 გაუხმელდა თუ არა ყველაფერს, რაც
 შატბიას თავს იყო. ასეთ შემთხვევაში
 ადამიანი ზედმეტად ეკვიანია და მოხრო-
 ბელი მართალიც რომ იყოს, მსმენელი
 სადღაც გულის სიღრმეში მაინც ფიქ-
 რობს, რასაც მეუბნებიან, ვაითუ ყვე-
 ლაფერი პირიქით არისო.

როგორც იქნა, გაიღო მეზობელი
 ოთახის კარი და ზღურბლზე გამოჩნდა
 წარმოსადგეი ჰაბუკი, ის შეიძლება ერ-
 თი შეხედვით ოცდაათი წლისაც მოგჩ-
 ვენებოდათ. ჰაბუკს ბეჭებზე მოსხმული
 მახარის ქვეშ მკერდზე ეკიდა მარჯვენა
 მკლავი. მხედრული ნაბიჯით მიუახ-
 ლოვდა ტახტიდან უკვე წამომდგარ
 ნიკოს და ღიმილით გაუწოდა მარცხენა
 ხელი. ჩამორთმევისას ცალ ბეჭზე მახა-
 რა გადასძვრა და ნიკომ თვალი მოჰკრა
 გიმნასტურას ჯიბეზე მიამარებულ წი-
 თელი ვარსკვლავის ორდენს. „მოუს-
 წრია თავის გამოჩენა“ — გაიფიქრა
 მან და შეგებებული ხელი ერთხანს
 ველარ უშვა ფრონტელ ჰაბუკს. ბოლოს
 გული ისე აუჩუყდა, გადაეხვია ტახტზე
 გვერდით მოისვა. ნიკოც, ის ვაჟიც

ერთხანს ხმას ველარ იღებდნენ. როდესაც ბიჭიკომ დედას შეხედა, თვალბეზე სიხარულის ცრემლები შეამჩნია. ნიკომაც შეხედა თუ არა დიასახლისს, თავი ველარ შეიკავა;

— დედაშენი ბედნიერია... ასე დავაყვაცებულს, ომში მონათლულს, ნასახელებს და დაჯილდოებულსაც რომ გხედავს!

ოდნავ გასაგონად გაისმა დედის პასუხი:

— რაღაი ცოცხალი დამიბრუნდა...

ბევრი რამის გამოშხატველი იყო დუმილი, რაც ბიჭიკოს დედის სიტყვებს მოჰყვა.

— რა ხნისაა, ქალბატონო, თქვენი ბიჭი?

— ოქტომბერში ოცი შეუსრულდა.

— მართლა თუ?! ისეთი ვაყვაცი ჩანს, რატომ ოცდაათისასაც არ ჰგავს!

— არ მიკვირს, მაგას რომ ბრძანებთ. ომში ნამყოფს, ჩემო ბატონო, რაღა-ნაირად შერჩებოდა თავისი წლოვანების შესაფერისი იერი.

სტუმარი და დიასახლისი ბაასობდნენ, ბიჭიკო არაბიძის გვერდით დინჯად იჯდა ტახტზე და ასევე დინჯად სწევდა პაპიროსს.

— ადვილი მისახვედრია, რისთვისაც შეგაწუხებთ ამ უდროო დროს... — მორიდებულის კილოთი დაიწყო ნიკომ. — ბიჭიკო, ამბობენ, ვითომ შენ და ჩემი შვილი ერთად ყოფილხართ ფრონტზე.

ბიჭიკო ყურადღებით უსმენდა, ცოტა მოგვიანებით ასწია თავი და შეხედა არაბიძეს. მართალია, ნიკოსა და შატბაის შორის აშკარა მსგავსება იპოვნა, მაგრამ მაინც გაკვირვებით იკითხა:

— თქვენს შვილთან ერთად?!

— შატბაი არაბიძესთან.

ბიჭიკოს გაეღიმა.

— დიახ... თითქმის მხარდამხარ ვამძოდით. კარგი საამხანაგო ბიჭი იყო. მაგისთანა გაბედული ძნელად თუ გამოერევა!

ამ „იყო“-ს გავონებაზე ნიკოს ელდა ეცა. მისი შემოფოთება ჯერ დედამ

შეამჩნია, მერე შვილმა. ბიჭიკო მიხვდა, ყველაფერი სწორედ „იყო“-ს უბრალო გახლდათ. რა უშნოდ წამომცდაო, გაიფიქრა და არაბიძეს თავი უფრო მხნედ მოაჩვენა, ამით მაინც რომ გაეფანტა მამის ეჭვი.

— ორივე ერთ ბრძოლაში დავიჭერიო... რა ბიჭობა, რა გმირობა გიმეფლიდა... ნაღმის ნამსხვრევი კალიასავით მოდიოდა. დაჭრილები ერთ ჰოსპიტალში აღმოვჩნდით. მე სანიტარმა გამოყვანა ბრძოლის ველიდან, ის — ამხანაგმა.

— ვინ იყო ის ლეთისნიერი?

ბიჭიკომ გაშლით მიბჯენილი ცერით და სალოკი თითით შუბლი მოისრისა, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

— გვარი აღარ მაგონდება. ისე კი, ესპანელი იყო.

— ღმერთმა უშველა! — გულით დალოცა არაბიძემ უცხო ჰაბუკი.

— მაგისტანას ღმერთიც უშველის, კაციც! — მხურვალედ აღმოხდა ბიჭიკოს დედასაც.

— შატბაი... მძიმედ დაიჭრა?

ბიჭიკომ ისევ შეხედა არაბიძეს, ისევ გაიღიმა.

— კაცმა რომ თქვას... არა უშავდა ბარძაყში დაიჭრა. მაგრამ საშიში, მგონია, არაფერი იყო. ნაღმის ნამსხვრევი, რომელიც ყველაზე უფრო ღრმად იყო, ძვალს მაინც არ შეხებია, სულ ცოტა აცილებია.

— თუ მაგრეა...

— წასული ამბავია, კაცი გადარჩენილია და რა ძალა მადგია, ტყუილი გითხრათ...

ნიკომ დროზე შეაწყვეტინა სიტყვა ბიჭიკოს,

— კი, შვილო, მადლობელი ვარ.

ბიჭიკო არც აღრე აპირებდა და ვერც მერე გაუბედა ეთქვა, მეორე ნამსხვრევს გულთან ნახევარი სანტიმეტრის დაშორებით გაუვლია, შენი შვილი ბეწვზეა გადარჩენილიო. ბიჭიკო საღამოს წამოსულა სანიტარული მატარებლით, გამთენიისას კი გერმანელებს

ჯერ დაუბოძბათ ჰოსპიტლის ტერიტორია, მერე კიდევ შემოჭრილან. ეს ამბავი ბიჭიკომ მეორე დღეს გზაში შეიტყო.

ბიჭიკო ახლა ისე უხალისოდ ალაპარაკდა, ნიკომ იფიქრა, ალბათ დავლალე და თავი მოვაწყინეო. უმალ წასასვლელად მოემზადა.

— თუ იცი, ჩემს შვილს შევბუღება არ ერგება?

— კი... მაგრამ მგონია, პატარახანს მოუხდეს ჰოსპიტალში ყოფნა.

— მისამართი... იქნებ მომცე? მართლა, წერილივით რამე არ გამოუტანებია?

— არ გამოუტანებია.

— რატომ, რა?! თუ ფეხშია დაჭრილი, ორი სიტყვის დაწერას რა უშლიდა?

— ეტყობა, წერილების წერა არც თქვენს შვილს ჰყვარებია! — დედა დროზე შეეშველა ბიჭიკოს.

— შეეძლო, მაგრამ... ის კი არა, გამაფრთხილა — ჩვენებს თუ სულ არაფერს ეტყვი, უკეთესი იქნება, ამ ცოტა ხანში მე თვითონ დაწერილებით მიეწერ ყველაფერს, ან შეიძლება რამდენიმე დღით კიდევ ვინახულოო. როგორც ხედავთ, მისი თხოვნა არ შევასრულე!

— წასული რომ ისე ნაღვლობდეს, როგორც დარჩენილი... კარგად იყოს და ამ დარდსაც რაგორმე გაუძღებთ. მაინც ბოლო რომ არ უჩანს!

ნიკო წამოდგა. დედა-შვილს, მართალია, არ უნდოდა ნიკოს უბრალოდ გასტუმრება, მაგრამ რახან არც საკადროსი პატივისცემა შეეძლოთ, აღარ „ჩამოუხევიათ“ სტუმრისთვის კალთები. ნიკომაც დაარწმუნა, დედა-შვილი ამ დღეებში ისევ ვინახულებთო.

ბიჭიკოს დედამ ჰქმნა მამდ მიაცილა სტუმარი. ვაგი კი ოთახში დარჩა და რაწამს არაბიძე წავიდა, ტახტზე ფრთხილად ჩამოჯდა, ნატყვიარი ხელი რომ ზედმეტად არ შეტოკებოდა, არ სტყენოდა, საღი მკლავის იდაყვით მუხლს

დაეყრდნო, ხელი სახეზე აიფარა და დიქრს მიეცა. ასე იყო ეგარინდებული და ამაოდ ცდილობდა გარკვევას ~~სა~~ არაუნდა დამართოდა შატბიას და სხვა დაჭრილებს, მტერმა თუ მართლა დაბოძბა ჰოსპიტლის ტერიტორია.

ლეონტის ნატერა არ აუხდა.

ცეცხლებიანი ლაგების გახსნის შემდეგ არაბიძე არათუ დანარჩენ უბნებს დაეწია, გაუსწრო კიდევ. „ამ კაცის ხელში ჩემი საშველი არ ყოფილაო“. — უქრობდა სასოწარკვეთილებებაში ჩავარდნილი ბუხალაძე. კაბინეტში, კომბინატის დერეფანში, ეზოში თუ შახტში მის ყურს ახლა „არაბიძის“ მეტი აღარაფერი ესმოდა. ზოგი სიხარულით იმეორებდა ამ სახელს, ზოგი წყენით, ზოგიც გაკვირვებით.

ლეონტი, რალა თქმა უნდა, მეხუთე უბნის ყოველ ახალ წარმატებას ულოცავდა არაბიძეს. თავიც ისე ექირა, თითქო ყველაზე მეტად ახარებდა ეს ამბავი; სინამდვილეში კი, როგორც იტყვიან, დანა რომ დაგეკრათ, სისხლი არ გამოუვიდოდა. სეირის მოყვარულები კიდევ უფრო გესლავდნენ ბუხალაძეს:

— ხედავ, ლეონტი, რა ყოფა აქვს არაბიძეს?! აქაო-და ბუხალაძე შახტის ახალი უფროსიაო, უნდა სახელი „გავითქვას“!

გადაკრული სიტყვა ისე ვის ესმოდა, როგორც ბუხალაძეს.

— ხომ იცით, ხარბი და წუწკი არა ვარ, ეგ სახელი შენ და არაბიძემ გაიყავით!

ლეონტის პასუხში, დაცინვის გარდა, სიმართლის ნასახიც იყო. ოლონდ თავიდან მოეშორებინა, ოლონდ ვინმე გამოჩენილიყო მისი დასაყუთრების მსურველი და არაბიძესაც, მის წარმატებებსაც სიამოვნებით გადაულოცავდა ბუხალაძე.

— რად უნდა, შე კაი კაცო, ბუხალაძეს არაბიძის სახელი, თავისი არ ეყო-

ფა?! — თუ ლაპარაკს შეესწრებოდა, ყოველთვის მზად იყო, ქარქაშაძე ბუზალაძის სასარგებლოდ და გულის მოსაფხანად ეთქვა რამე.

ქარქაშაძის ასეთი შენიშვნები ახლა ბუზალაძეს უფრო მეტად სჭირდებოდა, ვიდრე ჯეჯილს ცვარი. ბუზალაძე, მართალია, დიდგულა ჩანდა, მაგრამ სინამდვილეში ისეთი „პატარა გული“ ჰქონდა, იმ ერთ ნამცეც სიხარულსაც ძლივს იტევდა, რასაც ქარქაშაძის ასეთი გამოქომაგება ჰგვრიდა.

ლეონტი არ ამხელდა თავის სირცხვილს, მაგრამ გულის სიღრმეში განცვიფრებული იყო: — არაბიძეს არათუ ეხმარებოდა, პირიქით, ხელს უშლიდა და მიანიც ვერ გაესწროთ არაბიძისთვის.

ლეონტი ყოველ ცვლას გადაციცვბით ადევნებდა თვალყურს, თან სულ იმის ნატვრაში იყო, იქნებ ღმერთი შემეწიოს და არაბიძეს სხვა რომელიმე უბნის უფროსმა აჯობოსო, მაგრამ თითქო ყველა უბნის უფროსი ბუზალაძის წინააღმდეგ შეთქმულაო, სწორედ ახლა „მოუწდათ“ არაბიძისთვის სახელის დათმობა. ახლა თუ არაბიძეს უბნის წარმატებაზე ზრუნვა და ფიქრი არ ამლევდა მოსვენებას, ლეონტის სწორედ არაბიძის უბნის დაწინაურება უფროთობდა ძილს.

„სხვა გზა არ არის, ისევ ძველ უბანში უნდა გადავისროლო ეს გამჩენძალი! იმ უბნის წარმატებებს დიდი ხანია შეჩვეული არიან და არაბიძის მართფათი იქ ისე არავის გააკვირვებს, როგორც ამ დაქცეულ და გატივალბულ უბანში“. ბუზალაძე, მართალია, სწორად ვარაუდობდა, მაგრამ ის კი ვეღარ მოეფიქრებინა, რა მიზეზით მოეწყო არაბიძის გადაყვანა. გაკვირება მაჩვენებდა და გაქცევას გამჩვენებდა და... ბუზალაძემაც იპოვნა გამოსავალი.

ერთ საღამოს არაბიძე კაბინეტში დაიბარა. მადლობა უთხრა — შენ მართლა აღარ ხუმრობო.

თუმცა ლეონტი გულწრფელი კაცით დამაჯერებლად ლაპარაკობდა, ნი-

კოც თავს მორჩილად უქნევდა, მაგრამ გულის სიღრმეში ოდნავაც არ სჯეროდათ ერთმანეთის კეთილგანწყობილები-სა. იმ საღამოს ლეონტი „სულში ჩაიძვრინა“ არაბიძე. აღარ მოეშვა; შინაც წაიყვანა. ადგილ-ადგილ გზატკეცილზე ასფალტი აყრილი იყო და მანქანა ნელა მიჰყავდა შოფერს. ლეონტი და ნიკო უკანა სავარძელზე ერთად ისხდნენ. მანქანის ნელი რწვევა დაღლილებს უნებლიეთ თვლემას ჰგვრიდა, თუმცა ძალიან ცდილობდნენ, თავი ფხიზლად სჭეროდათ. არაბიძე უხერხულად გრძობდა თავს: „ვინც შემხედავს, რას იფიქრებს, ეს არაბიძე როდის დაუძმობილდა ბუზალაძესო?!“

ლეონტი დრო და ქამის პარობაზე კარგად გაუმასპინძლდა არაბიძეს. მართალი არც მის სუფრას აქლდა, არც მის სიტყვას, მაგრამ, რაც მთავარი იყო, იმაზე ვერ ჩამოაგდო სიტყვა. ვერ იქნა და ვერ შეჰხებდა არაბიძეს. „კაცი იმ შთაბეჭდილებით აპირებს წასვლას ჩემი ოჯახიდან — წარმატება რომ მოვიპოვე, მისთვის მცა ბატივი მისთვის გამიმასპინძლდა შასტის უფროსიო და ახლა ჩემი გულის წადილი რომ გავუძიოლო, რას იფიქრებს?... მაგის თვალში დიდი ნდობა ისედაც არა მაქვს, მაშინ ხომ ჩემს წრფელ ზრახვასაც ეკვის თვალთ შეხედავსო“. თან ამას ფიქრობდა, თან იღუმალ იტანჯებოდა ბუზალაძე. მას უკვე გადაეწყვიტა, „ახლა, როგორც ჩანს, ვერ მოვახერხებ ჩემი განზრახვის ნიხერხებულად გამხელასო“. მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი მის სასარგებლოდ წარიმართა.

სუფრაზე სიტყვა ჩამოვარდა სხვა უბნების შესახებაც. არაბიძემ სხვათაშორის, ხუმრობის კილოთი შენიშნა.

— ლეონტი სევასტიევიჩი, ეს რა გვიყავი... ღორს, რომ ბოსტანი ჩააბარო, სწორედ ისე არ გამოვიდა?

— რაზე მეუბნები? — უმაღლეს სიკვითა ყური ლეონტიმ. მოსასმელად, ტუჩთან მიტანილი ჭიქა ნელა დადო, სკამის საზურგეზე ვითომ არჩენად გადაწვა

და პასუხის მოლოდინში ღიმილით გაუშტერა თვალი არაბიძეს.

— რა და.. იმ ჩემს ყოფილ უბანს კაცი ქარქაშაძეს ჩააბარებდა?

ნიკო ამას ღიმილით ამბობდა, მაგრამ გული კი ეწვოდა...

ლეონტიმ უცებ თავი უკან გადაჰკიდა, გაიცინა, მერე სწრაფად გასწია სკამი არაბიძისაკენ, განაწყენებულ უბნის უფროსს მხარზედაც კი გადახედა ხელი და გულნატყენი კაცივით შენიშნა:

— მემდღური, არა? რას იხამ, ასე მოხდა: ბარემ არ მინდოდა, მაგრამ...

— არ გემდღური, მაგრამ არც... — ნიკომ კვლავ გაუღიმა, რაღა საჭირო იყო დანარჩენის თქმა. ბუზალაძე დაუმთავრებელ სიტყვასაც კარგად მიგიხვდებოდათ, თუ მოინდომებდა, თუ არადა დამთავრებულიც „გაუგებარი“ იყო მისთვის.

— ძალიან გაწყენინე, არა?

— მე რომ მასწყენინო, ეგ ვის რას შემატებს, ან ვის რას დააკლებს! შეიძლება მარტო შინაურები შეაწუხოს...

— არა, თავის აგრე მოსაწყლებაც არ ვარგა! შინაურებს კი არა... შენ რომ ჩვენს რაიონში გულშემატკივრები გყავს, იმდენი ალბათ ბეგლარსაც...

ბუზალაძე თან ამას ლაპარაკობდა, თან გამალეზებით ბოლთას სცემდა ოთახში. ერთბაშად შეჩერდა, თავისი ნაკლები ქიქა აიღო, ლალისფრად მოკამკამე ღვინოს ლამფის შუქზე გახედა და სულმოუთქმელად გადაკრა.

— მესმის, ნიკო! ჩემი ბრალია, მე გადაგიყვანე მეხუთე უბანში, მე ჩაგაგდე ამ დღეში, მე გაწყენინე... — ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა, თვალი გაუშტერა. ერთ წუთს ასე უცქირა, მერე, ხმადაბლა, თითქო ეშინია, ვინმემ ყური მოკრასო, უთხრა არაბიძეს: „რა გინდა, პატიოსან სიტყვას გაძღვე... (ბუზალაძის ამ სიტყვებზე ნიკომ გუნებაში ჩაიცინა: „რა აქვს ამ უსინდისოს პატიოსანი, რომ სიტყვა ჰქონდეს“). ლეონტიმ კი უფრო ბეჯითად გაიმეორა ბოლო სიტყვები — პატიოსან სიტყვას

გაძღვეო და განაგრძო: — დაგაბრუნებ შენს უბანში!

ეს ისე მოულოდნელად მოხდა, თვის, ყურებს არც კი დაუჯერა. აქამდე თუ ის თავდახრილი იჯდა, მოწყენით იატაკს დასცქეროდა, თავი ერთბაშად აიღო და ისე შეხედა ბუზალაძეს, თითქო სურს მის სახეზედაც ამოიკითხოს: რაცა თქვა, მართალია თუ არაო! ასეთი აშკარა ცნობისმოყვარეობისა უმალ თვითონვე შერცხვა, თავი კვლავ დახარა და ხმადაბლა შენიშნა:

— მაგას ვერ იხამ!.. ჩემთვის ახლა სულ ერთია, სადაც ვიქნები. მარტო ესაა, უბრალოდ, კაცს დაგენანება.. არ იცი? ახალ დარგულ ხეს რომ საქონელი მიადგება და გადაქმას დაუბირებს, გული არ მოგიტმენს, არ შეუძახო გადამტერებული მეზობლის ეზოშიც რომ იყოს... მეორე უბანი კი ჩემი საკუთარი ეზოსავითაა და... იქაურობა ქარქაშაძის „გადასაქმელად“ არ დამიტოვებია.

— ერთი გისმენდეს! — სიცილით, უეშმაკოდ, უბრალოდ შენიშნა ლეონტიმ. უცებ მყის იცვალა იერი, წარბიც შეიკრა და ჩაფიქრებული კაცის კილოთი განაგრძო: — ჩემო ნიკო, როგორც ვატყობ, ერთხანს კიდევ მოუხდება ქარქაშაძეს შენს ყოფილ უბანში ყოფნა. ვიცი, თუ სულ ვერა, ნაწილობრივ მაინც აგიხიზრებს იქაურობას, მაგრამ რა გავგეწყობა! ვერ იქნა და ვერ დამამტკიცეს შახტის უფროსის თანამდებობაზე, თორემ ქარქაშაძეს მეორე უბანში ერთ წუთსაც აღარ გავაჩერებდი. ხომ იცი, ეგ ბედოვლათი ჩემს თანაშემწედ უნდა გამეფორმებია... იქ მაინც რას გამოიფუტებს! ერთი ოთახი და მისი გასაღები ექნება ჩაბარებული, მეტი ხომ არაფერი! ბევრი-ბევრი, გასაღები დაკარგოს!..

ბუზალაძის ამ მხილებამ არა სახუმროდ ჩააფიქრა არაბიძე.

— წელან ჩემი გაგიკვირდა, ლეონტი სევასტიევიჩ, და ახლა შენ კი მართლა ძალიან გაიმეტე ქარქაშაძე!

— ვასამეტებელი კია, მაგრამ დიასახლისისა და ძველი ჩერის არ იყოს... ჩვენც ზოგჯერ ისე გვემართება: ვხედავთ, ძველი, „გადასაგდები ჩვარი“ და მაინც... ვერ გვემეტება!..

— ქარქაშაძეზე კაცი მაგას მაინც ვერ იტყვის. ისე კი ეგ შეჩვენებული ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული!

— შენ ეგ სთქვი, ჩემო ნიკო!.. ჰოი, — შესძახა უცებ ლეონტიმ. — კაცო, რა მაგის პასუხია-და... რომ წვევ იმ ხალხს, შე დალოცვილო. გოჭები ხომ არ გგონია?! თავს გეფიცები, მეშინია! არ დამარცხდეს შენი ბრიგადებიანად იმ ცეცხლებიან ლაგებში!.. მერე აღარც გეშველება რამე და, მეც შახტის უფროსობას დამიმტკიცებენ კი არა, სულ აღარ გამაჯარებენ.

— ჯერ არ უნდა იყოს აგრე საქმე და თუ დავატყვე...

— როცა შენ დაატყობ, გვიანდა იქნება!..

გუშინწინ, შენი უბნის თვალთვლების დროს ცეცხლებიან ლაგებშიაც შევიხედე... კაცმა რომ თქვას, თავგანწირვაც და ბიჭობაც მაგას ჰქვია! რამდენ ხანსაც ვაძელო, ვუყურე, ხან ერთი, ხან მეორე, წელზევით შიშველი შევარდებოდა იმ გაავრვარებულ სანგრევში... მოდი და უთხარი ახლა იმით — თქვენი ამხანაგები ფრონტზე არიან, თქვენ კი ზურგში თქო...ა?

— ფრონტზე ყოფნის რა მოგახსენო, ლეონტი სევასტიანევიჩ, მაგრამ ახლა, მგონია, აღარც აქ უნდა იყოს იოლი!

— გაჩერდი, თუ კაცი ხარ! ნახშირი კი არა, ნაკვერჩხალი გამოაქვთ ხელით... ნაკვერჩხალი!.. მაინც რა ჰქენი, ეს რა ყოფაში ჩააგდე ხალხი!.. არ სჯობდა, სხვა რამე გამოსავალი გვეპოვნა? ის ბიჭები თუ არა, შენი თავი მაინც დაგეზოგა!

— რომ დაზოგო, ლეონტი სევასტიანევიჩ, თავი უნდა გახსოვდეს!..

— თუ არა-და, კიდევაც რომ გახსოვდეს, რა ჯანდაბანისთვის გინდა მართო თავი!.. — ისე მოსწრებულად ჩაურთო

ბუხალაძემ, ნიკოსაც გაელინა.

— რათ გინდა ლაპარაკი, თუ რამეს აკეთებს, თავსაც მაშინ აქვს ფასი! — აპყვა ლეონტის ნიკოც.

— სწორი ნათქვამია! — უმაღლად დასტურდა ბუხალაძემ. მერე მაგიდას ხელი დაჰკრა და დასძინა. — მაშ ასე, ჩემო ნიკო! ამაღამვე შეადგინე განცხადების ტექსტი. დასწერე — რაც შეგეძლო, ძალ-ღონე და გამოცდილება არ დაგიშურებია ქარქაშაძის ჩამორჩენილ უბანში მდგომარეობის გამოსასწორებლად. მერე ითხოვე... თანახმად პირობისა... — ლეონტიმ სიტყვა „პირობა“ ბეჯითად წარმოთქვა, — ეს „პირობა“ ნიკო ჩვენ ახლან უნდა შევთხზათ! მაშასადამე, თანახმად პირობისა, გთხოვთ დამაბრუნოთ ყოფილ ჩემს, მეორე უბანში-თქო და სხვა ამისთანები. მეც გადასატურებ — სწორედ იმ პირობით დავითანხმე არაბიძე ქარქაშაძის უბანში გადასვლას, როგორც კი იქ წესრიგს დაამყარებდა, ისევე თავის ძველ უბანში გადამეყვანა-მეთქი. სიტყვა კი სიტყვაა, მით უმეტეს, შახტის უფროსისა! ეს ოხერი, მართალია, გაუფორმებლად, მაგრამ მაინც მე ვარ! ვინც რა უნდა თქვას, მე ჩემს სიტყვას არ გადავალ! მოიტა ხელი! — ლეონტის მედიდურად გაწვდილ ხელს ნიკომ ყოყმანით შეაგება თავისი ხელი. არაბიძეს რალაც არა სჯეროდა ამ სიტყვისა, თუმცა იგი დიდი რიხით იყო თქმული. დასაჯერებლად საჭირო იყო ლეონტის სულსა და გულში ჩახედვა. ლეონტი კი, ვიდრე სრულ ჭკუაზე იყო, სულსა და გულს ნიკო არაბიძეს კი არა, მშობელს არ ვადაუშლიდა.

რაც თამარელამ ბარდლას გაართყა, საკვირველი იყო, მაგრამ იმ დღიდან შურა არსენიძეზე გულაყრილი ვაგი თამარელას ეტრფოდა. ბარდლა-ბიძინამ იცოდა, ამ საქმეში მხოლოდ თავის წაგება იყო მოსალოდნელი. მაგრამ მისი გულიც ხომ მუდამ იქით აწევდა,

სადაც სიკვდილ-სიცოცხლე ბეწვის ხილზე მხარდამხარ მიაბიჯებდნენ.

შურა და ბარდლა, მართალია, ისევე ერთ სანგრევში მუშაობდნენ, მაგრამ ძნელი შესამჩნევი არ იყო, ისინი წინანდებურად აღარ ცდილობდნენ სული და გული ერთმანეთისათვის გადაეშალათ.

ბარდლამ შურასა და კლარასთანაც შინ სიარულს უკლო. შურას, ცხადია, უფრო თამარელაზე მოსდიოდა ჯავრი და გუნებაში „სამაგიეროს“ გადახდით ემუქრებოდა. შაბტიდან შინ დაბრუნებული შურა სულ ამზე ფიქრობდა; ფიქრობდა და იღუმალ იტანჯებოდა. შურას ამ შემთხვევამ უფრო თვალნათლივ დაანახვა, უფრო მწვავედ აგრძნობინა: თურმე რაივც შესჩვევია ბარდლა-ბიძინას და... რაივც ძნელი იყო ახლა უიმისობა. გული იღუმალ უხმობდა ამ თავზეხელაღებულ ვაჟს, მაგრამ შურას ვედრება ბარდლას გულისყურად ვერ აღწევდა. არავინ და არაფერი აღარ ენაღვლებოდა თამარელაზე უნუგეშოდ შეყვარებულ ჭაბუკს.

თუ ბარდლასთან დაახლოების შემდეგ შურამ თავი „წესრიგში“ მოიყვანა, ახლა ამ შემთხვევამ ყველაფერზე ხელი ჩააქნეინა. „ჯანდაბას ჩემი თავიო“ — ფიქრობდა იგი. ერთხელ, გაოფლილმა ცივი წყალიც დალია, მერე სანგრევში ბივის ძირას წამოწვა და გაცივდა. სიცხიანი, ორი დღე კიდევ დადიოდა შაბტში, მერე ავადმყოფობა მოერია. ექიმმა, ახალგაზრდა გოგონამ, გასინჯა თუ არა ავადმყოფი, კლარას უბრალოდ უთხრა, შენს დაიკოს ფილტვების ანთება აქვსო.

შურამ რამდენიმე კვირა იავადმყოფდა. როცა სიცხით იწვოდა და უგონოდ იყო, ბარდლამ სამჯერ ინახულა იგი. მერე კი, როცა ავადმყოფმა მოიხედა და ბარდლას ნახვაც მოენატრა, ვაჟი ახლოს აღარ გაჰკარებია საერთო საცხოვრებელს.

იმ ხანებში არაბიძის წარმატებით დაღონებულ ბუზალაძეს ერთხელ გზად ბარდლა შემოხვდა. დამე იყო. ავტოს

შუქფარების იისფერ სინათლზე პირველად იაშამ იცნო შურა ქუჩაში მომავალი ბარდლა-ბიძინა.

ბევრი აფრთხილა საყვირით, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ბარდლას განზე ერთი ნაბიჯითაც არ გაუწევია, ავტოსათვის გზა არ დაუთმოა.

— რას იზამ! ბარდლა-ბიძინაა, ლეონტი სევასტიევიჩი! — შესჩივლა უფროს იაშამ და მანქანაც შეაჩერა.

ბარდლამ მარტო მაშინ მოიხედა, როცა ლეონტიმ უხმო:

— შენ, ძეგო, ხომ არ დაყრუებულხარ! რას ააკლები იაშას საყვირით აქაურობა!..

— ერთი მაგის საყვირიც..

— დაჯექი, წამო ჩემთან! — ამხანაგურად შესთავაზა ლეონტიმ მანქანის ფანჯარასთან მომდგარ ბარდლა-ბიძინას.

ბარდლა-ბიძინა და ლეონტი დიდხანს ისხდნენ უმთვარო ღამეში კაკლის ხის ძირას. საყვირველი იყო, მაგრამ ლეონტიმ ყველაზე მეტი ნდობა ბარდლას გამოუცხადა. პირველად მას გაუზიარა თავისი გულის დარდი.

— ბიჭო! კარგათ იცი, არაბიძის წარმატება არც აღრე მშურდა, არც ახლა მშურს..

— არ ვიცი, ღმერთმანი, შენზე დაბალის რა უნდა გშურდეს? ეგ უბნის უფროსი იყო და არის, შენ კი — ჯერ მთავარი ინჟინრის მოადგილე, შემდეგ მთავარი ინჟინერი, შაბტის უფროსის მოადგილე და ახლა! შაბტის უფროსი!

— ჰო, გაი, კაი!.. როგორც კაცი, იცის ღმერთმა, არ მძულს! რა ვქნა, ტაშს ყოველთვის ვუკრავდი და კიდევ დავეუკრავ, მაგრამ შაბტის უფროსის საერძელს, სწორე გითხრა, ვერც ნიკო არაბიძეს და ვერც მაგაზე უკეთესს ვერ დავუთმობ!

— დამოძა რა შუაშია?! — გულწრფელი გოცებით წამოიძახა ბარდლამ. ლეონტიმ მწარედ შემოსცინა.

— მართალია, ხმამალა ვერ ბედავენ,

მაგრამ ჩურჩული კი ისმის აქა იქ—შახტის უფროსს თუ ეძებენ, ნიკო არაბიძეზე უკეთესს ვის იპოვნიათ? შენ ის სთქვი... ნიკოც რომ არა მზოგავს?! სხვა თუ თავისი „შეხედულებებით“ „მწვავეს“, ეგ ზედ მდუღარეს მასხაშს! დადის თურმე და ლაპარაკობს: ბუზალაძე შახტის უფროსად არ გამოდგება!

ბიძინამ წამოიწია.

— მე სულელი კი... არ გესმის ხოლმე?.. გამოვდივარ და ყოველ კრებაზე მაგის ქების მეტს არაფერს ვლაპარაკობ! — ამას თუ მიაშიტის კილოთი ამბობდა ლეონტი, ბოლოს ისე გადააქარბა, მისი სიყალბე ბარდლასაც არ დარჩა შეუმჩნეველი.

— ლეონტი სევასტიევიჩ! შენ არხეიანად იყავი!.. ხელს ნუ გაისერი, არაბიძეს მეც ვეყოფი!

— გაჩერდი, თუ კაცი ხარ! — შეუწყრა ლეონტი ბარდლას, მაგრამ ის კი გაიფიქრა — იქნებ მართლა გაბრიყვდესო.

— მართალია, შახტში მოწყობისას ცოტა დამეხმარა, მაგრამ... ეს პატივისცემა იმ შეურაცხყოფას გამოისყიდის, შავის „სარძლომ“ რომ მომაცუნა?

— შენ ეგ სთქვი! — შემპარავად დაემოწმა ბუზალაძე.

— ის გოგო რომ არაბიძის გათამამებული არ იყოს, შემოკვრას ვითომ გამოიბედავდა?

— გაგიგონია? — წამოიძახა ბუზალაძემ ბარდლას კიდევ უფრო გასაღიზიანებლად და თან ყური სცქვიტა. გუნებაში მზაკვრულად გაეღიმა — ისე ვატყობ, ბარდლას და თამარელას წაკიდება გამომადგებაო. — ქალებთან ახლო ურთიერთობის საკითხში ჯერ არც მე ვარ გასული ტირაჟიდან, მაგრამ შენ მაინც სულ სხვა ხარ! თუ კაცს შენსავით წარმოსადგეობა და ეშხი აკლია, მაშინ... დირექტორი მაინც უნდა იყოს, რომ... წარმატება ჰქონდეს!..

ბარდლას გაეცინა, ლეონტიმ განაგრობა:

— ისე, უნდა გამოგიტყდე, ცა და

ქვეყანა რომ გადამკიდებოდა, თამარელას თავს მაინც არავის დავეუთმობდი ეგ! ერთი შენი ხნის ვეყენე... არაბიძის „სარძლოაო“! არაბიძე ხომ შტერია და არც მაგ თამარელა ყოფილა დიდი ჰკუის პატრონი. ომში წასული კაცის დაბრუნების იმედი აქვს?

— დაბრუნებით შეიძლება დაბრუნდეს...

— დაბრუნდეს, მაგრამ... რა იცი, რას ემგვანება?.. ერთი სიტყვით, მე არავის დავეუთმობდი და შენი არ ვიცი!..

— რა იცი, რომ... მე დავეუთმობ!

— ბიკოს! — ისე შესძახა ლეონტიმ, გაგიკვირდებოდათ, ეს კაცი ასე რამ გაახარაო. შეძახილით ბარდლას კი ვითომ ამხნევებდა, მაგრამ გუნებაში მის მაგივრად სინანულს ეძლეოდა — „კიდევაც რომ არ დაუთმო და დაგრჩეს, მერე რად გინდა, შე უბედურო! გინდა დათვს ვარდი მოუწყვეტია, გინდ შენ თამარელასთვის გიხლია ხელი! ვარდის მაგივრად მობღვნილი ფურცლები და შესობილი ეკლები-ლა შეგჩება ხელში...“

ცხოვრების გამოცდილების მხრივ ბარდლა-ბიძინას ღარიბი არ ეთქმოდა, მაგრამ ის ახლა უფრო გულუბრყვილო აღმოჩნდა, ვიდრე ბუზალაძე. ლეონტიმ იცოდა, ღამე აღამიანის ფუჭი ოცნებების და აღმაფრენის ქამია; ამიტომაც აქეზებდა ახლა ბარდლას ამ ფუჭ საქმეზე, გუნებაში კი დასცინოდა, ღუმილი, რომელიც ლეონტის ბოლო სიტყვებს მოჰყვია, ალბათ ერთხანს კიდევ ვაგრძელებოდა, ბარდლას რომ უეცრად შურა არსენიძე არ მოჰკონებოდა.

— ლეონტი სევასტიევიჩ, ყური მიგდე!

— რა გინდა?

— შურა არსენიძე ხომ გაგიგონია?

— ვიცნობ. მერე რა?

— ჩემთან ერთად სანგრევეში მუშაობდა, სანამ ავად გახდებოდა. ახლა მოაკეთა, მაგრამ შახტში მუშაობა ერთხანს, მგონია, ვერ შეძლოს!..

— მაგაზე მეტი ჯაფრი ნუ მოგვეცეს..

— შენ თუ გარეთა სამუშაოზე მის გამწესებაში მომხმარებები, სამაგიეროდ... — ბარდლამ ხელი ჯერ მკერდზე მიიღო, შემდეგ მრავალმნიშვნელოვნად ჰაერში შეათამაშა, — ერთი სიტყვით, ამის შესახებ სხვა დროს...

— რა საქმეზე?..

— რა საქმეზე და... — ბარდლას სიტყვა ისე გაუწყდა, თითქო ერთბაშად ვერ გაებედლოს იმის გამხელა, რაც გუნებაში ჰქონდა. ამით ძალაუნებურად მიიქცია ბუზალაძის ყურადღება.

— რას გაჩემდი? თქვი, რა გენაღვლება... მე ან ჰოს ვიტყვი, ან არას!

— თუ „ჰოს“ მეტყვი, შენთვის უკეთესი, თუ არა და ღმერთმა მშვიდობა მოგცეს. მე მარტო კარგი მინდა ლეონტი სევასტიევიჩისათვის!

— დარწმუნებული ვარ...

ბარდლამ თვალი გაუსწორა ლეონტის.

— ჰოდა... გამიმწესე შურა არსენიძე აღმრიცხველად!

ლეონტიმ ყური სცქვიტა. მამინვე არაფერი უბასუხა ბარდლას. გუნებაში ასწონ-დასწონა აღმრიცხველის საქმიანობა, — რაღა მაინცადამაინც ესაო, კიდევაც გაუკვირდა. ბოლოს თითქო შეატყო, ბარდლას თხოვნაში მისთვისაც იყო რაღაც ხელსაყრელი, გულუბრყვილო კაცის კილოთი, ვითომ გაკვირვებულმა, ცოტა დაქვევებულმაც თქვა: „კარგიო“ და მუშტიც ბეჭდივით დაჰკრა ბეჭზე ბარდლა-ბიძინას.

გათენდა თუ არა, ბარდლა-ბიძინამ ბეჟან-ბუს სამართებლით წვერი სუფთად გაიპარსა, კობტად გამოეწყო, ძალიან მოუხდა მწიფე შვინდისფერი, ნაჭღევ-ზოლიანი ხავერდის ხალათი, შავი მუღდის გალიფე შარვალი და ყავისფერი, ბრეზენტის ყელიანი ჩექმები. დილა უთენია შურა ინახულა. ფერდაკარგული შურა მის უეცარ დანახვაზე ისე წამოწითლდა, ვეღარც კი შეიტყობდით, თუ ნაგადამყოფარი იყო.

ჯერ უნდოდა საყვედურით შეხვედროდა დაკარგულ მიჯნურს, მაგრამ ეს ფიქრი უმალ უარყო, შეეშინდა მისი გული მობრუნებია, და ახლა ისევე არ გავაქციოო. ბარდლას კისერზე მკლავი მოხვია და, მის ალერსს მონატრებულმა, ტუჩებში ნდომით აკოცა. მკლავის მოხვევაშიაც, კოცნაშიაც ბარდლამ იგრძნო, ავადმყოფობას შურა თითქო გაენახებინა. როცა დაწყნარდნენ და ერთმანეთი მოიკითხეს, ბარდლა, სხვათაშორის, საუბარში გამოუტყდა:

— იცი, შურა, ლეონტის ვთხოვე, შახტის გარეთ გამუშაოს. სანამ ძალღონეს მოიკრეფდე, ასე აჯობებს.

შურამ თანაგრძნობით გამთბარი, სევდიანი მზერა მიაპყრო ბარდლას. ღონე-გამოლული ხელით, რაც შეეძლო, მისი თითები მოწურა და ხმადაბლა უთხრა:

— კი, მაგრამ... მე იქნება იქ ყოფნამ უფრო მარგოს, სადაც შენ ხარ!

— ამ ცოტა ხანს თავი ისე ჩასთვალე, თითქოს აგარაკზე ყოფილიყო! თუ გიყვარვარ, დამიჯერებ!..

ბარდლას სიტყვებზე შურას გული ხელახლა სიამით აუტკვრდა. კიდევ რომ ებოვნა ბარდლას მოსაზრების გასაბათილებელი პასუხი, მაინც როგორღა შეეძლო ახლა რამე საწინააღმდეგოს თქმა.

ბარდლა ერთი კვირის განმავლობაში დღეგამოშვებით ნახულობდა შურას. როცა მან მოიკეთა, სამუშაოზე გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე განცხადება დაწერა და ბარდლას რჩევით კლარას გაატანა ბუზალაძესთან. აღმრიცხველად მისი მოწყობის საკითხი ადვილად მოგვარდა, შურა ხალისით შეუდგა მუშაობას. მისი სიყვარული ახლა ალუჩის ტოტივით იფურჩქნებოდა. საბედნიეროდ, სიყვარულს აპრილი არ სჭირდება. ადამიანის გულში ამ გრძნობას ყველა თვეში თანაბარი ძალით შეუძლია აყვავდეს, მაგრამ ზოგჯერ ასე ერთბაშად „ათეუტებული“ გრძნობა, შეიძლება ალუჩის ყვავილზე

უფრო უდღეური აღმოჩნდეს. რაც იბადება, ალუჩის ყვავილი იქნება თუ სიყვარულის გრძნობა, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობას აქვს შინაგანი, ურყევი ლოგიკა და იგი არასოდეს არ ჰგავს იმ რეგლამენტს, რომელსაც თვითნებურად არღვევენ ხოლმე კრებაზე.

შურა მიწის ზედაპირზე მუშაობას ხალისით შეუდგა. რამდენიმე დღის შემდეგ ბარდლა კვლავ შინ ეწვია მას. დაიშორებოდა თუ არა, საიდუმლოც გაანდო. სიტყვა ჩვეულებრივ დაიწყო: „შურა თუ გიყვარვარო...“ ეს „თუ გიყვარვარო“ ბარდლამ ისე ამოიჩემა, როცა შურასთან იყო, სულ პირზე ეყვრა.

— თუ გიყვარვარ, რასაც გთხოვ, გააკეთებ, თუ არა და...

შურამ ვნებიანი მზერა მიაპყრო ბარდლას, ხელი დაუჭირა და საყვედურის კილოთი შესჩივლა:

— მითხარი, ბიჭო!

ბარდლამ უთხრა:

შურა ცოტა შეკრთა. რამდენიმე წუთი ჩაფიქრებული იჯდა.

რახან ყოყმანი შეატყო, ბარდლა წამოდგა და ტანსაცმლის სწორება ისე დაიწყო, თითქო წასვლას აპირებსო. შურა უმალ გამოარკვია ბარდლას „წასასვლელად მზადებამ“, სადღა ჰქონდა დაფიქრების და განსჯის თავი. ანგარიშმიუცემლად შემოაპლო ორივე მკლავი კისერზე, თვალი თვალში გაუყარა და მომხიბლავი ღიმილით, თავის დაქნევით ჰბატუკს თანხმობა გამოუცხადა.

— ისე... რომ ვთქვათ, უსინდისობას კი გავს ბიძინა ჩვენი... რას ერჩი ნეტავი იმ საწყლებს?!

— რას და... როცა გერჩიან, არც შენ უნდა დარჩე ვალში!..

შურას ხმა არ გაუღია, წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, რახან უკვე თანხმობა გამოუცხადა და ბრმად მიჰყვა „მიჯნურის“ რჩევას. როცა კაცი გიყვარს, საუბედუროდ, მის რჩევასაც, როგორც არ უნდა იყოს იგი, უფრო ადვილად იზიარებ. სიყვარულს მსხვერპლის არ ეშინია. თუ ორივე მხარე თავის განზ-

რახვაში და მისწრაფებაში გულწრფელია, მაშინ ისინი თანაბრად იზიარებენ ლბინსაც, პირსაც, მაგრამ თუ ერთის გრძნობა ყალბია, მაშინ მეორე თითქმის განწირულია. ასეთ ხვედრს უმზადებდა ახლა „ბედი“ შურა არსენიძესაც.

ამფეთქების გამოსაძახებლად შურაში მიმავალ ვენერა ტელეფონის ზარმა უკან მიახედა. ერთი კი ჩაიქნია ვენერამ ხელი და გზა განაგრძო, მაგრამ ზარის განმეორებით წყარუნზე ცნობისმოყვარეობამ მაინც სძლია. ათიოდე საფეხური მარდად ჩაირბინა, ნიშაში შედგმული ტელეფონის მძიმე მილაკს სწვდა და მწყრალად ჩასძახა: „ვინ ლაპარაკობს, ვის ეძახიო“. „შენ თვითონ ვინ ხარ“, მოესმა ვენერას უხილავის და უცნობის ხმა. ლებანიძის ქალმა იფიქრა — „სადა მაქვს გამომცნაურების თავიო“ და ის იყო მილაკი ბერკეტზე უნდა ჩამოეკიდა, მაგრამ შეყოყმანდა, „იქნებ ვინ არისო“, და სწრაფად მიუღო: „მე ვენერა გახლავართ, ლებანიძე!“ „ვენერა ხარ? ყური მიგდე! არ გეტყოდით, მაგრამ მეცოდება თქვენი უბნის ხალხი.. წელეზე ფეხს იდგამთ, იმ ცეცხლებიან ლავებში იწვით და თქვენს ნაშრომს კი სხვა ითვისებს...“ — ამის გაგონება და მილაკზე ორივე ხელის შემოჭიდება ერთი იყო. ვენერა სმენად იქცა. „რაო, რაო?!“ გაცეებით გაეხშიანა იგი უცნობს. „ხუმრობ თუ მართლა ამბობ მაგას?!“ „რა მეხუმრება, შე დალოცვილიო!.. ნახშირი რომ გაკლდებათ და გეგმის შესრულებაც ველარ მოგიხერხებიათ, სულ შურა არსენიძის ბრალია!.. ის იპარავს თქვენი უბნის ბირკებს და ქარქაშაძის უბანს უმატებს...“

ვენერა ისე იყო გაოგნებული, არ სჯეროდა, რაც გაიგონა. შუროს საფეხურზე უნებლიეთ ჩამოიჯდარს ერთხანს კიდევ ეჭირა მილაკი ხელში. მერე დაკიდა იგი და ფიცხლად ზეზე წამოი-

კრა. ერთი წამი ვარაუდში იყო, როგორ მოვიქცეო. გადაწყვიტა თუ არა, ახლაც შევეტყო სინამდვილე, კისრისტეხით თავქვე დაეშვა. ათი წუთის შემდეგ ვენერას ზევით მიაქროლებდა გალია...

შტოლნიდან რომ გამოვიდა, ვენერა წამით შეჩერდა, ეზოს თვალი მოავლო და საყირაოსკენ გაეშურა. ცარიელმა ვაგონეტებმა ჩაირიხინეს, ვენერა ლიანდაგის მეორე მხარეს გადავიდა. საყირაოსთან სხვებთან ერთად ამას წინათ აღმრიცხველად გამწესებულ შურასაც რომ მოჰკრა თვალი, ამ გულად ქალსაც კი გული რაღაც სხვაგვარად აუძგერდა. ნაბიჯი შეანელა. მიუახლოვდა. შურა ვენერასაკენ ზურგით იჯდა საყირაოსთან და მისი მოახლოება არ შეუმჩნევია. ნახშირის მურით გაშავებული თითებით ისე მოებლუჯა თეთრი პურის გული, თითქო ეშინია, არავინ წაართვასო. საყირაოზე მომუშავეთა ერთობლივ შეძახილზე — ვენერა შენც ჩვენთან ხომ არ გაუმწესებხართო, შურამაც მოიხედა და ვენერას გაშტერებულ მხერაში უმალ რაღაც არასასიკეთო ამოიკითხა. ეს მისთვის ცოტა მოულოდნელი იყო. ვენერას დინჯად მოარიდა თვალი, ზურგიც ნახევრად შეაქცია და თეთრი პურის ჭამა ისე მშვიდად განაგრძო, თითქო აქ არაფერიყო.

— შურა! — ხმადაბლა, მაგრამ შეკავებული რისხვის კილოთი უხმო ვენერამ და ცალი ფეხი წინ წადგა, დოინჯიც ორივე ხელით გამომწვევად შემოიყარა.

საყირაოზე მომუშავეებს გაეცინათ, იფიქრეს, ვენერას რაღაც სახუმარო სცენის გათამაშება განუზრახავსო, მაგრამ კარგად რომ დააკვირდნენ, ყველა შეკრთა. ძახილზე შურამაც მოიხედა, არკი შეიმჩნია, თუ ამ ძახილმა, ან ვენერას გამომეტყველებამ მასზე იმოქმედა.

— რა დაგემართა?... თუ დაღლილი ხარ, ჩამოჯექი და მერე მითხარი... მეც აგერ, საუზმეს მოვრჩები.

ამ სიტყვებზე თეთრი პურის გულს ის-იყო კვლავ გამოგლიჯა ერთი ლუქმა

და პირთან მიიტანა, მაგრამ ვენერამ არ აცალა.

— მართალია, შე უსინდესო! ^{არც ვენერა} ჩემზე თუ უბნის ცეცხლებიან ლაგებში რის წვით და დაგვით მონგრეულ ნახშირს ჰპარავ თურმე მუშებს და ქარქაშაძის უბანს სწყალობ?!

ამის გაგონება და შურას გაფითრება ერთი იყო. მან სწრაფად მოიფიქრა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შავი თითებით ხარბად ჩაბლუჯული თეთრი პურის მოზრდილი ნაჭერი სთხოშა ვენერას.

— რას სულელობ, თუ იცი?!

ვენერა არც შურასაგან ნასროლ პურის ნაჭერს მორიდებია, არც მის შეძახილს შეპუებია. უმალ მიეჭრა და ბრეზენტის ქურთუკის კალთაზე ხელი უტაცა, ღონივრად დაითრია.

საყირაოსთან მომუშავე გოგონებს გარდა, ვინც ახლომახლო მუშაობდა, ამ ამბავს ყურადღება კი მიაქციეს, მაგრამ დიდი მნიშვნელობა არ მიუციათ. შურამ იფიქრა — თუ მანამდე ველოდე, სანამ მოეშველებოდნენ, მერე გვიანლა იქნებოდა, და ერთი თავგანწირულად გაიბრძოლა. ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. ვენერამ კიდევ მოსწია შურას ქურთუკის კალთა და მის გოცემას საზღვარი არა ჰქონდა, როცა შურას მაგივრად ლელვის კანივით გაძრობილი მისი ქურთუკი შერჩა ხელში. ვიდრე ქურთუკს მოიქნევდა და განზე გადაისროდა, შურა გაიქცა, მაგრამ ვენერა მიანც დაეწია, შურამ განზე გასხლეთით უშველა თავს, ამ ორთაბრძოლას ყველა ისე ადევნებდა თვალს, როგორც სასიეროდ გამართულ თამაშს. ჭიდილში გართულმა ვენერამ ვერც კი მოასწრო თვალი, როგორ მოხდა მეკრძში შურას მუშტი. მუშტის მოხვედრა და უკან ბორძიკით ნაბიჯის გადადგმა საბედისწერო აღმოჩნდა ვენერასათვის. ის ძელს წამოედო, თავდაყირა გადაეარდა. ახლა კი გამოიქცნენ ვენერას ფეხზე წამოსაყენებლად საყირაოსთან მომუშავე გოგონები. ვენერა მათ მოსვლამ-

დე უგონოდ ეგდო. წაქცეულს თავი ცუდად დაეკრა. ფრთხილად კი წამოაყენეს, მაგრამ ნახევრად გონს მოსულს ჯერ კიდევ არ შეეძლო თავი სწორად სჭეროდა. გულშეწუხებული ქალი ხმადაბლა კენესოდა. როცა მუშებმა — „რიამ“, შიომ და სხვებმა — შურას გაქცევის მიზეზი შეიტყვეს, გამოუდგნენ, დამნაშავეს, მაგრამ შურა უკვე შორს იყო. ამასობაში ის რომელიღაც საბარგო მანქანის შოფერს კაბინაში შეუხტა და მღვერებს თავი დააღწია. შურამ შოფერს „აუხსნა“ თავისი გასაკირი — ერთი კაცის ცოლი მომიხტა, ჩემს ქმარს რაზე იბირებო.

შოფერს არ გაჰკვირვებია. არც რამე ეპვი აუღია.

ერთ-ერთ მოსახვევთან მეშახტეთა ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრის დამორებით შურამ თავის მხსნელ შოფერს მანქანა გააჩერებინა. მადლობა მეგობრული კოცნით გადაუხადა და გამოშვებულების წინ ყოველ შემთხვევისათვის გააფრთხილა: თუ მანქანით ვინმე დაგეწიოს და გკითხოს — შენ ხომ არ წამოგიყვანია ასეთი და ასეთი ქალიო, უთხარი, შენს მანქანაში არა ვმჯდარავარ, სხვა იქნებოდა-თქო, ასე აჯობებს! — მერე სწრაფად გადახტა. შოფერს ხელი ერთხელ კიდევ დაუქნია და ბილიკით ტყეს მიასურა.

ნიკო არაბიტე რამდენიმე დღე გაბრუებულივით დადიოდა. ლეონტის წინადადებაზე მოსვენება დაუქარგა. ძველ უბანში დაბრუნებაზე უფრო სასიხარულო რა უნდა ყოფილიყო მისთვის, მაგრამ ახლა სწორედ ამაზე ფიქრი აყოვენდა და აეკვებდა, „ბუზალაძე ამას ტყუილად არ აკეთებსო“ ფიქრობდა, მაგრამ ვერასგზით ვერ მიძხვდარიყო, რად სკირდებოდა, რისთვის სთავაზობდა შახტის უფროსი ძველ უბანში დაბრუნებას. ნიკო სწორედ ორ ცეცხლს შუა მოექცა. ერთი ნამდვილი ცეცხლი მას ქარქაშაძის ყოფილ უბანში ენთო, მეორე „ცეცხლი“ კი ის

იყო — ბუზალაძის წინადადებაზე რომ ვერასგზით ვერ გაებედა „ერთი კოს“ თქმა.

ლეონტიმ თავისი გადაწყვეტილების შესახებ სიტყვა ბეგლარსაც შეაპარა. მანქანით ერთად მგზავრობისას „შემთხვევით“ არაბიტეზედაც ჩამოუგდო ლაპარაკი.

— ამხანაგო ბეგლარ, სულ ერთია, მეხუთე უბანში არაბიტისაგან გახსნილ ცეცხლებიან ლაგებში ქვანახშირი სადაცაა გამოიღვევა, არაბიტეს იქ ბევრი საქმე აღარ ექნება, უბანი წესრიგშია, იჭაურობას ახლა სხვაც მოუვლის... ხომ არ აჯობებს, ეგ კაცი თავის უბანში დაეპარუნოთ, სადაც არ უნდა ვიყოლიოთ, მაინც იქ ამოსდის მზე და მთვარე!

— ეგ მისი საქმეა, ვერ დაუშლი! ისე, ჯერ აცალე, რაც გამოსაღებია იმ ცეცხლებიან ლაგებში, იმას მორჩეს და მერე თუ გინდა, გადაიყვანე... — ბეგლარი არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა ბუზალაძეს.

ლეონტის კი ცივი წყალი გადაესხა. კარგად იცოდა, თუ არაბიტე მეხუთე უბანში დარჩებოდა, სულ ერთია, არც თვითონ მოისვენებდა და არც ბუზალაძეს მოასვენებდა... სხვას რომ გათაგებული ეგონებოდა, ნახშირს საიდანღაც კიდევ გამოჩხრეკდა...

ბუზალაძეს გამოცდილი ჰქონდა, უფროსებს რომ შეეკამათება არ უყვართ. მაინც ვერ მოითმინა და ბეგლარს „ჰკადრა“:

— მაგას მართალს ბრძანებთ, ამხანაგო ბეგლარ, მაგრამ ღირს არაბიტისთანა უბნის უფროსის ნამცეცებზე მოცდენა?.. ესეც რომ არ იყოს, ცოტა კიდევ მეშინია, სიცოცხლის ფასად არ დაუჯდეს არაბიტესაც და ცეცხლებიან ლაგებში მომუშავეებსაც ნამეტანი ჩხრიკნა... — ხელქვეითებთან პირგამეხებული ლეონტი ახლა ისე უღიმიოდა რაიკომის მდივანს, კაცი კი არა, ანგელოზი გეგონებოდათ, — გამოტეხილი რომ გითხრათ, — განაგრძობდა. ღიმილში

მთლად გაბადრული ბუზალაძე, — არა-ბიძის მაგ წამოწყების წყალობით მოსვენება აღარც დღისით მაქვს, აღარც ღამით...

— ნუ გიყვარს გაზვიადება! მაგაში მარტო არაბიძე და მისი „აღმომჩენილი“ ცეცხლებიანი ლავეები არ არის დამნაშავე! ისედაც რა მოგასვენებს ახლა კაცს, თუ... ვერ ხედავ, არ გესმის, არ კითხულობ გაზეთში, რა ამბებიია? აგერ, დონბასი...

— დაგვიტოვებია!

ბუზალაძემ უფრო იმიტომ დააბოლოვა ბეგლარის სიტყვა, უნდოდა დაერწმუნებინა, ყველაფერი ვიცოთ.

ლეონტიმ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. იქით ნიკოს შეჰპირდა — დასწერე განცხადება და მეორე უბანში ულაპარაკოდ დაგაბრუნებო, აქეთ ბეგლარმა „ურჩია“, ჯერ ნუ გადაიყვანო. „ასეა, წინდაუხედავი რომ იქნები კაცი და გულის მოსაგებად უფროსს ყველაფერს ჩაუყაყლა, ახია! რა მრჯიდა? ჯერ გამეკეთებინა, რასაც ვაპირებდი, მერე მომეხსენებინა. თუ არ მოეწონებოდა, ვეტყოდი — აწი მეცოდინება-მეთქი“. ამ ფიქრებში ლეონტის არც შეუნიშნავს, როგორ გაიარა მანქანით შახტის კომბინატის ეზო და შენობის მთავარ შესასვლელთან შეჩერდა. ერთბაშად მანქანასთან კოსტა ქარქაშაძე გაჩნდა. ლეონტის მანქანის კარი გაუღო და გადმოსვლაშიაც შეეშველა. კოსტას იერი, დიმილი, ლეონტის, რაღაც საგულისხმოს ანიშნებდა. ამიტომაც აღარ დააყოვნა ბუზალაძემ:

— რა იცი ახალი?..

— ახალი კია, მარა... ერთობ ცუდი! — კოსტა ამას რომ ამბობდა, ცალი თვალი შოფრისაკენ ეჭირა, გვისმენს თუ არაო.

კოსტას სიტყვებზე ლეონტი ერთბაშად შედგა, კიდევ შეხედა მას. უნდოდა ეთქვა — თუ ასეა, რა გაციინებსო,

მაგრამ მიხვდა: კოსტა ერთს ამბობდა, მეორეს ფიქრობდა. ლეონტიმ გზა განაგრძო. როცა კარის ზღურბლს გადაბიჯეს და ღერეფანში შევიდნენ, კოსტამ მრავალმნიშვნელოვნად ჩაუქრა თვალი და ახარა:

— ჩვენი ქებული არაბიძის ახალი უბნის საქმე ამ ორ ბოლო ცვლაშიაც შეავადა!

ნიკოს ყველაფერი დაიფიქრა ახალმა უბედურებამ: ვერ გაეგო, ვერ აესხნა, რატომ იკლო მის უბანში მონგრეული ნახშირის რაოდენობამ. ცეცხლებიანი ლავებშიაც, სხვაგანაც მუშები არანაკლები მონდომებით, ზოგან თავგანწირვითაც მუშაობდნენ. ვიდრე აქამდე, მაგრამ ეს მეხუთე დღეა, გეგმას არათუ გადაქარბებით, ასი პროცენტი-თაც ვეღარ ასრულებდნენ.

ნიკომ სულ დაკარგა მოსვენება. შინ ასმითი რომ რამეს ეტყოდა, ნიკო როდის-როდის იკითხავდა, რა მითხარიო? ცალკე შატბააზე დარდმა, წერილები რომ არ მოდიოდა მისგან, ცალკე ნიკოს მდგომარეობამ ასმითი ისე შეცვალა, ძლივს იცნობდით. თამარულაც წუხდა, ნიკოს რომ ამ ყოფაში ხედავდა. ბოლო დღეებში ახლო მისვლასა და დალაპარაკებასაც ვეღარ უბედავდა. საღამო-ყამს, შესვენებისათვის ნიკომ იშოვა თუ არა ცოტაოდენი დრო, ბევრი იბორცა ტახტზე, ხან მარჯვენა იბრუნა მხარი, ხან მარცხენა. ბოლოს ასმითს უხმო და შესჩვილა.

— ეს ოხერი, ძილიც აღარ მეკარება; ბუზალაძემ ხომ არ „შემილოცა“?

— რაც გინდა დააბრალებ, მაგით არც იმას დაუშავდება რამე, არც შენ გაგიკეთდება!

— ქვევანი ხარ! მაღი, ერთი, დარევე ზიზზიბაძისას. თუ სცალია, ამოირბინოს თამარულამ. შატბაის წასვლის შემდეგ ისე გამოვყრუვდით, რაღა გითხრა. მეგი მაინც გაჩერებულიყო ცოტახანს.

— არ გაჩერდა და... მავის ძმა ხომ აქ არის, რას გიკეთებენ?

— შენ ის მითხარი, ეგ სულიყო თუ რაღაცა, სად იყარგება ხოლმე საღამოობით? თუ ქალი ხარ, შიამქიციე ყურადღება.

— რაფერ, ნიკო!... უკან ვერ ვდევ და..

— ნეტა მაინც სად უნდა დამორტყვილობდეს?...

— ნუ გეშინია, როგორც კატა არ ჩამოვარდება ხიდან, ისე მაგ... ნიკო, დაერეკავ, მაგრამ... იქნება თამარელა დაღლილია და..

— როგორც გინდა. — ისე გულდაწყვეტილად თქვა ნიკომ, ასმათის გული უსახლერო სიბრაღულით შესძრა.

ასმათი უსიტყვოდ გაეშურა დასარეკავად. ზიზზიბაძის უფროსმა ბიჭმა გურამმა უპასუხა. ის-იყო, ასმათი ოთახიდან აივანზე გამოვიდა, ნიკოსთვის უნდა ეთქვა — თამარელა სახლში არ ყოფილა, რომ სამჯერ გაიჭრილა ქიშკარმა. ერთი ქალი და ორი ვაჟი ეზოში შემოვიდნენ და სახლისაკენ სწრაფი ნაბიჯით გამოეშურნენ. ნიკომ ჯერ ნიდაყვზე წამოიწია, ცნობისმოყვარეობით გახედა ეზოში შემოსულთ, მაგრამ ჯერ საკმაოდ შორს იყვნენ ისინი და ვერ იცნო.

— უპ, ეს ვოგო ლელა არ ყოფილა?! — დაიძახა პირველად ასმათმა.

ნიკო სწრაფად წამოიდა, ხალათი გადაიკვია, ვაისწორა და სტუმრებს აივანზე კიბის თავში დაელოდა.

ლელამ სწრაფად ამოიჩინა კიბე. ქერა უკლება და გაიოზი კი დინჯად მოაბიჯებდნენ.

ნიკომ ლელას ხელი და კითხვა ერთად შეაგება:

— რა მოხდა?!

ლელა აქამდე თუ აღელვებულა და გაოცებულა გამოიყურებოდა, ნიკოს შეკითხვის უმალ სახეზე დიმილმა გადაურბინა ამასობაში კიბეზე ამოსულ ქერა უკლებასა და გაიოზსაც გაუწოდა

ხელი ნიკომ, მერე ისევ ლელას მიუბრუნდა:

— ნიკო ბიძია, — დაიწყო ლელამ სხაბასხებით, — რომ იცოდეთ, რისთვის მოვედი. — ამ სიტყვებზე ვაყვებოდა გადახედა. მათაც ისე უხერხულად გაუღიმეს, ნიკომ იფიქრა ესენი რაღაც სასიხარულო ამბის შესატყობინებლად მოსულანო და ის-იყო, ასმათისათვის უნდა დაეძახნა, თუ რამეს აპირებ, ბარემ გვეცი პატივიო, მაგრამ ლელას სიტყვებმა ყველაფერი დაავიწყა.

— ნიკო ბიძია! შენი უბნის მტერი აღმოჩენილია!

ნიკოს ცოტა არ იყოს, ეოცა ეს ამბავი.

— ჩემი უბნის მტერი? რას ლაპარაკობ?! ჩემ გამოსაცდელად მოგზავნილები ხომ არა ხართ, ნიკო ბიძიას იქნებ რამე წამოცდესო.

წყენის თუ გაკვირვების ნიშნად სამივემ ერთად დაალო პირი, მაგრამ ნიკომ სიტყვის თქმა არ აცალა, თვითონ განაგრძო: — გეხუმრებო... მოდი, ერთი, დასხედით, გამაგებინეთ, რა ამბავია?

ნიკომ სამივე სტუმარს ერთბაშად მოხვია მკლავები და აივნის კუთხეში, ტახტისაკენ წაიყვანა.

როცა ლელამ შურას გაქცევის ამბავი დაწვრილებით მოუთხრო, არაბიძემ მუხლზე ხელი დაიკრა და სინანულით წამოიძახა:

— ამდენი არ იცოდა იმ ვენერა ლებანიძემ?! ვინ აფრთხობს ასე ნადირს, როცა საჭიროა მიზარვით მისი შეპყრობა!..

— კიდევ კარგი, ბოლო ხანებში მუერა არსენიძესთან უბრად ვიყავი. — თქვა ბარდლამ, როცა მისი გაქცევის ამბავი და მიხეზი შეიტყო. — ხალხი რას არ იფიქრებდა! ქვეყანაზე იმხელა კული არაფერს არ შეიძლება გამოებას, როგორც ჭორს!

ბარდლამ გამოცდილი ხალხიც კი

დაჯერა თავის უცოდველობაში.

შურას გაქცევამ, მართალია, ის ყვალნი წაშალა, რომლითაც შეიძლებოდა „სათავემდე“ მისვლა, მაგრამ ერთხანს ლეონტის, ბარდლა-ბიძინასა და, განსაკუთრებით, ქარქაშაძეს შიშის ქარი ჰქონდათ გამდგარი. დღედაღამე სულ იმის მოლოდინში იყვნენ, როდის დაირჩეოდა, ხმა — შურა არსენიძე შეეუბყრობდა და ყველაფერში გამოტყეხილაო.

ლეონტიმ ერთხელ საიდუმლოდაც დაიმართხელა ბარდლა-ბიძინა და გააფრთხილა: მე, სულ ერთია, მაგ საქმის არც „არაფერი ვიცი“, არც ახლა ვიცი, მაგრამ შენ კი გირჩევ რაც მაღე მიაგნებ შურას კვალს და... — სათქმელი, ყელზე დანასავით ხელის გადასმით დააბოლოვა ბუზალაძემ, — რაც მაღე მოიშორებ თავიდან იმ გოგოს, მით უკეთესი შენთვისო.

ბარდლა-ბიძინამ ერთი კი შეხედა გამოძვევად, მერე ისე თავმომწონედ აზიდა წარბი, თითქო ლეონტის რჩევას თაკილობსო.

— ჩემი ფიქრი ნუ გაქვს, ლეონტი სევასტიევიჩ! რაც უნდა მოხდეს, შურა არსენიძე არ გამომეტებს!

— შენ ჯერ კიდევ გქონია მოსაცვლელი კბილები!

— იმ კბიანმა რომ იცის ვაჟკაცობის ფასი, ნეტავი ისე ზოგიერთ შარვლიანს შეეძლოს... — ბარდლამ ისე შეხედა ლეონტის, თქმა არ უნდოდა, შარვლიან დიაცვი მას გულისხმობდა.

— თუ ადამიანს თავზე ხელი აქვს აღებული, მის თვალში არც სხვის სიცოცხლეს აქვს ღიდი ფასი, ჩემო ბიძინა!

საკვირველი იყო, მაგრამ ბუზალაძის „შეხედულებები“ დიდ შთაბეჭდილებას ვეღარ ახდენდა ახლა ბარდლა-ბიძინაზე.

შურა არსენიძის გაქცევამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მისმა დანაშაულმა კი — დიდი აღშფოთება. ვინიცობაა, მეორე უბნის შესატყეებს ის ვოგო ხელში ჩაყარდნოდან, თქვენი

მტერია, ველარაფერი უშველიდა. მაგრამ არათუ შურა, უბრალოდ მისი კვალიც და ხსენებაც კი წაშალა მიწის პირისაგან.

ამ შემთხვევის შემდეგ რამდენიმე დღე ბარდლა-ბიძინა გულით მუშაობდა თავი სანგრევში. სხვა ბრიგადებსაც აქეზებდა და ამხნეებდა უბანში. მას უნდოდა ხალხისათვის დაენახებინა: შურა არსენიძის „წყალობა“ აქ არაფერ შუაშია, იმ გოგოს მოუგონეს — ვითომ არაბიძეს ბირკებს ჰპარავდა და ამით ქარქაშაძის უბანი გაჭირვებიდან გამოჰყავდაო.

შურას გაქცევა დიდსა და პატარას ერთ ხანს კიდევ ექნებოდა სალაპარაკოდ, ახალ ამბავს რომ არ მიექცია მათი ყურადღება. სწორედ იმ დღეებში დონბასიდან და ყუბანიდან ლტოლვილთა რამდენიმე ჯგუფმა უღელტეხილით კავკასიონი გადმოლაზა. შესატყეოთ ქალაქში მოულოდნელად გამოჩნდნენ ხანგრძლივი მგზავრობით, შიმშილით გაწამებული და მრავალ ხიფათგამოვლილი ადამიანები — ცხენებზემზული დროგებით, უშველებელ რქებიანი ხარებით და საოჯახო ბარგის ნაშესრევით. ლტოლვილთა ჯგუფებში ერივნენ ქალებიც და ბავშვებიც; უმეტესობას კი ხანში შესული — ჭაღარა თუ მოხუცი მამაკაცები შეადგენდნენ. თითქო აქამდე ფეხდაფეხ მოსდევდნენ, ომის საშინელებათა კვალი ჯერაც არ წაშლილიყო მათს გამომეტყველებაში. მამაკაცთაგან თითქმის ყველას აირწინალის უშველებელი ჩანთა ეკიდა მხაროლივ და ყველაფერს შიგ ყრიდნენ, რასაც კი გზადაგზა საქმელად გამოსადეგს მოიხელთებდნენ, შავი პური იქნებოდა, თუ გარეული თხილი და სოკო.

ქალი და კაცი გარეთ იყო გამოფენილი. ყველა ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდა უცხო მხრიდან გადმოხვეწილებს. ერთმა ჭაღარა კაცმა იკითხა, აქ ნიკო არაბიძის ნახვა სად შეიძლებაო?

გაიგონა თუ არა არაბიძის სახელი, სხვებზე ადრე გაიოზ უკლება გამოხტა წინ და თავისი რუსულით ძლივს მიახვედრა ჭალარა კაცი — მე წაგიყვან არაბიძესთანაო. გაიოზმა სხვებს იმიტომაც დაასწრო, რა ხანია მოხუცის გვერდით ატუხულ თექვსმეტიოდე წლის გოგონას თვალს არ აშორებდა რამდენადაც მოსწონდა, იმდენად უფრო ებრალებოდა ახლა იგი. გოგონას მართალია, ბეჭებზე წამოსხმული ჰქონდა მახარის კალთის მოზრდილი ნაგლეჯი, ეცვა წელში გამოყვანილი მწიფე ასკილისფერი, საკმაოდ გატუჟყვიანებული და აქა-იქ ვახეული კაბა. კაბის ერთი ნაოჭი წინ ჰქონდა გადმოკეცილი და ცალი ხელით ერთთავად ეჭირა, ზარბაყი რომ არ გაშიშვლებოდა. დაბალქუსლიანი ტუფლის გადატყაული საპირე ცერებზე გამოგლეჯოდა, შიშველი თითი ორივე ფეხსაცმელში სასაცილოდ გამოყოფილი ჩანდა.

(გაგრძელება იქნება)

გოგონამაც თავიდანვე შენიშნა გაიოზის შავ-შავი თვალები, დაფეთებული მზერა და ახლა თვითონაც ვაჟს თვალს არ აშორებდა. შიშნარევი და მიამიტი ღიმილი მის გამურულ სახეს მიმზიდველობას თითქო უფრო მატებდა.

გაიოზი თავისებური ხალისით წაუძღვა ჭალარა უცნობს. გოგონა კი ხნიერ ქალთან დარჩა. გაიოზს ხშირ-ხშირად უხდებოდა შეჩერება, ვიდრე ჭალარა უცნობი დაეწეოდა. როგორ არ ცდილობდა ვაჟი წინ არ გაესწრო ჭალარასათვის, მასთან მხარდამხარ ევლო, მაგრამ შინც ვერ ახერხებდა. ბუნებით მკვირცხლს და მოუსვენარს, ახლა მით უფრო აღარ ჰყოფნიდა მოთმინება, გულთ ეწადა, რაც შეიძლებოდა მალე შეეხვედრებინა ეს ჭალარა კაცი ნიკო არაბიძისათვის.

სოფია შავეჩაძე



ლენინის ქაგლი თბილისში

თბილისელების მხნე გულებში შევიდა აღრე,
მერე თბილისის მოედანზე ძეგლად იალა
ყოველი დაბის,
ყველა სოფლის,
ყველა ქალაქის
უპირველესმა მოქალაქემ მარადმზიანმა.

სიბოთი საესე და მზით საესე ჩვენი თბილისი
უფრო გამზევდა,
კიდევ უფრო გახდა მზიანი, —
ზე აწვდილ ზელით მზის ამოსვლას უმჯერს ილიჩი
ეს მზედქვეული აღამიანი.

მოთა ჭიდიძე



წერილი შვილს პიონერთა ბანაკში

... რაც მოხდა, მოხდა... გულისწევას
მარტო
შენ მიმიხედვები ერთი სისხლხორცის,
ვინც შორეული ნუგეშით მათობ
ცეცხლი და რწმენა ჩემი სიცოცხლის.
თუ რავე კარგი ბოგინობს ჩემში,
აღბათ, ბავშვობის დღეებიდან მაქვს,
მეც პიონერის საყვირით ხელში
სწორედ შენსავით ვუხმობდი ბანაკს.
არც მე ვარცხვენდი ყელსახვევს

წითელს,
ახლა დაედევარ თმებშევერცხლილი,
ცოტაც მოიცა, მერე გამკიცხე,
თუ შენს წინაშე ვარ შერცხვენილი.
რა ვუყოთ, მიდგას ნალველი თვალში,
ამომღარვია შუბლზე ღარები,
პიონერულად გედგები მხარში
ცოტა ჩემსავით თუ გეყვარები.
ერთად ავივლით ბილიკით კლდეზე,
მთებზე, რომელიც მარტმა დათოვა,
მერე ცხოვრების დაქსაქსულ გზებზე
დაგტოვებ, როგორც მამამ დამტოვა.
შენ სკოლის ზარის ხმას იცნობ
მხოლოდ,

არის სხვა ზარის გარდუვალობაც...
დაგიძახებენ მარტოხელს, თბოლს,
თუ იგრძნობ გლოვას და უმამობას.
რა საჭიროა ფიქრი ამაზე,
წერილის წერას უნდა უხშირო,
ხშირად მაცნობე, რომ ქვეყანაზე
არ ვარ მარტოკა, არ ვარ უშვილო.
ბანაკში მინდა თქვენთან მოვიდე,
როგორც მშობელი და ამხანაგი.
შენ თუ იდგები კართან მორიგედ,
ყოფილ პიონერს მომეც პატაკი.
მომეც პატაკი, რომ ხარ გულწრფელი,
აყვავებული როგორც აპრილი,
მეგობრობაში წმინდა, უცვლელი,
სათნო, კეთილი და პირდაპირი.
მომეც პატაკი, როგორ გასცურე
მოდიდებული მტკვარი მხარულით,
უკანასკნელად მინდა დავრწმუნდე,
რომ ხარ მშვენება
ჩვენი მამულის...
და ჩვენზე კარგად რომ შეგეძლება
ქვეყნის შენება
და სიყვარული.

ნაღი გაგრიჩიძე



საქართველო ქართა,
საქართველო ველთა,
ზზარნალეზის საქართველო ხარ.
საქართველო ქერთა,
ცივ წყაროთა, ატამთა და პურთა,
მინდორ-მინდორ მოკიაფე მანქანათა
საქართველო ხარ.

სადრუბელე კლდეთა,
მოშხაპუნე წვიმათა და მზეთა,
საყურძნეთა საქართველო ხარ.

გაქვს მაღალი ნაქერალა,
გაქვს მაღალი თბილისი და მცხეთა,
და რთველივით მოსასვლელი „ხვალ“.

მაღალ-მაღალ დარბაზ-კოშკთა,
შორ ქუჩათა
და კარგ ხალხთა,
კეთილ ხალხთა
საქართველო ხარ.

სასახლეთა მშენებელთა,
ელვა-მავალ ელმავალთა,
ბილიკთა
და რკინის გზათა,
ანქარებულ მდინარეთა,
და საქართა
საქართველო ხარ.

სადრუბელე კლდეთა,
საყურძნეთა, ატამთა და ქერთა,
ხომაღლთა და შავ ტალღათა,
და ქართველთა
საქართველო ხარ.



როგორღაც მოხდა,
რომ დავიბადე არა ჩინეთში.

სველ ბამბუკივით ვიცხოვრებდი
ჩინურ სოფელში,
შავად და ვიწროდ ჩამოჭრილი
ჩემი თვალებით,
და ვიქნებოდი კომშისფერი
ლამაზი ქალი.

მეყვარებოდა ჯეჯილი ბრინჯის,
და ჩემს ფანჯრებთან იმღერებდნენ
ფოთლისფერი თუთიყუშები.

ო, მე არ ვჩივი,
მაგრამ მოხდა როგორღაც ისე,
რომ დავიბადე არა ჩინეთში.

სიამოვნებით ვიცხოვრებდი
ლერწმებთან ერთად,
იმ ყვითელი მდინარის პირას,
დრაკონივით რომ მოიზლანებდა.

და მექნებოდა კომშისფერი
ხელები მარჯვე.

მრისხანე ქალაქი

შავი ბალახები და შავი წვიმა,
დახრილი სახლები,
ტანჯული სახელი ესე — ხიროსიმა,
საბრალო სახელი...

გამხდარი ბავშვები
წეროსებრ მაღალი
და წვრილი ფეხებით,
ზომაზე დიდრონი უაზრო თავები...
მოწამლულ ტალღებში
მკვდარი თევზებივით ჩაყრილი ნაგები,
გამხდარი ბავშვები
წეროსებრ მაღალი
და სუსტი ფეხებით.

შავი ბალახები
და შავი წვიმა,
დახრილი სახლები.
ტანჯული სახელი ესე — ხიროსიმა,
მრისხანე სახელი...



მე ერთადერთი გოგონა მყავს

მე ერთადერთი გოგონა მყავს —
დედა ენაცვალის მას.
ათი შვილი რომ მეხვიოს გარს,
არ ამოვიღებდი ხმას;
მაგრამ რა ვუყო, ეს ერთი მყავს
და მასზე ფიქრები მკლავს.

როგორ გაუძღვებს ჭირსა და ლხინს,
ან გაუზიარებს ვის?
ვაპ, თუ ოდესმე დალონდეს ის —
მოუნდეს ალერსი დის;
ვაპ, თუ ცხოვრებამ დაჩაგროს ის —
დასჭირდეს მარჯვენა ძმის, —
როგორ გაუძღვებს ჭირსა და ლხინს,
ან გაუზიარებს ვის?

რაც თავი მახსოვს, ოცნებას დიდს
მასავეთ, შვილივეთ ვზრდი.
გულიდან — აკენიდან ამომყავს ის
და გაშლას ვასწავლი ფრთის.
ლექებო ჩემო,
გარეთ თუ შინ
დედის ალერსს სტაცებო შვილს.
და თუ თქვენ მართმევთ უნაზეს ხმას —
ღობაც გაუწიეთ მას.
თუ ეცილებით დედის გულს, მაშ,
ძმობაც გაუწიეთ მას.
მარტო არ დასტოვოთ იმ მძიმე ემას,
როცა მე დავხუქავ თვალს.



ბრეტჰენი

I

შაბათი დღე იყო და ქალბატონ ჰესლინგს ქმრისათვის ჯერ კიდევ არ შეეტყობინებია, რომ კვირა საღამოს გრეტჰენი უნდა დაენიშნათ. სადილობისას, როგორც იქნა, დიდერიჰი კარგ გუნებაზე დადგა. საღამურა თევზის კერძიდან, რომელსაც მარტო იგი შეექცეოდა, ერთი ნაჭერი მაგიდის მოპირდაპირე მხარეზე მჯდომ გრეტჰენსაც მიუვლო. მაგრამ თევზის ნაჭერი იმდენად დიდი და მსუყვე აღმოჩნდა, რომ შუადღის ძილში მყოფი ჰესლინგი ხვნეშას მოჰყვა და როგორც კი გამოიღვიძა — დახელება მოითხოვა. მისმა მეუღლემ გრეტჰენს წასჩურჩულა:

„მამას შენი ქამრისა და ქუდის ფულს ახლა ვერ დავტყუებთ, მაგრამ ფულს მაინც ვიშოვიო“. და მან ეშმაკურად ჩაუკრა თვალი ქალიშვილს.

ბ-ნი ჰესლინგი, შალის პერანგისა და მისი ამხანაგის ამპრა, დივანის ბალიშებს შორის წამოწოლილი იცდიდა. მან თავისი თეთრი მუცელი ცოლს მიუშვირა დასახელად. და ვიდრე ქ-ნი ჰესლინგი მას ზელდა, დიდერიჰი შიშამდგარი თვალებით შესცივინებდა ბრინჯაოს სამ ფიგურას: იმპერატორს, დედოფალსა და ზეკინგენელ მებუქეს; ისინი ადამიანის სიმაღლის ორი მესამედი იყვნენ. ფიგურები დიდებული მზიარულებით გადმოსცქეროდნენ დიდერიჰის გასაჰირს. ვიდრე ქალბატონი ჰესლინგი ქმარს ზელდა და თან ხმამაღლა ნუგეშსა სცემდა, თეთრ კაბაში გამოწყობილი, წელში მოხრილი და კისერგამოწვდილი გრეტჰენი კარებში შემოიძჰრწა. მისი უღიმღამო თვალები შიშსა და ზიზღს გამოხატავდნენ. იგი უხმაუროდ მიცოც-

და სკამთან, რომელზედაც მამამისის შარვალი იყო გადაფენილი და ფრთხილად ჩააცურა ხელი ჯიბეში. ფულმა დაიჩხრიალა და სწორედ ამ დროს ქ-ნმა ჰესლინგმა ხმას აუმაღლა.

„აი, ახლა კი არა გიშავს რა! ჰო, მართლა, რომ იცოდე, ხვალ გოშელროდისავე ვაპირებთ გასეირნებას; ბ-ნი ასესორი კლოცმეც ჩვენთან იქნება... შენ ეს არაფერი არ დაგიჯდება, ჩემო ძვირფასო, დანაზოგი იმდენი მაქვს, რომ აუცილებლად გვეყოფა“.

ჰესლინგმა რაღაც წაიბუზღუნა, მაგრამ მისაყვს ეტყობა კარგად ემოქმედა მისზე.

საღამოთი ჰესლინგი ლუდხანაში დიდხანს ადგნებით ლაპარაკობდა გერმანიის მსოფლიო ბატონობაზე და ქისისათვის ყურადღება არც კი მიუქცევია — ისე გადაიხადა დანახარჯი. კვირას, როგორც ყოველთვის, მას შეუმჩნეველი დარჩა გრეტჰენის ტანზე ახალი სამოსი. მან ოჯახს აუწყა თავისი მტკიცე სურვილი, რომ სასეირნოდ ტყეზე გავლით არ წასულიყვნენ.

„იქ მთელი ორი საათი იხეტიალებ და სასადილოსაც კი ვერსად შეხვდები“ — თქვა მან.

ასესორი კლოცმე დაეთანხმა ჰესლინგს და მთელი ოჯახი სასიძოსთან ერთად შარავზით გაემართა: გრეტჰენი და კლოცმე წინ მიდიოდნენ. კლოცმემ კმაყოფილებით გახედა ცას; მისი კეფაზე გაყოფილი თმა მუნდირის საყელოში ჩამალულიყო.

„უუბადლო დ... დღეა! თუმცა ც... ცხელა, მაგრამ ამინდი მაინც კარგია!“

„მამამ ბიჯაკი გაიხადა“, — თქვა გრეტჰენმა, შემდეგ თვალები დახარა და დაუმატა:

„არ გსურთ თქვენც ასევე მოიქცეთ?“

კლოცემ უარი თქვა. მას, როგორც სათადარიგო ლეიტენანტს, უარესიც განეცადა; და მან დაიწყო მოყოლა სამხედრო მანევრების შესახებ. ლაბარაკობდა საქმიანად და დიდხანს. მალე ხეებს შორის გამოჩნდა სახლის სახურავები. გრეტენმა ამოიოხრა. ჭ-ნმა ჰესლინგმა, რომელიც ყველაფერს უთვალთვალებდა, უცბად წამოიყვინრა: „ვაიმე, ცხოველი!“ მის კაბაში პაწაწა მწერი მიცოცავდა.

„ოკ, ეს საზიზღარი ცხრაფეხა! აი, აგერ მიცოცავს... არა, ადამიანო, საყელოდან მას ვერ ამოიყვან ასე იოლად, ჩემი დაბრჩობა ხომ არ გინდა. არ ვიწუწუნო? სათქმელად ადვილია, მაგრამ თუკი იტბინება? ჩვენ ისეთი ნერვები არ გვაქვს, როგორც თქვენ — მამაკაცებს. ამაზე არცერთ მამაკაცს არავითარი წარმოდგენა არ აქვს; ხომ ასეა, ბ-ნო ასესორო?“

კლოცემ დასახმარებლად მიაშურა მათ. მას სურდა ჭ-ნი ჰესლინგისათვის საკინძე გაეხსნა, მაგრამ ჭ-ნმა არ დაანება.

„არა, არა, მხოლოდ ეს არ უშველის, ისე ღრმად ზის. ერთად-ერთი გამოსავალია, მთლიანად უნდა გავიხადო. თქვენ გრეტენთან ერთად ცოტა წინ წადით, ბ-ნო ასესორო. ასეთ შემთხვევაში მე მხოლოდ საკუთარი ქმარი თუ მიშველის“.

და მან დაუფარავი ეშმაკობით თვალი ჩაუკრა დიდერისს. ასესორი გაწითლდა; გრეტენმა თავი დახარა. მათ გზა განაგრძეს.

კლოცემ გაუბედავად გამოთქვა აზრი მანევრებელი მწერების შესახებ. საერთოდ იგი დიდი მოყვარულია ცოცხალი და თავისუფალი ბუნების, განსაკუთრებით კი სანაოსნო სპორტისა... გრეტენმა კვლავ ამოიხენწა. კლოცემ დაწყებულ სუბარე შეწყვიტა და იკითხა, უყვარდა თუ არა გრეტენსაც ბუნება. ჰო? რას ანიჭებს უბირატესობას: მთებს? პატარა ბატყებს?

„მწვანე სალათას!“ — თქვა ნახევრად

ოცნებაში წასულმა გრეტენმა.

გრეტენი თვითონ გამოიყურებოდა მწვანედ; ლამის გული წასვლოდა სისხლნაკლებობისაგან. ყოველთვის ასე მოსდიოდა მას, როგორც კი ძლიერ მოიწყენდა: მეტწილად წინდების კემსვისას, ანდა ეკლესიაში ლოცვისას.

„მწვანე სალათა?“

დიახ. დილითაც გრეტენმა თავისი საკვირაო ფულიდან ნახევარი გირვანქა შოკოლადი იყიდა და მთლიანად შესანსლა; ახლა კი ოცნებობდა წიწკითა და მდოგვით შემზადებულ სალათაზე.

კლოცემ გააოცა გრეტენის პასუხმა. თუმცა იგი უკმაყოფილო არ დარჩენილა. მან გრეტენს გადახედა და უფრო ღრმად ჩაეფლო საყელოში. წამწამებდაბრილი გრეტენი კი განაგრძობდა:

„ამ კენჭებისაგან სულმთლად ფუჭდება ფეხსაცმელი. ახლანდელი ლანჩები სწორედ რომ ქალადისია“...

გრეტენი ტყვილებს სრულიადც არ უჩიოდა, მას მხოლოდ ხარჯები აწუხებდა. უცბად კლოცემ გადაწყვიტა:

„გრეტენი...“

„ზოფუსი“...

ბ-ნ ჰესლინგის გაოცებას საზღვართ არ ქონდა, როდესაც მის წინ ხელი-ხელგაყრილი კლოცემ და გრეტენი გამოცხადდნენ. ჭ-ნი ჰესლინგი გამარჯვებული ილიმებოდა, რადგანაც გრძნობდა — მისი მეუღლე სათადარიგო ოფიცერს უარს ვერ ეტყოდა. ჰესლინგს სინდისი ქეჯნიდა, რომ მან უნტეროფიცრობასაც ვერ მიაღწია.

II

როდესაც კლოცემ ნიშნობის დღეს გამოცხადდა, გრეტენმა ყური მოკრა, რომ იგი მეგობრებს შესჩიოდა, მატერი-ალური გაქირვების გამო. შემდეგ კი მათ ჩურჩული დაიწყეს: ალბათ უმსგავსი ჯიშის შესახებ. გრეტენს გამალებით უცემდა გული. მაგიდასთან წარმოთქმულ ყოველ სიტყვაში, მას ქარაგმა ეჩვენებოდა. კლოცემ დუმდა. მხოლოდ ერთხელ გაესაუბრა პასტორ ცილის და განაცხადა, რომ მას სწამს მკვდრეთით

აღდგომა. ამას მამალი კატის ისეთი ჩახრინწული ხმითა და გოროზი გამოხედვით ირწმუნებოდა, თითქოს თავისუფლად შეეძლო ოცი ულუფა მკავე კომბოსტოთი შემზადებული ძეხვის მონელება. მას მოწონების ნიშნად ყველა თავს უკანტურებდა. გრეტქენმა კი ტუჩებზე იკბინა და თვალეზი დაჭარა.

ნიშნობის შემდეგ გრეტქენს ძალიან უკვირდა, რომ ყველაფერი წესიერად წარიმართა. კლოცზე ყოველდღე, როგორც კი შეზინდებოდა, გრეტქენის წყნარ ოთახში იჯდა და ხამუშ-ხამუშ წამოაყრანტალებდა:

„გრეტქენ!...“

გრეტქენიც ყოველთვის ეხმიანებოდა მას გრძნობით გამთბარი ბეგრებით:

„სცაოფის!“

მაგრამ მეტწილად, სწორედ ამ დროს, გრეტქენი სხვა რამეზე ფიქრობდა ხოლმე. კლოცზე ეკითხებოდა მას, თუ რა ასწავლეს სკოლაში. გრეტქენი ცდილობდა მოეთხრო მისთვის იმ ოინაზობის შესახებ, რომელიც მას ერთიორჯერ ჩაედინა სკოლაში; მაგრამ კლოცშეს უღიმღამო სიცილით მიხვდა, რომ ავტორიტეტებისადმი ასეთი უპატივცემულობის გამოძღვანება კლოცშეს იძულებულს გახდიდა საკუთარ რეპუტაციას გაფრთხილებოდა; და ამის შემდეგ გრეტქენსაც არაფერი დაცდენია თავის ცულუტობის შესახებ. კლოცზე მოუთხრობდა გრეტქენს, თუ რა საქმე ირჩეოდა დღეს დილით სასამართლოში. შემდეგ ისინი მიყუჩდებოდნენ ხოლმე „გრეტქენისა“ და „სცაოფისის“ მორიგ წამოძახებამდე.

ერთხელ კლოცშემ სიტყვა ჩამოაგდო ღვთისმოწყალების შესახებ. საფიქრებელია, რომ გრეტქენი ბუნებით მორწმუნე არ იყო. თუმც მის ასაკში არც ასესორი ყოფილა მგზნებარე ქრისტიანი. მაღლობა ღმერთს, პენსიონერი გენერლის ბნფონ ჰაფკეს შეგონებით იგი ბოლოს და ბოლოს ეზიარა ღვთისმორწმუნეობას. ჩვენ დროში საჭიროა ღვთისმორწმუნე იყო, თუ ვინდა ხელი მოგემართოს. მსულერთია, ამას მაინც ვერ აარიდებ

თავს. რასაკვირველია, გრეტქენიც ეზიარება ღვთისმოსაობას: მაგრამ ვთხოვთ და რა საშუალებით, ეს მან არ იცის. თუმცაღა ეს სულერთია...

„როდესაც ჩვენ პირველად ღმერთის საკურთხევლის წინაშე წარვსდგებით, იგი გვეტყვის: „ეთილი, შვილო ჩემო, რა გზით მიიღწიე შენ ღვთისმოშიშობას, ეს ჩემთვის სულერთია“.

ასესორი ღმერთს გაჯგვიმული ჯარისკაცივით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ალაპარაკებდა. კლოცშეს თვალეზი აენთო და დინჯად გადაივრია ულვაშები. კარებს უკან ქნ ჰესლინგის ჩახველება მოისმა, იგი სადილზე უხმობდა მათ. გრეტქენმა თავისთვის ჩაიდუღუნა „შეგეძლო სულაც არ ჩაგხველებინა!“

გრეტქენი ფიქრებში იყო გართული:

„კლოცზე ოცდაცამეტი წლისაა, თვალის უბეები უკვე ჩანაოჭებიია, ალბათ მას ბევრი რამ განუცდია ცხოვრებაში“.

გრეტქენს ისიც გაახსენდა, რომ ქალი ქმრის უანგარო მეგობარი უნდა იყოსო. კლოცზე ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაბედავს რაიმე დამალოს.

„დამაცადე ჩემო მუსუსელა“, — ფიქრობდა გრეტქენი. და შემდეგ იგი ეშმაკური ღიმილით, დიღინის ხმაზე ჩაეკითხა კლოცშეს: უყვარდა თუ არა მას ოდესმე ვინმე. კლოცზე გაწითლდა და ითარა:

„ამას კი არ დაგიჯერებ!“ — მტკიცედ შეეპასუხა გრეტქენი.

„რა გაეწყოაბა“.

კლოცშემ შუბლი შეიკმუნხნა, მაგრამ გრეტქენი არ შემკრთალა.

„ყური მიგდე, ზოფუს, შენ მე ვერ მომატყუებ! თუკი შენი ცოლი უნდა გავხდე, ისიც უნდა ვიცოდე, რაც მოხდა და რაც არ მოხდაარა“.

კლოცშეს არაფერი ჰქონდა სათქმელი. გრეტქენი ტუჩებს კუმავდა და ხელისგულებით თვალებს ისრესდა.

„შეიძლება ბავშვიც გყავს?“

კლოცზე უყურებდა გრეტქენის ცრემლებს, მძიმე-მძიმედ ქშინავდა, თან ცერა თითს აწვალებდა და ცდილობდა

რაიმე მის მიერ ჩადენილი ცოდვა მოეგონებია, მაგრამ ამაოდ. ქ-ნი ჰესლინგი კვლავ ახველებდა კარს უკან; გრეტენი კი ლულუდებდა:

„წადი, ჩახეთქე შენი წილი ძეგვი და ლუდი“.

თუმცა გრეტენი ცხრა ბუტერბროტს სჭამდა ერთდროულად, მაგრამ რატომღაც კლოცშეს ღორმუცელობა მას აღიზიანებდა.

ამის შემდეგ ყველანი გაზის ნათურით განათებულ ძველ გერმანულ ოთახში ისხდნენ. ნათურის სინათლე იმპერატორის, დედოფლისა და ზეკინგენელი მებუქის ფიგურებს ეცემოდა. დედა კერავდა, მამა ვაზეთებიდან ამოკრეფილ სამეფო კარის ამბებს უზიარებდა მათ, სასიძო და პატარძალი კი უსაქმოდ ისხდნენ. გრეტენს არავითარი ხელსაქმისათვის არ უნდა მოეკიდა ხელი, ვიდრე კლოცშე მათთან იმყოფებოდა. მხოლოდ იმისი ფიქრი, რომ გრეტენს შეეძლო უქმად ყოფილიყო, სიამეს გვრიდა მას. თორემ ახლა უფრო მოწყენილი იყო, ვიდრე წინდების კემსეისას, კლოცშე იქვე იჯდა, საკმელს ინელებდა და გრეტენს შესცქეროდა. გრეტენი კი ქვეშქვეშ იჭვრიტებოდა და იმაზე ფიქრობდა, თუ რამდენი აკლდა კლოცშეს მუცელს, რომ მამამისის დიპს დამსგავსებოდა. ნეტა მამას თუ შემთხვევითა რაიმე ჯვარისწერამდე? ჩანს რომ არა. დედაზე კი ზედმეტია ლაპარაკი, იგი სრულებით არაა თანამედროვე ქალი — თავისთვის მსჯელობდა გრეტენი, ამიტომაც, რომ დედაც და მამაც ასე დამშვიდებული ტოვებენ მას კლოცშესთან მართოდ-მართო. სხვათაშორის, კლოცშე სანდო მამაკაცია... ბოლოს და ბოლოს რა მიიღო დედამ ცხოვრებიდან? მართოდენ მამა... ეს მცირე იყო: დედა ყველაფერს მოთმინებით იტანს და ამიტომაც, რომ იგი ბებრუხუნასავით ჩამჯდარა სახლში და დღენიდავ მამის ხალათებს აკერებს. ნეტა ერთხელ მაინც თუ უღალატა მამას? — ასეთი ბნელი ზრახვებით აღსავსე გრეტენი თვალებით ზომავდა კლოცშეს მუცელს. ზმირად გრეტენი თვი-

თონვე იყო გაცეხული, იმის გამო, რომ ასეთი გონებამახვილი და გამჭმეტადეა; გამხდარიყო და ისეთი ფიქრები მოსდებოდა თავში — თითქოს იგი სრულებითაც აღარ იყო მიიზღვრასელი გრეტენს ჰესლინგი, ყველა ბავშვობიდან რომ იცნობდა. იგი სრულიად სხვა სამყაროდან მოსულ თავისთავად არსებას ჰგავდა. ეს შეგრძნება, და ყველაფერი ის რასაც გრეტენი ფიქრობდა, — ჰგავდა შორეულ მოკიადე ვარსკვლავს, რომელიც წარმოშობილი იყო მისი სისხლნაკლული, წყვილიადი მოცული გონების მიერ. გრეტენი განუწყვეტილად ამოქანებდა ისე, რომ პირს არ აღებდა. მას შეცვიდა; ხანდახან შეკრთებოდა კიდევ, როდესაც მის წინ ჰაერში მბრუნავ წრეხაზებს შეამჩნევდა, წრეხაზები ყოველთვის მაშინ ჩნდებოდნენ, როდესაც მას თვალთუნელდებოდა და გული მისდიოდა. „ესლა მაკლდა“, — ფიქრობდა იგი და ძალას იკრებდა.

ამის შემდეგ მამამისი და კლოცშე მზიარულად გაემართნენ ლუდის დასალევად. გრეტენს სურვილი ჰქონდა ყველაფრის შესახებ მოესაუბრა დედასთან. მაგრამ კერძოდ რის შესახებ? ბოლოს როგორც იქნა გამოძენა: „დედა, მეც უნდა კვამსო კლოცშეს ნახმარი წინდები? მამა ყოველთვის მე მაჩეჩებს თავის წინდებს და როდესაც ვეუბნები, რომ არ შემეძლია წინდების სუნის ატანათქო — იგი უჯიგროს მიწოდებს“.

III

ელზა ბაუმანთან გრეტენი უფრო გულახდილი იყო. იგი წინასწარმეტყველებდა, რომ როდესაც ცოლად გაჰყვებოდა კლოცშეს, დღეში სამჯერ წაუვიდოდა გული, — იმდენად უნიათოა კლოცშეო. ელზა ამის გამო გრეტენს უხსნიდა, რომ კლოცშეს სხვა ქალებთან აღბათ უფრო ცოცხლად უჭირავს თავი და გრეტენთან კი, როგორც მომავალ ცოლთან მხოლოდ მყუდროებას ეძებსო. ეს ძველი ისტორიაა.

ლოცში, სადაც ისინი სპექტაკლის

დაწყებას ელოდებოდნენ, ერთმანეთში ირთოდა ვარდისფერი, თეთრი და ლურჯი ფერის სამოსელი. გიმნაზიელები ცნობისმოყვარეობით უჭკრეტდნენ მათ ბინოკლებით; მაგრამ ქალიშვილები საინტერესო საუბრით იყვნენ გართული.

„როდესაც მამაკაცები იგემებენ ცხოვრების ყოველგვარს სიტკბობას“, — ლაპარაკობდა ელზა — „მხოლოდ ამის შემდეგ მოდიან ისინი ჩვენთან და ამიტომაც ჩვენ მარტოდ-მარტო ნარჩენები-ღა გვრჩება. აბა, როგორ უნდა ვიყოთ ამის კმაყოფილი? მე ძალიან კარგად ვიცი, თუ რატომ შეიძლება კვირიდან ასესორ ბაუციის მეუღლე, თვითონ დოქტორ ჰარნიშის ცოლიც აღიარებს, რომ მასაც ისეთივე დღე მოეღოს. შენ მხოლოდ წარმოადგინე — ჰარნიში მას თურმე ექვს თვეში მხოლოდ ერთხელ ეალერსება. ეს ხომ საშინელებაა? ამბობენ მშობლებმა თავიანთ ქალიშვილს ურჩიეს. მაღულად საყვარელი გაიჩინეო.“

„მართლაც რომ საშინელებაა! — კვერი დაუჭრა გრეტჰენმა, იგი ძლიერ აღგზნებული ჩანდა. ორივე ქალიშვილს სიძულვილით ანთებოდათ სახეები. მაგრამ, როგორც კი შენიშნეს, რომ მათ ადვოკატი ბუკი უთვალთვალეობდა, ყოველგვარი დაძაბვის გარეშე, სინაზისა და უმანკობის გამომეტყველება მიუღეს. წარმოდგენაც დაიწყო.

მოქმედების დამთავრების შემდეგ გრეტჰენმა ძლიერ მოასწრო უკვე ნახევრად გამდნარი შოკოლადის ჩაყლაპვა.

„ჩვენც შეგვიძლია გამოვიყენოთ უფლებები! განა ჩვენ არ გვინდა ქორწინებამდე ყველაფერი ვიგემოთ?! ჩემის აზრით, მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია დავიწყოთ უინტერესო ცხოვრება მეუღლესთან.“

„უკეთესია თუ სრულებით არ გავთხოვდებით“ — თქვა ელზამ. მაგრამ აქ უკვე გაითიშა მათი შეხედულებები. გრეტჰენმა გაიფიქრა: „არა, ჩემო კარგო, შენ მხოლოდ იმიტომ ამბობ ამას რომ საქმრო არა გყავს“. ხმაბალა კი თქვა:

„აი, ნახე კლოცემე როგორი ძვირფასი ბეჭედი მანქა. მასში ერთი ლალი

და შეიდი მარგალიტია. კლოცემე ისიც მიიხრა, — სიყვარულიც წიფელიაო.“
ელზამ წამით შეავლო თვალი ბეჭედს.

„ღიას, თუკი ასეთი რაღაცეებისათვის გავყვილით ჩვენ საკუთარ ბედნიერებას...“

„ბევრს ნუ ლაპარაკობ — თქვა გრეტჰენმა — შენც ასევე მოიქცეოდი“.

„მე ბერლინში წავალ და იქ მოვძებნი ვინმეს“.

მიუხედავად გრეტჰენის სიცილისა, ელზა იხტიბარს არ იტეხდა. განა მან თავი არ დაანება მოღების ეურნალი-სათვის ხატვას, რომელიც ქალთა პროფესიულ სკოლაში ისწავლა, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ეწინააღმდეგებოდა მის მრწამსს. რადგან იგი „რეფორმის“ მომხრე იყო, თავისი მრწამსის საწინააღმდეგოს არასოდეს არ ჩაიდენდა.

„...კარგი დაეუშვათ“, — თქვა გრეტჰენმა ბოლოს, მაგრამ, რადგანაც ისინი ამ დროს აღშფოთებულმა მყურებლებმა ჩააჩუმეს, გრეტჰენი იძულებული გახდა მთელი მეორე მოქმედების განმავლობაში გატრუნული მჯდარიყო.

„გახსოვს თუ არა, ვასულ სეზონში, თეატრის შესასვლელ კარებთან შტოლცენეკა რომ ვუცდიდით, მე ხომ თაიგული ვესროლე, სად იყავი მაშინ? შენ, რა თქმა უნდა, შეგეშინდა“.

„იი დროს ჩვენ ჯერ კიდევ ვოჯონები ვიყავით. მას შემდეგ მე ბერლინი მოვიარე, შენ კი დაინიშნე“.

ორივემ ამოიხრა; გაიხსენეს ის დრო, როდესაც მათ ერთდროულად უყვარდათ ბ-ნი ლეონ შტოლცენეკი. როდესაც მას უთვალთვალეობდნენ, უკან დასდევდნენ და უსახელო წერილებს წერდნენ. წერილებში ისინი აღშფოთებას გამოთქვამდნენ ზოგიერთი კრიტიკოსის გამო. გრეტჰენს შტოლცენეკის ავტოგრაფიანი სურათიც ჰქონდა; ეს სურათი მან იყიდა და შემდეგ შტოლცენეკს გაუგზავნა თხოვნით, რომ იგი წარ-

* ქალის ერთგვარი კაბის სახელწოდება.

წერით დაებრუნებინა ფოსტაში მოკითხვამდე „სტინქისი“ სახელზე. ნუთუ მას შემდეგ მხოლოდ ერთი წელი გავიდა?

„ოჰ, ღმერთო ჩემო, რა მშვენიერი დრო იყო!“ როგორც კი ჯვარისწერის დღე მოახლოვდა, გრეტქენმა სურათი გადაშალა.

„ერთხელაც იქნება მოვძებნი იმ სურათს, წარმოდგენილი მაქვს კლოცშეს სახე, როდესაც სურათს ვუჩვენებ.“

გრეტქენმა ჩიიკისკისა, ვილაც მოხუცმა ქალმა მოიხედა, მან კი სათნო სახე მიიღო და ჩურჩულით განაგრძო:

„საჭიროა კლოცშეს მოვუყუვე, რომ მე ურთიერთობა მქონდა ბ-ნ შტოლცენეკთან?... იგი მომაჯადოებელია. ო, ჩემო ლეონ!“ წარმოსთქვა მან მიბნედილი თვალებით, და მუჯღუჯუნი წაყრა ელზას. „განა დღესაც კვლავ მომხიბლავად არ გამოიყურება იგი? ლეონი კვლავ იდეალად რჩება, და მერე როგორი დახვეწილი მანერები აქვს! ახლა წარმოიდგინე კლოცშე! საცა სამართალია, ჩვენც უნდა ვიგემოთ ყველაფერი“.

„ღიპ, ჩვენც უნდა ვიგემოთ ყველაფერი!“ — მაშინვე დაეთანხმა ელზა.

„დავუშვათ, შენ დანებდი მამაკაცს, რომელიც გიყვარს, მაშინ უნდა მიხვიდე დანიშნულთან და გულახდილად გაანდო: მხოლოდ ერთხელ... ახლა უკვე გვიანაა, მე ვიგემე მიწიერი სიტყობება და დაგრაჩი მინიცი ისეთივე... ახლა როგორც გეუნებოს, ისე მოიქეცი“.

გრეტქენს გულისცემამ უმატა ასეთი შმაგი პერსპექტივის წარმოდგენისას

„შენ ფიქრობ, რომ ეს ნამდვილად შესაძლებელია?“ — შეეკითხა გრეტქენი

და გაიცინა, ისე როგორც ზღაპრის დამთავრებისას იცინიან ხოლმე, სადაც ყველაფერი კეთილად ბოლოვდება. მაგრამ ბოლოს და ბოლოს კლოცშეს რა ეშველება? იგი არც თუ მთლად ხელსაყრავია. ისინი გასასვლელისაკენ გაემართნენ. აქ ახალგაზრდობა ჯგუფ-ჯგუფად დასეირნობდა, ხითხითებდნენ, დასცილდნენ და არცხვენდნენ ერთმანეთს. გრეტქენი კი დაბნეული გამოიყურებოდა.

„ამასწინათ ყური მოვკარი, დედაჩემი რომ ეუბნებოდა მამას, ადვოკატ უფროჩეს ცოლს ურთიერთობა მქონდა ბ-ნ შტოლცენეკთან. გჯერა?“

„რატომაც არა, თუკი მას ქ-ნ ვენდეგასტთან ჰქონდა ურთიერთობა?“

„მე კი ვფიქრობ, დედამ ეს მხოლოდ იმიტომ თქვა, რომ ქ-ნმა ფრიჩემ ახალი შლიაპა შეიძინა, დედამ კი არა.“

სასადილოში მათ ძლივს-ძლივობით გააღწიეს, მიდიოდნენ და თან ჩურჩულდებდნენ. ყოლოს ღიმონათი დალიეს და ნამცხვარი შეჭამეს.

„თეატრში კი თურმე“ — თქვა ელზამ, — „არცერთი არ დარჩა რომელთანაც მას... გესმის?!“

„გარყენილები“, — ჩაისისინა ეკვისაგან გაბოროტებულმა გრეტქენმა. ნუთუ ყველას შეუძლია იბედნიეროს ბ-ნ შტოლცენეკთან, მას კი არა? გრეტქენმა უფრო მტკიცედ გადასდგა ნაბიჯები. გასასვლელში მას კლოცშე შემოხვდა — გრეტქენმა მეოცნებე სახით შესციცინა.

IV

ღილით ქალბატონმა ჰესლინგმა ძლივს წამოაგდო საწოლიდან გრეტქენი. მან ღამის პერანგის ამარა მიიღობინა წერილების ყუთთან.

„რას ეძებ? რა უნდა იყოს შიგ?“

გრეტქენმა თვითონაც არ იცოდა. იგი ყავას ნელ-ნელა წრუბავდა და თან ფარულად რომანს კითხულობდა. ნათურის წმენდას რომ მორჩა, ნავთიანი ხელებით პირდაპირ სამზარეულოში შეიღობინა, რათა გაეგო თუ რა მზადდებოდა სადილად. მხოლოდ და მხოლოდ გერმანული ბიფშტექსი და ყვავილოვანი კომპოსტო? გრეტქენი რაღაც არაჩვეულებრივს მოელოდა.

ბოლოს, როდესაც გრეტქენმა სახლიდან გამოსვლა გადაწყვიტა, მოძალებული გულის ცემა იგრძნო, თითქოს გული ამოვარდნას ღამობსო. ვიდრე კარის ზღურბლს გადააბიჯებდა სული მოითქვა. რამდენი რამ შეიძლება მომხდარიყო დღეს.

მალაზიაში საყიდლების ნახევარი დაავიწყდა და ყველაფრისთვის ხელმეორედ უხდებოდა დაბრუნება. ხოლო პირველ საათზე იგი მოულოდნელად თეატრთან გაჩნდა; ის იყო რეპეტიციად დამთავრებულიყო. ბ-ნი შტოლცენევი კბეებზე ჩამოდიოდა. პალტოს საყელო აწეული ქონდა. იგი მსახიობ ქალებთან, რომლებთან და პოპისტან ერთად მოდიოდა და რაღაცაზედ ხმამაღლა იცინოდა. როშე მას მკლავზე ურტყამდა ხელს. გრეტენი პირდაპირ შტოლცენევისაკენ გაემართა, ოდნავ კიდევაც გაუცინა და თავი დაუკრა. როგორც კი გრეტენმა მათ გვერდით ჩაუარა, იგრძნო, რომ სახეზე მას მწარე ღიმილის ნაკვალევი დარჩენოდა და არ გააკვირვებია, როდესაც ორივე ქალის სიცილი მოესმა. ქალები მანამდე იცინოდნენ, ვიდრე სუნთქვა არ შეეკრათ. გრეტენმა კი გაიფიქრა, — ჩემთვის ახლა ყველაფერი სულერთიაო და გზა განაგრძო. უცბად ზურგს უკან ნაბიჯების ხმა მოესმა. გრეტენმა ფეხს აუჩქარა. სკვერამდე მიიღწია. ქალაქის ბალი სწრაფად გადაჭრა. მთელი ამ ხნის განმავლობაში პირილია ჰქონდა და თვალბში შემპარწყუნებელი სიცარიელე ჩასდგომოდა. იქვე დასეირნობდა ბ-ნი ვილმარ ბაუცი და იმის ნაცვლად, რომ გრეტენს მის მკვირცხლ სალამზე სალამითვე ეპასუხენა, მავედრებელი თვალბით ჩააშტერდა სახეში.

მსახიობის ფეხის ხმა სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა. უცებ გრეტენმა მხრები აიჩჩა, რადგანაც შტოლცენემა — „ქალიშვილო!“ დაუძახა დაბალ ხმაზე. ახლა სწორედ ისევე დაემართა მას, როგორც ერთხელ სკოლაში; მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ სენსაცია მოეხდინა, გრეტენმა თავშეუჯავებელი სისულელე ჩაიღინა და მასწავლებელს დაექყანა; ამის გამო იგი მოულოდნელად შემპარწყუნებელი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა, მასწავლებელმა ყოველივე ეს სერიოზულად მიიღო და ამას კუდი შედეგაც მოჰყვა.

ახლა საით წავიდეს? მხოლოდ ერთ პატარა დაქანებულ ბილიკს შეეძლო გრეტენის გადარჩენა; ბილიკის ბოლოში, ქალაქის პარკთან, მდებარეობდა აუზი და საპირფარეოები. შეიძლება მან კუთხესთან მოახერხოს თავის დაძვრენა?... მაგრამ არა! ბილიკზედაც ფეხდაფეხ მისდევდა შტოლცენევი. ახლა კი დაიღუპა გრეტენი? იგი ან საპირფარეოში უნდა შესულიყო, ან არა და აუზში გადაშვებულიყო. გრეტენმა უკანასკნელი ნაბიჯი საპირფარეოსაკენ გადადგა, მაგრამ ამ დროს ბ-ნი შტოლცენევის ხმაც შემოესმა:

„ქალიშვილო, კი მაგრამ, ეგ ხომ ქალებისთვის არაა განკუთვნილი“.

გრეტენი შემოტრიალდა, ამოიხრა და იმედდაკარგულს გაეცინა. მას არასოდეს არ ენახა ვინმეს სახეზე ასეთი საშინელი ქედმაღლობა, როგორც შტოლცენევის სახეზე აღბეჭდილიყო. შტოლცენევი ხმას არ იღებდა, მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებდა ისე, რომ მისი თეთრი სწორი კბილების გამოჩენა გრეტენს თავბრუს ახვევდა. შტოლცენემა ცილინდრი ოდნავ ასწია და ქალთან ერთად შემოტრიალდა.

„ალბათ... — თქვა მან და შეჩერდა, ქალის მხარეს გადაიხარა და ისეთი სახე მიიღო, რომ გრეტენი იძულებული გახდა თვალბი მოეხუჭა. — „ალბათ, იმიტომ ვაგიწიათ გულმა იქეთკენ, ქალიშვილო, რომ ისინი ბ-ნმა მამათქვენმა ააშენა? ხომ მართალი ვარ, ქალიშვილო ჰესლინგ?“

გრეტენმა თვალბი დააჰყიტა. შტოლცენევი გრეტენს იცნობდა, ეს ქალის მდგომარეობას რამდენადმე ამსუბუქებდა.

„ღიახ“, — არც თუ სიამაყის გარეშე უპასუხა ქალმა, — „ყველაფერი ეს მამამ გააკეთა. ჯერ იყო და მაგისტრატში შეიტანა თხოვნა და შემდეგ თვითონვე იკისრა მისი აშენება. მამას ეხერხება ასეთი საქმეები“ და — გრეტენმა მედიდურად დახარა თავი.

„ამის გარდა, მას ისეთი მომავალდობელი ქალიშვილი ჰყავს, რომ ეს თითქ-

მის მეტისმეტიცაა ერთი ადამიანისათვის!“

„ამას თქვენ ყასიდად ამბობთ! — შენშნა გრეტქენმა თითქმის გამოიწვევად. გრეტქენი გრძნობდა, რომ ფრთები შეესხა. რაც არ უნდა მომხდარიყო, ველარაფერი ველარ შეაკრთობდა მას.

„პატიოსნებას ვფიცავ, შეგიძლიათ მენლოთ“, — თქვა შტოლცენეკმა. გრეტქენმა თავი ოდნავ გვერდზე გადასწია და იჩქითი მზერა ესროლა შტოლცენეკს.

„ვინ დაგიჯერებთ!“

„მე თქვენ დიდხანია შეგამჩნიეთ. თქვენ ხომ ის ტურფა ქალიშვილი ბრძანდებით, რომელმაც გებელქენშტრასეზე, ამას წინათ, ფანჯრიდან თავი დამიქნია და მტერის საწმენდი ჩვარი ჩამომიგდო.“

გრეტქენმა ტუჩებზე იკბინა.

— „არა, მე მაიხეშტრასეზე ვცხოვრობ.“

მაგრამ შტოლცენეკმა მიამიტად და მომხიზლაყად შეინშნა:

„მე სულერთია, გებელქენშტრასეა თუ მაიხეშტრასე. ყოველშემთხვევაში მე თქვენ კარგად მახსოვხართ, ამაში ეჭვი არ შეპარება.“

გრეტქენმა მას გაუცინა და წამწამებზე მადლობის ნიშნად ცრემლები აუბრწყინდა. შტოლცენეკი უცებ გამოიცივლა. მას მზერა სხვაგან გაურბოდა; ხელი ხან ცილინდრისაკენ გაეჭყეოდა, ხან კი ჰაერში რჩებოდა გაშეშებული. თავის ვიწრო და გრძელკალთებიან პალტოში მოუსვენრად ტრიალებდა; ზოგჯერ გაიცინებდა, მაგრამ სიცილზე ეტყობოდა, რომ ეს სიმწერის სიცილი უფრო იყო. გრეტქენს ვერც კი წარმოედგინა, თუ შტოლცენეკს ასეთი ვიწრო სახე ჰქონდა და ცხვირიც ასეთი ჩაჭყლუტილი. ქოჩორსაც, რომელიც ცილინდრს დაეშალა, კარგად სცნობდა გრეტქენი. ტუჩები შტოლცენეკს უსიამოვნო ჰქონდა. ისინი ისეთნაირად მოძრაობდნენ მის ვიწრო სახეზე, როგორც თოვზე მოცეკვავე ჯამბაზები. მაგრამ როგორი თვალეები ჰქონდა ბნ შტოლცენეკს! მის ფერმკრთალ და ოდნავ მსუქან სახეზე

ერთი შეხედვითვე თვალში გეცნობოდათ შავი წამწამები და წარბები, ყოველრვე ეს ისეთი მშვენიერი რამ იყო, რომ აღამიანს შეიძლება სიტკბოების ტივილიც ეგრძნო. როდესაც შტოლცენეკი, ზემოდან ქვევით გულმოდგინედ ათვალიერებდა გრეტქენს და ღამესავით ბნელ თვალეებზე შავ წამწამებს ხრიდა, გეგონებოდათ თითქოს მინდორში თავდახრილი ძეწნები იდგნენ. „ჯუჯა კაცუნებს გაუშართავთ მათ ქვეშ ფერხული“ — გაახსენდა გრეტქენს სიმღერა. ბნ შტოლცენეკის თვალეები სევდის მომგვრელ სანახაობას წარმოადგენდა. ჩანდა, რომ მას მრავალი ჰირ-ვარამი გადაეტანა. გრეტქენს გაურკვეველი სურვილი გაუჩნდა, როგორმე ენუგეშებინა შტოლცენეკი. შტოლცენეკმა უფრო ადრე ამოიოხრა, ვიდრე მას გრეტქენი რაიმე სასუგეშოს ეტყოდა.

„ღიახ, ქალიშვილო, თქვენ რიგიანი მშობლები გყავთ. ნაცნობობაც, ალბათ, მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესო ოჯახებთან გაქვთ დამყარებული. ჩვენისთაინები, როგორც კი ქალაქში ფეხს შემოდგამენ, მაშინვე ატყდება ქუჩებში აურზაური, ქალეები მთელი ხმით გააკივიან ხოლმე: „მეზობელო! თეთრეული აკრიფე, კომედიანტები მოდიან.“

„მე სისულელეა,“ — გულწრფელად შეინშნა გრეტქენმა.

„ღიახ, თქვენ ასე ამბობთ, მაგრამ აბა ერთი სცადეთ და სთხოვეთ დედოცოს, რომ მიმიწვიოს თქვენთან სახლში. იმ დღეს თქვენ ნამდვილად ჩვეულებრივზე ორჯერ მეტი წინდების ამოკეშვა მოგიხდებათ.“

გრეტქენმა თავი დახარა, შტოლცენეკი სრულ სიმართლეს ამბობდა.

„მე აქ მხოლოდ და მხოლოდ ჭნ ვენდეგასატან დავიარები.“

„ჰო, მართლა, — სწრაფად უპასუხა გრეტქენმა, — იგი ხომ ისეთია...“

„აი, ხედავთ, ასე იმიტომ ამბობთ, რადგანაც მას ჩვენთან, — მსახიობებთან — აქვს ურთიერთობა.“

გრეტქენმა რაღაც წაილულლულა და ხეულა აუტყდა. მამასადამე ჭნი ვენდე-

გასტი სრულებითაც არ ყოფილა ისეთი, რომლის შეხვედრასაც უნდა გავუბრუნდეთ! გრეტკენმა, რომელიც ჭეფენილზე მსახიობის გვერდით მიაბიჯებდა, მოულოდნელად ჩაიხედა მისთვის სრულიად უცხო სამყაროში, რომელშიაც ცხოვრებას, თვითონ იგი, სხვებთან ერთად, დიდხნის განმავლობაში უშეძლებს გამბედაობად და ამავე დროს მიუწვდომელ სფეროდ თვლიდა.

მერე და, როგორი ახალი იყო მისთვის ეს ცხოვრება! — ბნი შტოლცენეკი კი განაგრძობდა.

„მადლობა ღმერთს, რომ შეხედულე მსახიობზე ყველგან ისეთი ჩამორჩენილი არაა — როგორც აქ. მაგალითად, ვენაში, ძვირფას საზოგადოებაში გვიხდებოდა ტრიალი.“

„თქვენ იქაურ თეატრშიც თამაშობდით?“

„დიახ, სახელმწიფო თეატრში. მე რასაკვირველია, სრულებით არ მჭირდება, რომ ამ უსუსურ დასში ვტრიალებდე, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმის ბრალია, რომ მსახიობს ჩვეულებად აქვს — ხეტიალი.“

„რა საინტერესოა, ალბათ, მსახიობობა“.

„დიდებული საქმეა, ქალიშვილო. მაგრამ, მგონია, რომ თქვენ აღარც მოისურვებთ ჩემთან ერთად წამოსვლას. აი, უკვე ქუჩები იწყება და ხომ შეიძლება რომელიმე ნაცნობმა დაგინახოთ კომედიანტთან ერთად“.

გრეტკენს სახე აელანძა. მან თვალები ისეთნაირად გადაატრიალა, თითქოს სურდა თავი დაეცვა საშინელი ბრალდებისაგან; მაგრამ ყოველივე ეს სიმართლე იყო და მას არ ძალუძდა მისი შეცვლა.

„თავი დანებეთ ამაზე ფიქრს“, — თქვა ამ დროს შტოლცენეკმა, — „მე სრულებით არ მეწყინება ეს. ახლა დამშვიდებული წაბრძანდით სადილის საქმელად. შესაძლოა, მეც ვინმე გამიმასპინძლდეს ერთი თეფში წვნიანით“.

„ოო! თქვენ ფული არა გაქვთ?“

„არა! პირიქით!“ და მან გაიცინა.

„ფული საიმედო წამოწყებებში მაქვს დაბანდებული. ეს ძალიან საჩუქრის საქმეა, ქალიშვილო. სხვათა შორის, იქნებ ჰკითხოთ თქვენ პატივცემულ მამას, — ხომ არ სჭირდება მას მდივანი? მე არაჩვეულებრივი სტენოგრაფისტი ვარ!“

„მაგრამ თქვენ ხომ ხელოვანი ხართ?“

„დიახ, რასაკვირველია! ასე საშინლად რამ შეგამინათ? დღეს საღამოთი ვთამაშობ პიესაში, რომლის სათაურია „გაკოტრება“, ამიტომაც მთელი დღე — როლში ვგრძნობ თავს. ამას ვარდა, ჩემი წარმოშობა მიკრძალავს... მე საექვო წარმოშობისა ვარ“.

გრეტკენი კრძალვით შესტკეპროდა შტოლცენეკს. იგი კი შემწყურებლური ხმით განაგრძობდა:

„ჩვენ კვლავ შეხვდებით ერთმანეთს. საჭიროების შემთხვევაში მომწერეთ, თქვენ, ალბათ, იცით სადაც ვცხოვრობ?“

რამდენჯერ უთვალთვალა გრეტკენს მისი ფანჯრისათვის. ერთხელ კი, თუმცა ამას ელზა ბაუმანის გარეშე ვერ გახედავდა, — გრეტკენი შტოლცენეკის სახლის კიბეებზე ავიდა და მის კარებთან ილოცა კიდევ. ამის გახსენებაზე გრეტკენმა მუხლებში სისუსტე იგრძნო, უფრო გაფითრდა და თვალები შტოლცენეკს მიაპყრო. მან კი იმავე წუთს ქალს თვალი მოარიდა. ცილინდრს ხელით შეეხო, იმედი გამოსთქვა, რომ კვლავ შეხვდებოდნენ ერთმანეთს და ვიდრე გრეტკენი ფიქრობდა, ელეგანტურად და მსუბუქად გაეცალა იქაურობას.

V

„სადილზე რატომ დამაგვიანდა? პო, დედიკო, პირველის ნახევარმდე მკერავთან შევრჩი, — შემდეგ კი დოქტორ პარნიშის მეუღლეს შევხვდი. შენც კარგად იცი, როგორი ჭორიკანაა.“

ქ-ნ ჰესლინგს სიბრაზე დაუცხრა.

„რა გითხრა?“

გრეტკენი სრულებით არ დაფიქრე-

ბულა ტყუილის სათქმელად, მას მხოლოდ დღეს აეხილა თვალები. მოულოდნელად მისი ცხოვრება გახდა არაჩვეულებრივად საინტერესო; მას ახლა ჰქონდა ერთი საიდუმლო, ერთი იღუმბალი სფერო, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნოდა და რომელსაც ვერაფერ ვერ მისწვდებოდა. მას გული ისე ელეოდა, თითქოს ციკურებით მისრიალებდა ქალაქის პარკში; თხრილის გასწვრივ, სადაც ნაპრალი ეგულებოდა. ქ-ნებს როშა და პოპის შეეძლოთ გრეტქენის შესახებ ქ-ნენდევასტისათვის მოეთხროთ. მათილდა ბენშაყ შეეძლო ფანჯრიდან დაენახა ყოველივე ეს. შემდეგ კი ყველასათვის ცნობილი გახდებოდა გრეტქენისა და შტოლცენეკის ურთიერთობა. და რა თქმა უნდა, ისინი ინტიმურ ურთიერთობად მონათლავდნენ ამას. „მეც დავიჯერებდი“, — გაუტყდა თავისთავს გრეტქენი. მას მოეჩვენა, რომ ყველაფერი ეს ნამდვილი იყო. შტოლცენეკის ყოველ გახსენებაზე გული გამალებით უცემდა. ყველაფერი, რაც შტოლცენეკმა მას უთხრა, ქალის მეხსიერებას ზედმიწევნით შემოენახა.

„რატომ გაწითლდი?“ — ჰკითხა ქ-ნმა ჰესლინგმა. — „მამამ სულ სხვა აზრით გათხრა!“

გრეტქენს არცკი გაუგონია, რა თქვა მამამ და კიდევ უფრო გაწითლდა. ყოველ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობა, მათილდა ბენში მასზე რაიმე ჭორს გაავრცელებდა, გრეტქენსაც შეეძლო სამაგიეროს გადახდა. აქ მას კვლავ ჩაესმა შტოლცენეკის ხმა: „ქალიშვილო, ეგ ხომ ქალებისთვის არაა განკუთვნილი“. ამ სიტყვებს იგი ისე ნაზად და მომხიბლავად ამბობდა პირისპირ დარჩენილ გრეტქენთან, როგორც ეს მხოლოდ და მხოლოდ ლონს შეეძლო. უცებ გრეტქენს მოეჩვენა, თითქოს ლონთან ერთად თამაშობდა სცენაზე, მართლაც და ხომ შეიძლება — მსახიობობის ნიჭი აღმომაჩნდეს? რატომაც არა, რითი ვარ სხვებზე ნაკლები? მაგრამ როგორ შევიტყო? მან თავის წარმოსახვაში კიდევაც გაიგონა საკუთარი დახვეწილი და

ნატიფი ხმა. რა აქვს საერთო მას ახლა კლოცშესთან კლოცშესთან ერთმანადა მუდამ ცერა თითს მუცელზე ანამაშებს, ყოველთვის სიტყვის ნახევარს ყლაპავს, ოთახშიც ისე ვერ შემოეტევა, თუ კარებში არ გაეხირა.

„ღედა, მე ვერ ვიცეკვებ ჩემს ქორწილში კლოცშესთან ერთად, იგი ყოველთვის მუცლით მეჯახება“.

„ნუ ხარ ასეთი უგულო“. — მოითხოვა გაგულისებულმა ჰესლინგმა და გრეტქენიც უსიტყვოდ დაემორჩილა.

მაგრამ კლოცშე მას უკვე აღარ იზიდავდა.

როდესაც კლოცშე და გრეტქენი მართოდმართო ისხდნენ ოთახში, ქალიშვილმა დაიწყო:

„აი რა, ზოფუს, იცოდე, რომ მე თანამედროვე ქალი ვარ და შენს ქუთაზე ვერ მატარებ“.

და რადგანაც შეატყო, რომ ამ სიტყვებმა კლოცშეზე სრულებითაც არ იმოქმედა, განაგრძო:

„მე მსურს ყველაფერი განვიცადო. ნუ ფიქრობ, რომ მე განზრახული მაქვს მთელი ჩემი ცხოვრება ოთხ კედელში გავატარო. საქორწინო მოგზაურობას აუცილებლად ბერლინში მოვაწყობთ. პირობა მომეცით, რომ ქალაქის ყველა კაფე — რესტორანს მიჩვენებ. ნუ იკატუნებ თავს, თითქოს დალლილი იყო, — პასუხი გამეცი“.

გრეტქენის შეუბრალებელმა გამოხედვამ კლოცშე დააბნია, მაგრამ იგი იძულებული იყო ყველაფერი მოეთხრო, რაც კი ბერლინის შესახებ იცოდა. კლოცშე ზანტად ლაპარაკობდა და თანაც სიფრთხილეს იჩენდა. გრეტქენმა მაინც ჩაიჭირა იგი:

„მთავარი დაგაეწედა. აბა, აბა! საროსკიპოების შესახებ? დაიფიცე, რომ იმათაც მაჩვენებ!“

კლოცშე პასუხს აყოვნებდა. იგი შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ გრეტქენმა მოუჭრა:

„შენ ყოველივე სიკეთესთან ერთად ფილისტერიც ყოფილხარ?“ და კლოცშე დაუფიქრებლად შეპირდა საროსკიპო-

საც გაჩვენებო. საკუთარმა გამბედაობამ დაათრო გრეტქენი.

„ფილისტერი, ფუ, რა საზიზღარი ხარ! ასეთი მე არ მინდინარ! საერთოდ, ჩვენ, ქალებმა, ყველაფერი უნდა ვიგემოთ, ისევე როგორც თქვენ. დროს ატარებთ, როგორც მოგვპირანებათ და ჩვენთან მაშინ მოდიხართ, როდესაც თქვენგან უკვე აღარაფერია დარჩენილი. სწორედ ამის გამო შეიშალა კუჟიდან ასესორ ბაუცის მეუღლე. ვიდრე თქვენ ასეთ ყოფაში ხართ, ჩვენც იძულებული ვიქნებით თქვენსავით საყვარლები გავიჩინოთ, და შენთვის, ჩემო კარგო, როგორც ჩანს ეს სულერთი უნდა იყოს“.

„არა, კრეტქენ, არა!“ —

კლოცზე გონს მოეგო.

„ეს ჩემთვის სულერთი არ იქნება. ასე თუა, შენ სხვა საქმრო უნდა მოგვძებნა და არა სათადარიგო ლეიტენანტი“.

გრეტქენმა ტუჩები მოიკვინტა, სადაც კლოცზე საზოგადოებრივ აზრს ეყრდნობოდა, იქ იგი შეურყეველი იყო.

მეორე დღეს, შუადღისას, ელზა ბაუშმანი ჰესლინგების ოჯახს ეწვია. მას სურდა გრეტქენის ქორწილზე მიეწვიათ, გრეტქენმა უთხრა:

„ელზა, მე კიდევ კარგად უნდა დავუფიქრდე, გავყვე თუ არა ცოლად კლოცშეს. იგი ხომ რამდენადმე ჩამორჩენილი აღამიანია: მას არ სურს, რომ მეც თავისუფლად ვიცხოვრო“.

ელზამ გრეტქენის მსჯელობა სამართლიანად სცნო და ურჩია კიდევ კლოცშეს მიტოვება.

„რაც შემეხება მე, ბერლინში წავალ და იქ მოვქებნი ვინმეს“ — თქვა ელზამ.

გრეტქენი თითებს იმტვრევდა, ბოლოს გადაწყვიტა:

„გინდა რაღაცა მოგიყვე?“

და გრეტქენმა ყველაფერი დაუფქვა, რაც შტოლცენეტან გადახდა. ელზას თავდაპირველად არ სჯეროდა, შემდეგ კი წამოიყვია:

„აი სერიც ამას ჰქვია!“

„რა ამბავია? რა გაციინებს? — ჰკითხა განაწყენებულმა გრეტქენმა.

„არაფერი!“ — და ელზამ სიხარული

დამალა, — „მე მხოლოდ კლოცზე დადარდებს. ასე მოუხდება მას“.

„იქედან ხომ არაფერია გამოგყვამი“ — მე ამოოხვრით შენიშნა გრეტქენმა.

„როგორ თუ არაფერი? — გაიქციე შენს ლეონთან ერთად! — ჰო, რას მომშტერებინარ. როდესაც მშობლებისაგან შორს იქნებით, მაშინ თქვენები ლეონთან ქორწინების ნებასაც დაგრთავენ. კლოცზე კი დარჩება პირში ჩალაგამოვლებული და ატყდება ერთა ამბავი.“

გაკვირვებული გრეტქენი იცინოდა; სიტყვას ვერ ამბობდა, ფიქრსაც ვერ ბედავდა. მთელი ღამის განმავლობაში იგი თავის-თავს ებრძოდა. აფორიაქებულს ძილში მამა დაესიზმრა, რომელიც მას ლანძღავდა ისეთი უშვერი სიტყვებით, მისგან რომ არასოდეს სმენია. დედა ხელებს იმტვრევდა, როგორც მსახიობი; თავზე მუხდირში გამოწყობილი კლოცზე დასდგომოდა. მათ უკან იდგა მთელი ქალაქი, რომელიც გრეტქენს ემუქრებოდა. მაგრამ ამ დროს მის წინ გაიელვა შტოლცენეტის სახე, მისმა ხელებმა, რომლითაც ცილინდრი მოიხადა. ამან კი ყოველგვარი მოჩვენება გაფანტა. გრეტქენი საწოლიდან წამოდგა და წერა დაიწყო. იმ წუთას მან იგრძნო დაუოკებელი სურვილი, დღესვე კვლავ ენახა შტოლცენეტი. იგი თვითონ მიმიხვდებოდა, — „სად შევხვდე?“ — ფიქრობდა გრეტქენი. რაც შეიძლება შორს, ყველასაგან განცალკევებით. სხვა უფრო შესაფერისი ვერ მოიფიქრა. და შემდეგ მის თვალწინ მშვენიერმა მოგონებებმა გაიჩინა. კვლავ გაისმა შტოლცენეტის ხმა: „ქალიშვილო, ეს ხომ ქალებისთვის არაა განკუთვნილი“. და გრეტქენმა დაწერა:

„კვლავ საპირფარეშოსთან“.

გრეტქენმა სახლში თქვა, რომ ბენზინისთვის სჭირდებოდა ფული. ეს ფული შიკრიკს გადაუხადა და შინ დაბრუნებულმა განაცხადა, ბოთლი გამოიტყდაო. პირველის ნახევარზე გრეტქენი დანიშნულ ადგილას გაჩნდა, მაგრამ უკვე პირველი საათი სრულდებოდა და

შტოლცენეკი არ ჩანდა, ორის ნახევარზეც რომ არ გამოჩნდა მსახიობი, გრეტქენი ატირდა. შესაძლებელია შტოლცენეკს გრეტქენი უკვე აღარ უყვარს? მიუხედავად ამისა, ორი საათი რომ შესრულდა, გრეტქენმა მაინც გადაწყვიტა შტოლცენეკთან ერთად გაქცეულიყო. შტოლცენეკი ამას აუცილებლად ჩაიდენს, რადგან მაშას ბევრი ფული აქვს, და დედა ხომ ამბობს, — სიყვარული ქორწინების შემდეგ მოდისო. სამის ნახევარზე გრეტქენმა ყოველგვარი იმედი დაჰკარგა. სამ საათზე, როდესაც გრეტქენმა ხელთათმანები გაიძრო და სწორება დაუწყო, რათა ისინი არ დაჰმუქნულიყო, მის წინ მომღიმარი შტოლცენეკი აღიმართა.

„ღმერთმანი, არც კი ვიფიქრებდი თუ თქვენ ამ დრომდე აქ იქნებოდით. ბოდინში, ძლიერ დიდი ბოდინში. რეპეტიციამ სწორედ დღეს გასტანა სამ საათამდე. არასასიამოვნო ამბავია“.

გრეტქენი ბედნიერებისაგან მთლად დადნა. სახეზე მღელვარება დაეტყო. მხოლოდ რეპეტიცია? ე. ი. ყველაფერი რიგზეა, მაგრამ შტოლცენეკი მის მხერას გაურბოდა; დაბნეული წინ და უკან დადიოდა და ხშირად ახველებდა. ამბობდა, თითქოს ძალიან ცოტა დრო ჰქონდა. მეორე წუთს კი მან გრეტქენი რესტორანში მიიპატიჟა, მაგრამ მაშინვე გაახსენდა, რომ ეს შეუძლებელი იყო მისთვის და ზომიანე მეტად ხმამაღლა გადაიხარხარა.

„თქვენ ეს სასაცილოდ მოგეჩვენებათ, ქალიშვილო, მაგრამ ხომ არ შეგიძლიათ მასესხოთ ოცი მარკა? ღმერთო ჩემო, როგორ შეგეშინდათ. ფულის სესხება ქალისაგან, რომელსაც ეთაყვანებოთ, რასაკვირველია, უხერხულია, უაღრესად უსიამოვნო საქმეა... ჩვენ შეგიძლია უკან დავბრუნდეთ, როგორც აქ იტყვიან, შინისაკენ მოვესვით! ხომ ასეა?“

შტოლცენეკი დღეს განსაკუთრებით ხშირად წაეტანებოდა ხოლმე ცილინდრს და მოუსვენრად ბრუნავდა თავის ვაწრო პალტოში. მის გაფითრებულ სახეზე

ტუჩები განუწყვეტლივ მოძრაობდა, მაშინაც კი, როდესაც იგი დუმდა.

„ქალიშვილო, თქვენ ლამაზი ხელეწი გაქვთ!“ — იგი შეჩერდა, გრეტქენის ხელი აიღო, ისე თითქოს მისი საკუთრება ყოფილიყოს.

„რა მშვენიერი ბეჭედი!“

შტოლცენეკმა გრეტქენს ბეჭედი წააძრო და თვითონ გაიკეთა.

„როგორ გგონიათ, არ მიხდება?“

და თან გაიცინა, გრეტქენი კი ძალზე გაწითლდა. რასაკვირველია შტოლცენეკი მიხვდა, რომ ბეჭედი კლოცშეს ნაჩუქარია, — ფიქრობდა იგი, — ალბათ, ის დამცინის.

„გამოვიდე დღეს საღამოთი სცენაზე ამ ბეჭდით? თქვენ აუცილებლად უნდა მნახოთ, ქალიშვილო, პიესა მეტისმეტად პიკანტურია. მაშ გადაწყვიტე, მე გამოვიღვიარ ამ ბეჭდით! ნახვამდის. ამის იქეთ ერთად ნუ წავალთ თორემ დაგვიანახვენ. ნახვამდის!“

VI

გრეტქენს უნდოდა რაღაც ეთქვა მისთვის, მაგრამ განცვიფრებულმა მხოლოდ თვალი გააყოლა მას; შემდეგ თითს დახედა, საცა ბეჭედი ჰქონდა გაკეთებული და მძიმედ ამოიოხრა. აი, იგი წავიდა და ითამაშებს პიკანტურ პიესაში. კარგადაც დამცინებს, — ასეთი არიან მამაკაცები. შტოლცენეკი იმას არად დაგიდევდა, თუ როგორ უნდა აეხსნა გრეტქენს სახლში სადილზე სამი საათით დაგვიანების მიზეზი და ამასთან ისიც; თუ რატომ აღარ ჰქონდა მას ბეჭედი. გრეტქენი სახლში შეწუხებული სახით მივიდა და თქვა, რომ იგი ამ ხნის განმავლობაში იმყოფებოდა კლერჰენ პარნიშთან. კლერჰენი ისე ავდაა, რომ გრეტქენს საღამოსაც მოუხდება მასთან ყოფნა. და გრეტქენმა ტირილი ამოუშვა. დედას ისღა დარჩენოდა, რომ შეიღი ენუგეშებინა. ბ-ნი შტოლცენეკი დღეს სრულებით არ იყო თავაზიანი, გრეტქენმა ვერც კი მოახერხა ეთქვა მისთვის სახლიდან გაპარვის შესახებ. შტოლცენეკი დაბნეული ჩანდა და ჩქარობდა.

შეიძლება, მას ჩემთან მოეწყინა? გრეტ-
ქენი შეშინდა. მშვენივრად ვიცი, რომ
სულელი ვარ, ის კი ცნობილი ადამიანია.
გრეტქენმა გატანჯული ხმით ფული მო-
ითხოვა, ვითომდა კლერქენისათვის ტო-
კაური ღვინო უნდა ეყიდა და თეატრი-
საკენ კი გასწია. იგი არავითარ უხერხუ-
ლობას არ გრძნობდა და არც ის შეუძი-
ნევია, რომ თეატრში ერთადერთი ახალ-
გაზრდა ქალიშვილი იყო, და რომ მის
შესახებ ყველანი ლაპარაკობდნენ. იჯდა
თავისთვის წინა რიგში და გამტერებუ-
ლი შეკუთრებდა შტოლცენეკს. მსა-
ხიობს უნდა შეემჩნია იგი, მაგრამ
შტოლცენეკი მას განზრახ არ უყურებ-
და. მსახიობს თითებზე ბრილიანტის
ბრჭყვიალა ბეჭდები ეკეთა, ხოლო
გრეტქენის ლალის ბეჭედი არსად ჩანდა.

მოტყუებული, მიტოვებული და და-
ბეჩავებული გრეტქენი დასაძინებლად
წავიდა. მას ტირილის თავიც არ ჰქონდა.
მანასადამე, შტოლცენეკმა მას დასცინა.
რასაკვირველია, იგი დილით ბეჭედს და-
უბრუნებს, შეიძლება მას თან ბარათიც
მოჰყვეს გენიალური ხელწერით: „ქა-
ლიშვილო, როგორ მოგეწონათ თეატ-
რი?“ — და შემდგომ ამისა ყველაფერი
გათავდება. მთელი დილა გრეტქენი თა-
ვის ოთახსა და საფოსტო ყუთს შორის
დარბოდა. მაგრამ ამოდ, ბ-ნი შტოლცე-
ნეკი უფრო უღმობელი გამოდგა, ვიდ-
რე ეს გრეტქენს წარმოედგინა. შტოლ-
ცენეკს ხომ შეეძლო ეფიქრა თუ რა გა-
საჭირი ადგა მას ბეჭედის უქონლობის
გამო. ხელის ყოველ მოძრაობაზე თითს
კაკვავდა. გამბრაზებულმა წერილი დაწე-
რა. პასუხისათვის იმავე საღამოს მიაცი-
თხა ფოსტას; მაგრამ ბარათი მეორე
დღესაც არ ჩანდა: ჰო, ჩემთვის გასაგე-
ბია, არ უნდა შემეწუხებინა იგი, სულე-
ლი, გოგო ვარ, სულელი, ისეთ დიდ
მსახიობს, როგორიც შტოლცენეკია, ჩე-
მი ბეჭედის დარდი არა აქვს. იქნებ დაა-
ვიწყდა კიდევ. და მან კვლავ დაწერა
მეორე წერილი, ძალიან მოკრძალებუ-
ლი. ამჯერად ნამდვილად აღმოჩნდა
ყუთში პასუხი: აღელვებულმა ხელი
დაავლო ბარათს. ბწყარები ერთმანეთში

იროდა. გრეტქენი დაელოდა, ვიდრე
ხაზები თავთავიანთ ადგილს დაემტრდა.
ბოლოს, როგორც იქნა, წავიფრებინა

„პატივცემულო ქალიშვილო!

ჩემს გულმაეფიყობას ნუ მიაწერთ
იმას, რომ ბეჭედი ჩემთვის დავიტოვე.
რადგანაც თქვენ თვითონ გარკვევით შე-
მომთავაზეთ იგი საჩუქრად. თქვენ ხომ
მითხარით: „ბეჭედი თქვენ უფრო გიბ-
დებათ, ვიდრე მე, ატარეთ იგი ჩემგან
სამახსოვროდო!“

აქედანვე გაფრთხილებთ, ბეჭედის თა-
ობაზე აღარ შემაწუხოთ. წინააღმდეგ
შემთხვევაში მე თავს აღარ შევიკავებ
და ჩვენს საიდუმლო ურთიერთობას
საზოგადოებაში გავახმაურებ.

ჩვენი შეხვედრების დამტკიცება აღ-
ვილია და, ესეც რომ არ იყოს, თქვენ
არა ხართ პირველი.

ღრმა პატივისცემით

ლენ შტოლცენეკი“.

ღიახ, ყველა ასო ლამაზი და გაკრუ-
ლი ხელით ნაწერი, ერთად აღებული
იმას გამოხატავდა, რაც მან წაიკითხა.
გრეტქენს გული აღარ ქონდა საგულეს.
იგი მთელი სხეულით კანკალებდა. მიწა
ეცლებოდა ფეხქვეშ და საშინელი უფსკ-
რული იხსნებოდა მის წინაშე. თვალბზე
ხელუბაფარებულმა მიატოვა ფოსტა.
იგი ისე მიიძურწებოდა კედელ-კედელ,
თითქოს თვითონ ყოფილიყო ქურდი.
შტოლცენეკი ქურდი აღმოჩნდა. ბ-ნი
შტოლცენეკი — ქურდი! ეს არავინ არ
იციოდა გრეტქენის გარდა და, რასაკვირ-
ველია, აზრადაც არავის მოუვიდოდა,
როგორც გრეტქენს არ მოსვლია აზრად
ის, რომ, შესაძლებელია, შტოლცე-
ნეკი მოჩვენება იყო. ცოცხლებსა და
მკვდრებს შორის არ იყო ისეთი ღრმა
უფსკრული, როგორიც პატიოსან ხალხ-
სა და ქურდებს შორის. გრეტქენმა
დღემდე არ იციოდა, რომ ქურდებიც
გერმანულ ენაზე ლაპარაკობდნენ და
ქებვს მიირთმევდნენ. ყველანი ისინი
ისხდნენ იქ — ზევით, ქალაქის ძველ
ციხეში, სადაც ბოლოსა სცემს გუშა-
გი. გრეტქენმა, თავისი ახალი აღმოჩე-
ნით შეძრწუნებულმა, აღმაცერად აი-

ხედა ზევით. ბ-ნი შტოლცენეკი, რომელთანაც ერთად მან ქალაქის ბაღში ისეირნა, იქ, ციხეში უნდა მგდარიყო. ნუთუ შესაძლებელია ქურდი იყო და არ იჯდე იქ, არამედ ისეირნო ქალაქის ბაღში; ყველაფერი ერთმანეთში აირია და გრეტქენს თავბრუ დაესხა. მის ზნეობრივ სამყაროს საფუძველი გამოეცალა. შიშით აღსაესე გრეტქენი თავს ძლივს იჭერდა, რომ არ წაქეუულიყო. იქნებ ეს ქურდი ციხიდან იყო გამოქეუული, თავი მსახიობად გაესაღებინა, რათა გრეტქენისათვის ბეჭედი მოეპარა. ნუთუ მის მთავარ მიზანს მხოლოდ ეს შეადგენდა? არა, ეს შეუძლებელია. გრეტქენი დაბნეული დაჯდა მაგიდასთან, ნეტავ როგორ შეუძლიათ დედას და მამას ასე წყნარად ჯდომა? ნუთუ მათ არ იციან, რომ ქვეყანაზე ამდაგვარი რამ ხდება? გრეტქენი უკვე თითს აღარ მალავდა, ასეთი მწარე გამოცდილების მიღების შემდეგ, აღარ ღირდა ამის დაფარვა. ბოლოს დედამ შენიშნა:

„რა უყავი ბეჭედი?“

„ოო!“ — წამოიძახა გაბედულად გრეტქენმა, — „ხელები დავიბანე და ალბათ პირსაბანზე დამჩა.“

„ამწუთსავე მოიტანე, არ დაიკარგოს, აღამიანები არ უნდა შეიყვანო ცდუნებაში.“

გრეტქენი წამოდგა, მაგრამ მამამისმა შეაჩერა:

„ჰამის დროს მაგიდიდან არ დგებიან.“

„მით უკეთესი“, — გაიფიქრა მან.

სადღის შემდეგ გრეტქენი თავის ოთახში ჩაიკეტა და მუშტები მოკეპა. იგი აღშფოთებული იყო. — მას ბედი არ სწყყლობდა და აღამიანებიც მდაბალნი იყვნენ. კლოცზე ფარისეველი ბოთვა და ბ-ნი შტოლცენეკი კი ქურდი. ყველაფერი ეს ბედმა მხოლოდ გრეტქენს არგუნა. ბოლოს და ბოლოს შტოლცენეკს მიანიც შეეძლო პატიოსანი ყოფილიყო, — გრეტქენი ხომ მასზე ოცნებობდა. იგი კი ემუქრებოდა, ჩემ საყვარლად გამოგაცხადებო. „საზიზღარი! მაგრამ წყევლები გადაგებდაო“. უსიამოვნების

მიყენება ყოველთვის შეიძლება. — ბ-ნი შტოლცენეკი ეშმაკია, საშინლად ეშმაკი, ეს გულს უთუთქავდა გრეტქენს. მაგრამ იგი ხომ ერთად-ერთი მამაკაცი იყო, რომელიც გრეტქენს უყვარდა ასეთი ლამაზი, ნატიფი და ელეგანტური. ნუთუ მართლაც სამარცხვინოა, რომ მან მოიპარა? ბოლოს და ბოლოს ასეც შეიძლება მომხდარიყო. სინამდვილეში ხომ თვითონ გრეტქენმაც ითხოვა ფული, თითქოს და სპირტისა და ტოკაურის ყიდვა უნდოდა, სინამდვილეში კი სულ სხვა რაიმეს მოახმარა. ამას გარდა, იგი ხომ მამამისის ჯიბიდანაც წაპნიდა... მაგრამ ეს დედამისის სურვილიც იყო და საერთოდ ეს სულ სხვა რამაა. ყოველივე მათ ოჯახშივე რჩებოდა საიდუმლოებად და კაცის შვილმა არ იცოდა ეს. ბ-ნი შტოლცენეკი კი თავისუფლად დადიოდა და ქურდობდა. გრეტქენი უცებ შეშინდა, მას მოეჩვენა რომ, თითქოს მამამისის შავი ფიგურა აიტუზა მის ფანჯრის წინ და თბილ ოთახში შემოიჭყიტა. როდესაც დარწმუნდა, რომ იქ არავინ იყო, საბზე ხელები აიფარა და ატირდა. იგი დასტიროდა ბ-ნი შტოლცენეკს, რომელიც მარტოდ-მარტო დახეტიალობდა ერთი ადგილიდან მეორემდე და თან ბოროტმოქმედებს ჩადიოდა. რასაკვირველია მას არ უღზინდა. მან ხომ სურვილი გამოსთქვა სტენოგრაფიტად დასდგომოდა გრეტქენის მამას.

მეც ხომ დამნაშავე ვარ, მამას რომ არაფერი ვუთხარი? — ბ-ნი შტოლცენეკი შიშშილობდა. ყოველივე ამას მე გულცივად შევცქეროდი; მერე და როგორ განერვიულებული იყო იგი! დაეუშვათ, რომ ბეჭედი ვაჩუქე? მაშასადამე, იგი მისი კუთვნილებაა და მისივე ნებაა როგორც უნდა ისე გამოიყენებს მას. მეც ხომ ვძვრებოდი მამაჩემის შარვლის ჯიბეში. ესეც ხომ სამარცხვინოა...

მაგრამ გრეტქენი თავისდაუნებურად ისევ ძველს უბრუნდებოდა. მისი პატარა უმნიშვნელო ცოდვები, ისე მოსჩანდნენ შტოლცენეკის ბოროტმოქმედებასთან შედარებით, როგორც პატარა ფინიამგლის წინაშე.

„კუდიდან ხომ არ შევმცდარვარ? მისი ადგილი ქალაქის ციხეშია. მიტოვებ-მითქმის რომ არ შევინოდეს, მე სიამოვნებით დაგვეყრინებდი მას.“

გრეტქენმა თავისი უბის წიგნაკი აიღო და ფულის რაოდენობა ჩაინიშნა, რომელიც მას თეატრის ბილეთის შეძენის შემდეგ დარჩა. იმავე წუთში მან შემსუბუქებულად იგრძნო თავი. ყოველივე ის, რასაც დროებითი საფუძველი გამოეცალა, კვლავ აღდგა. კეთილმა და ჯანმრთელმა საწყისმა გრეტქენში თავისი გაიტანა.

ის იყო შესალამოვდა და კლოცმეც შემოვიდა.

„უკვე მთელი საათია გელოდები, ჩემო ცუგრუმელა“, — უთხრა გრეტქენმა და ისე ჩამოეკიდა კისერზე, რომ კლოცმეს შეეშინდა კიდევ.

„შენ ხარ და დარჩები ჩემი პატარა, ერთადერთი ზოფუსი“.

და მან მაკდუნებლად ჩასჩურჩულა ყურში:

„სცაოფის! მე რალაცაში უნდა გამოგიტყდე“.

გრეტქენმა თვალემა დახუჭა და ამოიხრა.

— ახლა მე უფრო მეტი ცოდვები მაქვს, ვიდრე მას, — გაიფიქრა გრეტქენმა, ხმამალა კი სხვა რამ თქვა:

„წარმოიდგინე, რომ შენი ნაჩუქარი ბექელი დამეკარგა. სად და როგორ, ამის თქმა არ შემიძლია. თვითონაც არ ვიცი. მაგრამ დედამ უკვე შემნიშნა და თუკი ახალი არ შევიძინე, გაბრაზდება. ზოფუსს, რა იქნება უყიდე შენს კრეტქენს სხვა ბექელი, ოღონდ იმეკარავე“.

კლოცმემ თვალემა დაახამხამა, მან ცუდად იგრძნო თავი, მაგრამ გრეტქენი ენად გადაიტყა.

„საქორწინო მოგზაურობას ბერლინში ნუ მოვაწყობთ, არც საროსკიობების ნახვა მსურს, ჩემს კლოცმეს შეუძლია დამშვიდებული იყოს. შენც ისევე შეგიძლია მოექცე შენს კრეტქენს, როგორც ასესორი ბაუცი ექცევა თავის მეუღლეს. მე ასე უცებ არ შევირყვეი კუდიდან. ეს უგულობა იქნებოდა.“

კლოცმემ იმავე წუთში გადაწყვიტა ოქრომჭედელთან წასულობის რიოდესაც გრეტქენს ბექელი კვლავ თითზე ქონდა, ისევე ენაწყლიანად ალაპარაკდა:

„ეს უფრო ნამდვილია, უფრო ბრწყინავს და ლალიც უფრო დიდია. კაცმარომ თქვას, ეს ორჯერ მეტს ფასობს, ვიდრე სინამდვილეში ღირს. ვფიქრობ გამყიდველმა წააგო. ამისთვის მას ვერ ვუსაყვედურებთ. ოპ, ჩემო ერთადერთო კლოცმე, ახლა ისეთი გრძობა მაქვს, — პირდაპირ ქუჩაში მსურს გადაგოცნო“.

კლოცმემ შეამჩნია, რომ გრეტქენი მკლავზე ჩვეულებრივზე უფრო ეყრდნობოდა. ამით კლოცმე ამაყობდა კიდევ. რამდენიმე ხნის შემდეგ გრეტქენმა ქუჩის მეორე მხარეს გადასვლა ითხოვა.

„ხედავ, ქუჩაზე საზიზღარი ელზა ბუშმანი მოეთრევა. არ მინდა მივესალმო მაგ კახბას, მაგას. მივუხვდი, იგი შური ითვება ჩემი ზოფუსის გამო“.

კლოცმე გაწითლდა.

„და ჩვენს ქორწილშიც არ დავპატივებ მას“, — დასკვნა გრეტქენმა.

რამდენიმე ხანს გრეტქენი უსიტყვოდ იყო ზოფუსის მეკრძმე მიყრდნობილი, შემდეგ ჩურჩულით წარმოსთქვა:

„სცაოფის! ახლა სულ სხვანაირი გრძობა მაქვს, და თუ არ ვცდები, ღვთის კურთხევამ მიწია“.

„აი ხედავ, მეც ასე ვფიქრობდი, რომ ჩემი კრეტქენი ღვთისმოსავი გახდებოდა. პო, მითხარი, როგორ მიადწიე ამას?“

„არა, ზოფუსს, არა, არასგზით არ შემიძლია ამის თქმა. მე თვითონ არ ვიცი“, — დაუმატა მან ფრთხილად, კლოცმე აღარ დაინტერესებულა.

„მთავარია, რომ ღვთის მადლს ეზიარე“ — უთხრა კლოცმემ, — „ესაა მთავარი, როდესაც ჩვენ ღმერთის საკურთხეველის წინაშე წარვსდგებით, იგი გვეტყვის“ — და კლოცმემ ცხვირში ჩაილულულა:

„ოპ, შვილო, ჩემო, რა გზით ეზიარე ღვთის მადლს, ეს ჩემთვის სულერთია“.



სერგო მთავარი*

პოემა

მესამე ნაწილი

I

ზშირად ყოფილა ბეწიკა
 აქ სანადიროდ წინათაც,
 თავს წამოადგა მალალ მთებს
 უმაღვე, როცა ინათა.

ზოგან ფერს იღებს ზეობა,
 ზოგან ჯერ კიდევ ბნელია,
 ციკაბოებზე ბილიკი
 ქალამნით საქებნელია!

აგერ ცისპირად გველის-მთა
 წევს უკვე აღმოსავლეთით,
 ერთხელ არ დაიფარება
 ნისლის და ღრუბლის ნაფლეთით!

აგერ ცისპირად გველის-მთა
 მთა და კლდეები ქისტების,
 ბეწიკა იქაც ყოფილა,
 იცის ბილიკი იმ მთების!

ახიელი კი დაბლაა,
 ახლა არც მოჩანს აქედან,
 ბეწიკამ თვალი ამართა
 მალალ თებულოს ახედა!

არის ამ მთების მემკვიდრე
 და ეტრფის კიდევ ამათა, —
 ნაომარი და ნაშრომი
 ეს არი მამა-პაპათა!

ეს არი მისი სიციცხლის
 იმედი ჩაუჭრობელი,
 ისე ვით ამლა, — ხევსურთა
 თავისუფალი სოფელი!

და ის რაც ყველას აშინებს
 ზვაი, ციკაბო კლდოვანი,
 უფსკრულის პირზე ბილიკი
 დათოვლილ-დაუთოვარი,

და ბნელი ღამე უმთვარო
 ხიფათიანი დღეზედა, —
 სიყრმითვე უყვარს ბეწიკას
 არ გაცელის სამოთხეზედა!

ჯიხვის ტყაბუქი აცვიო,
 ჯღანი კი ხარის ტყავისა,
 აქვს მხოლოდ მუხლის იმედი,
 იმედი ნაწრთობ მკლავისა!

მზეს ამომავალს ადიდებს
 ბეწიკა მზერით გართული,
 მზიაა მისი მეუღლის
 ძველი სახელიც ქართულით,

მზეზე უკეთეს სალოცავს
 ხატს ვერ იშოვის ცხადია, —
 თუმცა-ღა ყველგან ილოცა
 სადაც ხევსურთა ხატია!

ღრეობაც უყვარს, ბეწიკას
 და ლუდიც მუქი ფერისა,
 ხარს როცა დაჰკლავს, შესაწირს,
 ხანჯალი ხევისბერისა!

მაგრამ სიმშლი, სიცივე
 და სიღუბჭირეც უნახავს,
 ულუკმაპურო ზამთარი
 მრავალჯერ გადაულახავს!

მტერსაც ზედმბოდა გულდაგულ
 და არა დაფეთებული,
 ყოველთვის ხმალით დაუცავს
 წესი და წყობა თემური!

სიტყვის და გულის სიმტკიცე
 ხევსურთ ვაჟკაცის წესია:
 თავისუფლებას დაიცავს
 მტერი თუ შემოესია!

მზეს ასე დახვდა ბეწიკა
 ასეთი გასაუბრებით,
 მთებს ბილიკ-ბილიკ გადადის
 გარემოცული ღრუბლებით.

დამასრული. იხ. „მნათობი“ № 12, 1958 წ. № 1, 2, 3, 1959 წ.

იქ ახლა მთების გადაღმა
იცის ომია ფიცხელი,
იცის და ნატრობს დამიწდეს
ვინც გააჩაღა — ის ხელი!

ვაი თუ ომის ქარცეცხლმა
ხევსურთ სახლებიც გადაწვას!
ო, არა, როგორც ყოველთვის
ომითვე შესძლებს თავდაცვას.

ჯმუხა კაცია ბეწიკა
და მაინც გულით კეთილი,
მთების ცხადსა და სიზმარში
ნაწრთობი, გამოჰქედლი!

აგი სიზმარი სულს უფრთხობს.
ხიფათად მოეჩვენება,
წუხელაც ელვა აკრთობდა
და ლურჯა-ცხენის ჰენება!

რომ გაიხსენებს ახლაც-კი
ამ სიზმრის ბურანში არი:
რას მოასწავებს მხედარი
წაბლისფერ უღვაშიანი?

რას ელის ნეტავ ქვეყანა,
ნეტავ რას ელის მთაბარი?
ერთგვარად სჯერა ბეწიკას
სინამდვილე და ზღაპარი!

გული ზოგაის მინდია
სიკბაბუკეში კი არა
ახლაც ჰირვარამ გამოვლილს
ჩიტყვით აუფრთხილა!

მინდია, ბრძენი ვაჟკაცი,
ამბობენ ისევ მოვიდა
ისევ სწუხს იგი ბუნების
დაუსრულებელ გლოვითა!

მინდიას იგი ვერ ნახავს
ვისაც არ უმამაცია,
მხოლოდ იმ ხევსურს შეხედება
ვინც ხელმართალი კაცია!

ამ ფიქრში იყო ბეწიკა
კლდეს გადაადგა ციკაბოს,
წინაპართ ნიშის წინ იღვა
როგორ არ უნდა იწამოსა-

წევს ჰიუხებში მგელიკა —
გმირი ვაჟკაცი ქებული,

ჩუმად ქუდს იხდის ხევსურთ
ლოდის წინ დაჩოქებულს
და ისმის ლოცვა ვედრება
ღრმად ნაპრალების ნაპირთან,
მონადირეა ბეწიკა,
ხატს ჯიხვის რქებიც დაპირდა!

ბედი ხევსურთა სახლკარის,
ბედი სამშობლო მთებისა,
ლოცვის პირველი სიტყვაა
მზის პირველ განათებისას!

იმედით სავსე წამოდგა,
ჩაჰყვა არხოტის ნაპირებს,
თუ ნახა ჯიხვის ბილიკი, —
ღღეს ნადირობას აპირებს!

მშობლიურ მიწას დალოცვილს
განა უგულოდ აკოცა, —
რაც აქ ნადირობს, ვინ მოთვლის
რამდენი ჯიხვი დახოცა.

ჩრდილზე ჩუმი და მსუბუქი
ახლაც კლდის კედელს მიჰყვება,
მალლა სულ მალლა, იქ სადაც
დგომა იციან ჯიხვებმა!

იარა დიდი სიფრთხილით,
სძლია ნაპრალებს, იწვალა,
იცადა ბევრი იცადა,
გვზი ათასჯერ იცვალა,

და აი, რომელ კლდიდანაც
ელოდა სწორედ იქედან —
ხარ-ჯიხვმა რქების შემართვით
მალლიდან გადმოიხედა!

ყრუდ გაეღიმა ბეწიკას,
თვალი ლულაზე მილულა, —
ცაში დგას ლალად ხარ-ჯიხვი,
ჯერ კიდევ არ ვაგმირულა! —

წუთიც და... ერთი ნახტომით
ჯიხვმა ცად გადაიქროლა,
ისე ვით ღრუბლის ნაფლეთი
იყო და არა იყო არა!

წუთიც და... მარცხნივ გამოჩნდა
ახლა აგრეხილ რქებიოთა!
ბეწიკა ორწოხს მიჰყვება
ნადიროულ მოხერხებითა.

ჯიხვი კი ისევ კლდეს იცვლის,
თითქოს მებრძოლთა ჟინია —
უფსკრულის პირზე შეხვდება,
ხევსურსაც არ ეშინია!

და ჩაუსაფრდა ხელახლა
მაგრამ ადვილი როდია
წვიმით წამოშლილ ქანზე დგას
წინ კი ჯიხვები მოდიან,

მოდიან სადაც ხარ-ჯიხვი
ვიდოდა როგორც მწვერაგი,
გზა უკვე სასიკვდილოა,
აქ ვერ გაივლის ვერავინ!

და ამ დროს ფეხთქვეშ ქანებიც
ხრიალით ჩამოიშალა!
დააფრთხო ჯოგი ჯიხვების
ღიაცებივით მშვიშარა!

მონადირე კი პირდაპირ
მანც იმ ხარ-ჯიხვს დაეძებს,
ფეხი ძლივს გადაინაცვლა,
გაუსწრო ქვების ნალეწებს!

გაისმა სტვენა, მწვერაგის,
და შორს კვლავ გაინავარდა,
აქ წაიჩოქა ბეწიკამ
და უკვე თოფიც გაგარდა!

სადღაც უფსკრულში ჩაეშვა
უცებ ეს ორომტრიალი:
ჯიხვი, კლდეების ნალეწი
და თვითონ თოფის გრიალი.

ამოისუნთქა ხევსურმა,
დაიცბო ჟინი გულისა,
მაგრამ ადვილი როდია
პოვნა თვით გაგმირულისა!

კლდეებზე მკერდით ჩაბობლდა,
ჩაღარა კვალი ქარწვიმის,
შორიდან ამჩნევს დაეშვა
კვალდაკვალ ჩრდილი არწივის!

იცნობს ბეწიკა მტაცებელს,
და ამიტომაც იჩქარის, —
მივიდა ჯიხვთან თუ არა
აგერ, არწივიც იქ არის!

აგერ ბებერი მახლობელ
ქვას აზის გაქვავებული,
სადღაა ახლა არწივის
უღიღღებობა მეფურთ!

სხვის არჩევს დააცხრებოდა
ბეწიკას რომ არ ემარდა,
მოუსწრო მაგრამ შაშხანა
სასროლად როდი შემართა,

ვისაც ძაღლონე არ ერჩის
ის რა ვაქაცის მტერია —
გაანჩხლებული ბებერი
კონდახით მოიგერია!

თავისი ნანადირევი
მივიდა, მხრებით ასწია, —
ასე ჰგონია თანატოლ
ვაქაცთან უვაქაცინია!

ასე ჰგონია მინდაც
მოვა და ჰკითხავს რა მოხდა...
მონადირეა ბეწიკა
და კვენსა მანც აღმოხდა-
ნადირობს მაგრამ ნადირი
თავს მუდამ ასე აბრალებს...
ხმა შემოესმა სხვა ჯიხვი
გადმოდგომოდა ნაბრალებს!

... ჯერ კიდევ თავის ოჯახში
მისვლით არ გაუხარია,
ამღის თავს დახვდნენ, უამბეს:
„შენთან ქისტები არიან!“

— ქისტები! — ჯავრობს ხევსური,
მტერს როგორ შეხვდეს ნდობითა?!
მაგრამ სტუმარი ხეთისაა,
ხომ ვერ შეუტევ თოფითა?!

— რა დაგიშავეთ ხატებო,
კაცს რისთვის მიგულისდებით,
ჩემი საბრალო ოჯახი
რისთვის წაწყმიდეთ ქისტებით?!

ან ჯიხვის რქები იკმარეთ,
ან შემოწირვა ხარისა!..
ამ სიტყვით გადააბიჯა
ბეწიკამ ზღურბლი კარისა!

II

ბეწიკას ჰერქვეშ სტუმრები
გადიდალნენ ლოდინით,
ღარბაისლური დუმილი
თავს აწვით მძიმე ლოდივით!
და აი, ნანადირევით
შინ მასპინძელი მოვიდა,

მოვიდა შეწუხებული
ქისტების სიახლოვითა!

სიტყვა არ უკადრებია,
მხოლოდ წარბებზე ეწერა,
უეცარ ფიქრებს ქარივით
პირსახეც ჩამოესერა.

ძირს ნელა დასდო ნადავლი,
და თოფიც იქვე დატოვა,
შეხედა სერგომ და სერგოც
უსიტყვოდ მოაჯადოვა:

— კარგი ვაქაცო ყოფილა, —
გაივლო გულში ანახად-
ღიმილის შუქი თვალეზში
სერგოსაც აუთამაშდა.

ზოლო ხეცურთა ბელადი
როგორც წესია, ადათი
თხოვს და სტუმართა ბაასი
ცალკე ოთახში გადადის.

სტუმრებისათვის მზადაა
შენობის ზემო სართული
და აქ მეტადრე გულთბილად
გაისმის სერგოს ქართული.

უსუბი ხეცურ მასპინძლის
ქონებას ათვალეერებს, —
მეტი შეძლებაც ჰქონიათ
სიტყვით და საქმით ძლიერებს!

დათვის და ირმის ტყავები
სკივრზეა დალაგებული,
ნოხზე ჰკიდია ხანჯლები
და გორდა ხმალი ქებული.

აქვეა კრელი ხურჯინი,
ჩუქურთმიანი კარადა,
ბრწყინავს ლითონის ჭურჭელი
თაროზე მრავალ ბწყარადა!

შეჩოხიანთა სტუმრობას
ბეწივაც თვალით აფანებს, —
არ მოვიდოდნენ უბრალოდ,
სურთ რაღაც ჩემგან მამაცებს!

რა უპასუხოს, რა უთხრას,
იქნება სანდოც არიან,
რაც უფრო ფიქრობს ბეწიკა
მით უფრო საოცარია!

— გვაქვს მხოლოდ შენი იმედი,
უნდა ვთქვათ დაუფარველად
თუმცა ქისტურად გვაცვიფროს
ქისტები მაინც არა ვართ!

გადმოვიარეთ ქისტების
ციცხლმოდებული ქვეყანა,
გზაში მტრისაგან გაძარცულს
მოყვარეც შემოგვეყარა.

ვინცა ვართ როცა გაიგო
ჩაგვთვალა თავისიანად,
ეს ჩვენი ტანისამოსი
ნაჩუქარია მთლიანად!

დაბეჯითებით არწმუნებს
სერგო და მისი ქართული
ესმის ბეწიკას, მომზიბლავ
ღიმილით მიმოხატული.

— საქართველოში გადასვლა
გვინდა, ვიჩქარით ძმობილო.
რისთვის? აღვილად მიხვდები,
ამბად რომ გვაამბობინო!

— აღბად შორიდან მოდიხართ?
— თვით მოსკოვიდან- თვე არი.
თბილისისაკენ ვისწრაფით,
მოგვდევს მოსისხლე მღევარი.

— გენდობი! — ამბობს ბეწიკა, —
და შენგან ლალატს არც ველი,
რადგან ჩემი ძმა ყოფილხარ,
ქართველს ვერ უმტრობს ქართველი!

განა ურწმუნო კაცი ვარ,
ძმობაზე ხელი ავიღო...
მაგრამ თუ ამბავს არ მეტყვი
რა გიჭირს როგორ გავიგო!

იქ რა ომია, რა მოხდა,
სოფლებს რატომ სწევას ხანძარი?
— სწორედ მეც ომის დარდი მაქვს,
მინდა ვიამბო რაც არი!

და აი თითქოს ამბავმა
მთების კალთები გაშალა,
თეთრების ჯარი გამოჩნდა
და დარბეული გზა-შარა!

სოფლის შვილია ბეწიკა,
წმინდაა, უმუხანათო,

აღმოდებულმა სოფელმა
აქ მისი გულიც ანათო!

საუბრობს სერგო, სიტყვები
ქენებით შეეფარა მთებს,
თავისუფლების დროშები
ტყვეებს სისხლივით ანათებს!

მცირე ქისტეთი რა არის,
ყდა ზევსურეთი მცირედი, —
ყურს აქ მოსკოვის ხმა ესმის,
თვალს აქ წინ უდგას ჩინეთი!

უსახლკაროებს, დაჭრილებს
არ ინდობს მტრობა მხეცური.
და ხალხთა კენესა-ვაებას
შორითაც ხედავს ხევსური.

სერგომ მთიელთა ბრძოლები
ისეთი ფერით დახატა
რომ განზე მდგარი ბეწვიაც
ბედ-მონაწილედ გახადა!

უთხრა: მთის თავისუფლება
ახლა ამ ომზე ჰკიდია,
აქ გამოჩნდება, სამშობლო
ვისაც არ გაუყვია!

მშრომელი ხალხის დოვლათი
მშრომელ ხალხს უნდა ჩაბარდეს,
წითელი დროშა ჩვენებმა
აი, ამიტომ ამართებს!

უნდათ რომ ხალხის მჩაგვრელი
ხმლით იყოს ჩამოკვეთილი,
რომ არასოდეს ბოროტმა
აღარ დასძლიოს კეთილი!

და რომ არავინ მოიმკოს
ის რასაც თვითონ არ დასთესს,
რომ გული ალაღ-მართალი
ოქროზე მეტად დაფასდეს!

უნდათ რომ აღამიანმა
დასძლიოს დაძაბუნება
და მისთან ერთად სილაღით
ამაღლდეს მთელი ბუნება!

რომ თავისუფალ ფრინველთა
გალობით აღტაცებისას
ყვავილთა შორის გაისმას
სიმღერაც ვაეკაცებისა!

რომ ყველა ხალხი თანაბრად
დატკბეს ამ ქვეყნის მშვენებით.
აი, ამისთვის იბრძვიან
თავგანწირულად ჩვენები!..

— შენც იქ იბრძოდი? — ბეწვიამ
უცებ რატომღაც იკითხა.

— ვიბრძოდი. ვიდექ ცეცხლის ქვეშ
და ეს მებრძოლიც იქ იდგა...

უნდოთ ნუ უშვებ. ქისტებთან
დღეს არა გვმართებს ქიშპობა, —
მთას ჩვენი მტერი მოადგა
და მთიულეთი ისპობა.

აღამიანთა გულისთვის
ვიბრძვი და სისხლიც მდენია.
ვინც ახლა ქისტებს იმონებს
ჩვენი საერთო მტერია!

წამომართა ხევსური
შესძახა: — შენ ხომ ისა ხარ
ვინც ლურჯა-ცხენით სიზმარში
ჩემ თვალწინ გამოისახა!

ვატყობ ამიხდა სიზმარი
და თუ არ გამირისხდები,
მითხარი ახლა, ამ ომში
ვის მხარეზეა ქისტები?

— შენც კარგად იცი, ხევსურო,
ქისტიც არაა მშიშარა.
წამით ხევსურის სახეზე
წარბები ჩამოიშალა.

გახედა უსუსს, და მერე
თქვა ისევ: — ძმა ხარ ქართველი,
და უნდა მითხრა ვინ არი
თქვენი ბრძოლების მმართველი?

სერგომაც უცებ მიუგო:
— თქმა რისთვის დაეგვიანო, —
აჯანყებულთა მეთაურს
ბოლშევიკები ქვიანო...

— ბოლშევიკია, ქართველო,
ეგ შენი ქისტი ძმობილი?

— ბოლშევიკია... და ომშიც
ერთად ვართ გამოწრთობილი.

— ვაჟო, — ბუტბუტებს ხევსური, —
ვერ გავარკვიე ფიქრები,

ექვი არაა — უთუოდ
ჩენი მინდია იქნები!

„მინდია ჩამოსულაო“
ხალხში ფარული ხმა დადის...
მინდია თუ ხარ, მიმიღე,
მეცა ვარ შენი ადათის!

— ბეწიკავ, დადექ, მისმინე! —
სერგო ღიმილით აჩერებს.
რომ სახელგანთქმულ გვარის ხარ —
ძველი ფარხმალი მაჯერებს.

— თავისუფალი ხალხი ვართ,
მონობა რაა არ ვიცით.
— არ მიუღია არავის
თავისუფლება თავისით, —

იბრძოდით ალბად. კედელზე
ვხედავ დაშენებს და დამბაჩებს...
— აი, ეს ჩემი ხანჯალი
ასევე ერთყა პაპაჩემს!

ჯაქვის პერანგით, ჩაჩქანით
მორთულა ძველი კედელი,
და სერგო ორჯონიკიძემ
დალოცა ჩაჩქანთ მკედელი.

წელს რევოლვერი შეიძრო
და გაუწოდა მასპინძელს, —
ღირსია ხევსურთ ბელადი,
უნდა სახსოვრად მას მისცეს!

ბეწიკამ თითქოს გაიგო
რა იყო სერგოს მიზანი, —
უთხრა: რით დავიმსახურე
რომ ბოლშევიკად მიცანი?!

მხრებზე ერთმანეთს აკოცეს
ისე ვით მხედრებს ჩვევია, —
ღიასახლისსაც სასტუმროდ
ეს წუთი აურჩევია,

შემოდის, ხონჩით შემოაქვს
პური, ხორცი და კარაქი
უსიტყვოდ ჩამოარიგა
ჯამებით ქერის არაყი.

დალიეს სახლი დალოცეს
და გზაზე მყოფთა გზა-კვალი, —
— გავიგე, — ამბობს ბეწიკა, —
მგზავრებო თქვენი ზრახვანი.

არც ისე შორს გვაქვს თბილისი,
მთებს თუ გადავჭრით ბილიკით,
პირაქეთ ხევსურეთიდან
მე გადაგიყვანთ პირიქით!

ამ ლამეს ჩემთან გაათევთ,
ხარ-ჯიხვის ხორციც ვიგემოთ.
ღილით კი უკვე ხევდახვე
გაგიყვანთ ბოლშევიკებო!

გზა-კვალს ვერაფერ აგვირევს,
მე ვარ აქ ამის თავდებად,
გავალთ არაგვზე და საფრთხეც
ლუშეთში მისვლით თავდება!

— ჩვენ შენი გვეჯრა, ბეწიკა,
მთებს რომ ადვილად გადავალთ,
მაგრამ, — შეჩერდა აქ სერგო
მაგრამ ჩვენ ორნი არავართ.

უსახლკაროებს, დაჭრილებს
და ბავშვებს უნდა შევლაო,
ამლაზე გავლით ლუშეთში
გვსურს გავიყვანოთ ყველაო...

— კეთილი — იყო პასუხი.
და სერგო სულმთლად აენთო.
— კეთილი, ყველას ვუშველით,
ჩვენს ვაჟკაცობას დაენდონ.

ბეწიკავ, ხევსურთ ბელადო,
თუმც განშორება ძნელია,
მაგრამ გზას უნდა დავადგეთ,
ჩვენს დაბრუნებას ელიან.

მივდივართ შენი სახელის
და შენი სიტყვის იმედით! —
ავაფრთოვანებთ დაჭრილებს
ღღესვე ხვალინდელ იმედით!

არ დაიცადეს, იჩქარეს,
მადლიერ გულით მიდიან.
— მშვიდობით.. ლოცავს ხევსური, —
გზა მშვიდობისა მინდია!

ორჯონიკიძეს მოჰგვარეს
თავისი ლურჯა-ცხენი და
ისევე დგას ღიასახლისი
მალა ამართულ ხელითა.

ბავშვს ჩამოართვა უსუბჰაც
ცხენი ქისტური სიმარლით.

— იარეთ როგორც გივლიათ
ბრძოლით, იმედით, სიმართლით! —

III

გადაეხვივნენ ერთმანეთს
სამივე ვაჟაკურადა.
დაეშვიდობენ. დაშორდნენ
ხევსურთა ბელადს ძმურადა.

— ღია იქნება თქვენი გზა,
გიცდით...

— უთუოდ გვიცადე!...

და თვალთ გააჰყვა ბეწიკა
თითქმის ქისტეთის მიწამდე.

ხეგზე იარეს და შორით
აშრიალეზულ ბუჩქებთან
მთის ნაპრალებში, ხელმარჯვნივ
ასას კელავ სისხლი უჩქეფდა.

კვლავ ტაშისცემით შემოხვდა
ცხენებს ტალღები მდინარის, —
უსუპის ცხენი მეტადრე
მთელი გულმკერდით წინ არის!

— რას იტყვი უსუბ, ხევსურთა
ბელადმა როგორ მივილო?
რაო, ენდობი თუ არა, —
ხვალ უნდა ისევ იქ იყო...

— ყველა თავის ღმერთს ენდობა,
მაგრამ სიმართლე ერთია:
ღღეს ყველა ღმერთზე ძლიერი
ბოლშევიკების ღმერთია!

— ხომ ნახე სისხლი არ მართებს
არც ხევსურთ სოფელს, არც აულს, —
თუ მოინდომე მოახდენ
უბრალო კაციც სასწაულს!

სიკვდილის ბილიც ეძახდი,
მაგრამ ბილიცი პირიქით
სწორედ სიცოცხლეს გვპირდება
და არა სიკვდილს — ბილიკით.

კვლავ გაუღიმეს ერთმანეთს
და მხრებზე დაჰკრეს ხელები

იმედით სავეს სიმღერით
კვლავ ააჩქარეს ცხენები!

და მერე ვინ სთქვას ვინ არა —
ამბის მთხრობელი ვინა ჰყავს?!
მე მხოლოდ მათი გზაკვლი
ქვებზე ნაქედი მინახავს!

...თვალეზად გადაქცეული
ახლაც შევყურებ იმ არეს,
გზადაგზა ვუსმენ ბილიცი
თუ რას გასძახის მდინარეს:

„ბევრის გზაკვლი წაშლილა,
და ბევრიც დანისლულია,
მდინარესავით მზორგავი
მხოლოდ-ღა ხალხის გულია!

მხოლოდ ხალხია უკვდავი
და არა გული კაცისა,
ხალხშია მთელი მშვენება
მთების, მდინარის, და ცისა!

ყველა მთის ღრუბელს, ხეობას
და ჩამომდინარ ჩანჩქერებს
ყველას თავისი გმირი ჰყავს,
თავისი ღელვა ამღერებს!

აქ თუ ამ გმირთა სიცოცხლე
ხალხს ერთხელ უთქვამს, უქია —
კავკასიონის კალთებზე
ღღესაც იმ ღღეთა შუქია“.

მთა ისევ თოვლით აკრეღდა
ასე მგონია ჯიქი წვეს,
ასე მგონია შევხედები
აქ ისევ ორჯონიკიძეს!

ასე მგონია აქ ისევ
სერგოს მფეთქავი გულია
და ეს ამბავიც მდინარის
ზევითებით გამოთქმულია!

თუმც უბრალოა მოთხრობად
მთის ნაპრალებში მღვლეარებს...
ღიდება ცაში ამართულ
კავკასიონის მწვერვალებს!

თარგმანი კარლო კალაქისა



ბ ა ვ ვ ი

პრალაში ნაადრევი შემოდგომის ერთ წყნარ და მზიან დღეს, პირისფერ ალიონთან ერთად, მრავალსართულიან სახლში დაიბადა პატარა ვარდისფერი ბავშვი.

დედას გვერდით დაუდგეს აკვანი, შიგ იწვა ბავშვი ნედლი კაკლის გულივით სუფთა. უკან დარჩა ტკივილებითა და განსაცდელით სავსე ღამე.

გაჩნდა დიდი ხნის ნალოდინარი, ათასჯერ ნანატრი, ოცნებისა და სისხლბორცის ნაყოფი! მაგრამ ახლა აქ უღონოდ იწვნენ დედა და შვილი, ერთმანეთისთვის ჯერ კიდევ თითქმის უცნობნი. დედას სახეზე ოდნავი უცმაყოფილება ემჩნეოდა: მის დიდ წადილსა და სიყვარულთან შედარებით ბავშვი ძალიან პატარად ეჩვენებოდა.

გაისმა ბავშვის ოდნავი წამოტირება, რამაც ბედნიერებით აღჟსო დედის გული. მას დედის ტუჩები ჰქონდა, დედას — მისი. ბავშვი სწოვდა ძუძუს და წითლდებოდა დაძაბვისაგან.

ის უკვე დედის გვერდით იწვა არა როგორც მისივე სხეულის ნაწილი, არამედ, როგორც ახალგაყნობილი პატარა ადამიანი, რომელსაც იგი ესაუბრებოდა, კოცნიდა, რაც უფრო მეტად განიყოფოდნენ ერთმანეთისაგან, მით უფრო მეტად ახლობელნი ხდებოდნენ. დედას აგონდებოდა, თუ რა საშინელი იყო ის ღამე! და უცებ როგორ გადავიწყდა ყველაფერი, დაანახეს თუ არა მადლა ატაცებული, მოფრთხილავ პირველად.

გამხდარმა მღვდელმა მოიტანა „Sal sapientiae“,¹ ბავშვს პირველი გადასწერა და სახელი დასდო. შინ წასვლის

წინ დედა ბავშვთა ოთახში შევიდა. ბავშვები გვერდიგვერდ ფუნთუშბივით ელაგნენ. მათ შორის არც ერთმა თვალი არ გაახილა. მხოლოდ მან, მან იგრძნო დედის მოსიყვარულე მზერა, მისი სიახლოვე.

ბავშვს მთელი გზა ეძინა. სახლშიც მძინარე დააწვინეს დედასთან ახლოს. ღამემდეგ სულგანაბულნი უსმენდნენ პატარა სტუმრის ატეხილ სლოკინს და ხშირ სუნთქვას.

დარღმა, შიშმა, ზრუნვამ და ბედნიერებამ დედა ავად გახადა. ირგვლივ ველარავის ხედავდა, გათანგული, შელონებული მიწვა და მიიძინა, უცებ შეხტა, შეშინებულმა გამოიღვიძა, წამოიჭრა, აქეთ-იქით მიიხედა-მოიხედა და დაწყნარებული ისევ ლოგინზე მიესვენა.

— მომეჩვენა, თითქოს ბავშვი წამართვეს.

გაპირვებულ ბავშვს აღებინებდა ღა, როცა ამონადები პაწაწინა ტუჩებზე, სახელოებზე, პერანგზე, ყურებზეც კი გადმოუვიდა, პირველად გამოეხატა სახეზე სხარტი, უნებური და თითქმის მწარე ღიმილი. ჯერ გაოცებული უყურებდა მამას, მერე ჩაფიქრებულმა მზერას თავი აარიდა. დედის ავადმყოფ, სასომიხდილ სახეზედაც ღიმილი თრთოდა.

— ბავშვს რომ შევხედავ, ვგრძნობ, კიდევ მაქვს ძალ-ღონე, — დაჯერებულად წამოიძახა დედამ.

დედას ფხიზლად ეძინა. ღამე ესმოდა ბავშვის ოდნავი წამოტირება. ბუზის ფრთების რხევასაც კი გებულობდა. ბუზისა — პირველი აშკარა მტრისა, რომლის სითამამე გულს წყრომითა და მრისხანებით უგსებდა. ზოგჯერ ბავშვი, როცა მას შეხედავდნენ, ატირდებოდა,

¹ სობრანის მარტი.

თითქოს უენოს მარტოობის შიში იპყრობსო.

იზრდებოდა. ყოველ დღე ახალ-ახალ უნარს ამჟღავნებდა, რის მიხედვითაც ბავშვს ათასნაირ შესაფერ სახელს შეარქმევდნენ ხოლმე. ერთ საღამოს მისმა პატარა ყელმა მთელი რიგი გაბმული, ნაღვლიანი, მზიარული და იდუმალებით სავსე „აღუ-აღუღღღ“ — ამოიღუღუნა. შემკრთალნი, ბედნიერნი, განაბულნი უსმენდნენ მას. როცა პირველად ბავშვმა ნიკაში ხელი წააგლო დედას, მას სახე აელეწა და მღელვარებისაგან ხმა ჩაუწყდა. ბავშვი თავის პატარა მოუსვენარი ხელებით თითქოს პირჯვარს გამოსახავდაო. სატარებელ ეტლიდან პირწითელა ტაკი-მასხარასავით გამოიყურებოდა, თან ბაყაყივით ყიყინებდა, ხოჭოსავით ბზუოდა. მასში უკვე ცნობისმოყვარეობა იღვიძებდა. მოწოდებულ ძუძუს აკვირდებოდა, შესცქეროდა დედას სახეში და გაოცებულს ორივე მთლიანად ეჩვენებოდა. ათვლიერებდა, სინჯავდა თავის თითებს. უცინოდა იქვე ჩამოკიდებულ ტანისამოსს, ესაუბრებოდა, ცოცხალ არსებად მიაჩნდა. ლამა არა მარტო საღამოობით, დღისითაც იზიდავდა! ბენგალურ ცეცხლს თვალი ვერ მოაშორა, როცა საშობაოდ ანთებულ ნადვის ხის ქვეშ ცოცხალი საჩუქარით იდგა.

მოვიდა დრო, დედამ ბავშვი ფანჯარასთან მიიყვანა და ქვეყანა დაანახვა. დიდხანს, დიდხანს უყურა მცხრალ მზეს, უცქირა მდელოს, ხეებს, მიდამოს და თოვლის ანარეკლით გაბრწყინებულ მის პატარა სახეს მკრთალი ღიმილი დაემჩნა.

დადგა წუთი მისი პირველი უზომო გაოცებისა: მან თავისი პაწაწინა ფეხები დაინახა. ლოგინზე წყნარად მჯდარმა მოულოდნელად შენიშნა ისინი და გაოცებული გარინდა. უყურა, ათვალიერა, მერე სწვდა ფეხს, ფეხის გულებს ერთმანეთს ისე უტყაპუნებდა, როგორც ხელის გულებს და უკვირდა. კაუჩუკის ხეხინა „რამის“ გარდა

ყველაზე საყვარელ სათამაშოდ მიაჩნდა მოცეკვავე ბალერინა — „ნანას“ ძველი ფიგურა, რომელიც რაღაც მუსიკის მსგავს ხმებზე ცეკვავდა, ხტუნაობდა ღრაპუნა ფეხებით და ხელებით ზედიზედ ყირაზე მარდად გადადიოდა, რაც მას ამზიარებდა. მასვე დაუამხანავა სხვა მოხეტიალე მსახიობი, ვაისის ფირმის სარეკლამო თოჯინა, შავებში გამოწყობილი ბალერინა, რომელსაც მეტისმეტად წყრილი, წაგრძელებული ფეხები და ხელები ჰქონდა, ორივე დიდად ართობდა პატარას.

სიხარულმა და გაკვირვებამ წარმოშვა მისი პირველი გრძნობა. ერთ საღამოს საწოლიდან დიდხანს უყურებდა რიგრიგობით დედ-მამას. დედას შეხედავდა, გაუცინებდა და მიბრუნდებოდა, მერე უცებ მობრუნდებოდა, მამას შეხედავდა, გაუცინებდა, ისევ დედისკენ გაიხედავდა, კიდევ სიცილით მოუბრუნდებოდა მამას და ასე დაუღალავად ტრიალებდა, მორცხვი, მზიარული, ბედნიერი, თითქოს ამით უნდოდა ეთქვა: მე ორივე მყავსო.

გაზარებული თამამად ქვიროდა ხოლმე სასტეკნივით. ერთხელ წაივლო ცხვირში ხელი და ტირილი დაიწყო. ვერ გაიგო, რა დაემართა. მას რომ უჩვენებდნენ, როგორ და სად მიიჩქარის მირთმეული ფაფა, ხმამალა ხარხარებდა. ამაღელვებელი გულმოდგინეობით უსმენდა წიგნის კითხვას, თბრობას, სიმღერას, რათა ყოველ მზიარულ კილოსა და რიტმზე, ან ცხოველებს რომ ხმით აჯავრებდნენ, კიდევ და კიდევ ეცინა.

შეფუთვნილი ფლანელის ჭრელ საბანში საზეიმოდ გამოწყობილ გნომების ხელმწიფეს ჰგავდა. ყოველდღე ფორთოხლის წვენის ექვს წვეთს ღებულობდა, პირს შოშიასავით გააღებდა ხოლმე და კარგი გემოთმცოდნესავით ტუჩებს აცმაცუნებდა. ლოგინიდან რკალივით ამოიზნიქებოდა, თავით საწოლს მიეხეზინებოდა და ძირს ჩამოცოცდებოდა. საწოლის კიდეს ხელს ჩაავლებდა, ხალიჩაზე გაუბედავი ნაბიჯებით მიდიმოდიოდა, თანაც ეშმაკურად და გაოცე-

ბით მალლა იყურებოდა, თითქოს კითხულობდა: ამაზე რაღას იტყვიან? უცებ იგრძნო: როცა დგას, თურმე ფეხებით იატაკს ეხება, და შეკრთა.

გამოზაფხულდა, გახარებულმა დედამ ბავშვი გადაკოცნა, მას უკვე შექმნილი ბავშვი მზისთვის ეჩვენებინა. პატარა იარომირეკი თავისი ეტლიდან იყურებოდა. სახლები პირველად შეამჩნია, პირველად დინახა ხეები. ეტლს ზურგით მიეყრდნო და ხეების კენწეროებს გახედა. ხან ბატივით სისინებდა, ხან ფრუტუნებდა. თვითმფრინავის ხმაური რომ მოესმა, ეგონა, ჩემს გასართობად დედა ამას პირით აკეთებსო, ზევით ახედა დედას და გაუცინა.

მისი შეგრძნება თანდათან ფართოვდებოდა და ვითარდებოდა. პატარა აბაზანაში დიდი სიამოვნებით ქუყმალაობდა, სიხარულით აღსავსე, პირდაღებული, წყალში ფეხებს იქნევდა, იწყობებოდა. თუ ვინმე ისეთი გამოვლამაბრავებოდა, ვინც არ მოსწონდა, თავის ეტლში მწოლიარე მოურიდებლად და თვალის დასანახავად მუცელს გამობერავდა. მისი მოციმციმე თვალები, მზით მოოქრული თმები, ალუწილი ყურები ბზინავდნენ გაზაფხულის კაშკაშა მზეზე. ზოგიერთ სიტყვებზე ეცინებოდა. უცინოდა აკვანს, უდიდინებდა. სიცილის დროს სუნთქვას შეიკავებდა ხოლმე და ქშენით თავს ირთობდა, მთელს ლოგინს აქანავებდა, და მხოლოდ მაშინ, როცა ბოთლით თბილ რძეს სვამდა გარინდებულს ჩაეძინებოდა როგორც ზღაპარში „მძინარე მზეთუნახავი“.

მისი შეგრძნებები თანდათან ღრმავდებოდა. ერთხელ მუქი ლურჯი ტანსაცმელი მოუტანეს. დიდი სიხარულით ჩაიცვა და გამოვიდა საჩვენებლად.

— უყურეთ, ახლად ნაყურთხ მღვდელსა ჰკავსო! — თქვეს და გაიცინეს.

უზომო სიხარულის შემდეგ ბავშვმა შემზარავი ტირილი მორათო და შეუძლებელი გახდა მისი დამოშინება. მერე თუ მოეჩვენებოდა, რომ ვინმე დასცინის, ტირილს იწყებდა. უკვე ყოველ წვრილმანს ამჩნევდა. საგულდაგულოდ

აგროვებდა ნამცეცებს, თმის ბეწვს იპოვნიდა აიღებდა და ეთამაშებოდა, უხაროდა; თუკი ხელს ვინმე მისცემდა საშველად მაშინვე წამოღებოდა. ერთ საღამოს მამამ პრაღიდან დაბრუნებისას მას ყურადღება არ მიაქცია. ბავშვი თავიანად საბანში გაეხვია და ტირილი დიწყო. ლამემდე, ისე როგორც მოწაფე გაკვეთილს, ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ტატა“ (მამა) ხოლო ამის მაგივრად „ძაძა“ გამოთქვამდა. ლამე ძილი გაუკრთა, მისი პატარა მოუსვენარი სხეული შფოთავდა. მძინარე დედის გულსაკლავად მის ფეხებთან მთვარეულივით ჩამომჯდარიყო.

შუბლზე დაყრილი ოქროსფერკულელებით იარომირეკი ჩამოვიდა სოფელში. მათი გრილი და ფართო სახლის კედლებიდან იყურებოდნენ წინაპრების მკაცრი სახეები, და უცებ „ჩუკ და გეკივით“ სიხარულით აღივსო. ეზოში ცხოველების სამყაროში მოხვდა. პირველად ნახა ჩიყვიანი, მოკინკლავე ქათმები და პაწაწინა ტუჩებზე ღიმილმა გადაჰკრა. თვალიერება დაუწყო. მამალს, რომელმაც მის წინ, გაბღინძულმა, თავმოწონედ ყიყლიყო შემოსძახა. კატა თავისკენ მისაალურსებლად კუდიით მოსწია. ქათმებს კი უჯავრდებოდა, რადგანაც ხელში ნამცხვარს უკენკავდნენ. კედელზე მჯდარ დიდ ბუხილა ბუხს სიცილით გამოედევნა, არაფრის არ ეშინოდა. ცხენს უჯავრდებოდა, ხარს უდელში წაავლო ხელი, სოფელში ყველაზე დიდ ძაღლს ვაღებულ სისხლისფერ ხახამი ცნობისმოყვარეობით ჩასცქეროდა. „ჰამო!“ — გაიძახებდა და მოსწევდა ხოლმე თოკს, ფარდების ზონარს, საათის ძეწვესაც კი წაატანა ხელი. მოედანზე დიდ ქვებს აგორებდა. გადააფურთხებდა და სხვებსაც შეჯიბრში იწვევდა. ხელში ციცხვს დაიჭერდა, როგორც ვიოლინოზე, ვითომ უკრავდა, თან მღეროდა. ჩაქუჩით ყაყაჩოს თესლს ნაყავდა. საღამოზე დაქანცული იძინებდა თავის პატარა საწოლში. შიგ მისი ვარდისფერი სახე პატარა ვაშლივით იფლობოდა, დილით გადაე-

ლაქებული სახით ილვიძებდა გამოძინებული და პაწაწინა ტუჩებზე, პირზე, თვალებში უთრთოდა პირველი ნაკვესი ნაგრძნობი განცხრომისა.

დაცინვანზე აღარ ტიროდა. თუმცა გული კი მოსდიოდა, ენერგიულად იქნედა ხელებს. თუ დაწოლილს ვერ შეამჩნევდნენ, აღარც ამაზე იტირებდა, ეშმაკურად ნელა ჩაახველებდა, რომ ყურადღება მიექციათ. დილიდანვე თვალებს გაახელდა თუ არა, კედელზე ჩრდილებით თავს ირთობდა. რანაირ რა ოინს არ სჩადიოდა, ათი ხელიც კი ვერ აჩერებდა. ყოველ არსებას საფრთხე სხვისაგან მოელის, ბავშვს მხოლოდ თავისთავისაგან. გადაატრიალა ერბოს ქილა მთელი ტანი და ჩასაცემელი სულ გაითხზნა. გამოიღო ფეხსაცმლის ჯაგრისი და მუქი მიხაკისფერი საცხები, ზედ ხელებზე, სახეზე, ტუჩებზე გაგლესილი შედედებული სისხლივით ჩამოსდიოდა. ახლა უკვე „კითხულობს“

გაზეთებს, ქალაღებს, წიგნებს, თან გაურკვეველად დუღუნებს, დაუღალავად ფურცლავს კალენდარს, *„საბრუნსტრიატიკულ გაზეთის“* უშველებელ წლიურ კომპლექტს, ვითომ გაზეთებიდან ამოღებულ წინადადებებს კარნახობს „ტემტეატლა-მატლა“ და კითხვის თვალით იყურება, შექებას ელოდება. საწოლიდან გადმოხრილი ყურებდაცქვეტილი უსმენს რადიოს. ბაძავს მამას პირის პარსვაში — ლუქის ბუქედს მოღრეცილ სახეზე სამართებელსავით ივლებს, ბებერ კატას კი — მთქნარებაში. ყურთან უჭირავს არა მარტო მამის საათი, აგრეთვე მამის ჯიბის სარკეც. ცეკვავს და ყოველთვის ერთნაირად დიდი სიხარულით ივსება, როცა დაინახავს მისთვის მომზადებულ რძიან ბოთლს, რითაც იცავს ბუნება ყოველი ავისაგან თავის ყველაზე სათუთ ქმნილებას — ბავშვს.

აღამიანთა ნაშიერი

მოძრაობა იყო მისი პირველი წადილი, რომელიც დაბადებამდე გაედვიდა და მის გაჩენასაც ხელი შეუწყო. საბანში განვეული თევზივით ფართოლებდა, იზნიქებოდა. ეს მისი სტიქია იყო. უყვარდა წყალი, მასსავით დაუდგროველი. ბუშტუკები ესხმოდა ტანზე და ზედ ასკდებოდა, ის მათ ხელის შეხებით ტანზე ივლესდა. წყალში საბანაოდ ჩამჯდარს ხვეზის სუნე ასდიოდა. აბაზანაში სიამოვნებით ჩაჯდებოდა, ხტუნავდა, შიგ ეცემოდა და მისი თავი მოტივტივე დიდი ვაშლოვით მოჩანდა, სიცილით ეგებებოდა ვასანულ ნექას, ის ბანაობასთან დაკავშირებულ სიხარულს აგონებდა. ქურჭელი უყვარდა, რადგან შიგ ყოველთვის წყალი იყო, თუ არ იყო, იგი მაინც წყალს გაახსენებდა ზოლმე. დიდ ცარიელ საბანაო ტაშტში ჩაწევებოდა და, საამო ილუზიებით აღსავსე, შიგ ისეთი სიხარულით ტრიალებდა, თითქოს მართლა ბანაობსო.

დაქანცულს ძილი ერეოდა, მაგრამ

თავისი ნებით მას არ ნებდებოდა. მხოლოდ ბინდს, დამეს შეეძლო თავისი პირველი ჯადოსნური შეხებისთანავე მოვესვენებინა. ძილი რომ მოენატრებოდა, ნებივრობის სურვილი აღედრებოდა და დედის რბილ მკლავზე დაძინება ყველაზე დიდ ბედნიერებად მიაჩნდა. თხუნელასავით ჩაძვრებოდა საბანში და პატარა სპილოსავით ბორბავდა, გაურბოდა გამაღიზიანებელ შუქს და სიფხიზლეს, მაგრამ მაინც საჭირო იყო ცომივით გებრუნებინა მისი პატარა ტანი ლოჯინში, რომ უფრო ადვილად დასძინებოდა. ძილში მაინც ცქმუტავდა: დაძინების წინ თითებს მიბაძვით ისე ამოძრავებდა, თითქოს საქმელს მარილს აყრისო. დამით დაიწყებდა სირბილს, ხტუნვას, დაეცემოდა ბადეზე და „მიშველეთო“ იძახდა. ზოგჯერ სადმე კუთხეში მიკუნტულს მივანებდით, იქაც ძილის დროს მოუსვენრობას მიპყავდა. დღისით ლოჯინში რწევას ხშირად ეწინააღმდეგებოდა, დაძინებაზე

ადვილად ვერაინ დაიყოლებდა. ალერსიან თხოვნას მტკიცე უარით უპასუხებდა. ზოგჯერ ნანახე ეცინებოდა კიდევ და დასაძინებლად სხვა საშუალებებს ირჩევდა: „ააა ქანიი ალა, ლალა!“ — ნუ მაქანავებთ, მიმღერეთო! — ბრძანებდა. განცხრომით ძილისათვის გარკვეული პირობების შექმნას შეგნებულად მოითხოვდა.

ნამძინარევს, დასვენებულს მოშივლებოდა. „მომე, მომე!“ — მოუთმენლად გაიძახოდა. მხოლოდ მაშინ დაშოშინდებოდა თუ რძის ბოთლს მისცემდით ხელში. მერე ბალიშზე ზურგით ისე მაგრად დაეცემოდა, რომ ბოთლიდან რძე სახეზე და თვალეში ეშხეფებოდა. ზოგჯერ ამავე რძის ბოთლით ბარბაროსული ლხენით იწყებდა ხტუნვას, ცეკვას, სვამდა რძეს და მისი გაბერილი მუცელი წინ გაპრილ ტანსაცმელში ისე მოსჩანდა, როგორც შემოდგომის წაბლი დახეთქილ ჩენჩოში. გამლომასთან ერთად, ან იქნებ მხოლოდ ამის შესაძლო იმედით, მადლიერებას გამოხატავდა, როცა დედას მისთვის სასმელი მიჰქონდა, გახარებული ხედებოდა შეძახილებით, რომელიც ქებათა ქებაში გადადიოდა: „ეს დე... დე... დე... დი... დი... დე... დე... დე... დი...“: ამაში იგრძნობოდა არა მხოლოდ მადლობა — კმაყოფილებაც, ლაქუცი და სინახე. ბაბუაწვერას ოქროსფერი ღინღლივით თმა ჰქონდა, იღვიძებდა გაბრწყინებული სახით, რომ განახლებული ძალღონით მეტი სიანცე და უფრო მეტი ცნობისმოყვარეობა გამოემქდავნიბინა გარემოსადმი.

ღვედებით გადაჭერილ სატარებლით რომ გამოჰყავდათ სოფლის შარაზე საქონლის სანახავად, ღრუბლებში აფრენილ ელიას ეტლში შებმულ ანგელოზს ჰგავდა, ვიდრე რაიმე სავანს მიუახლოვდებოდა ცნობისმოყვარეობით გაშვერილი თითი მზად ეჭირა სატაკებლად. მკლავებგაშლილი ისე მსუბუქად და ნებისად მიხტოდა, როგორც მისი დიდი ბურთი. ჯიბით თან დაქონდა თავისი პირველი საიდუმლოებანი: კაკლები

საწონები, კამათლები; თვალეზადატუტულ, უხალისო კატის ყურის უძრეთან ახმაურებდა ხოლმე სტვირსაჟიციცხეს, თვით საგველსაც კი იყენებდა სახელდახელოდ შეთხზული კონცერტის გასამართავად. უფროსების ყოველგვარ თავაზიანობაზე მიამიტად ეცინებოდა. ყურში ჩაჩურჩულება და სიტყვა „გმადლობთ“, ჩაბყირებამდე აცინებდა. უკვე მეორედ დგებოდა იარომირეკისათვის შობა, ნათლიღება. დედამ ბავშვი რომ სამშობაოდ ანთებულ ნაძვის ხესთან მიიყვანა, რომლის წვეროზე ფრთებგაშლილი ანგელოზი იყო გაჩერებული, ხელში აყვანილ ბავშვს ფეხები გაოცებისაგან სიმებივით დაეჭიმა. თვალწინ საჩუქრები ელაგა: „აი“ — შესძახა და ბურთს წასწვდა. პატარა როიალზე თითები დააპარტყუნა, თან „ა... ა... ა...“ დაამღერა „აი...!“ — შესძახა კიდევ და ახლა ნახატებიან წიგნს წაატანა ხელი. მისი ყურადღება ერთი სათამაშოდან მეორეზე გადადიოდა. ჯერ წიგნს დაუწყო ფურცლა, მერე როიალს მიუბრუნდა და ბოლოს ბურთით ხელში საერთო ლხენით გაგულიანებულმა დაიწყო ცეკვა, ხტუნვა, ერთი სათამაშოდან მეორესთან გარბოდა.

საგნებს უმეგობრდებოდა. გულში სურნელოვან მუსკატს იხუტებდა. გაპკრა ასანთს და შეერთა. უყვარდა ცხოველების სურათები: ჰკოცნიდა კატას, ბაჭიას, ძაღლს, ყველაზე მეტად კი მამალ „კოკო“-ს. საავარაყოფ წაიყვანეს ქალაქგარეთ, ბიძასთან. იქ ბიძის ქრელმა ოთახმა ისე გააოცა, როგორც შობის ხემ, როიალის კლავიშებს თითებს ურტყამდა, სურათებს ათვალეირებდა და სიხარულით შესძახებდა: „ძია!“... და ჩურჩულით, მორიდებით ისევ იმეორებდა: „ძია“, თან ბიძის ყოველ მოძრაობას თვალს აყოლებდა. მეზონინში ქანდაკებების და ფრინველების ფიტულების ცქერით ვერ ძღებოდა. „შა, შა...“ უყვიროდა მათ ისე, როგორც ეზოში დამფრთხალ ბელურებს. მატარებელს მუნჯივით მისჩერებოდა, ბედნიერი, მოცინარი, არ ეშინოდა მისი.

ეზოს გარეთ პირველი გასეირნების შემდეგ შინ რომ დაბრუნდა, როგორც სხვებმა, ყველას თავი დაუჯრა და წარმოთქვა „სამი“. რაც სალამს ნიშნავდა. შემდეგში „სამი“-ს მაგივრად „საამოს“ ამბობდა და ქუდსაც „საამს“ უწოდებდა. სათამაშოები, ცხენი და ფორანი საწოლის ქვეშ შეალაგა. მის მისაბამ საგნად ძალი გახდა. კარებზე ყუფდა, მასავით ზღურბლზე წვებოდა. დამით, როცა საწოლის დაწყვეტილი ბადიდან დაცურებული ძირს დაეცა, იატაკიდანაც კი მოისმა მისი ძალღვივით ყუფა: „ჰამ!“

ერთხელ უთხრეს, რომ უნდა გადააგდოს საზიზღარი რეზინის საწოვი. მის სახეზე გამოისახა განცვიფრება, შეშფოთება, ჩაფიქრიანება და პირველი ყოყმანი. საზიზღარი? განა ეს შესაძლებელია? მაგრამ საწოვს თავი მაინც დაანება. ყოველთვის ამაყად მოიგლეჯდა ხოლმე საწოვს კისრიდან და დაუნანებლად სიცილით შორს გადაისროდა. ფეხს წაქრავდა, წაიქცეოდა, იცინოდა, გორაობდა, თან ეშმაკურად მანქავდა სახეს, ვითომ ტიროდა. შრომასა და მიხვრა-მოხვრაში ყველას ბაძავდა. მიიჩემა სამზარეულოს დიდი დანა და ერთხელ ბაღშიც კი წაასწრეს, როცა დანით ნამგალს ლესავდა. გაზაფხულზე, პირველი გასეირნების შემდეგ, ძილის წინ ეშმაკური და აშაღლური სახის გამომეტყველებით განზე იშვერდა საწოვს, ისეთი ნეტარებით შეუბერავდა სულს, „ფუ“-ო, როგორც ის თუთუნის მწვეველი, რომელიც გზაში შეხვედროდა და გამოლაპარაკებოდა. ტბილად კოცნიდა თოჯინებს, კედელს, სკამებს, ყველაფერს თავის ირგვლივ. გახარებული შეეგებებოდა ხოლმე მგზავრობიდან დაბრუნებულ მამას და, როცა პირველ საამო მღელვარებას და გაოცებას დასძლეოდა, ყოველთვის სხვადასხვანაირად იწყებდა მის წინ გაუთავებელ ტრილისა და

ბრუნვას. უნდოდა ეჩვენებინა, თუ რა ისწავლა ახალი! სიყვარულის გამომწველენება, უმოძრაოდ არ შეეძლო. მოძრაობა მისი სიტყვები იყო.

კვირადღეს დიდუდასთან უნდა წასულიყო, წასვლის წინ ძალს მიუცუცქდა და უხალისოდ ჩამოყრილ ყურში ჩასძახოდა: „ჰამუ! ბებო...“ „ატო... ცი?“ წითელი გაუჩუქის თოჯინას კი ეჩურჩულებოდა, მისგან წასვლაზე თანხმობის მიღებას ცდილობდა, რადგან გული იქ, სოფელში დარჩენოდა. სოფლის მოედანზე თეთრი, ჩიჩაყვებდაბერილი ბატები გამოსულან. შუკებში მძიმედ დატვირთული დაღვრემილი ვეება ცხენები დადიან, ახმაურებულ ბოსელში ძროხები ნელა იცოხნებიან, რძეზე ზრუნავენ, კრელი ქათმები ეზოში ისე ამაყად და მოუსვენრად დასეირნობენ, გვეგონებათ, ყველაფერს ისინი განაგებენო, რაც კი რამ ამ ქვეყნად ბუნების იღუმალი და სასიკეთო მიუნიჭებია ადამიანისათვის. იქ დარჩა მას გული, რადგან ათასნაირი, ხელმისაწვდომი, მასავით მუდამ მოძრავი ცხოველები მისთვის უფრო ახლო და გასაგები არიან.

მისი პირველი მოკლე ხნით დაავადების დროსაც კი, როცა სიცხიანი შფოთავდა, ისევ საყვარელ ცხოველებს ბაძავდა: „ჰამ“, „მიაუ“, და „მე... ე... ე...“-ს იძახდა. ისედაც შემკრთალ მშობლებს უფრო მეტად დაუწყო შეშინება ლოგინთან სხვადასხვა ეშმაკური წამოძახილებით. დილით კი საღსალამათს გამოეღვიძა. ზოგჯერ გაღვიძებული, თვალზეუქუნა გამოაცხადებდა: „იქ, „ყოკო“ იქ „მე... ე“ სად იყო? ალბათ, მის სიზმარში. თვალს გაახელდა, მცინარე შეხედავდა მის ბალიშზე მოქარგულ კატას, მიეალერსებოდა და ისევ ზედ დადებდა თავს, იცინოდა, თავის ბედნიერებით ტკებოდა. ეს გრძნობა კი მის შეგნებაში თანდათან უფრო ცნობიერდებოდა.

მისი პირველი თამაშობანი და სიტყვები

მისი ყველაზე საყვარელი წიგნი „ილუსტრირტე ცაიტუნგი“-ს სქელი მეორეცდაათე წლის კომპლექტი იყო. ფურცლავდა ვეებერთელა შრიალა გვერდებს და დაულალავად ხმამალა უკითხავდა თავის განცვიფრებულ და გამხიარულებულ მსმენელებს. პოლიტიკურ, ხელოვანთა და კრიმინალურ პიროვნებათა პორტრეტებს, რომლებიც შიგ იყო განურჩევლად ყველას „ბაანი“ (ბატონი) დაარქვა და თვით წიგნსაც ასევე უწოდებდა, პირველი მისი თამაშობა „კითხვობანი“ იყო. შემდეგში კი მისი ყურადღება „ქანი“ — ფანქარმა მიიპყრო. „ატო“ (ავტო) დამიხატეთო, თხოვლობდა, რომლის განუყრელ ნაწილად მენტანის უკან მიმავრებული „დანი“ (ჩემოდანი) ითვლებოდა, „აბუსი“ (ავტობუსი) მის ნახატს ხომ თვალს ვერ ამორებდა, თვითონ ხატავდა იკლიკანტურ თილისმებს, წრეებს, თან დროადრო ძირს, თავის საბავშვო სკამის ბორბლებს ჩახედავდა, რადგან მას ნახატის ნიმუშად იყენებდა. თამაშობდა მხატვრობანას. მხარეულობდა, მარილსა და შაქარს ერთმანეთში ურევდა და ცომის ჭუჭყიან პატარა გუნდებს აბრტყელებდა. სახეხი რკინის ჯაგრისი ქვიშის მავივრად მარილში ამოსვარა და იატაკს წაუსვა, მებაღეობაში ხომ ამაზე გაცილებით ნაკლებ ნიჰს ამქლავებდა. ყველაზე დიდ ბედნიერებას იმ წუთებში გრძნობდა, როცა რეზინის წელიდან წყალს ჩაუსხამდნენ წკრიალა სარწყავში, რომელსაც ხელში ვერ აჩერებდა რადგან სიხარულისგან ხტუნავდა და სარწყავსაც აქანავებდა. რეზინის წელიდან ჭუჭყიანი წყლის ნაკადი ბიძას პირდაპირ სახეში შეაშხეფა.

სახატხლოდ წავიდა სოფლად. ტყეში სოკოები იპოვნა და სახლში იატაკზეც სოკოს დაეძებდა. ჯადგვარას აწყვეტდა თავებს, ვედროში აგროვებდა და გახარებული დედას ეძახდა. ტყეში მყუდრო ადგილას ეძინა. ლილილოებში შემალული ლურჯი პრიპინები დახ-

ტოდნენ მის ირგვლივ. მკლავზე დამჯდარ ჭია მაიას ცოცვას თვალს ადევნებდა. „დი... დი... დი...“ წადიო ეჩურჩულებოდა. ეალერსებოდა ხავსის რბილ შწვანე ბალიშს, რომელიც კატის ბეწვს მოაგონებდა. დასეირნობდა ტყის ბილიკებზე მწვანე ჯოხით ხელში და ჩალის ქუდით, შარავანდედით რომ ადგა თავზე, სადამოზე დაღლილი ძილს თხოვლობდა. „ნანი მინა“ იტყოდა და ბაღშივე, როგორც დიდ ფოთოლზე, მიეძინებოდა. იქ გარეთ, წარმოიშვა მისი პირველ-დაწყებითი თამაშობანი. შეაჯდებოდა მამას ან დედას, იქვე ტყის პირას წამოწოლილს, გარეუბანში ნანახს ფორანზე მკლამი მემწვანისის მსგავსად, ხელში დაბლუჯული ექირა ტყეში მოგროვილი ყვავილები, ბალახის ყუნწები, და ხმამალა ვაიძახოდა „გასაყიდი საქონლის“ მისმიერვე შეთხზულ სახელებს: „კიკი“, „ოკი“, „წილი“, „ოკი“, „ვადი“, „ვადი“, ტყიდან მწყემსები გამოძახილით უპასუხებდნენ.

საეკლესიო დღესასწაულიდან ახსოვდა და უყვარდა კარუსელი. მოუთმენლობა იპყრობდა ვიდრე შეჯდებოდა. მერე კი გულდაჯერებული, თავშეკავებული სიცილით უკან მშობლებისაკენ იხედებოდა. კარუსელი მიაქანებდა მას რიგრიგობით ხან მამალზე შემჯდარს, ხან ცხენზე, ხან გედზე და, საქანოდ მომზადებულებს დიდხანს ნაზად ეალერსებოდა ხოლმე. წამოსვლისას კი დიდი სიყვარულით ემშვიდობებოდა. ბაქანზე ბარგი აქონდა, ხალხს ხელიდან ართმევდა ჩანთას და ვითომ დაძრულ მატარებელს უკან მისდევდა, საშინლად ყვიროდა: „მე! მე!“ რაც იმას ნიშნავდა, რომ მეც წამოსვლა მინდა და თქვენ კი აქ გავიწყდებითო! ერთხანობას მუხლებზე სიარული დაიჩემა, ქონდრის კაცივით, რომელიც ცირკში ჰყავდა ნანახი, და ყველა საგნებს, როგორც დოლს ისე უტყაპუნებდა. საეკლესიო დღესასწაულის შთაბეჭდილე-

ბანი დიდხანს ჩარჩა მეხსიერებაში.

ერთელ ქუჩაში აჩუქეს სათამაშო, წითელ პიჯაკიანი თოჯინა — სქელი ბურჯუა, მას სრიალით დაქანებულ ადგილზე მხოლოდ უკან დახევა შეეძლო, რასაც სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. შეათვალე რა სათამაშო „საამი“ (სალამი) ძია!“, ზრდილობიანად უთხრა და თავიდან მისი დაწებებული ქუდის მოხდას შეეცადა. მერე მეგობრულად ხის წვეტიანი ცხვირი გადაუყოცნა და უცებ ხელი მოუქნია და ბიჭურად სილა გააწნა. ამ „ძიას“ ხშირი ბანაობის შემდეგ, როცა ფეხები მოსძვრა, ცხვირიც და ქუდიც მოეარდა უშველებელი მელოტი თავი და თავზე თმის მაგივრად წებო დარჩა. ის და წითელი კაუჩუკის თოჯინა, რომელიც ბანაობის შემდეგ თავის გაჩხვლეთილი ტანიდან ჭოჭს უყურებდა ხოლმე ლოგინში, გახდნენ მისი ერთგული ამხანაგები, შუადღეზე, კმევდა მათ, საღამოზე აძინებდა, დილაობით კი აღვიძებდა, ერთი სიტყვით მათზე ზრუნავდა. აღერსიანად მიიღო რკინის მავთულიდან გაკეთებული გველი, რომელიც მუყაოს თეფშზე იყო დამაგრებული. თოჯინის მოწვევისას, გველი, იკლავებოდა, იხვეოდა და თავს მალა წამოსწევდა ხოლმე. მან ერთადერთ წითელ თვალში ჩაბედა, „გუ- გუ“ (კუ-კუ) წამოიძახა და ხელი გადაუსვა, რადგან ბოროტებას და სიკეთეს ჯერ კიდევ ვერ არჩევდა ერთმანეთისაგან.

სულ რამდენიმე სიტყვა იცოდა, ცდილობდა ისინი ყველგან გამოეყენებინა, ყოველგვარი ზრდილობიანი საქციელი ართობდა: „პამი ძილისა! ძილი ნებისა! ჯობა!“ (გამარჯობა) ძალს ბუნაგში მიესალმებოდა. თავს „ბლობს“-ს (მადლობას) ყველას ცალ-ცალკე უძღვნიდა. მისი სათამაშოებიც ისევე იქცეოდნენ, როგორც ადამიანები, ცხენი და ძაღლი, ქათამი და ავტო, კოცნიდნენ ერთმანეთს. როცა მოცეკვავე „მარენკა“ და „მამაკე“ ცეკვას დამთავრებდნენ, თავის დაკვრით და მხიბლავი „ბლობთ“-ით ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ. მო-

კუნტული, მოგრეხილი, ჩახარინწული ხმით მათხოვრობდა და მხოლოდ იმისათვის ბაძავდა გლახას, რომ თავის „ბლობთ“ ეთქვა. პირველად, როცა შემოსასვლელში „ნეკა“! ზღენკა! იარომირეკა მათხოვარივით მოკუნტული დაინახა, უცებ საშინლად შეჰყვირა, იმ წუთში გართობილ იარომირეკს დაავიწყდა, რომ ზღენკას უყურებდა. მათხოვრისა მერეც ეშინოდა, თუმცა მათ ხშირად ხუმრობით ჰბაძავდა. მის წარმოდგენაში „გახა“ — მათხოვარი და „ბუა“ — კუდიანი დედაბერი ერთმანეთში ირეოდა.

უყვარდა ავტობუსის გამყოლის მიბაძვა: საღამოობით ლოგინში გაჩერდებოდა, საწოლის რიკულს ხელს ჩაეღლებდა და აქეთ-იქით ქანაობდა. ვითომ მას ავტობუსი არყევდა. მეგარმონესაც ბაძავდა, ხან ერთ გვერდზე გადაიხნიკებოდა ხან მეორეზე უკრავდა, მღეროდა და დაკვრაში მიწოდებულ ქვებს, კენჭებს, თოფებს იღებდა და თამაშსა და ყვირილში თავის „ბლობს“ (მადლობას) ჩურჩულით ეუბნებოდა. თანდათან ბრძანებლობაც შემოიღო „დი, დი, კოკო!“ გადი კარში, კოკო!, უბრძანებდა კვერცხებზე მჯდარ დიდელას კრუსს, თხას კიკინს უკრძალავდა, მოსწყინდა მისი მუდამ ერთიდაიგივე „მე... მე“... უთითებდა, თუ სად დაეღაგებინათ მისი სათამაშოები და ნანად რა სიმღერა ეთქვით. სულ რამდენიმე სიტყვა იცოდა, მაგრამ მაინც შეეძლო სიტყვების, მარცვლების, ბგერების სწრაფად გადაბმა, შეთხზვა მთელი გაუგებარი წინადადებებისა, ამბისა, სიტყვებს ერთმანეთში აურევდა, ყველას იხმარდა და ასე მცირე საშუალებით დიდ ორატორულ წარმატებას აღწევდა. მოთხრობამ, სადაც ცხენმა ბავშვს წიხლი ჰკრა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მას აქეთ, რაც ეს ამბავი მოისმინა, სულ ცდილობდა რაიმე საშინელი ეამბნა და თვალგაფართოებული ზაასის დროს ლაპარაკში ჩაერეოდა და აღელვებული გამოაცხადებდა „აჩუმბუ!“.

ხის ქვეშ გაჩერებული ბატი ტოტიდან ქარის მოწყვეტილ ვაშლს ელოდებოდა, რომ დაეკორტნა, ამის დანახვამ თხრობისათვის ახალი მასალა მისცა. განკარგულებებთან ერთად შეკითხვების მიცემაც დაიწყო. ყოველ საგანზე ყველას ცალ-ცალკე ეკითხებოდა. განკარგულებებს იძლეოდა, თვითონ კი არ ღებულობდა, ჯიუტად უარყოფდა ყოველგვარ მოთხოვნას, მიუხედავად მისი

აღერსიანობისა, თავისი ნებით წვეტდა, მისი ბავშვური უმწიკლო ამბორი ვისთვის ებოძებინა, თითქოს გრძობდა მის ღიდ ღირებულებას. თავის კოცხას სახეგაბრწყინებული პირის ოდნავი მიკარებით ტკბილად არიგებდა, როგორც ძვირფას საჩუქარს, და თუ ცრემლები მოერეოდა, ამაყი, გულჩათხრობილი მაგრად მოხუჭავდა თავის ლურჯ თვალებს.

გამოღვიძება

„ძემ მინა, ძე!“ იძახდა მოუთმენლად და თითქმის სასოწარკვეთილებამდეც კი მიდიოდა, თუ რძე არ მოჰქონდათ, თხოვნას თავს ანებებდა და გაჯავრებული ჯიუტად იმეორებდა: „ამინდა ძე, ა... მინდა!“, მაგრამ, როგორც კი ბოთლით რძე გამოჩნდებოდა, იმ წამსვე გადაავიწყდებოდა გაჯავრებაც და თავის ნათქვამიც. თევზივით გაღებულ პირით დაეწაფებოდა ბოთლს და დაჭიმული ტკბილ განცხრომას ეძლეოდა.

რძე ეკლავ ადავსებდა მას ძალ-ღონით. საღამოზე, სანამ დაიძინებდა, ფანჯრისაკენ გაურბოდა თვალი, „ბუა“ (სიბნელე) აშინებდა. გაიხედავდა ფანჯრისაკენ და გახარებული გამოაცხადებდა: „ბუანთია!“ — ბუა ანათებსო, მიუბრუნდებოდა მის საწოლთან დაკიდულ სურათს, და მოურიდებელი სიცელქით რაფაელის მადონას ეკითხებოდა: „შენ ამსილი?“ (გყავს შეილი). ამ კითხვას დღენიადგ იმეორებდა, პასუხს არაფერს სცემდა, საკუთარი თავის გარდა, რაც მასვე აქეზებდა სიცელქეში: „ამს, ამს!“ ჰო, ჰო, თქო ამსო! (ყავს ყავს, ჰო, ჰო, თქვა, რომ ყავსო“).

„ახლი გათ! ხე გათ?“ (სახლი გაქვთ? ხე გაქვთ?) ეკითხებოდა კედლებზე დაკიდებულ ნუბენიჩეკის სურათებს და თან ხმამაღლა იცინოდა, ლოგინზე ხტოდა. დილით, გაიღვიძებდა თუ არა, მასთან ერთად იღვიძებდა და ცოცხლდებოდა მთელი სახლი. „დილაბისა“ (დილაშეშვიდობისა!) „კაძინა?“ (კარგად გეძინათ?!), მიესალმებოდა თავის

გაფერადებულ საშენ კუბიკებს. მიესალმებოდა გერმანული ნაყეთობის თოჯინას, რომლის მოტიტვლებული თავის ქალა მკიდროდ იყო ამონემსილი და ჰრელი ქუდით დაფარული, მას წითური სახე ჰქონდა, უტიფრობისა და ცივი ირონიის გამომეტყველი. ზურგზე მოიგდებდა ხოლმე თავის საყვარელ მეგობარს და სამზარეულოში მიიჩქაროდა. მასთანვე იძინებდა ხშირად თავითავსმიდებული. იწვა ორი ოინზაზი: ერთი ცოცხალი და ფარული, მეორე არაცოცხალი, მაგრამ ცხადი, აშკარა.

როცა ავად გახდებოდა, კამპარეციკ მასთან ერთად ავადმყოფობდა, სიცხის გაზომვა მისთვისაც სავალდებულო იყო, მასაც ჰქონდა „ფუა“. ხელში ატარებდა, გაჯავრებული სცემდა, კბილებს აკრაქუნებდა. სჯიდა ვითომდა აუტანელი სიცელქისათვის, ვითომ იმიტომ, რომ დედას ზეწარზე ღილეუბი ააცალა. არ იძინებდა, არ ჰამდა. ხშირად, როცა მოეჩვენებოდა, რომ იძინებს, უცებ გახარებული ლოშნას დაუწყებდა.

ჩვეულებრივად ასე იღვიძებდა და ყოველ ვალვიძებასთან ერთად, ხუმრობასა, წყრომასა და თამაშს შორის უფრო სულ ნათლად მკლავდებოდა მისი ზოგიერთი თავისებურებანი, ყოველი ჰამის შემდეგ ცელქური გაზვიადებით და თავაზიანად ყველას ცალკ-ცალკე თანაბრად უძღვნიდა მადლობას, ვინც კი მასთან ერთად უსხდნენ მაგიდას: ბლობთ, ბებო; ბლობთ, მამა, ბლობთ ძიჯ ბლობთ კაიშკო! კარლიჩკო; თუ რამე

უნდოდა ასევე გაზვიადებით ყველას რიგრიგობით ნებათვას ეკითხებოდა „სეიბა?!“ „შეიძლება, ძია? სეიბა, ბე-ბო?“ და ასე შემდეგ, მაგრამ ასეთი თავშეკავება მეტისმეტად ფორმალური იყო, რადგან ონავრობას მაინც არ იშლიდა.

დაიჩემა მტკიცე უარისყოფა „სუობით (სრულებით) არ მეშინია“ (არ მეშინოდა), „სეობით ატილე“ (არ მიტირია) „სუ... უ... ობით“. ეს სიტყვა უფრო მეტად მის სიზუსტეს ამჟღავნებდა. მისი ვრამატიკა საცხე იყო ანალოგიებით. იტყოდა „ეს მამე“, ხოლო „მიეცის“ მაგივრად „ეს მაიმეს“ ამბობდა, შეკვამე! მე გვამე! ფისო ქამე (ფისომ ქამა)... თხზავდა ახალ სიტყვებს. თვითმფრინავს „ოპენკას“ ეძახდა, ცხვირსახოცს — „პატინკას“, წყალს და საერთოდ დასალევს — „მენეს“, ბაიაროს — „ფთას“ რძის ნაღებს — „ძიძას“.

რადიოს უსმენდა და ზუსტად ასხევეებდა „ბლბლლ“ — მუსიკას და „ლა-ლა-ლა“ — სიმღერას. რადიოს ჩასართავის ტრიალი უყვარდა, უყვარდა რადიოს ღრიტინის მოსმენა. ბავშვებთან თამაშობდა, მაგრამ კურდღლობანაში წრეში მარტოდ გაჩერება არ უნდოდა. სკოლობანას თამაშობის დროს წამოდგებოდა და გაკვეთილს არ არსებულ მასწავლებელს უპასუხებდა. შეკითხვაზე, რას აკეთებს კატა? უპასუხებდა: „ფისო თავს იწეს, ძეს სამს-კაქი“, შეაქებდა თავის თავს და დაჯდებოდა, მაგრამ ლექსის სათქმელად თუ გაიძახებდნენ მას ძალით მივეწყოდით, ღიჯინით თავი უკან მიჰქონდა. მთლად მოეშვებოდა, შეეწუხებოდა თავის ცოდნაში დაეჭვებულ.

ნათლიღება ღამეს შობის ხეს გარშემო უვლიდა, უნდოდა ენახა, მას რა საჩუქრები მიუტანეს. „აი მატაბელი!“ (მატარებელი) „აი წინი!“ (წივნი), „აი აჩუ!“ — იძახდა გახარებული და ერთი სათამაშოდან მეორესთან მიბრბოდა. თოჯინები მატარებელზე შესხა. ეშმაკი, რომელიც ყოველთვის საბარგო მატარებელზე მძლოლად ჰყავდა ხოლმე, ახლა უცებ „მოკოვივზე“ (ლოკომოტივი-

ზე) შემინქანედ დასვა. ნაშუადღევს თოჯინებსა და ტაკიანსარასთან ერთად იძინებდა, ღამით კი მისი საწოლი წიგნებით იყო მოფანტული. წავიდა სრულში საცხოვრებლად. მათ სახლს მოშველებული ეზო ჰქონდა გარშემო. შიგ დაცარიელებული ბედელი და მიყრუებული ბოსელი იდგა. სახლი საცხე იყო ფერმეცვლილი სურათებით და ზედმეტი მოგონებებით. იარომირეკმა აქაც თავის შექცევა დაიწყო. რამდენჯერაც ვალო ოთახისა თუ კარადის კარები იმდენჯერ შიგ შეიხედა და ცნობისმოყვარეობით იკითხა: „სი არის?“ (შინ არის?).

ყოველ დილას სასოებით უსმენდა სლადეკის ლექსს „ვიცი ბროლის წყარო“ — ს და შიგადაშიგ ნელა ჩაიცინებდა ხოლმე, როცა უკითხავდნენ ზღაპარს ცეროდენაზე. ზურგზე მოიგდებდა გამოკრულ ბოხჩას, მეწვრილიმალესავით ატარებდა, ძველ ჩანთას მხარზე გადაიკიდებდა, ვითომ ფოსტალიონი იყო. წერილებს ჩანთიდან იღებდა და არიგებდა. პატარა სკამი, მაგიდა, ადგილიდან ადგილზე გადაჰქონდა, მეარლენსავით წინ დაიდგამდა, ვითომ არღანზე უკრავდა და მთელი საათობით მღეროდა: „ლამტალაში, ღამიალაში“ (ღელი დელი), ნანად უმღეროდა საკუთარ თავს: „შეხდა თის ანგლოგი“ (შეხვდა ღვთის ანგლოგი), მაგრამ თუ ხალხურ სიმღერას „ვიცი, ვიცი ტყუილია“ — გაიგონებდა, ჯავრობდა, თავს იცავდა „ალა, ალა მართალია?“. ვერ ითმენდა უსამართლო საყვედურს. მისი შეკითხვები „ეს რა არის“ ისე ბუნებრივად მოისმოდა, როგორც „მშია“, „მწყურია“. დაიძინებდა და მთელი სახლი მოჯადოებულ სასახლედ გადაიქცეოდა, როგორც მძინარე მზეთუნახავის ზღაპარში. ყველაფერი მიწყანარდებოდა, მიიძინებდა. მის ვალვიძებასთან ერთად თავიდან იწყებოდა შრომა, ხმაური, ისე როგორც ზღაპრულ სასახლეში მზეთუნახავის ბედნიერი განთავისუფლების შემდეგ. ასე ვახდა ის ოჯახის სული და გული.

ავტორიზებული თარგმანი ჩუხურიდან
 ელენე მარინთაშვილი

პრ. მსახივნი



ვ. ი. ლენინი და საქართველოს კომუნისტების მოღვაწეობა მსოფლიო იმპერიალისტურ ომის პერიოდში

ვ. ი. ლენინი ჰემარიტად ტიტანურ მუშაობას ეწეოდა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, იგი რაზმავდა რევოლუციურ ძალებს ომის წინააღმდეგ, ამხელდა ყველა ჰეგემის ამ პარტიებს, რომლებმაც უღალატეს მუშაობის ინტერესებს და მხარი დაუჭირეს თავიანთ ჰეგემების მთავრობებს ომის წარმოებაში.

ერთადერთი პარტია, რომელმაც მიმდინარე ომი შეაფასა, როგორც იმპერიალისტური, მმართველური, ანტიპალატი, უსამართლო ომი და თანამიმდევრულად იბრძოდა მის წინააღმდეგ — ეს იყო ბოლშევიკური პარტია.

ვ. ი. ლენინი დაუტყობელი ენერჯით ხელმძღვანელობდა და წარმართავდა ბოლშევიკური პარტიის მთელ მოღვაწეობას მსოფლიო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევაში და ცარიზმის დამხობისათვის.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის ამ მეტად რთულსა და მძიმე პერიოდში ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოს კომუნისტების მუშაობას.

ვ. ი. ლენინის ამ პერიოდის დოკუმენტებისა და ვ. ი. ლენინთან ქართველი კომუნისტების ურთიერთობის მთელი რიგი ძალი მასალების სპეციალური შესწავლის საფუძველზე გამოკვეთული იქნა შემდეგი:

1. ვ. ი. ლენინი დიდი ინტერესით ეცნობოდა ომის პერიოდის საქართველოს შესახებ არსებულ ლიტერატურას, ვარჯად იცნობდა საქართველოს სხვადასხვა პარტიებისა და კლასების დამოკიდებულებას ომისადმი.

2. ვ. ი. ლენინს მიმოწერა და პირადი შეხვედრები ჰქონდა საქართველოს ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებთან, განუმარტავდა მათ ომის ურთულეს საკითხებს, აძლევდა რჩევადარჩევასა და მითითებებს მუშაობის შესახებ.

3. ვ. ი. ლენინი დაუნდობლად აკრიტიკებდა და ამხელდა ქართველი მენშევიკების ოპორტუნისტულ სოციალ-შოვინისტურ პოზიციას ომისადმი დამოკიდებულებას საკითხებში და ამით ფსადუდებულ დაბმარებას უწყევდა საქართველოს კომუნისტურ ორგანიზაციებს ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებში პარტიის პოლიტიკის გარშემო მსგებობის დარაზმვის საქმეში.

4. საქართველოს კომუნისტები, შეუნელებლად აღევნებდნენ თავიუფრს ლენინის გამოსვლებს, მის წერალებს პრესაში, ვანუზრელად ხელმძღვანელობდნენ ლენინის მითითებებით, კერძოდ, მის მიერ 1914 წლის შემოდგომამზე დაწერილ „თეზისებით ომის შესახებ“ და მტყიცულ იღვენ ლენინურ პოზიციებზე.



ვ. ი. ლენინი მუდამ იყო ომის კერძში, თუ რა დამოკიდებულება დაიკავეს საქართველოს ბოლშევიკებმა და მენშევიკებმა ომისადმი.

ბოლშევიკებმა თავიდანვე დაიკავეს სწორი პოზიცია, დაწყებული ომი შეაფასეს, როგორც იმპერიალისტური ომი, უარყვეს სამხედრო-სამხრეველი კომიტეტებში მონაწილეობა. იბილსში, ისევე როგორც ბაქოში, გამოცემული იქნა ომის საწინააღმდეგო პროკლამაციები.

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმერკავკასიის ბოლშევიკების ამ გამოსვლებს ომის წინააღმდეგ.

1914 წლის 14 ნოემბერს ა. ჯ. შლიანკოვისათვის ვაგზაილ წერილში ვ. ი. ლენინი, ებებოდა რა საკითხს, გამოსულიყო თუ არა შლიანკოვი სიტყვით შეკვივის სოციალ-დემოკრატთა ურილობაზე, ურჩევდა მას: თუ ვამოხვალ მიხსალმე, ესურვე უოველგვიარი წარა

მეტბა რევოლუციური ინტერნაციონალური სოციალ-დემოკრატიის ხელისკვეთებით და თუ ასეთი სიტუაცია გამოხვდა დღემდე: "რომ რუსეთის შემთხვევაში 1) გამოხატეს თავიანთი შეხედულება სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის საშუალებით, რომელსაც ხმა არ მიუძღვათ ბიუჯეტისათვის; 2) რომ ისინი უშეუბრალოდ არა-დემოკრატიული პარკლამაციებს ს. პეტერბურგში, რიგში, მოსკოვში, კავკასიაში; 3) რომ მათი პარტიის ორგანო, ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური ორგანო გამოვიდნენ საერთაშორისო ოპორტუნისთვის წინააღმდეგ." 1

საქართველოს ბოლშევიკებსა და მენშევიკებს ომისადმი დამოკიდებულების საკითხში ერთმანეთის დამამტრებლად საწინააღმდეგო პოზიცია ეჭირათ. ბოლშევიკებს მიმდინარე ომი მიიჩნათ იმპერიალისტურ, ანტიბალხურ ომად, ამას დაბეჯითებით უხსნიდნენ მასებს და მოუწოდებდნენ მსოფლიო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისაკენ. ეს პოზიცია ომის მიერ მანძილზე მტკიცედ ეჭირათ საქართველოს ბოლშევიკებს და აქტიურად შეუბოძდნენ ამ მიმართულებით.

საქართველოს მენშევიკების დამოკიდებულება ომისადმი პირველ ხანებში ხასიათდება შინაგანი წინააღმდეგობებით, მერყეობით, პოზიციის ცვალებადობით.

ომის დასაწყისშივე საქართველოს მენშევიკებმა ვამპირთეს თათბირი და გადაწყვიტეს ომისადმი ნეიტრალური პოზიცია დაეჭირათ. მხოლოდ ეორდანიი და მის მომხრეთა მცირე ჯგუფი იშთავითვე დადგნენ „სამშობლოს დაცვის“ თვალსაზრისზე, მაგრამ მაშინ მენშევიკების საგრძნობმა ნაწილმა მას მხარი არ დაუჭირა და პარაქენული თვალსაზრისი გვიხიარა, განდნენ ვ. წ. მენშევიკ-ინტერნაციონალისტები, რომლებიც ერთხანს გარკვეული გავლენით სარგებლობდნენ და საგრძნობლად არყვედნენ მენშევიკების ერთიანობას ომისადმი ობორონული დამოკიდებულების საკითხში. საყენებლად ვასაგებია, რომ ბოლშევიკებს შეეძლოთ გარკვეულ ფარგლებში კავშირი დაეჭირათ მენშევიკ-ინტერნაციონალისტებთან, გამოყენებინათ მათი პოზიცია ომის საწინააღმდეგო პროპაგანდაში. უთუოდ ამ გარემოებით აიხსნება ის ფაქტი, რომ მენშევიკების ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის ზელმოწერით 1914 წლის აგვისტოში გამოიცა პარკლამაცია „გამოუტახლოთ ომი ომს“, რომელიც პარაქენულ თვალსაზრისის ქიდაგებდა. ამ დროიდან მოყოლებული 1915 წლის სექტემბრამდე ეორდანიი უმცირესობაში იყო თეთი თავის ფრაქციაშიც კი. მაგრამ იგი დაციენებით განაგრძობდა თავისი თვალსაზრისის პროპაგანდას ქარ-

თულ პრესაში. მან ვახეთ „აზრში“ გამოაქვეყნა სტატიების მთელი სერია და თემცა ვახეთის რედაქცია, რომლის გარშემო შემოკრულბლი იყვნენ მენშევიკები და პროგრესულად განწყობილი ინტელიგენციის ნაწილი, ერთხანს არ ეთანამშებოდა ეორდანიას და მის სტატიებს სათანადო შენიშვნებსაც უცეთებდა, მაგრამ თანდათანობით მენშევიკების ეს ნაწილიც მიემხრო ეორდანიას, განსაკუთრებით მკვეთრი გარდატეხა მენშევიკების შეხედულებებში მოხდა 1915 წლის სექტემბრიდან, როცა პლებანოვი და მისმა თანამებრძოლებმა გამოაქვეყნეს მოწოდება „სამშობლოს დაცვის“ შესახებ. ცხიდა ქართველ მენშევიკებს უნდა შეესრულებით თავიანთი ცენტრის მითითება.

ამის შემდეგ მენშევიკებმა ვიასინჯეს თავიანთი შეხედულებანი, და ინტერნაციონალისტთა მცირე ჯგუფის გამოკლებით, მხარი დაუჭირეს პლებანოვს და მამასადამე ეორდანიასაც. ქართული მენშევიზმი თანდათანობით და მალე საბოლოოდ ჩაეფლო სოციალ-შოვინიზმის ჰაბოში.

ვ. ი. ლენინი დიდად იყო დინტერესებული საქართველოში მიმდინარე მოვლენებით, კითხულობდა სათანადო ლიტერატურას, მიმოწერა ქეონდა საქართველოს პარტიულ მოღვაწეებთან, მითხოვდა დაწერილებით ინფორმაციებს საქმეთა მღვთმარეობის შესახებ, თხოვდა ეთანარგმნათ ქართულ ვახეთებში გამოქვეყნებული მასალები და ამრიგად, მან ყოველთვის კარგად იცოდა მთელ იმ პარტიულ ბრძოლების შესახებ, რასაც იღვლილი ქეონდა საქართველოში ომის პერიოდში.

მოვიყვანთ რამდენიმე დამახასიათებელ ფაქტს.

იმის შესახებ, რომ ნ. ეორდანიი ერთხანს უმცირესობაში, და თითქმის განმარტოებულ იყო ომისადმი დამოკიდებულების საკითხში, ლენინმა იცოდა ბაქოდან შალშიანის მიერ ვახეზავენი წერალით და ეენვეიდან ნ. კიანაძის მიერ მიწოდებულ მასალებით.

1915 წლის 1-ლ ოქტომბერს ს. შალშიანმა წერილი ვახეზავნა ვ. ი. ლენინსა და ნ. კერუბსკიას და ხაზგასმით მიუთითა, რომ პლებანოვისა (ეორეს) და ეორდანიის (ანს) ფართო ვასავალი არა აქეთ ამიერკავკასიაშიო. ს. შალშიანს წერდა: „საერთოდ ეორეს ბედი არ წყალობს კავკასიაში. მისი ერთადერთი ევლილისმსურველი არის ანი. ის ჩამოვდა აქ და მიიმხრო მხოლოდ ერთი კაცი... მაგრამ ეს ამ უკანასკნელისათვის საწუხაროდ დამოავრდა. ის ასეთი გამოსვლისათვის აყალიბალით ვაგდეს თავის წრიდან თავისსავე მეგობრებმა." 1

1 С. Г. Шаумян, Избранные произведения, т. I, стр. 485.

1 ვ. ი. ლენინი, თბ. ტ. 26, გვ. 286. (რუს.):

საინტერესოა, რომ შაუმიანის მიერ მიწოდებული ეს ფაქტი ნ. კრუსკაიას მამინევე უცნობებია სახლგარეგნეთის ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის.

ნ. კრუსკაიას წერილში იღლა რაიონისადმი, რომელიც მაშინ ეწევიან იმყოფებოდა, თითქმის სიტყვა-სიტყვითაა მოყვანილი ზემოდ აღნიშნული ადგილი ნ. შაუმიანის წერილიდან. ნ. კრუსკაია სწერდა ო. რაიჩის: „პლუხანოვის თვალსაზრისზე დგას მხოლოდ ანო. ის ჩასულა ბაქოში, მაგრამ იქ დაურწმუნებია მხოლოდ ერთი ამხანაგი, რომელიც შენსევე იქებმა ამის შემდეგ ვარიცხეს ორგანიზაციიდან პატრიოტიზმისათვის“¹.

კიდევ უფრო საინტერესო და ბერძნის ვითქმელია ის ფაქტი, რომ ნ. შაუმიანის დასახლებული წერილი ლენინისა და კრუსკაიასადმი თითქმის მთლიანად დაბეჭდილია პარტიის ცენტრალურ ორგანოს „სოციალ-დემოკრატ“-ის 1915 წლის 20 ნოემბრის ნომერში 2.

ეს წერილი დაბეჭდილია ბაქოდან გამოგზავნილი კორესპონდენციის სახით, ამის გამო ბუნებრივად წამოიჭრა კითხვა: ხომ არ შეიძლება, რომ ეს მასალა ვახუშტის მართლაც ცალკე კორესპონდენციის სახით უფროდყო გაგზავნილი ბაქოდან თვით ნ. შაუმიანის ან კიდევ სხვა პიროვნების მიერ, რომელსაც აგრეთვე გააჩნდა მსგავსი ცნობები?

ს. შაუმიანის მიერ ლენინისა და კრუსკაიასათვის გაგზავნილი წერილისა და ვახ. „სოციალ-დემოკრატ“-ში მოთავსებული კორესპონდენციის შედარება სრულიად უდაოდ ნათელიყოფს, რომ იგი თავიდან ბოლომდე ს. შაუმიანის დასახლებული წერილია. ამასთან, ასევე სრულიად უძვეველია, რომ იგი ლენინის მიერ, ან მისი მითითებით კრუსკაიას მიერ ოდნავ იქნა შესწორებული (მხოლოდ იმისათვის რომ პირადი წერილისათვის საგაზეთო წერილის ფორმა მიეცათ), და გაშვებული იქნა გაზეთში.

¹ Ленинский сборник XI, стр. 186.

² ეს ფაქტი, რამდენადაც ვიცით, დღემდე არსად არ ყოფილა აღნიშნული. იგი ომის პერიოდის ლენინური დოკუმენტებისა და ცენტრალური პრესის სპეციალურად შესწავლის პროცესში ჩვენს მიერ იქნა შენიშნული და მოკლეა.

საპირი იქნება ს. შაუმიანის რჩეული ნაწერების შიგნით გამოცემის დროს მასში შეტანილი იქნას ცნობა იმის შესახებ, რომ ნ. შაუმიანის მიერ ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილი პირადი წერილი დაბეჭდა ვახ. „სოციალ-დემოკრატ“-ში.

საესებოთ ბუნებრივია ვ. ი. ლენინის ასეთი დამოკიდებულება ამ დოკუმენტისადმი. მხოლოდ იმის პერიოდში შეტანა შემდეგ პარტიომა იყო. მეორე ინტერნაციონალის პარტიებმა მხარი დაუჭირეს თავიანთ იმპერიალისტურ მოაზრობებს, რუსეთის მეწვევიკური პარტია შოვისისტურ პოზიციებზე დაედა, გაძლიერდა ნაციონალისტური განწყობილებები. ვეოაფერი ეს იქებოდა შემთა კლასის რიგებში, იწვევდა მერყეობას და გაუგებრობებს. ასეთ პირობებში, ცხადია, ბოლშევიკური ორგანიზაციების გადამკრულ და ენერგულ ბრძოლას შენსევეკების სოციალ-შოვისიზმის წინააღმდეგ უდიდესი მნიშვნელობა ქქონდა. ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციების ასეთი მუშაობის ყოველი ფაქტის პრობანგანდა განამტკიცებდა სიმხნევესა და ლენინური პოზიციებისადმი ერთგულებას, ხელს უწყობდა ბოლშევიკების ერთიანობასა და დარბმულობას ომისადმი დამოკიდებულების საწვეში.

საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ბოლშევიკები ამ მხრივ სერიოზულ მუშაობას ეწეოდნენ, მტკიცედ იდგნენ ინტერნაციონალიზმის ლენინური დროშის ქვეშ. ცხადია, სწორედ ამიტომ ჩათვალა დიდმა ლენინმა საჭიროდ და სასარგებლოდ ასეთი ფაქტების ამსახველი ნ. შაუმიანის პირადი წერილის გამოქვეყნება პარტიის ცენტრალურ ორგანოში.

განვიხილოთ მეორე ფაქტი.

1915 წელს პარიზში რუსულ ენაზე გამოიცა სტატიების კრებული „Война“, რომელშიც მოთავსებული იყო ვ. პლუხანოვის, ლ. დეიჩის, პ. დნევიანცის, ი. აქსელროდის, ვ. ოლგინის, ვ. ალექსისის და კ. კახელის სტატიები.

კ. კახელი — ეს არის ცნობილი ქართველი მენსევეგი კ. ანდრონიკაშვილი, რომლის სტატიაში „ომი და კავკასიის სოციალ-დემოკრატები“ გამოცემული იყო ქართველი მენსევიკების, უმთავრესად ნ. ყორდანის შეხედულებანი მიმდინარე ომის შესახებ. კ. კახელის სტატია თითქმის მთლიანად აგებულია ნ. ყორდანის სტატიებზე, რომლებიც იბეჭდებოდა გაზეთების „ახალი აზრი“ და „თანამედროვე აზრის“¹ ფურცლებზე სათაურით „ომი და ზავი“. კახელს მოჰყავს აგრეთვე ვახ. „შადრევანის“ შეხედულებანი.

¹ „თანამედროვე აზრი“ არსებითად იყო გაზეთ „ახალი აზრის“ გაგრძელება, ამ უკანასკნელის დაბერვის შემდეგ, გამოდიოდა 1915 წლის მარტიდან.

არსებობს დოკუმენტები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ვ. ი. ლენინი ვაცინობია როგორც კ. კახელის ზემოდ დასახელებულ სტატიას, ისე ჭარბულ პარესაში გამართულ კამათს ომის საკითხებზე, კერძოდ, ნ. ყორღანაის სტატიებს „ომი და ზავი“.

საკვ. ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის პარტიულ არქივში¹ ინახება დასახელებული კრებული „მინიმამ“, რომლის სტატიებზეც, მათ შორის კ. კახელის სტატიებზეც ლენინის მიერ გაკეთებულია აღნიშვნები, ცალკეული ადგილების ხაზგასმები და შენიშვნები.

წაუკეთებავს რა კახელის სტატია, ვ. ი. ლენინი, დინიტრატისებულა, როგორც ავტორის ვინაობით, ისე მის სტატიაში ციტირებული ვახუთებით, მასში მოთავსებული სტატიებით, ყორღანაის პოზიციით ომისადმი და მთელი ეს მასალები მოუთხოვია ნ. კიკნაძისათვის, რომელიც მაშინ ეგნევიში იმყოფებოდა და ისტრმატურის მიმწერი აქირდა ლენინთან.²

ამ უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ ნ. კიკნაძის წერილებიდან ამ საკითხს ვხედავ 1915 წლის 21 ივლისს ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილი წერილი.

ნ. კიკნაძე თავის ვრცელ წერილში (მანჭანაზე ნახველ 7 გვერდის უდრის) დაწერილებით პასუხობს ლენინის მიერ დასმულ კითხვებზე.

ნ. კიკნაძე სწერდა ვ. ი. ლენინს: არ არის არავითარი შესაძლებლობა ეიშოვო „თანამე-

ღროვე არის“ და „შადრევანის“ კომპლექტები ისიც ომის დროის; აქვე კონკრეტულად ვხედავთ, რომ ეს ვახუთები მოდის ანარქისტულად ცალკეული ნომრები, ჩამოთვლის ამ ნომრებს და ეტყვნება, რომ „უწველი დასახელებული № № შეიძლება ვიშოვოთ აქ, მაგრამ ისინი იმდენად მკრთალია, რომ მათში არ შეიძლება ვიმოთვოთ პასუხი ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე“.

შემდეგ: „პირველი ორი ვახუთის ჩვენს მიღებულ ნომრების მასალები შედგება გარდა ანის სტატიისა, სტატიებისაგან განსაკუთრებით ეკონომიკური ცხოვრების საკრძობოროტო საკითხებზე, არის, რა თქმა უნდა, პოლიტიკა, შექმნილი დაგვიარად. „შადრევანში“ იყო სერია სტატიებისა „ნაციონალურ საკითხზე“ და „სამშობლოსა და ინტერნაციონალის შესახებ“ სამშობლოს დამცველთა“ სტულისკვეთებით. ასეთია ვახუთების შდგომარეობა.¹

შემდეგ კიკნაძე უხასიათებს ვ. ი. ლენინს აღნიშნული ვახუთების პოლიტიკურ მიმართულებებს და აცნობებს, რომ „პირველი ორი ვახუთი გამოხატავს იმ მენშევიკ-ლიკვიდატორების შეხედულებებს, რომლებიც ჯგუფდებიან იმ სახელგანთქმულ საოქტო კომიტეტის ორგელიც, რომლითაც თავი მოაქვთ ჩვენს ლიკვიდატორებს... „შადრევანი“ არის ს. დ. ავტონომისტ-ტერიტორიალისტების ჯგუფობით უმნიშვნელო ჯგუფის ვახუთი“.

როგორც ნ. კიკნაძის წერილიდან ჩანს ვ. ი. ლენინს შეუკითხავს მასთვის: „როგორც ვაყრება ჩამოთვლილი ვახუთები ჩხეიძეს, სკობლევის, ნ. კიკნაძე ამაზე უხასუხებს: „ამის შესახებ არ არის სტატიები, მაგრამ ეს ვასაკვირველი არ არის, საერთოდ ცნობილია, რომ მათს, როგორც თავიანთი დემუტატების, საქმიანობის კარგათ ვაყრობიან“. ვ. ი. ლენინის შემდეგ კითხვაზე: „არის თუ არა მონაცემები ჩხეიძის წინააღმდეგ ანის, ანდა ანის წინააღმდეგ ჩხეიძის გამოსვლების შესახებ“ ნ. კიკნაძე უხასუხებს: „არავითარი მონაცემები არ არის. ყოველშემთხვევაში ვახუთებში არ ყოფილა, თეთი კერძო ხმებიც არ ყოფილი ამის შესახებ“.

შემდეგ ნ. კიკნაძე სწერდა ლენინს: „თქვენს მეკითხებით სად არის ამ ვახუთებში გამოხატული „სამშობლოს დაცვის“ სოციალ-მოცინისტური თვალსაზრისი. ანის სტატიის გარდა ასეთი თვალსაზრისი ამ ვახუთებში, ვ. ი. მენშევიკ-ლიკვიდატორების ოფიციალურ ვახუთებში არ ჩანს“.

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი ფ. 2, ილწ. 1 საქ. 3651.

² დღემდე შეცდომით მიჩნეული იყო, რომ ვ. ი. ლენინმა ნ. კიკნაძეს მისწერა სამი წერილი, რომელთაგან ერთი დაკარგულად მიიჩნედათ. ლენინის კრებულის III ტომის შემდგენელი ი. ტოკსტუხა ამის შესახებ პირდაპირ წერდა: „ვლადიმერ ილიას-ძემ ნ. დ. კიკნაძეს მისწერა სულ სამი წერილი, აღმოჩნდა, რომ ერთი მათგანი, სამწუხაროდ, დაკარგულია“ (იხ. „ლენინსკი სბორნიკი“, III, გვ. 458).

ახლა, როცა ნაპოვნია ნ. კიკნაძის მიერ ლენინისათვის გაგზავნილი 6 წერილი, შესაძლებელი გახდა უდავოდ გამოკვეთულიყო, რომ კიკნაძისთვის ვ. ი. ლენინს გაგზავნილი აქვს არა სამი, არამედ, ყოველ შემთხვევაში, არა ნაკლებ ხუთი წერილისა. ჩვენ ვაძიებთ: „არა ნაკლებ ხუთისა“ იმის მიხედვით, რაც დღეისათვის უმკველად მტკიცდება კიკნაძის 6 წერილის მიხედვით, მაგრამ, თუ შეხედულობაში მივიღებთ, რომ ლენინისადმი გაგზავნილი კიკნაძის ყველა წერილიც არაა აღმოჩენილი, რომ ეს წერილებიც უდაოდ ნ-ზე მეტია, მაშინ შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ ლენინის წერილებიც კიკნაძისადმი 5-ზე მეტი იყო.

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 17, ილწ. 13. საქ. 29655.



ნ. კიკნაძის წერილთან ერთად ლენინმა მიიღო რუსულ ენაზე თარგმნილი ეორდანიას სტატიები „ომი და ზავი“, რომელთა პირადად წაკითხვა და გაცნობა უნდოდა ლენინს და ამიტომ მათი ქართულიდან რუსულ ენაზე თარგმნა უთხოვია ნ. კიკნაძისათვის, რის შესახებაც მეტიად საინტერესო მიმოწერა არსებობს. უკანასკნელ დროს გამოვლინებულ ნ. კიკნაძის ერთ-ერთი წერილიდან ვ. ი. ლენინისადმი, რომელიც დათარიღებულია 1915 წლის 12 ივნისით, ჩანს, რომ ლენინს ოღონდ რაეიჩინსადმი მიწერილ წერილში საყვედური გამოუთქვამს ამის გამო, რომ კიკნაძემ მას არ გაუგზავნა ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ნ. ეორდანიას წერილები „ომისა და ზავის შესახებ“, რომელშიც ავტორი ეხება გერმანიის სოც.დემოკრატების დამოკიდებულებას ომისადმი. ნ. კიკნაძე ბოდიშს ძღვნი ლენინის წინაშე, მისი საყვედური „სავსებით დამსახურებულად“ მიიჩნია და ატყობინებს: „მე დავიწყე მისი თარგმნა თქვენი წერილის წაკითხვისათვის“. იგი მზად იქნება არა უადრეს 7-8 დღისა. მაგრამ, აშკარაა, რომ კიკნაძეს აღნიშნულ ვადაში ვერ შეუძრებოდა თარგმანი. ლენინი კვლავ იმეორებს თავის საყვედურს კიკნაძისადმი, რომ მან დღემდე არ გაუგზავნა ეორდანიას სტატიები თარგმანი.

დაახლოებით 1915 წლის შუა ივლისში ლენინი ორენბერგიდან ქვევავაში ვ. პ. კარპინსკისათვის გაგზავნილ წერილში წერდა: „სამწუხაროა, რომ ჩვენმა ბოლშევიკებმა ქართველებმა არ გამოვიგზავნეს ჩვენ ანის (კოსტროვის) სტატიის თარგმანი. სტეპკოს საყურადღებოდ, არ შეგიძლიათ თქვენ მსუბუქათ დატექსტით იგი?“¹

ამის შემდეგ ნ. კიკნაძის მალე დაუმთავრებია თარგმნა და 1915 წლის 21 ივლისს გრცელ წერილთან ერთად გაუგზავნა ლენინისათვის. ლენინს იმავე დღეს მიუღია კიკნაძის წერილი და მოთხოვილი თარგმანი, რასაც ადვანსტურებს კარპინსკისათვის გაგზავნილი 21 ივლისით დათარიღებული წერილი, რომელშიც ლენინი წერდა: „სტეპკოსაგან მივიღე თარგმანი. ძალიან, ძალიან მაღლობელი ვარ“².

— ნ. კიკნაძე თავის ამ წერილში განუმარტავს ლენინს, რომ ეორდანიას სტატიების თარგმნა მოთინიანდ არ მოხერხდა, რადგან მას არ გააჩნდა გაზეთის ყველა ნომერი. მაგრამ ვფიქრობთ რომ ამ თარგმნითაც „ჩვენ გვაჭებს სტატიების ყველაზე მთავარი ნაწილი“ და რომ „ჩემი მთავარი ამოცანა — ვიგაციოთ თქვენ

ანისა და ზოგიერთი სხვა ქართველი მოღვაწის მოსაზრებანი, იმედი მავს, მიღწეულ იქნება ასეთი თარგმანის გზითაც“.

ნ. კიკნაძეს უთარგმნია ნ. ეორდანიას სტატიები, რომლებიც მოთავსებული იყო გაზეთ „ახალი აზრის“ 1915 წლის 22, 23 და 25 თებერვლის ნომერებში. ეს თარგმანი, მანქანაზე ნაბეჭდი 26 გვერდი, ინახებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის პარტიულ არქივში³.

ვ. ი. ლენინს წაუკითხავს რა ეორდანიას სტატიები, ტექსტზე გაუკეთებია ხაზგასმები, მთელ რიგ ადგილებზე მიუწერია თავისი შენიშვნები, გაკვირვების ნიშნები.

ამრიგად, ვ. ი. ლენინმა უტყუარო დოკუმენტების საშუალებით ნათლად გამოარკვია, რომ ქართველი მეწვეიეები და მისი ლიდერი ეორდანიი აშკარად დადგნენ პლენაროვისა და ალექსინსკის პოზიციებზე და მათ მსგავსად სოციალ-შოვინისტები გახდნენ.

ვ. ი. ლენინმა 1915 წლის ივლის-აგვისტოში დაწერილი სტატიაში „სოციალიზმი და ომი“ შეეხო რა ქართველი მეწვეიეების ლიდერის ეორდანიას პოზიციას ომის საკითხებში გადაქრით განაცხადა: „პლენაროვი, ალექსინსკი, კავასიელი სოციალ-დემოკრატების ბელადი ანი აშკარა სოციალ-შოვინისტები ხდებიან და გერმანიის დამარცხების სასურველობას ქადაგებენ“⁴.

ვ. ი. ლენინი დიდი ინტერესით ეცნობოდა ომის პერიოდის საქართველოს შესახებ გამოცხულ ლიტერატურას. ვ. ი. ლენინის დოკუმენტებში ინახება სია იმ წიგნებისა და პერიოდულ გამოცემების, რომლებსაც ის კითხულობდა ომის წლებში. სია შედგენილია 1916 წელს „ეორიხის ბიბლიოთეკების ახალი შევსების მაჩვენებლის მიხედვით“⁵. ამ სიაში აღნიშნულია წიგნი „საქართველო და თანამედროვე ომი“.

მაშასადამე უდავო იყო, რომ ვ. ი. ლენინს 1916 წელს წაუკითხავს წიგნი „საქართველო და თანამედროვე ომი“, ამის შემდეგ საინტერესო იყო გამოარკვეულიყო რა წიგნია ეს, როგორია მისი შინაარსი და ამით გაგებული იქნებოდა, თუ რა ახალი მასალა მიიღო ვ. ი. ლენინმა ომის პერიოდის საქართველოს სხვადასხვა სოციალური ფენების პოზიციის შესახებ. გამოირკვეა, რომ ეს წიგნი აბის ცნობილი ქართველი უკიდურესი ნაციონალისტის მიხაკო წერეთლის ნაშრომი, რომელიც ეორიხსშია გამოცემული 1915 წელს ფრანგულ ენაზე, ხოლო 1916 წელს გერმანულ ენაზე; უდავოა, რომ

¹ სტეპკო — ნ. დ. კიკნაძის პარტიული მეტ. სახელი იყო.
² „ლენინსკი სბორნიკი“ XI, გვ. 155.
³ იქვე, გვ. 156.

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, საქმე 3644.
² ვ. ი. ლენინი, თბ, ტ. 21, გვ. 410.
³ См. Ленинский сборник XXVI стр. 157.

ვ. ი. ლენინს წაყოთული პქონდა 1916 წლის გამოცემა გერმანულ ენაზე.



როგორც ცნობილია ომის შესახებ ლენინის თეზისების განახილველად პეტროგრადის მახლობლად 1914 წლის 3 ნოემბერს შეიკრიბა პარტიული კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატები, წარმომადგენლები პეტროგრადის, ვენაოვო-უოლენსენსკის, ხარკოვის და რივის პარტიული ორგანიზაციებიდან. ბევრი დღე-ღამე ვერ დაესწრო ამ კონფერენციას. საქართველოდან აღნიშნულ პარტიულ კონფერენციაზე დასასწრებლად გაემგზავრა ალიოშა ჯაფარიძე, მაგრამ მისი გამგზავრების შესახებ მაშინვე შეიტყო ბაქოს განდარმთა სამმართველომ და დაუყოვნებლივ აცნობა პოლიციის დეპარტამენტის ღირებუროს, ამავე დროს დეპუტატი გაუგზავნა როგორც თბილისის, ისე პეტერბურგის ოხრანეს, პოლიციის დეპარტამენტისათვის გაგზავნილ დასმენაში ნათქვამი იყო: „ჩემს მიერ მიღებული აგენტურის ცნობებით 1-დან 5 ნოემბერს შუა, პეტერბურგში ან ფინეთში გათვალისწინებულია რუს სოციალ-დემოკრატების კონფერენცია, უმთავრესად ბოლშევიკების. თბილისიდან და ბაქოდან შეიძლება გამოგზავნილ იქნას თბილისში მცხოვრები ალექსანდრე ჯაფარიძე. „თბილისში და პეტერბურგის ოხრანეს განყოფილების დეპუტატი გაუგზავნენ დაწვრილებითი მოხსენება“¹.

ამ დასმენის საფუძველზე ა. ჯაფარიძე პეტერბურგში ჩასვლისთანავე დააპატიმრეს. ამიტომ, ცხადია, იგი კონფერენციას არ დასწრებია. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს ბოლშევიკებს შვიდრა კავშირი ქონდათ პარტიის ცენტრთან, ინფორმირებული იყვნენ ომისაღმი და მოყოლებლობის საკითხებში პარტიის ღონისძიებების შესახებ. ამიტომ საეხებით ვასაგებია, რომ ლენინის „თეზისები მის შესახებ“ და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი „ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია“ საქართველოში მიღებული იქნა 1914 წლის შემოდგომაზე.

საქართველოს ბოლშევიკებმა ფართოდ მოაწვეეს ამ ლენინური დოკუმენტების პროპაგანდა. 1915 წლის 11 იანვარს თბილისის ორგანიზაციის კრებამ განიხილა ეს დოკუმენტები, ერთსულოვნად მოიწონა ისინი და დაავალა პარტიის წევრებს ვებელმძღვანელოთ მით.

საქართველოს ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის არსებული იფურთხი და ორგანიზაციული გათიშულობა რკველურად აისახა იმ ფაქტით,

რომ 1915 წლის ოქტომბრის დამდევს ბოლშევიკებმა და მენშევიკებმა ერთმანეთისაგან სიყვეხებით დამოუკიდებლად ჩაატარეს მხიგრავებასის საოლქო თათბირები ომისაღმი დამოკიდებულების საკითხების გადასაწყვეტად.

ამ თათბირებმა ომის პერიოდის ყველა აქტიურობა საკითხზე მიიღეს სრულიად ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული, ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათის რეზოლუციები.

ეს თათბირი, შეიძლება გადავრით ითქვას, ომის პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ცხოვრებაში. ამ თათბირმა სიყვეხებით სწორი ორიენტაცია მისცა ბოლშევიკებსა და მთელ მშრომელებს ომისაღმი დამოკიდებულების საკითხებში, მიუთითა მათ ომიდან ერთადერთ სწორ გამოსავალზე — რევოლუციური გზით თვითმპყრობელობის დაპყრობის აუტორიტეტზე და დასახა ამ მიმართულებით ბრძოლის გაძლიერების კონკრეტული ღონისძიებანი.

ვ. ი. ლენინმა ამიერკავკასიის ბოლშევიკების ამ თათბირის შესახებ ცნობები მიიღო უკვე რამდენიმე დღის შემდეგ. უნდა ვიფიქროთ, რომ ლენინმა პირველად ამ ფაქტის შესახებ გაიგო იმ წერილიდან, რომელიც ს. შაუმიაშია 1915 წლის 24 ოქტომბერს გაუგზავნა გ. შკლოვსკის, რომელიც მაშინ ლენინთან ახლოს იყოფებოდა შვეიცარიის ქალაქ ბერნში.

სრულიად აშკარაა აგრეთვე ისიც, რომ ს. შაუმიაშია მართალია წერილი შკლოვსკის მისამართით ვაგზავნი, მაგრამ ამათ ცნობებს აწვდიდა ვ. ი. ლენინს. შემთხვევითი არაა, რომ წერილი იწყებოდა მამართვით: „ქვირფასა მეგობრებო! — შინდა ვაცნობოთ თქვენ ახალი ამბები ჩვენი ცხოვრებიდან“¹.

ს. შაუმიაში ამ წერილით აცნობებდა, როგორც შკლოვსკის, ცხადია, ასევე ლენინს, რომ „ამ დღეში (დაახლოებით ერთი კვირის უკან) შედგა ორი თათბირი. ერთი ანის მგვობრებისა და მეორე ჩვენი“. შემდეგ წერილში ნათქვამი იყო, რომ მენშევიკების თათბირს ესწრებოდნენ ბაქოს, თბილისის, ქვათურის, გორის, სამტრედიის და გავრის ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომ თათბირზე არ იყო ერთსულოვნება, თბილისისა და ბაქოს ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მხარი არ დაუჭირეს ყორდინის წინადადებებს ომის საკითხებში, თუმცა უმრავლესობა მიემხრო მას. წერილში შედარებით ვრცელი ცნობებია ბოლშევიკების თათბირის შესახებ და დახასიათებულია ბოლშევიკური ორგანიზაციების მდგომარეობა.

¹ С. Г. Шаумян, избранные произведения, т. I, стр. 497.

ბოლშევიკების ეს თათბირი იმდენად საიდუმლოდ ჩატარდა, რომ იგი მხედველობიდან გამოეპარა ჟანდარმერიისა და მის შესახებ ვაუგია მხოლოდ მაშინ, რაც სამხედრო ცენზურას ხელში ჩაუვარდა ს. შაუმიანის დასახელებული წერილი გ. შკოლესკისადმი. ბაქოს ვუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლიციის დეპარტამენტისათვის გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ეხებოდა რა ბოლშევიკების ბაქოს თათბირს, მოახსენებდა, რომ „ცნობები ამის შესახებ სამმართველოს მიერ პირველად მიღებული იქნა წერილიდან, რომელიც დაკავებული იყო სამხედრო ცენზურის მიერ“¹.

გ. ი. ლენინმა შეიტყო თუ არა ბოლშევიკების ამიერკავკასიის თათბირის ჩატარების ფაქტი, დიდად დაინტერესებულა ამით და, როგორც ეს ახლა გამოჩვენდება უნდა ჩათვალოს, მის გადაწყვეტილება ამის შესახებ ცნობები გამოქვეყნებია ბოლშევიკურ პრესაში. ამ მიზნით გ. ი. ლენინს მოუთხოვია დამატებითი მასალები და ამისათვის წერილები ვაუგზავნია ნ. ბუაჩიძესა და ნ. კიენაძისათვის. ამას აღსატყობს ვ. ი. ლენინისათვის ნ. ბუაჩიძის მიერ 1916 წლის 19 იანვარს, ხოლო ნ. კიენაძის მიერ 1916 წლის 22 იანვარს გაგზავნილი **სამსახრო წერილები**, რომლებიც ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება.

როგორც ჩანს არც ნ. ბუაჩიძეს და არც ნ. კიენაძეს მაშინ არა ჰქონიათ სათანადო დოკუმენტები. ბაქოს თათბირის შესახებ ნ. ბუაჩიძე სწერდა ვ. ი. ლენინს: „ქვირტასო ამხ. კავკასიის შესახებ ცნობის დოკუმენტებით დადასტურებისათვის შე გადაეცინა კავკასიის განუთქმობი და მათში ვერ ვნახე პირდაპირი მითითება კავკასიის ჩვენს კონფერენციაზე. შემდეგშიც მივიღებ ზომებს ამ მიმართულებით. ცნობებს ვულოდები საფრანგეთიდან, და როცა ვეულოდფერს შევკრებ, გამოგზავნით დამახასიათებელი ადგილების თარგმანს. მაშინ გაეცნობებით აგრეთვე, სახელდობრ რა შეიძლება ამ ცნობებიდან გამოყენებულ იქნას ჩვენი პარტისათვის“².

ნ. კიენაძეც ასევე აღნიშნავდა ლენინს, რომ: „იმ მასალებიდან, რომლებსაც თქვენ გიგზავნით, არ შეიძლება დაეასვენათ, რომ შედგა ბოლშევიკების კონფერენცია კავკასიაში“-ო.³ ამრიგად ნ. ბუაჩიძემ და ნ. კიენაძემ მაშინ ვერ დაუდასტურეს ლენინს ბოლშევიკების ბაქოს თათბირის ფაქტი და ვერ შეიწოდეს

საქირო მასალები ამ თათბირის შესახებ, მაგრამ სამიჯივროდ აღნიშნავს მას ბოლშევიკების მუშაობის მთელი რიგი ფაქტებს, მათ შორის, როგორც ჩანს იმ ბოლშევიკის შესახებ, რაც ჭარბად ნაციონალისტურ პრესაში იყო განსვლელი ბოლშევიკების ბაქოს თათბირის დაღვინების ვარშეშო.

ჭარბედ სოციალ-დემოკრატების ვახეთ „სახალხო ფრცველში“ დაიბეჭდა ცნობილი დემოკრატისტი არალ ჯაჯანაშვილის წერილი სათაურით „ერაი დოკუმენტი“. ამ ავრთი დოკუმენტის“ ჭვემ იგულისხმებოდა ბოლშევიკების ბაქოს თათბირის დაღვინება, რომელმაც დიდი აურზაური გამოიწვია ნაციონალისტთა შანკში; და ამ დოკუმენტის შესახებ ჯაჯანაშვილის წერილით დაიწყო მწვევე პოლემიკა თვით ნაციონალისტურ და ლიკვიდატორულ განუთქმობის „სახალხო ფრცველსა“, „თანამედროვე არსა“ და „ზვირთს“ შორის, მაგრამ ამ მასალებში არსად ნახსენებია ირ იყო ბაქოს თათბირი.

ამ ბოლშევიკის შესახებ, აგრეთვე ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შდგომარეობისა და მუშაობის შესახებ ცნობები დაიბეჭდა პარტიის ცენტრალურ ორგანოს — „სოციალ-დემოკრატ“-ის 1916 წლის 29 თებერვლის ნომერში (№ 51). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვახეთის ეს მასალა „ცნობები კავკასიიდან“ თავის საგრძნობ ნაწილიმ შედგენილი უნდა იყოს იმ ცნობების საფუძველზე, რომლებიც ნ. ბუაჩიძემ და ნ. კიენაძემ მიწოდეს ვ. ი. ლენინს ზემოდ დასახელებულ და ზოგ სხვა წერილებში. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ მთელი რიგი ცნობები ვაგზავნილი იყო უშუალოდ ვახეთ „სოციალ-დემოკრატ“-შიც და ყველა ამ სხვადასხვა ვახეთ მიღებული მასალებს მიხედვით შედგა მასალა „ცნობები კავკასიიდან“. ამის მთელი სისუსტი გამოიკვევა ახლა შეუძლებელია და ეს არც შეადგენს განსაკუთრებულ ინტერესს. ჩვენთვის საინტერესო იყო გამოგვეჩვენა „სოციალ-დემოკრატ“-ის დასახელებულ წერილში შესულია, თუ არა ის ცნობები, რომლებიც უშუალოდ ლენინის განკარგულებაში იყო.

ეს ფაქტი ჩვენ ახლა სრულიად უდავოდ მიგვაჩნია. ამ მოსაზრებას საფუძველად უდევს შემდეგი ფაქტები.

1916 წლის 10 იანვარს ნ. კიენაძე სწერდა ლენინს: „ამხ. ნოე (ნოე ბუაჩიძე ვ. ი.) გწერთ თქვენ კავკასიიდან სასახარლო ცნობების შესახებ. ცნობები აღებულია შემოხვევით, ისიც რამდენიმე წუთით ჩვენთან მოხვედრილ ს.-დ. მენშევიკური (ანას) განუთქმობის №-დან. განუთქმობი გადაგზავნილია საფრანგეთში. ჩვენ უკანვე მივიღებთ მათ. თუ იქნება საინტერესო რამ დაწერილებით ვაცნობებთ“. ეს სასახარლო

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართვლოს ფილიალის არქივი, ფ. 2, საქ. 57, ფ. 1.
 2 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 17, აღწ. 10, საქ. 27358.
 3 იქვე, ფ. 17, აღწ. 13, საქ. 27366.

ლო ცნობა უნდა იყოს „სოციალ-დემოკრატ“-ში მოთავსებულ წერილში აღნიშნული ფაქტების ბოლშევიკების გაყვანის ვაშლიერების შესახებ. ბუნებრივად ღებულობდა ამ ქართულ გაზეთებს, რომელთა ფურცლებზეც გაიშარა კამათი.

წამოყენებულ მოსაზრებას კიდევ უფრო განმტკიცებს ნ. კიკნაძის მიერ 10 დღის შემდეგ, 1916 წლის 22 იანვარს ლენინისთვის გაგზავნილი მეორე წერილი, რომლის ადგილები თოქშის სიტყვა-სიტყვით, ყოველ შემთხვევაში არსებითად, ემთხვევა „სოციალ-დემოკრატ“-ის მასალას.

შვალთიად, კიკნაძე თავის წერილში აცნობებდა ვ. ი. ლენინს „კავკასიელი თვით ნაციონალისტური წრეებიდან ჩვენი მტრების ვაშობ-მარტუბითაც კა ბ-კეებში... შეადგენენ უპირატეს ძალას ბაქოში, დიდი გავლენა აქვთ თბილისში და სხვ. ადგილებში“.

მართლაც „სოციალ-დემოკრატ“-ში მოყვანილია ციტატი ნაციონალისტების ქართულ გაზეთი — „თანამედროვე აზრი“-დან, სადაც ნათქვამია: „ამ ჯგუფს (ლაბარაკია ბოლშევიკების ჯგუფზე ვ. ვ.) ჰევემონია იქვთ ისეთ სამარეველო ცენტრში, როგორცაა ბაქო, დიდი ძალა აქვს თბილისში და სხვა ადგილებში“.

ამრიგად, როგორც ვხედავთ ორივე შემთხვევაში, არამც თუ ერთი და იგივე აზრი, არამედ ერთი და იგივე სიტყვები.

შემდეგ კიკნაძე იმავე წერილში წერდა ვ. ი. ლენინს: „ჩვენი ამზანაგები კავკასიაში მთელ რაგ საჭირბორტო საკითხებში „სოციალ-დემოკრატ“-ის თვალსაზრისზე დგანან, რომ ანსა (ერადნიის ვ. ე.) და მის თანამოაზრებებს უნდათ დაამცირონ მათი მნიშვნელობა“.

ამის შესაბამისად „სოციალ-დემოკრატ“-ის წერილში ნათქვამია, რომ ბოლშევიკები „კარგად და წარმატებით იცავენ რევოლუციური მარქსიზმის დროშის კავკასიაში ახლანდელ მნიშვ დღეებში“ და რომ სწორი არაა ვაზ. „თანამედროვე აზრი“, რადგან „არც ისე უმნიშვნელო ის ჯგუფი, რომლის მნიშვნელობას იგი ამცირებს“. როგორც ვხედავთ აქაც სრული დამთხვევა.

წერილის დასასრულს კიკნაძე მიმართავდა ლენინს: „ამ ცნობებზე დაყრდნობით, მე მგონია, თქვენ შეგიძლიათ ამ ფარგლებში გაუშვათ შენიშვნა „ს. დ“-ში, თუ ამის საჭიროდ ჩათვლით.

ჩვენ შეძლებისდაგვარად მოგაწვდით ცნობებს, რაც ჩვენამდე მოაღწევს“.

როგორც ვხედავთ აქ კიკნაძე პირდაპირ

მიმართავს ლენინს, რომ ამ ცნობის საფუძველზე, შეიძლება „გაუშვათ“ შენიშვნა „სოციალ-დემოკრატ“-ში. ამასთანავე უნდა გითხრათ, რომ ამის შემდეგ დაპირებისამებრ დამატებით მასალები გაუგზავნეს ვ. ი. ლენინს. კიკნაძემ და ნ. ბუაჩიძემ და ისე, ამ გზით შესდგა ისეთი მასალა, რაც ლენინმა სერათობარტიული ყურადღების აღსანიშნავი მიიჩნია და გამოაქვეყნა ცენტრალურ ორგანოში.



საქართველოს ბოლშევიკები თავიანთი ყოველი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ნაბიჯის შესახებ, პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობის, განზრახულ ლენინისებთან და დასახული ამოცანების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებდნენ ხოლმე ვ. ი. ლენინს, მოითხოვდნენ რჩევა-დარიგებას, დახმარებას.

ამის წლებში მართალია არ იყო ძლიერი და არც მრავალიცხოვანი ბოლშევიკური ორგანიზაციები, რადგან ხშირი იყო ჩაყარდნები და დაპატომრებანი, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა ბოლშევიკები ენერგიულად მუშაობდნენ.

1915—1916 წლებში არსებობდა რსდმპ კავკასიის ბიურო, რომელსაც ჰქონდა თავისი პარტიული სალარო და ბეჭდელი. მამასადამე არსებობდა ადგილობრივი პარტიული ცენტრი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. კავშირი ჰქონდა პარტიის ცენტრთან, ვ. ი. ლენინთან.

თბილისში არსებობდა შედარებით ძლიერი ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელიც არსებითად საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ცენტრის როლს ასრულებდა. თბილისის ორგანიზაციამ 1915, გასაყურადებით 1916 წელს გააცხოველა კიდევ მუშაობა, სისტემატურად იწყობდა კრებებს, თბილავდა მიმდინარე მომენტის აქტუალურ საკითხებს, ჰქონდა თავისი არალეგალური სტამბა, სცემდა ბოლშევიკურ პროკლამაციებსა და სხვა ლიტერატურას, და ცხადია, ბოლშევიკებისათვის ვეღარც საშიშს სწორედ ბოლშევიკების ორგანიზაცია წარმოადგენდა. ამ ფაქტს ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა თვით თბილისის გუბერნიის ენდარმთა სამმართველოო პოლიციის დეპარტამენტისათვის გაგზავნილ მოხსენებით ბარათებში. ერთ-ერთს ასეთ მოხსენებაში 1916 წლის 22 იანვარს, აღნიშნული იყო: „რევოლუციური ორგანიზაციებიდან ყურადღების დიჩისა მხოლოდ რსდმპ თბილისის ორგანიზაცია ბოლშევიკ-ლენინელებისა (კორაყენელები). 10 იანვარს სალამოს 7 საათზე შეს-

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ტ. 17, აღწ. 13, 27366.

და თბილისის კოლექტივის წევრთა კრება, რომელსაც 11 კაცი დაესწროა¹.

თბილისელ ბოლშევიკებს არ აქმაყოფილებდათ არალეგალური სტამბა და არალეგალური გამოცემანი, რადგანაც ომის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლეგალურ პრესას, მით უფრო რომ ასეთი გააჩნდათ მენშევიკებს. თბილისის ბოლშევიკებმა ორგანიზაციამ უსახსრობის გამო ვერ მოახერხა ლეგალური გაზეთის გამოცემა, მაგრამ ამ განზრახვაზე ხელი არ აუღია. ამის შესახებ აცნობებს კიდევ ვ. ი. ლენინს და მოითხოვს მისგან დახმარება პრაქტიკული მუშაებით და სხვა სახით.

1916 წელს აპრილში რსდმპ ცენტრალური ბიუროს ხელმოწერით თბილისის არალეგალური სტამბაში დაიბეჭდა და დიდი რაოდენობით გავრცელდა საპირველმართო პროკლამაცია „ამხანაგო მუშეო!“. ცხადია, მომენტის შესაფერისად ამ პროკლამაციაში უმთავრესად ლაპარაკი იყო ომის შესახებ. პროკლამაცია განმარტავდა ომის იმპერიალისტურ ხასიათს, მიუთითებდა, იმაზე, რომ ომი სწამაობებს მხოლოდ ექსპლოატატორული კლასების ინტერესებისათვის. და, რომ ამ ომს მოაქვს აურაცხელი უბედურება მშრომელთა მასებისათვის. დასასრულ პროკლამაცია მოუწოდებდა მასებს: გამოეცხადეთ ომი ომს. ამ პროკლამაციის გამოცემის შემოფოტებით შეხედენენ მენშევიკებაც კი. ისინი შეეცადნენ მოესპოთ გამოცემული პროკლამაციები და მართლაც მათ დასწრეს კიდევ პროკლამაციების ნაწილი, რომელიც კი ხელში ჩაუვარდათ.

ყველა ამ ფაქტების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა ვ. ი. ლენინს.

1916 წლის 7 მაისს თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის სახელით 2 წერილი გაუგზავნა წერეთელი მყოფ მზა ცხაკაისს, და თხოვეს მის წერილში აღძრულ საკითხებზე მოლაპარაკებოდა ვ. ი. ლენინს და ეთხოვა სათანადო დახმარება.

მ. ცხაკაისის ქართულ ვნაზე დაწერილი ეს წერილი სიტყვა-სიტყვით უთარგმნია და გადუბეზავნია ლენინისათვის.

მ. ცხაკაისის წერილის თარგმანში გაუმიფრავს კონსპირაციული და ზოგი ქართული გამოთქმები და ჩაუხვამს ფრჩხილებში, რათა წერილის შინაარსი გასაგები ყოფილიყო ლენინისათვის.

აი ადგილები ამ წერილიდან (ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები მ. ცხაკაისს ეკუთვნის):

1 საქ. სსრ ცსია, ფ. 2, საქ. 4277, ფ. 19.

2 თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის სახელით გაუგზავნილი წერილი უნდა ეკუთვნოდეს კ. ცინცაძეს, რომელიც მაშინ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბოლშევიკი მუშაი იყო.

...დაღეს აქ ჩვენთვის ყველაზე ხელსაყრელი ნიადაგია. ასე არ ყოფილა აქამდე და როგორც ჩანს არ იქნება. მაგრამ თუ არ გრძნობს გერაცელების გასაზღვებლად რა უნდა ქნან... უამეს (მ-არბი) (ბოლშევიკი მწერალი მ.) უნდოდა გამოეცა ვახუთი, მაგრამ სახსრების უკმაროების გამო ვერ შეძლო. აი, რამაი ძია ილინის დახმარება ჩვენთვის მნიშვნელოვანი. მოვლაპარაკე მას უმთავრესად ამის შესახებ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახლა ამკარა წარმოების (მხედველობაში აქვს ლეგალური პრესა). მთორეანიათ (მხედველობაში აქვს არალეგალური გამოცემანი) ჩვენ გვაქვს, ჩვენ ეცხოვდით ცხელ-ცხელ პურებს, მაგრამ პირველიც (ვ. ი. ლეგალური გამოცემა) ძალიან საჭიროა მეორესათვის (ვ. ი. არალეგალური) იცი, რომ საჭიროა ძალიან გამოედიო ადამიანები (პრაქტიკოსები), რომელთა პოვნა ახლა ძალიან ძნელია, თუ ძია (მხედველობაში უყვს ილინი) დაგვეხმარება ჩვენ ამ მხრივ, მაშინ ჩვენი საქმე კარგად წვა. ეს მიმართვა მისადმი ჩემი პირადი კი არაა, არამედ მთელი ჩვენი ოჯახის სახელითაა (ვ. ი. ბოლშევიკური ორგანიზაციის)...

მოვლაპარაკე მას (ილინს) რომ მან მოგვეწეროს სწორად და გაგვიზიაროს თავისი აზრები...“

შემდეგ წერილში აღნიშნულია თუ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკებიდან ვინ იქნა დაპატიმრებული, ვინ საღ არის და წერილი თავდება ცნობით „ჩვენ გამოვაცხებთ „ლავაშები“ (განსაკუთრებულ პურს თბილისში, ის ლაპარაკობს საპირველმართო პროკლამაციაზე) დიდი რაოდენობით, მაგრამ აქაურმა პატარა კაცებმა (მენშევიკებმა) ერთი ნაწილი სულ დაწვეს... მაგრამ ვერ შეძლეს მოესპოთ“.

24 იულისს ნ. კ. კრუტსკაიამ, ლენინის დავალებით, საპასუხო წერილი გამოუგზავნა მ. ცხაკაისს, წერილით ნათქვამი იყო:

„თქვენ მიერ გამოგზავნილი წერილი ძალიან საინტერესოა. სტეფანე რომ დაპატიმრებულა, ჩვენ მოგვეწერეს, და ჩვენ არ ვიცოდით დარჩა თუ არა ვინმე აქ ჩვენებიდან. აღმოჩნდა, რომ, არამც თუ დარჩნენ, არამედ აქურსაც აცობენ“... კარგი იქნებოდა, რომ გამოგზავნათ მათ მიერ გამოცემული ფურცლები. ძნელია მათ დაუეხმაროთ ფურცლების წერაში, რა თქმაზე, რა დონეზე? მაინც შეიძლებაოდა, ამის გაკეთება მაგრამ როგორ გადაუგზავნათ? გაქმთ თუ არა თქვენ მათთან ურთიერთობის კონსპირაციული საშუალება... ვერინდა უფრო უკეთ დაუეხმარდეთ კავასას“.

ნ. კრუტსკაისს ამ წერილს, რომელიც ცხადია

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 157, აღწ. 2, საქ. 50, ფ. 4-5.

ლენინის პასუხს წარმოადგენს, ლენინის ხელით მიწერილი აქვს შემდეგი:

„ძვირ. აშხ. მისია!

დიდი პატივითა წერილისათვის. გიგზავნით ხალაშს, ვისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას.

თქვენი ვ. ულ¹.

უაღრესად საინტერესოა ვ. ი. ლენინთან ნ. კიენაძის მიმოწერა პირველ იმპერიალისტურ ომთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ახლა, როგორც აღინიშნა, ჩვენ ხელთ გვაქვს ნ. კიენაძის ის წერილი, რომლის პასუხადაც დაწერილია ვ. ი. ლენინის 1916 წლის ნოემბრის ვრცელი წერილი. რაც შეეხება კიენაძის წერილს, რომლის საპასუხოდ დაწერილია ლენინის 1916 წლის ოქტომბრის წერილი, რადგან იგი ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის, მის შინაარსზე შეიძლება ვიმსჯელოთ ერთი მხრივ — ლენინის წერილის, ხოლო მეორე მხრივ ამ საკითხზე არსებულ თვით ნ. კიენაძის სხვა დოკუმენტების საშუალებით.

განვიხილოთ ლენინის პირველი (1916 წ. ოქტომბრის) წერილის ისტორია და შინაარსი. ომის პერიოდში ექვნევაში გაიმართა კამათი ერთა თვითგამორკვევის საკითხზე, ლენინის თვალსაზრისის წინააღმდეგ გაილაშქრეს პოლონეთის ს. დ. წარმომადგენლებმა კ. რადეკის მეთაურობით, ლენინის წინააღმდეგ გამოვიდა მაშინ იუ. პაატაკოვი და ნ. ბუზარინი, აგრეთვე „კებრიოდელთა“ ჯგუფიდან ლენინარსკი და მანუილსკი, 1916 წლის შემოდგომაზე ერთ-ერთი თვითგამორკვევის საკითხზე ექვნევაში ერთ-ერთ კრებაზე მოხსენებით გამოსულა ლენინარსკი. მოხსენების გამო კამათში ლენინარსკის წინააღმდეგ მონაწილეობა მიუღია ნ. კიენაძეს, რომელსაც ექვნევაში გამართულ ამ კამათის შესახებ მოეწერია ვ. ი. ლენინისათვის, რომელიც მაშინ ქ. ბერნში იმყოფებოდა.

ვ. ი. ლენინის პირველი წერილი წარმოადგენს ნ. კიენაძის სწორედ ამ წერილის პასუხს.

ვ. ი. ლენინი ამ წერილში გამოთქვამს თავის შეხედულებას, როგორც საკამათო საკითხებზე, ისე მის წინააღმდეგ მოკამათე პირებზე და ნ. კიენაძეს აძლევს დარიგებას, თუ როგორ უნდა ეკამათოს ლენინარსკისა და ბუზარინის (მანუილსკის) როგორ უნდა დაუსვას კითხვები და რა უნდა მოეთხოვოთ მათ. ლენინი სწერს კიენაძეს:

„ლენინარსკი, ბუზარინი და კოშკი. უთავო ხალხია.

გირჩევთ პირდაპირ დაუყენოთ მათ კითხვა: მოგვეცნ წერილობითი თეზისები (შემდეგ პრესაშიც) მოკლე, ნათელი (როგორც ჩვენი

რეზოლუციები) — (1) თვითგამორკვევის შესახებ (ჩვენი პარტიის პროგრამის 36-ე) ვინაობაზე თუ არა ისინი 1913 წ. რეზოლუციას?

თუ არა, რატომ დემილით აუარეს გვერდი? რატომ არ მოგვეცეს თავიანთი?

(2) რატომ უარყოფენ სამშობლოს დაცვას ახლანდელ ომში?

(3) როგორ აყენებენ „სამშობლოს დაცვის“ საკითხს?

(4) როგორია მათი დამოკიდებულება ვრონელი ომებისადმი და

(5) ეროვნული აჯანყებებისადმი? გვიპასუხო!

ბაღღებოვით დაიბნევიან, სანაძლეოს ვღებ მათ ვერაფერი ვერ გაივებს „ერის“ და „სამშობლოს დაცვის“ ისტორიული ხასიათის საკითხში“.

შემდეგ ლენინი ესალმება კიენაძის განზრახვას ეკამათოს ლენინარსკისა და მანუილსკის და აღუთქვამს დახმარებას თავისი გამოუქვეყნებელი სტატიის გავზავნით დასმულ კითხვებზე.

„რაკი თქვენ ვსურთ ეკამათოთ მათ, — სწერდა ლენინი კიენაძეს, — გიგზავნით ჩემს სტატიას ამ თემაზე კ. ბუილის 36-დან (ან—4-დან). ეს კერძოდ, ე. ი. მხოლოდ თქვენთვის; წაეთხილეთ შემდეგ დამიბრუნეთ ან კარპინსკებს გადაეცით, რომ მათ მორიგი პაექტით დამიბრუნონ. ხალხს ამას ჯერ კიდევ ვერ ვაჩვენებ“ 1.

ეს სტატია იყო ვ. ი. ლენინის შემდეგ ცნობილი ნაშრომი „მარქსიზმის კარკაეტურისა და იმპერიალისტური ეკონომიზმის“ შესახებ“, რომელიც პირველად მხოლოდ 1924 წელს დაბეჭდა.

მანამადაც ვ. ი. ლენინმა ნ. კიენაძეს მისცა არა მარტო დარიგებები როგორ ემზილებინა ლენინარსკისა და მანუილსკის მცდარა პოზიციები, არამედ თავის გამოქვეყნებულა ნაშრომიც კი გაუგზავნა, რათა მას, კიენაძეს შეძლებოდა უფრო ღრმად გაეგო ლენინური შეხედულებანი საკამათო საკითხზე, უფრო მძლეობდა უნარიანად შეეტია იმათ წინააღმდეგ, რომლებშიც საკამათოდ გახადეს ლენინური, ბოლშევიკური დებულებები ომისა და მასთან დაკავშირებით ეროვნულ საკითხებზე.

ვ. ი. ლენინის ეს წერილი ნათლად გვიჩვენებს ჯერ-ერთი, თუ რა ახლო მეგობრულად დამოკიდებულება ჰქონდა მას ნ. კიენაძესთან და, მეორეც — როგორი პრინციპულობით იბრძოდა განურჩევლად პიროვნებებსა, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა შეერყია ბოლშევიზმის პოზიციები ომისადმი დამოკიდებულებებისა და ერთთვითგამორკვევის საკითხებში.

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ტ. 2, ილწ. 1, საჭ. 4152.

ამევე საკითხებს ეხება ვ. ა. ლენინის მეორე წერილი, რომელიც წარმოადგენს პასუხს ნ. კიენაძის წერილზე, რომელიც ჩვენ ახლა უკვე მოგვეპოვება და რომლის საშუალებით შესაძლებელი ხდება გავიგოთ ლენინის წერილის ადგილები, რომლებიც სადისკუსიო საკითხებზე ნ. კიენაძის შეხედულებებს შეეხებოდა.

ამიტომ ვიდრე ვ. ა. ლენინის წერილის შეინაარს შეეხებოდნენ, საბოლო იქნება გავცინოთ ნ. კიენაძის წერილი.

ნ. კიენაძის წერილი ვრცელია, იგი შეიცავს მანქანაზე ნაბეჭდ მ ვერსს 1. მასში ვაღმოცემულია თუ როგორ ესმის ნ. კიენაძეს ერთთვითგამორკვევის საკითხები მსოფლიო ომთან დაკავშირებით და თხოვს ლენინს განუმარტოს მას, თუ რამდენად სწორად ვითვია მისი თვალსაზრისი. ნ. კიენაძე წერილის დასაწყისში მიმართავს ვ. ა. ლენინს: „უახლეს დისკუსიისთან დაკავშირებით ერთთვითგამორკვევის უფლების შესახებ“ საკითხის გამო, მე მინდო მოგცეთ თქვენ 2-3 კითხვა, რომელთა შესახებ ვერ ვპოულობ პასუხს“ ვერც „ს. დ. კრებულის“ სტატიებში, ვერც თქვენი მიერ ჩემთვის ვაღმოგზავნილ სტატიაში, არ ვიცი იმიტომ, რომ ეს პასუხები არ არის იქ, თუ იმიტომ, რომ ისინი მე გამომეპარა შევდევლობიდან“. ამის შემდეგ კიენაძე აცნობს ვ. ა. ლენინს თუ როგორი ველოდებოდა განიცადა ნ. კიენაძემ თავის შეხედულებებში აღნიშნულ საკითხზე. კიენაძე აცნობებს ლენინს, რომ იგი ადრე წინააღმდეგი იყო „ერთთვითგამორკვევის უფლების“, ახლა კი მთლიანად და სავსებით მხარს უჭერს ამ უფლებას და ამ რადიკალურ მოპირუნებას სწორი თვალსაზრისისაყენ უმაღლის ვ. ა. ლენინს. „ამ მოპირუნებას მე არ თქმა უნდა, უნადლი თქვენს სტატიებს, რომლებიც აჯამებენ („პრისევშჩენიეში“ 1914. 4, 5, 6 თქვენი სტატიების შემდეგ) ყველაფერს, რაც კი შეიძლება ითქვას პოლონელების¹ წინააღმდეგ. — და საკითხს განმარტავს ამოშურაოდ. ამას ვარდა, მე უნდა დაემატოს (ბოლოში ვიხილ ამ კომპლენტისათვის) რომ ეს სტატიები მეჩვენება ჩვენი მოძრაობის პრობლემების პოლიტიკური დამუშავებაში დიალექტიკური მეთოდის გამოყენების პირდაპირ ნიმუშად“.

ამის შემდეგ კიენაძე გამოთქვამს თავის შეხედულებას ლენინის რამდენიმე დებულების შესახებ, სახელობს: 1. იმპერიალისტური

ომების ეროვნულ ომებად გადაქცევის შესახებ და შიშს გამოთქვამს, რომ თუ ამას მივიღებთ, ხომ არ გამოდის აქედან, რომ ჩვენ მოვლიწვეს, დავიცვათ იმპერიალისტური სამშობლო, 2. როცა საქმე ეხება ერთთვითგამორკვევის უფლების განხორციელებას, ვ. ა. ლენინის სახელმწიფოებრივ გამოყოფას, ერთნაირობა უნდა იყოს საკითხისადმი მიდგომაში იმ ქვეყნის სოციალ-დემოკრატიაში, რომლიდანაც გამოყოფა ხდება და იმ სახელმწიფოს სოციალ-დემოკრატიაში, რომლის გამოყოფაც ხდება. 3. იმპერიალისტური ომში ძლიერი იმპერიალისტური სახელმწიფო ახდენს შედარებით სუსტი სახელმწიფოს ანექსიას, ისეთი სახელმწიფოსას, როგორცაა მაგალითად, ბელგია, რომელიც აგრეთვე კოლონიური ქვეყანაა, ამიტომ არ შეიძლება მხარი დავუბიროთ მის მოძრაობას.

კიენაძე აცნობებდა ლენინს, რომ ასეთი დასკვნები გამოიყვანს თქვენი სახსრებით სწორი დებულებებიდან და თხოვდა „თუ თქვენ ღრთა გვეწარმა, იქნებ მოკლედ მიმოითვებოდა მეს შევლომებზე“²-ო.

ვ. ა. ლენინმა დააკმაყოფილა ნ. კიენაძის თხოვნა, უბასუხა ყველა დასმულ კითხვას, ვაუწერა მკლარი მოსაზრებანი და ამასთან, პოზიტურ ფორმაში გადმოსცა თავისი შეხედულებანი ყველა საკითხზე.

ვ. ა. ლენინმა განუმარტა ნ. კიენაძეს, რომ დებულებიდან: ახლანდელი იმპერიალისტური ომიც შეიძლება გადაქცეული იქნას ეროვნულ ომად, არ შეიძლება ვაცუთებული იქნას დასკვნა, რომ ასეთ შემთხვევაში თითქოს „ჩვენ მოვალე ვაგზდებით იმპერიალისტური სამშობლო და დავიცვათ“. ეს ლოგიკური არააო უთითებს ლენინი და უბსნის: „თუ სამშობლო იმპერიალისტური“ დარჩება, როგორღა იქნება ომი ეროვნულიო“. იქვე ლენინი გასაგებად განმარტავს, რომ არ შეიძლება ერთნაირი აგრეთ მოქმედებლობა და რეალური სინამდვილე, რომ სწორი არ იქნება ვიფიქროთ თითქოს „შესაძლებლობის აღიარება საშუალებას იძლევა შევცვალოთ ტაქტიკა“. „მარქსიზმი დგას ფაქტებისა და არა შესაძლებლობათა ნიადაგზე“ — წერდა ლენინი.

შემდეგ ლენინი ეხება საკითხს იმის შესახებ, ერთნაირი უნდა იყოს, თუ არა ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატიათვის ეროვნული თვითგამორკვევისადმი დამოკიდებულება და განმარტავს, რომ ეს არ არის საეაღმებულო, კიდევ შერტი, ეს შაბლონი და სასააცილო პრეტენზია. ლენინი ამის შესახებ კიენაძეს სწერდა: „შვედი სოციალ-დემოკრატია, რომელიც ნორვეგიის გამოყოფის თავისუფლების მომხრე არ არის, არამზადა. ამანვე თქვენ არ დავობთ. ნორვეგიელი შეიძლება გამოყოფის

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 17, აღწ. 13, საქ. 27367 ფ. 1-6.

2 ლაპარაკი პოლონელ ს. დ. იმ წარმომადგენლებზე, ვანსაყურებით კ. რადეზე, რომელიც ილაშქრებდა ლენინის თვალსაზრისის წინააღმდეგ.

მომხრეც იყოს და წინააღმდეგაც სავალდებულოა თუ არა ერთიანობა ასეთ საკითხში ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატიისათვის" არა. ეს იქნება შაბლონი, სისაძილო შაბლონი, სისაძილო პრეტენზია".

შემდეგ ლენინი პასუხს აძლევს ნ. კენაძეს ბელგიის საკითხზე და განმარტავს:

„ბელგია კოლონიური ქვეყანაა — მსჯელობთ თქვენ, მაგრამ ნუთუ ზევს ვერ შევძლებთ გამოეარკეთოთ, რა პოლიტიკას აგრძელებს ახლანდელი ომი, ბელგიის მონათმფლობელობის თუ ბელგიის განთავისუფლების პოლიტიკას? ვფიქრობ, რომ შევძლებთ.

ხოლო თუ ვინმე გზის აცდებდა, ეს ფაქტის საკითხი იქნება.

ხომ არ შეიძლება „აეკრძალოთ“ ეროვნული ომები (რაც რადეც სურს) იმის შიშით, რომ უთარხმა ადამიანებმა ან უალთაბანდებმა იმპერიალისტური ომი კვლავ არ გაასაღონ ეროვნულ ომად! ეს სისაძილოა, რადეც კი ასე გამოუდოს.

ჩვენ ეროვნული აჯანყების წინააღმდეგი კი არა ვართ, არამედ მომხრე ვართ! — დაასკენის ლენინი.

ასე გულდასმით უხსნიდა და ასწავლიდა ვ. ი. ლენინი ნ. კენაძეს იმპერიალისტურ ომთან დაკავშირებულ ურთულეს თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს.

ვ. ი. ლენინის ეს შენიშვნები და მის გამოუქვეყნებულ სტატიაში გამოთქმული გენიალური აზრები ბელმისაწვდომი ხდებოდა ქართველ ბოლშევიკთა გარკვეულ წრეებში, რომლებიც კენაძესთან იყვნენ დაკავშირებული.

კიდევ ერთი ასეთი ფაქტი.

1916 წლის დეკემბრის დამდეგს [ქ. თ. ლენინმა დაწერა „თეზისები შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამოკიდებულების შესახებ ომისადმი“, თეზისები დაიწერა შვეიცარიის მეპარტყენ სოციალ-დემოკრატებისათვის, იმასთან დაკავშირებით, რომ იმ დროს მზადდებოდა შვეიცარიის ს. დ. პარტიის სავანგებო ყრილობა, რომელსაც უნდა განეხილა მიმდინარე ომისადმი დამოკიდებულების საკითხი.

ვ. ი. ლენინს ეს თეზისები გაუგზავნია ფრანგი სოციალისტის ანრი გილზოსათვის, იმ ვარაუდით, რომ შემდეგ იგი კარპინსკისათვის გადაეცა, კარპინსკის კი ვ. ი. ლენინი 1916 წლის 20 დეკემბერს სწერდა: ეს თეზისები „გადაეცით სტეპოსა“ და „ნოესსა“-ო. (ვ. ი. ნ. კენაძესა და ნ. ბუჩაძესს).

ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ ქართველ ბოლშევიკებს ხშირად ჰქონდათ შემთხვევა, როცა ისინი ერთ-ერთი პირველები ეცნობოდნენ გენიალური ლენინის ახლად შექმნილ დოკუმენტებს და ცხადია, მათში განვითარებული აზრებითა და დებულებებით ხელმძღვანელობდნენ თავიანთ პრაქტიკულ და თეორიულ მუშაობაში.

თქმა არ უნდა დიდ ბელადთან ასეთ სიახლოვესა და ურთიერთობას განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ბოლშევიკების მოღვაწეობაში.

ვ. ი. ლენინთან სიახლოვეს, მასთან სისტემატური მიმოიწერის, ლენინის მითითებათა წყალობით საქართველოს ბოლშევიკებს ომის მთელ მანძილზე ყოველთვის ეპიკრატ სწორი პოლიტიკა და მტკიცედ იდგნენ ლენინურ პოზიციებზე.

1 ვ. ი. ლენინი, თბ. ტ. 35, გვ. 124.



3. შუახიდი



3. ი. ლენინის ბრძოლა სახელმწიფოს შესახებ რევოლუციონისტულ შეხედულებათა წინააღმდეგ

1. ბურჟუაზიული სახელმწიფოს კლასობრივი ბუნება

თანამედროვე რევოლუციონიზმის ერთ-ერთი ძირითადი დებულება ისაა, რომ იგი თითქმის ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ზეკლასიურად აღიარებს და მის კლასთა შორის არბიტრის როლს ანიჭებს, არბიტრისა, რომელიც თითქმის თანაბრად ემსახურება ყველა კლასს, კლასებისაგან დამოუკიდებელი ფუნქციები გააჩნია და კლასებზე მალა დგას. თანამედროვე ურანგო რევოლუციონისტები—პ. ერგე, ა. ლუფვერი ლ. ბრენ, რუზო და სხვები ჭადაგებენ, რომ საფრანგეთში უკვე აღმოიფხვრა კლასობრივი წინააღმდეგობა და დადგა კლასობრივი თანამშრომლობის ეპოქა. ამერიკელი რევოლუციონისტის ვეიტსის აზრით, ამერიკაში თითქმის უკვე გაქრა კლასობრივი წინააღმდეგობა და დამყარდა კლასთა შორის მუდმივი ზავი. მეორე ამერიკელი რევოლუციონისტი ბატელმენი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ამერიკას შეერთებულ შტატებში უკვე შექმნილია „საერთო კეთილდღეობის სახელმწიფო“, კლასობრივი წინააღმდეგობა და კლასობრივი ბრძოლა მოსპობ, და, ამასთან, ამერიკელი კაპიტალიზმი კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდაამავალ ფაზაში შევიდა.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პროგრამაში დიდი ადგილი იჭებს დამოხილვა თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის, სახელმწიფოს კედლობის საკითხებს. მაგრამ მუშათა მოძრაობის ეს კარდინალური საკითხები იქ რევოლუციონისტული ასპექტით არის გადამყვეტილი. პროგრამაში აღნიშნულია, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლა მიმდინარეობს მხოლოდ ევოლუციური და არა რევოლუციური გზით. იმპერიალისტური სახელმწიფო, ნათქვამია პროგრამაში, „სულ უფრო მეტ კონტროლს უწყევს კაპიტალს, ნაციონალიზმს ზღუდავს კაპიტალისტური საკუთრების უფლებას და ართმევს კერძო კაპიტალის მფლობელთა ცალკეულ დამოუკიდებელ ფუნქციებს ეკონომიკაში და პოლიტიკაში. მონოპოლების ზედაფენების სახელმწიფო

მონოპოლებისათვის კავშირის პროცესი გრძელდება. ეს ზედაფენები თავიანთი მოლტაწიობის გარკვეულ სფეროში სულ უფროდაუფრო სრულ დამოუკიდებელ როლს ასრულებენ და მონოპოლების ცალკეული ფუნქციები დიდი ზომით სახელმწიფოს ხელში გადადის“, პროგრამის აზრით, მუშათა კლასს შეუძლია ბურჟუაზიული სახელმწიფო საზოგადოების მსახურად აქციოს, თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოზე ასეთი წარმოდგენა აშკარა დამახინჯებაა სახელმწიფოს შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპისა.

ეგნატე ნინოშვილი ნამდვილი ხალხური მწერალია. უპირველეს ყოვლისა, ეს ხალხრობა მისი მოთხრობების შინაარსით, იდეურობით არის განირობებული. იგი ემსახურება ხალხის უმრავლესობის ინტერესებს და ხალხრობა მის მხატვრულ აზროვნებაში ორგანულად არის შექრილი.

ეგნატე ნინოშვილის ხანმოკლე, მაგრამ ნათელი და მგზნებარე ცხოვრება ქართველი ხალხის სულიერი სიმდიდრის და შეუბღალავი სასებეტაკის მახუნებელია. და დღეს მადლიერი საბჭოთა საქართველო, როგორც სახალხო დღესასწაულს, აღნიშნავს ეგნატე ნინოშვილის დაბადების ასი წლის შესრულების თარიღს.



ევნატე ნინოშვილი როგორც ისტორიული რომანისტი

ევ. ნინოშვილის ერთ-ერთი აღრინდელი ნაწარმოებია რომანი „ჯანყი გურიამი“. ე. ნინოშვილი ახლად გამოდიოდა სამწერლო ასპარეზზე. მისი პირველი პუბლიცისტურ-იუმორისტული ფელეტონი 1887 წელს დაიბეჭდა „ივერიამი“. 1888 წელს ევნატე გურიის შესახებ კორესპონდენციებს აქვეყნებდა იმავე გაზეთში. როგორც ბელეტრისტი იგი არ იყო ცნობილი. ეს ისტორიული რომანი ახალგაზრდა, სამწერლო ასპარეზზე ჯერ კიდევ გამოუცდელი ბელეტრისტის ნაშრომია.

რომანის დაწერისა და გადაწერის დრო განისაზღვრება 1888 წ. 21 ნოემბრიდან—1889 წლის მაისის ვახლით. 1902 წ. „კვალის“ რედაქცია ამ რომანის შესახებ წერდა:

„ამ რომანს ორი სახელი აქვს ბელნაწერში: „ჯანყი გურიამი“ და „სამწუხარო შედეგი“; პირველი სახელი ავტორს წაეშლია, ბელნაწერს დართული აქვს ავტორის მიერ შემდეგი შენიშვნა¹. საჭიროა მოაუხედავო ბელნაწერის ის შენიშვნა, რომელზედაც „კვალის“ რედაქცია მიუთითებს: „ამ რომანის („ჯანყი გურიამი“) წერა დაიწყო 21 ნოემბერს, 1888 წელს და დაეწერე იმავე წელს შევექვს თავამდე (ესე იგი I, II, III, IV და V თავები), დანარჩენი ნაწილი ამ რომანისა ეწერე 1889 წელს მაისის დანასრულამდე. ეწერდი თითო-ორიოლა საათს დღეში და იმსაკ დროგამოშვებით, ასე რომ იანერის თვეში ეწერე მხოლოდ ერთ დღეს (9 იანვარს); თებერვალში ორს (2 და 11-ს); მარტში არ მიწერია, აპრილში ეწერე ოთხ დღეს (8, 12, 25 და 27-ს); მაისში 16 (1, 2, 3, 4, 6, 9, 17, 19, 20, 22, 23, 24; 25, 28, 30 და 31-ს). შერეე თავის ბოლო და სხვა თავები, ვიდრე რომანის დასრულებამდე, მაისშია დაწერილი. გადაწერის ანუ გადათეთრების დროს (სამხელ გადაწერებ) რამოდენიმე ადგილას შევკეთეთ. ასე რომ ოთხი-ხუთი დღე მეშაობა გამოიმდგება ზემოჩამოთვლილი დღეებს გარდა“.

აღნიშნული ანგარიშით გამოდის, რომ ევნატეს „ჯანყი გურიამი“ დაეწერა 69 დღის განმავლობაში. მაგრამ ავტორი თვით ამბობს: „ეწერდი თითო-ორიოლა საათს დღეში“, ამგვარად

რად საბოლოოდ, დაახლოებით, 30 დღე უნდა ეივარებოდ, თუ ნორმალურ მეშაობას მივიღებთ მხედველობაში. ოცდაათი დღის განმავლობაში ასეთი რთული და მნიშვნელოვანი თემის დაძლევა და ასეთი ვრცელი ისტორიული რომანის დაწერა, ისევე ჯერ კიდევ გამოუცდელი ავტორის მიერ, დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

როგორც ცნობილია, რომანის ავტორგრაფი ჩვენამდე არ შენახულა, დედანი დაღუპულა 1905 წელს, როდესაც დამწვარა გრ. ნ. დიასამიძის ელექტრონის საბეჭდი სტამბა, სადაც დაიბეჭდა ევ. ნინოშვილის ნაწერების სრული კრებული (1904 წლის გამოცემა) და სადაც ინახებოდა რომანის ავტორგრაფი. ევ. ნინოშვილის თხზულებათა 1904 წლის გამოცემის რედაქტორის ცნობით: ბელნაწერა დაწერილი იყო ფანქრით წერაღად და სრულიად უცვლელად. სიტყვა-სიტყვით გადაბეჭდა ეს რომანი ავტორგრაფიდან თავის გამოცემაში. ევ. ნინოშვილის თხზულებათა სრული კრებულის მეოთხე გამოცემაში (1932 წ.) რომანის ძირითად ტექსტად აღებულია 1904 წლის გამოცემის ტექსტი¹.

როცა ევ. ნინოშვილის მატერულ შემოქმედებას ვეცნობით, ჩვენ წინაშე წამოიჭრება საკითხი: რით უნდა აიხსნეს ის გარემოება, რომ პირველ გამოსვლისთანავე ბელეტრისტმა შემოქმედების ობიექტად აიღო ისტორიული თემა და მიმართა ისეთ რთულ ქანარს, როგორცაა რომანი. დასმულ საკითხზე სინტერესო მოსახრება გამოიქვამს ჯერ კიდევ 1930 წელს ფილ. მახარაძემ. იგი წერდა: „1888 წელს ევნატე ცხოვრობდა თავად გურიელის ოჯახში, როგორც მისი მდივანი. ამ ადგილზე მან დაყო დაახლოებით ერთი წელიწადი (1887—1888 წ.). უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დრო მან გამოიყენა მეტად ნაყოფიერად, ამა მან დასწერა ერთ-ერთი შესანიშნავი მატერული ნაწარმოები—ცნობილი ისტორიული რომანი „ჯანყი გურიამი“. ბევრი საფუძველი ვვაქვს ვიფიქროთ, რომ გურიელის ოჯახში ყოფნამ ევნატეს მისცა საშუალება ვასცნობოდა სხვადასხვა წერილობით მასალებს, თუ ზემოთ გადმოცემებს, 1841 წელს გურიამი მომხდარი გლეხების აჯანყების შე-

¹ „კვალი“ — 1902 წ. № 1; ამასვე იმეორებს ევ. ნინოშვილის თხზულებათა 1904 წლის გამოცემა, გვ. 489.

¹ ევ. ნინოშვილი. თხზულებათა სრული კრებული, ტ. I გვ. 282.

სახებ. აქ იგი ხედვებოდა ისეთ წრეს, სადაც ძველი ტრადიციები ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. რასაკვირველია, მე-19 საუკუნის მეოთხე-მოცუ წლებში ჯერ კიდევ ბევრი იქნებოდა ცოცხალი, ვინც აბათო უბრალო მომსწრე, არამედ აქტიური მონაწილეც იყო ამ აჯანყებისა. უნდა ვიფიქროს მით რომ ნინოშვილმა ალბათ ბევრ იმათგანს პირადად გამოკითხა მაშინდელი ამბების შესახებ. ვიმეორებ, დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ, რომ გურიელის ოჯახში ყოფნამ დიდი გავლენა იქონია ისტორიული რომანის „აჯანყ გურიაში“ დაწერაზე. აქ ნინოშვილს შეძლება მიეცა ეს ნაწარმოები დამუშავებისა და დამთავრებისა.¹

თეთ გრ. გურიელი, ნიკოლოზ ბარათაშვილის სკოლის ამხანაგი, მომსწრეც იყო 1841 წლის გურიის აჯანყებისა და შეუძლებელია, როგორც დიდ მემამულესა და გურიის მთავრის ახლობელ შთამომავალს, არ დაჩრწნოდა თავის ოჯახში ცნობები და დაცემენტები ამ მოძრაობის შესახებ.

ეგ. ნინოშვილი, როგორც ჰქვემოთ დავინახეთ, ზედმიწევნით იცნობს 1841 წლის გურიის გლეხთა მოძრაობის ამბებს. 1932 წელს ს. ხუნდაძე წერდა: „ჩვენი განვიცოფრებას იწვევს ის საკითხი, თუ საიდან ამოჰკრეფა ავტორმა ასე ზედმიწევნით ეს ისტორიული ცნობები ამ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ სრულად სილარაფე არსებობდა ამ მოძრაობის შესახებ ბეჭდვითი მასალების მხრე². და მიუთითებს: „ამ მოძრაობის შესწავლა იმ ხანებში (გველისბმობთ 80-იანი წლების უკანასკნელ წორ, 1888-სა და 1889 წლებს, როდესაც ეგნატე წერდა თავის რომანს) საში უშთავრესი გზით შეიძლება: 1) მაშინ უკვე დაბეჭდილი და გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, 2) მეფის შოადგილისა და კავკასიის სამხედრო ოქტის შტაბის სათანადო განყოფილების მიდიდარი არქივის მიხედვით და 3) ზეპირ გადმოცემათა და 1841 წლის აჯანყების მონაწილეთა და დამსწრეთა მოგონებებით³. რასაკვირველია, მეორე გზა ეგნატესათვის სავსებით დახურული იქნებოდა, რადგან, მას არაფერს მთავრებდა ოფიციალურ არქივთან, სადაც უშეშობა განსაკუთრებულ ნებართვით შეიძლებოდა. ნაბეჭდი ლიტერატურა 1841 წლის გლეხთა მოძრაობის შესახებ დღესაც ძლიერ დარბობია, ხოლო იმ პერიოდში ხომ გაცილებით ცოტა იქნებოდა. ერთადერთი ბეჭდვითი ლიტერატურა, რომელიც ამ აჯანყების

შესახებ მოიბოძებოდა იმ ხანებში, იყო „კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტების“ IX ტომი, რომელიც გამოვიდა თბილისში 1884 წელს. „აქტების“ მასალა შეიცავს: [ჩამოტეხილ] ოფიციალურ მიმოწერას მაშინდელ ხელმძღვანელ პირთა შორის, რომლებშიაც მოძრაობის ვითარება გამოქვეყნდა ოფიციალური წრეების თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, აღნიშნული „დოკუმენტები“ მაინც საინტერესო მასალას წარმოადგენდა 1841 წლის მოძრაობის შესასწავლად და ეგნატეს თავისუფლად შეეძლო ამ მასალით საარგებლობა გრ. გურიელის წიგნთსაცავში, სადაც მდიდრად იყო დაცული ისტორიული და არქეოლოგიური წიგნები. გარდა „აქტებისა“ სხვა ნაბეჭდი წყარო იმ ხანებში ამ მოძრაობის შესახებ არ არსებობდა. ვ. ჩუდინოვის ნარკვევი, ოფიციალური თვალსაზრისით შედგენილი: „Восстание гурийцев в 1841 г.“, რომელიც აგებული იყო კავკასიის სამხედრო ოქტის საარქივო მასალებზე, გამოქვეყნდა მას შემდეგ, რაც ეგნატემ რომანზე მუშაობა შეწყვიტა. როგორც აღვნიშნეთ, რომანი იწერებოდა 1888 წ. ნოემბრიდან 1889 წლის მაისის ბოლომდე, ხოლო ჩუდინოვის ნარკვევი კი გამოქვეყნდა 1890 წელს „Кавказский сборник“-ში¹. გარდა ამისა, 1841 წლის აჯანყებას გაცივრით შეეხო დიმი. უფიანის თვის „მეშუარებში“² რომელიც „Русская старина“-ში გამოქვეყნდა 1888 წელს. მაგრამ იგი ერთობ მცირეა და უმნიშვნელო ასევე შეიძლება ითქვას ლ. ისარლოვის დაუმთავრებელ წერილზე „Краткий очерк гражданскогo управления в Закавказии. Крае... и возмущения в Гурини“³.

როგორც ვხედავთ, ეგ. ნინოშვილს 1841 წლის გურიის გლეხთა მოძრაობის შესასწავლად დაბეჭდილი და გამოქვეყნებული მასალები ბევრს ვერაფერს მისცემდა. როგორც მთავრებულად მიუთითებს მკვლევარი ს. ხუნდაძე: „ერთადერთი დაუმთავრებელი წყარო, რომელშიც ეგნატეს მდიდარი მასალა მისცა 1841 წლის გლეხთა გრანდიოზული მოძრაობის შესახებ და ამბეჭდვლა მისი შემოკლებული ენერგია, — ეს იყო უშუალოდ ხალხსა და ნაცნობ-მეგობრებში შეკრებილი ცნობები. იმ ხანებში, 80-იან წლებში, ჯერ კიდევ ბლომად იყვნენ გურიაში 1841 წლის აჯანყების მომსწრენი და ბალხშიაც წარუშლელად ცოცხლობდა მოგონება ამ უჩვეულო მოძრაობისა და მისი მომქმედე პირების შესახებ. ეგნატემაც იმ ცოცხალსა და უშუალო წყაროს მიმართა და იქიდან ამოჰკრეფა უმთავრესად მასალა და ცნობები თავისი რომანისათვის, თუ ოფიციალური

¹ ფილ. მახარაძე, ეგ. ნინოშვილის დრო, ცხოვრება და შემოქმედება. გ. „პროლეტარული მწერლობა“, № 2, 1930 წ.

² ეგ. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, გვ. 286

³ იქვე, გვ. 286 — 287.

¹ T. XIV, стр. 212 — 302, 1890 г.

² დიმი. უფიანი, მეშუარები, სიბ. ხუნდაძის რედაქციით.

³ „Кавказ“ № 109, 1875 г.

ლოკუმენტები თვითმპყრობელობისა და ადგილობრივი მთავრობის თვალსაზრისით ამუშავდნენ საჭმის ვითარებას, უშუალოდ ხალხში დარჩენილი. ვადმოკემებით შენახული ცნობები, მოძრაობაში მონაწილეობა და დამსწრეთა ნაიბობობი, უბრალოდ, მაგრამ სინამდვილით ამუშავდნენ მას, რამაც გურიის ხალხის ეს ვიგანტური ბრძოლა გამოიწვია და არსებობდა ეს ენერგიული ხალხი იბრძოდა. აი, აქ პროვა ევანტემ დი-უშრეტელი წყარო თავისი რომანისათვის. ევანტე ბედნიერი იყო მით, რომ იგი მოესწრო 1841 წლის აჯანყების მონაწილე — დამსწრეთა და ხალხში შენახულ ცოცხალ მოგონებებს. ამჟამად ეს ვა მკვლევარისათვის თითქმის ამოწურულია და მან თავისი მუშაობა უმთავრესად ოფიციალურ და სხვა ცნობებზე უნდა აკავოს. ამ მხრივ ევანტე იშვიათ მდგომარეობაში იმყოფებოდა¹.

რომ ევანტე უშუალოდ ხალხში კრებდა აჯანყების შესახებ მასალებსა და ფაქტებს, ამის დამდასტურებელ ცნობებს იძლევიან მისი ამხანაგები და ნაცნობები. სიმონ ჯგობენაძე, ევანტეს უახლოესი მეგობარი, თავის მოგონებაში წერს: „ასეთ პირობებში გურიელთან დარჩენა, ცხადია, შეუძლებელი იყო და მან 1888 წელს მიიტოვა მასთან საშახლერი; უსამსახურო ევანტე ისევ სოფელ ჩირაგეთში დასახლდა. იქ ის უკიდურეს გკონომიურ სივიწროვებს განიცდიდა: შიმშილი, სიტრტვე, ცუდი ბინა და ყოველმხრივი შევიწროება ევანტეს სულს უხუთავს, ისიც ამ დროს, როცა მისი შემოქმედებითი ნიჭი დამიშრული ენერგიით მუშაობს, როცა ევანტესათვის საჭიროა თუნდაც ერთი კუჭმული ფაქრისა და წერისათვის. ამგების მიუხედავად, ის გაათყვებული ენერგიით მუშაობს და სწერს თავის მოთხრობებს. ამ დროს ევანტე განსაკუთრებით ამუშავებს თავის რომანს „ჯანყი გურიისაში“, და დის ხალხში, ჰკარებს ცნობებს აჯანყების მონაწილეებში, აგროვებს ფაქტიურ მასალებს და სხვა და სხვა. ერთის მხრივ, ბედულადი შემოქმედებით მუშაობდა და, მეორეს მხრივ, საშინელი ეკონომიური სივიწროვე ოტანელი შექვის ევანტეს ისედაც სუსტ აგებულობისათვის“².

რომანის „ჯანყი გურიისაში“ შესასწავლად აღნიშნული მოგონება მრავალმხრივ არის საინტერესო. ამ დოკუმენტით ირკვევა საში რამე: — ევანტე მერტდ მძიმე პატრიარქურ პირობებში წერდა რომანს, ბელეტრისტიკ მასალებს კრებდა უშუალოდ ხალხში და აჯანყების მონაწილეებში და ნაწარმოების გამოქვეყნების საშე-

ლებს მოკლებული მწერალი არაოფიციალურად ავრცელებდა და აცნობდა ხალხს თავის ისტორიულ რომანს.

რომ ევ. ნინოშვილი 1841 წლის აჯანყების ვითარებას უშუალოდ აჯანყებაში მონაწილეობდა, და ხალხში დარჩენილ ვადმოკემებით გაეცნო, ამას ადასტურებს 1930 — 31 წლებში აპოლონ წულაძის მიერ გურიისში შეკრებილი და ჩაწერილი მასალები¹.

საინტერესოა შემდეგი ფაქტი: ევ. ნინოშვილის რომანის დამთავრების (1889 წლის) შემდეგაც არ შეუწყვეტია 1841 წლის აჯანყებაზე მუშაობა და საჭირო ცნობების შეკრება. იმაზე მიგვითითებს თ. კიკვაძის ცნობა მოთავსებული ევ. ნინოშვილის თხზულებათა მეოთხე აკადემიური გამოცემის შენიშვნებში. თ. კიკვაძე წერს: „ევ. ნინოშვილის მოთხრობა „ჯანყი გურიისაში“, როგორც ვიცი, დაწერილია 1888 წელს, მაგრამ ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ამის მიზეზი ისაა, რომ ავტორს ეს მოთხრობა სიკვდილად დასრულებულად არ მიაჩნდა და განაგრძობდა ისტორიული მასალის შეკრებას. 1892 წ. თბილისში ევანტეს შევხვდი ზევი ქვის მრეწველი ნ. ლოლობერიძის ზესტაფონის კანტორაში, სადაც სტუმრად იყო მისული იქ მოსამსახურე ამხანაგებთან. იქ მეც მომიხდა ორი-სამი კვირით დარჩენა. ამ დროის განმავლობაში მე და ევანტე საკმაოდ დუეტაბლოვდით ერთმანეთს. ერთ დღეს ევანტემ თავისი ხელნაწერები წამოკითხა, ვკონებ „ქრისტინე“ იყო, და შემდეგ ლაპარაკი ჩამოავლო გურიის 1841 წელს მომხდარი აჯანყების შესახებ. ჯერ გამოკითხა რაც მე ვიცოდი ამის შესახებ და შემდეგ მთხოვა დამესახებებოდა მისთვის ვინმე ამ ამბის კარგად მცოდნე. მე მივიუთითე ისტორიკოს — არქეოლოგ ექვთიმე თაყაიშვილზე, რომლის მეზობელი გლეხი ათარშიზა თოიძე (სოფ. ლიხაურიდან) აჯანყებულთა ერთ-ერთი მეთაურთაგანი იყო. ისარგებლა თუ არა ევანტემ ასეთი მითითებით არ ვეცია“.

როგორც ბოლო დროს გამოირკვა, ევანტეს აღნიშნული მითითებით უსარგებლია. მას წერილით მიუშარდა თავს არქეოლოგ ექვთიმე თაყაიშვილისათვის და უთხოვინა გურიის 1841 წლის აჯანყების შესახებ დოკუმენტებისა და ისტორიული წყაროების დასახელება. ბელეტრისტიკის თხოვნა აკად. თაყაიშვილს დაუკმაყოფილებია, რის შემდეგ ევანტეს მადლობის წერილი გაუზღვინა მისთვის, აი ეს წერილიც:

„პატრიკვიმული ბ. ექვთიმე!
 თქვენი წერილი მივიღე. დიდად მადლობელი ვარ პასუხისათვის, მადლობელი ვარ ავრეტვე რომ დამისახელებთ 1841 წ. გურიის აჯანყების შესახებ მასალები, რადგანაც კი ვაფიგე იმ წიგ-

¹ ევ. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, სიმ. ხუნდაძის რედ., ტ. I, გვ. 287 — 288.

² „განათლებლის მუშაი“ № 53, 1929 წ.

¹ ევ. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, გვ. 289 — 291.

ნების, ანუ ერთნაღების სათაურები და № 16, უფიქრობ აწი აღარ გამიხნელდება იმათ მოპოვება.

როცა თბილისში ვიპალები, თქვენც უნდა შეგაწყინოთ თავი, ვახოვით იმის მოთხრობა, რაც ბიძა თქვენიდან გავიგონიათ იმ აჯანყების შესახებ. ჩემთვისაც უამბნით ბერაჯელ მოხუცებს იმ აჯანყების ამბავი, მფარამ ერთის ნამპობი მფორებს არ ეთანხმებოდა. თქვენ, იქვი არ არის, უფრო ნამდვილი წყაროდან გვეყნებათ გავებული იმის ვითარება. განსაყუთრებით საპირისა ვავიგო ნამდვილი მიზეზი (მოტივი) იმ აჯანყებისა.

თქვენი პატივისმცემელი

ევანტე ინგროვუა.¹

იმგვარად ევანტეს 1841 წლის გლეხთა აჯანყების შესახებ ცნობებისა და მასალების შეგროვება არ შეუწყვეტია, მაგრამ ამ შეკრებილი მასალების გამოყენება და რომანის ხელახლა გადამუშავება ვეღარ მოასწრო. ამით აიხსნება, რომ რომანს აკლია სათანადო პოეტური და ენობრივ-ისტორიული დახვეწა.

რეალისტური ისტორიული რომანი მხატვრული თხრობის ურთულესი სახეა. მისი ამოცანაა მხატვრულ სახეებში გვიჩვენოს წარსული ცხოვრების მოვლენები და აღმიანები, მათი ტიპური ნიშნებითა და ხასიათებით. დობროლიუბოვის აზრით ისტორიული რომანი წარმოადგენს მხატვრული შემოქმედების ურთულეს ფორმას. ისტორიული რომანის ავტორმა უნდა დაიცავს შემდეგი წესი: „შეიტანოს ისტორიაში თავისი შენათხზი, მაგრამ ეს შენათხზი დააფუძნოს ისტორიაზე. გამოიყვანოს იგი თვით მოვლენათა მიმდინარეობიდან, უწყვეტად დაუკავშნოს ისტორიული თხრობის უწყველ ძაბვს და უწყველად იქ წარმოადგინოს ისე, რომ მკითხველი ხედავდეს თავის წინაშე კოცხალ პიროვნებებს, რომლებიც მისთვის ნაცნობია ისტორიაში და მათი აქ გამიხატება პოეზიის მშვენიერებაა.“²

ნ. დობროლიუბოვის მიერ სწორად არის განსაზღვრული ისტორიული რომანის დამახასიათებელი ნიშნები. ისტორიული რომანში ფაქტების, სიტუაციების ნაწილი ნამდვილია და მომქმედ პირთა განსაზღვრული რაოდენობა წარმოადგენს ისტორიულ პირებს. რომანი ამ ნაწილის მეოხებით ღებნობს ისტორიულს სახელწოდებას. ხელოვანი, რომელიც ამუშავებს ისტორიულ მასალას, არ შეიძლება ნებისმიერად მოიქცეს. საზოგადოებრივ მოვლენებსა და აღამიანთა მოქმედებას ობიექტური მნიშვნელობა და ბუნებრივი პრაქტიკები გააჩნია. როცა ხე-

ლოვანის მიერ გამოყენებული მხატვრული ფაბულა სწორად გადმოგაცემს აღნიშნულ ვითარებას, მაშინ ისტორიული სიმართლე უღებულობს ჰუმანიტარ პოეტურ ღირებულებას. მწერლის დამოკიდებულებას ისტორიისადმი მსოფლმხედველობა განსაზღვრავს, რაც კონკრეტულად ვლინდება ამა თუ იმ ლიტერატურულ სტილში. აქედან, ბუნებრივია რომანტიკული ისტორიული რომანი განსხვავდება რეალისტურისაგან, რადგან განსხვავებულია რომანტიკოსისა და რეალისტი მწერლის ისტორიის ფილოსოფია.

ისტორიული რომანის შესახებ აქ მოტანილი მისაზრებები კონკრეტულად დასტურდება ევანოშვილის მხატვრული შემოქმედების მაგალითზე. ევ. ნინოშვილის რომანი „ჯანყი გურიაში“ სიუჟეტით მიყვება ისტორიულ სინამდვილეს. მწერალს ზედმიწევნით აქვს შესწავლილი გურიის 1841 წლის ისტორიული ცხოვრება. თავის რომანის გმირები საერთოდ (რამდენიმეს გამოსაყლებით) არ ისტორიული სინამდვილიდან ავლია და პოეტური ფანტაზიით თავისებურად გარდაქმნა და დაუმუშავებია. რომანში ისტორიული ფაქტების სწორი ანალიზი და მხატვრული ასახვა მოცემულია.

რამდენად აბლო დგას ევანტეს რომანი 1841 წლის ისტორიულ ფაქტებთან, რა აზრს რომანში ისტორიული და შენათხზი, ამას დავგანახებ ისტორიული და მხატვრული ფაქტების შედარება, მათი შეჯერება. პირველად შევეხებით რომანში გამოხატულ პერსონაჟებს და მათ ისტორიულ პრიტოტაპებს.

ევ. ნინოშვილის რომანში ამაჟო შალიაშვილი ერთ-ერთი სიბერეკუსი და სიმპათიური სახეა. ამაჟო შალიაშვილი ისტორიული პიროვნებაა, იგი აქტურ როლს თამაშობდა 1841 წლის გურიის გლეხთა აჯანყების ორივე ფაზაში (მისი — იენისი და აგვისტო — სექტემბერი). ევ. ნინოშვილის რომანის მიხედვით უკვე მისი — იენისის თვეებში „თავ-კაცად და ჯარის წინ მავალად ამაჟო შალიაშვილი ამოირჩიეს“. შემდეგ ირკვევა, რომ „მთელ გურიაში ცნობილი ამაჟო შალიაშვილი... წყევლმა ავადმყოფამ მოაცილა აჯანყებულთ“. ამრიგად ავადმყოფობის გამო პირველ აჯანყებაში მის მონაწილეობა არ მიუღია. სმაგვირთად აგვისტო-სექტემბრის აჯანყებაში, იგი მომართობს ერთ-ერთი მთავარი და თავდადებული ხელმძღვანელია. რომანში მის შესახებ ეკითხულობთ: „კარგად მოყვანილი, მაღალ-ტანიანი, ჯერ, კიდევ მოწიფულ შალიაშვილს თავის ვაჟკაცობის გამომტყვევლ სიმამატიურ ლამაზ პირის სახეზედ, ჯერ კიდევ აინდა კვალი იმ ძლიერი ავადმყოფობისა, რომელიც მან გამოიარა იმ დროს, როცა გურიაში ჯანყი იწყებოდა. ის ლოგინში იწვა და საშინელი სიციხე აწუხებდა. როცა ჯანყის

¹ ე. თაყაიშვილი, მოგონებანი ქართველ მწერლებზე, „ლიტერატურის შატრაპი“, წიგნი 6.

² Н. Добролюбов, Поля. собр. сочинений, под общ. ред. П. И. Лебедева-Полянского, Гослитиздат, 1939 г. т. I, стр. 530.

მოთავეებში მიტრანეს ღამით ხატი და დაფიცი-
კის, რუსების მხარე არ დაიჭიროვო, ფიცის მი-
ღების შემდეგ, თუმცაღა კიდევ კარგა ხანს იყო
ავად, მაგრამ რა რომ ავადმყოფობას მოუტრია,
ხალხის გაჭირვების თანაგრძნობათ შექმნილმა,
ვაფაკურმა ვულმა მაშინათვე გაატაცა ის აჯან-
ყებულეში, რომელთაც მოსელისთანავე დააყენ-
ეს, როგორც ომში გამოცდილი ოფიცერი,
ჯანყის გამგელ. მართალია, ივანე... ძე და სხვე-
ბი, რომელთაც თვითონ უნდოდათ ხალხის ბედ-
იღბლის ხელში ჩაგდება, ამბობდნენ, რომ ამბა-
კო შალიკაშვილი რუსების მიერ დაჯილდოებულ-
და აფიცრობით, ნუ მიენდობი, თორემ გვი-
დალატებსო, მაგრამ შალიკაშვილის მოქმედებამ
დაუმტკიცია ხალხს, რომ ის კი არ უღალატებდა
მას, არამედ თვითონ შალიკაშვილზე უკუდის მო-
ლაპარაკენი, ივანე... ძე და სხვები, რომლებიც
ერთი შეორეზე მოიპარებოდნენ რუსებთან შე-
სართივებლად.¹

შალიკაშვილი ბოლომდე უწევს აჯანყებულთ
ხელმძღვანელობას, იგი ერთი წუთითაც არ იხ-
რება უკან თავის განზრახვიდან, რის გამოც მან
სასტიკი სასჯელი იგემა მეფის რუსეთის მმარ-
თველობისაგან. ეგნატე წერს: „მე ჯანყის გა-
მოც კომბორში ვაგზავნეს გურიაში შესანიშნავი
ვაჭარი თავიღი ამბაკო შალიკაშვილი. მან
დამისახურა ხალხის თანაგრძნობა და სიმაჟათი.
აჯანყებულთ გლეხობა დიდი ნდობითა და სიყ-
ვარულით ეპყრობა მას. ასეთია შალიკაშვილი
რომანის მიხედვით. როგორც ს. ხუნდაძემ შე-
ნიშნა „რომანში დახატული სურათი ამბაკო
შალიკაშვილისა ბევრად არ განსხვავდება ის-
ტორიულად მოცემულ თავად შალიკაშვილისა-
გან“. დოკუმენტების მიხედვით, მოძრაობის
დროს იგი 48 წლის ვაჭარიც ყოფილა და ითვ-
ლებოდა რუსის ჯარის ოფიცრად. „შალიკაშვი-
ლი იყო დამა რუსეთის მილიციელთა შორის
და აჯანყებულთა მიერ ამ დამის ალყის შემორ-
ტყმის დროს გაიქცა იქიდან და შეუერთდა მათ,
იქსრა მათი უფროსობა და მონაწილეობა მიი-
ღო ალყის შემორტყმაში“.1 მეფის მოთავრო-
ბამ ამბაკო შალიკაშვილი სასტიკად დასაჯა, იგი
პირველ ზარისხის დამნაშავეთა შორის მოაქცია
და ყველაზე მეტი სასჯელიც არგუნა: „ჩამოერ-
თეს შალიკაშვილს... ყველა უღლებები და ქო-
ნება, ვადამტკიცეს ჯალათის საშუალებით თაე-
ზე ხმალი, ვაგზავნოს ციხეში საკატორლო
სამუშაოზე, — ჩამოერთვის მამული და ვადამ-
ციეს ხანანას“.2 შალიკაშვილის შესახებ მოგონე-
ბანი ახლად დარჩენილია გურიის ხალხში; იგი
სიმათიური პირივნება ყოფილა და ამ მხრით
ძალიან განსხვავდებოდა სხვა მებატონეებისა-
გან.3 რომანის მიხედვითაც იგი მტკიცე და უში-

შარ ნებისყოფის მქონე პირივნების შთანუქმ-
ლებას სტოვებს. შალიკაშვილი ციხეშირიდან
დაბრუნებულა რამდენიმე წლის1 შემდეგ. რა-
შაიკ მას დახმარებია გენერალ-გუბერნატორი-
ნ. მერავიოვი1.

ს. ხუნდაძე, რომელმაც სპეციალური გამოკ-
ვლევა უძღვნა ვგნ. ნინოშვილის რომანის ის-
ტორიული რეალიზების დადგენას, ამბაკო შალი-
კაშვილის შესახებ წერს: „ამ ტიპის შექმნის
დროს უეჭველია ეგტორნი ვადამაქარის, როდესაც
იგი რადიკალურ მოაზრედ გამოიყვანა, მაგრამ
შალიკაშვილის პორტრეტი მაინც ძლიერ ახლოს
სდგას ისტორიულ სინამდვილესთან“.

ახლოს არის ისტორიულ სინამდვილესთან
„გლეხების გენერლის“ ბესიას მეგობრისა და
თანამებრძოლის აზნაურ სიმონა №-ძის ტიპი.
ასეთი ღარიბი აზნაურები, რომელნიც მჭურვალე
მონაწილეობას იღებდნენ აჯანყებაში რამდენ-
იმე იყო. ისინი ბოლომდე შერჩნენ აჯანყებულ-
რომანის მიხედვით, აზნაური სიმონა №-ძე აქ-
ტიურ მონაწილეობას იღებს აჯანყებაში ყველ-
გან მხარში უღვას ბესიას და ბოლოს მასთან
ერთად იღებება უკანასკნელი შეტაკების დროს,
3 სექტემბერს, შოალატე აზნაურის ივანე...
ძისა და მისი ყმა კოსხას ხელით. სიმონა რადი-
კალური მსოფლმხედველობის ადამიანია. იგი
ამბობს: „თავად-აზნაურობა და ყაზახობა კა-
ციის გამოხატეობია... ახლა რომ გვარის საქმეს
შეებედე, კინტრათაც არ მიძინია ჩემი აზნაუ-
რობა და, თუ დამიჯერებენ, არც იგი თავადო-
ბაა საბოლოო საქმე“. ანდა: „არ შეიძლება, ურ-
ჩევს იგი გლეხობას, — პირველი თქვენი აზრი
არ მოშალა, ბატონ-ყმობა ამ ქვეყნის ჯო-
ჯობითია, ბატონ-ყმობის მოსპობა ღეთის საა-
მურიც იქნება და ქვეყნის სასარგებლოც“. შეიძ-
ლება ამ აზნაურის ბატონ-ყმობის წინააღმდეგ
ბრძოლა თვით ეგტორმა შეთხზა, მაგრამ ეს შე-
ნათხზი ისტორიულ სინამდვილეს მისდევს. მარ-
თლაც, როგორც ცნობილია, აჯანყებაში ბო-
ლომდე მჭურვალე მონაწილეობას იღებდა რამ-
დენიმე აზნაური (მაგ. სიმონა ჭყონია, აბესა-
ბოლქვაძე და სხვ.).

რომანის ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურას-
წარმოადგენს გლეხი ბესია, რომელსაც „გლეხთა-
გენერალი“ უწოდებს. ბესია თავადებულთი მებ-
ძაბოლია, შეგნებულთი აქვს თავისი მიეღობა-
აჯანყებისაგან, ენერგიულად ებრძვის მოგამო-
ლებებს და ყოველ შეტაკებაში წინ უძღვის მებ-
რძოლ რაზმებს. ის პირგამხებულთი მიჰმართავს
აჯანყებულ გლეხებს: „აღდამდინ ჩვენი ბატო-
ნები გვატყუებდნენ ჩვენ, ბატონი ყაძახებს მტე-

1 გ. ხაკიაძე უ რ ი ძ ე, გურიის აჯანყება, გვ. 87
2 იქვე, გვ. 92.
3 იქვე, გვ. 37.

1 К. Бороздин, Закавказ, воспоминания...
стр. 360 1885 г. „შეთვალურის შენიშვნები“
„ივერია“ № 169 1894 წ.

რისგან ვიფარავთ და იმის სამაგიეროთ, ყაბა-
ხეშმა ახლა მტერი რომ დაინახეს, მივვაცემს.
ამას ჭეია პატრონობა? შერე თვითონ ჩვენმა
ბატონებმა არ აფეატებენ ჩვენ ავი საქმე? ასეო
და ისეო, იწვადენ პირს და ახლა ჭეი გავვე-
პარენი ნეტია აწი კიდე ვაბრუვიან, ჩვენე გმატ-
რონობთ და მტერისაგან ვიფარავთ! ვეღარა,
შევიტყვეთ რაც პატრონები ყოფილან, და მშვი-
დობით, მათი ბატონობაე! ეყოფიენ, რაც აქამ-
დი გვაბატონს და გვაქამეს! დღეს ვთავებო, დე-
ნიმფსო ბატონობაა". ბესია მეთაერობს მებრძო-
ლებს, ანაწილებს მათ. ის იძლევა საბრძოლო
განკარგულბებებს: „მეზაირადეთ თოლიკაი იგი
წავა წინ და ჩვენ გავყობით მას! ვიდავიაროთ
ოზურგეთის ახლო სოფლები და ვაიდიდო გუ-
რიანთს. იქედან შერე ლანჩხუთში და ნიკოლოში
მივალ და რაერაც კი მთელი ვურისა თვის ფრ-
თით თავს მოვიფრით, იგია, ბრუსელოეს მოცი-
ქული გუგუზაეროთ, გუშინ რომ ვთქვი ისე, თუ
ჩვენი თანახმა შეიქმნას ბრუსელოვი, კაი, თუ
არა, დევეცეთ ოზურგეთს თავზე და ან ჩვენი
იქნება და ან მისი". ბესია, როგორც აჯანყების
ერთ-ერთი მეთაური, აფრთხილებს მებრძოლებს:
„სოფლები ან მოსახლეობის ოხრება კაცმა
არ იფიქროს ამაზე, რ ო მ ა მ ბ რ ე ბ ა ფ ი რ ა -
ლ უ რ ი წ ი ე ს ი ა და ჩ ვ ე ნ ფ ი რ ა ლ ი რ ო -
ნ ს ვ ა რ თ".¹

ბესია დიდი იტორიკტით სარგებლობს
აჯანყებულთა შორის. მისი ყოველი სიტყვა, გან-
ცხადება აჯანყებულთათვის სამოქმედო პროგ-
ნოზია. აი რას ეუბნება ერთი აჯანყებუ-
ლი მეორეს: „ნუ გამოგიაყვებია პირში „ბე-
ტონი"! ვერ შეიტყვე ბატონობა აღარ არის!
რა ხანია გამოაცხადეს ბესიამ და სხვებმა აწი
აღარ იქნება ბატონობაო. ამა რავე გვინა! ბა-
ტონიე ჩვენითანა ორფეხია კაცია, აწი იმანეც
ვიდოს თოხი და იმუშავოს ყანა. აწი ჩვენ ვიქ-
ნებოთ ჩვენი თავის ბატონი". ბესიას გვერდით
რომანში გამოყვანილია მთელი წყება მებრძო-
ლი გლეხებისა: პეტრია მშველი, თოძე, თარ-
მისა, როსტომი მეჯობურე, თანია, თოლიკაი
და სხვები. რომანის მეექვსე თავში ეგნატე
წერს: „ბესია, სიმონ N-ე და რამდენიმე სხვე,
რომელთა შორის შესანიშნავი იყენენ გლეხები:
როსტომი მეჯობურე, პეტრია მშველი და
თოძე. შეუსვენებლად დადიოდნენ ხალხში და
აძლეოდნენ რაღაც დარბევას". დასახელებულ
გლეხებს აჯანყების დროს განაწილებული ჰქო-
ნიათ მთავარი ბრძოლებს სტრატეგიული პუნქ-
ტები, დრო და თარიღები. მოლაღებე გლეხის
ივანიკას ნალპარაკვეთ ვტყობილობთ, რომ
იმბათა შალიკაშვილი ნავომარში ყოფილა დაბა-
ნაკებულა, პეტრია მშველი — ჩოხახოში, თო-
ძე — ლხატურს, როსტომი მეჯობურე —
„ხელმძღვანელობდა გრიგოლეთის სიმაგრებს".

ეგ ნინოშვილის რომანში გამოყვანს მოლაღებე
გლეხები: აჯანყებულთა, ძნელაძე, აჯანყებულთა
შორის ასეთი მოლაღებე გლეხებენენ ეგრადენ-
რომელნიც აჯანყებოდნენ დასამცემლობებს
წვიოდნენ. მაგალითად, საარტივო დოკუმენტებ-
ში დასახელებულია გლეხენა ძნელაძე, როგორც
გამცემელი. ამგვარად ბელეტრისტი აქაც იცავს
ისტორიულ სიმაართეს.

რომანის პერსონაჟები: კობულეთის ბევი
პასან თედვირიძე, ბრუსილოვი, თ. დათა გუ-
გუნავა ისტორიული პარებია. ეგ ნინოშვილმა
ამ პირთა მოქმედება 1841 წლის მოძრაობაში
სწორად ასახა; მწერალმა სიუსტიტო დავიხიბა
პასან თედვირიძის მოლაღებური პოლიტიკა.

ვენატე პასან-ბევი თედვირიძის მოლაღებობა
და პოლიტიკა 1841 წლის აჯანყებაში ზედმი-
წევნით შეუსწავლია და სრული სისწორითაც
გვისურათებს მას. „პასან-ბევის კავშირი აჯანყე-
ბმელე და აჯანყების დასაწყისში გურის თავად-
ახნაურობასთან რუსეთის ვასალენად, შერე მი-
სი ლალატი აჯანყებულ გლეხებისადმი — ის-
ტორიული ფაქტი იყო და ვენატემაც ეს ფაქ-
ტები ვაიშევა როგორც მატერია — სოციო-
ლოგია".¹

დაბოლოს, უნდა შევეხოთ რომანის ცენტრა-
ლურ პერსონაჟს გიორგის. გიორგი რუსეთის
უნივერსიტეტში ერსდამათერებული და რვეო-
ლუციონურად განწყობილი ინტელიგენტია. იგი
თავად N-ის ერთ-ერთი შინაყმა ჭალის (ვიარსკე-
ლავისა) უკანონო შვილია. შემდეგ იგი იშვილია
იმავე თავადმა და გამოზარდა რუსეთში. გიორ-
გი რუსეთიდან სამშობლოში ბრუნდება უმად-
ლესა ცოდნით შეიარაღებული. გიორგი მთელი
არსებით აჯანყებულთა მხარეზეა, მას სურს
აჯანყებულთა მოქმედება მისამწეონილოდ
წარმართოს. მას ესმის, რომ გლეხთა განთავი-
სეფლება რვეოლუციონური აჯანყების გზით
უნდა მოხდეს. „წამდელი გუეჯობსეება გლეხ-
კაცობის მდგომარეობისა, — ამბობს ის, — მხო-
ლოდ მაშინ იქნება, როდესაც ბატონ-ყმობა
შოისპობა, მაგრამ ამასთან ესეც უნდა ვთქვათ,
რომ შონობის მოსახლბზე თვითონ გლეხ-
კაცობამ უნდა ამოიღოს ხმა, რადგანაც
აგეთო დიდი ცვლილებების მოხდენა თვითონ
ერს ეუთუნის სამოქმედოთ და არა მეფეს, გან-
და ზელმწიფეს". ან კიდევ: „ჩვენმა ხალხმა რუ-
სეთს კი არ უნდა ვაუწიოს წინააღმდეგობა,
არამედ შონობას, ანუ ბატონ-ყმობას, დიახ,
გლეხ-კაცობის განთავისუფლება, მისი მდგომარ-
ეობის ვაუმჯობესება უნდა ჰქონდეს მიზნად
აჯანყების და არა რუსების ვანდენა... მაშინ
შინაყმები, რომლებიც ასჯერ შერე არიან
თავიანთ ბატონებზე, მტერათ აქცევენ ჩვენი
ვაუნათლებული თავდაზნაურობის ამგვარ მოქ-

¹ ეგ ნინოშვილი, თხზ. სრული კრებუ-
ლი, სიმ. ზუნდაძის რედ., ტ. 1, გვ. 318.

¹ ხაზი ჩემია, გ. ტ.
8. „მთაბობი", № 4.

მედლებას და ამგვარი მოქმედებით გაგლეჯენ დიდი ხნიდან გაქვდილს, გლეხკაცობის ყელზე მოხვეული ვაჟებს. ეს არის ჩვენი მრწამსი“.

ვიორჯის რადიკალური მსოფლმხედველობა ნათლად დასტურდება აჯანყებულთა შტაბში გარკვეული პოლიტიკური პროგრამის წამოყენებით. აი როგორი საუბარი აქვთ ვიორჯისა და ამბაკო შალიაშვილის აჯანყებულთა შტაბში:

—მერე, ვიორჯი, რაჟა უნდა უქნათ, ქვეყანას ვინ ეპატრონოს?

— თუ კი სასწაული მოხდება და ჩვენი გლეხკაცობა თავადანაურობას და რუსებს მოერგება, მერე რესპუბლიკანური მართველობა დავაარსოთ, ესე იგი, აღმოვარჩიოთ პატრონისა და ქვეყნის კაცები და რამდენიმე წლის ვადით მივიანლოთ ხალხის მართვა. შემდეგ, როცა ამათ მინდობილობას ვადა შეურსრულდება, სხვები ამოვიტყვიოთ, ამათ შემდეგ კიდევ სხვები და ასე იქნეს შემდეგშიაღ.

ვინიკობაა, გამოცდილებამ გვაჩვენოს, ვაგეთი წყობილება არ ვაჩვრდიაო, მაშინ შევსცვალოთ ისე, როგორც დავინახოთ საუმჯაუნსოთ.

— ვინმე რომ მთავრათ დეცეყენოთ, ხომ არ ჯობს?

—ეგ ხომ სასაცილო, ბავშვური მოქმედება იქნება! ბატონი არ გვინდაო, დღეს სისხლსა ეღვრით ამის გულისათვის და ხელ-ახლავ ბატონი დავისვით! ხომ აცით, რომ მთავარი ისევე მომარტუნებს ბატონ-ყმურ წესებს. მთავრებს სიკეთე არას დროს არ უქნათ ქვეყნისათვის. ან რა სიყეთე შეუძლიათ? მთავარი კერპია ხალხისა, სხვა არაფერი.

— მართალი ბრძანებაა, შე თქვენგან მაქ, ვიორჯი, იმედო, ნასწაველი კაცი ხართ და კვი რასმე ასწავლი ხალხს“.

ამგვარად არის მოცემული ვიორჯი რომანში. ამ პერსონაჟის ისტორიული პროტოტიპის დადგენა შეუძლებელია, რადგან მე-19 საუკუნის 40-იანი წლების გურიის სინამდვილესთან მას ბევრი საერთო არა აქვს. ამის გამო მართებულად წერდა 1929 წ. ზ. ხუნდაძე: „უმიჰველია, რომ ე. ნინოშვილი მორყულ წარსულში აამეტყველა თავისი გმირი ამ პროგრამული ვნით, რომელსაც თვით ავტორი (ეგ. ნინოშვილი) ამუშავებდა თავის პრაქტიკულ-რევოლუციონური მოღვაწეობისათვის“.

იგივე აზრი გაიმეორა მკვლევარმა 1932 წელს: „ვიორჯი თვით ავტორის შემოქმედების ნაყოფია და მას ბევრი საერთო არა აქვს 1840-იან წლების სინამდვილესთან. უდავოა, რომ ავტორმა თავისი ეპოქის, 80-იანი წლების ენით აამეტყველა თავისი გმირი, ისიც უდავოა, რომ ვიორჯის სახით უმთავრესად უნდაღტა ისტორიულ სინამდვილეს“.

ღეს და ახლომედ ეპოქის აზრები მოახვიო თავზე 40-იანი წლების გურიის“.

ეგ. ნინოშვილი რომანში ახაშნარტო ისტორიული ფაქტები და პერსონაჟები ამქნასა ხუსტით, არამედ ამ ფაქტებისა და ვითარების სოციალ-კლასიური ბუნებაც ვააშუქა. 1841 წლის გურიის ისტორიული აშხები მწერალმა ამ მოძრაობის მოქმედ სოციალური კლასების ბრძოლის ფონზე ვაშალა. რომანში მთავარი სოციალ-პოლიტიკური დაჯგუფებანი შემდეგია: გლეხობა, თავად-ახნაურობა და მეფის რუსეთის სამხედრო-ბიუროკრატიული მოხელეები.

გლეხობა ბატონყმური მონაბის მძიმე უღლით არის შემოტკილი. მას აეტანელ ტვირთად აწევბა სახელმწიფო ვადასაბადები, იბრძვის მემამულეთა ექსპლოატაციისა და ბიუროკრატიულ-პოლიტიკური აპარატის წინააღმდეგ.

თავადანაურობა ვკონომიურად ვაბატონებული წოდებაა. იგი ყმის ვარსკლავრეული ექსპლოატაციით საზრდობს და ეცლბობს თავისი სოციალური უპირატესობა იარაღით ხელში დაცივას. თავადანაურობას ამოქმედებს საკუთარი პრივილეგიებისა და უფლებების შენარჩუნება.

როცა თვითმყრობელობამ გურიის ფეოდალური არისტოკრატის პოლიტიკური უფლებები ცენტრალისტერ-პოლიციური წყობილებს განმტკიცებთ სავრძმობლად შეზღუდა, გურიის თავადანაურობა დაეპირისპირდა თვითმყრობელობას და დაიწყო ბრძოლა ძველი პოლიტიკური და ეკონომიური პრივილეგიების აღდგენისათვის. ამ მიზნით თავადანაურობა უკავშირდება აჯანყებულებს. მას სურს აჯანყება გამოიყენოს თავისი შუღაბული პრივილეგიების აღსადგენად. მაგრამ, როცა გლეხობა აჯანყება რთულდება, ღრმავდება და ვადბობს ბატონყმური წყობილებს მოსმობაზე, მაშინ თავადანაურობა უკან იხებს, ადგება ღალატის ვახს და თვითმყრობელობასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებს გლეხთა მოძრაობის ვანადგურებაში. ამ დროს მეფის რუსეთის კოლონიალური ხავერდის პოლიტიკა მიზნად ისახავს განმტკიცოს ბიუროკრატიულ-პოლიტიკური აპარატი და ამისათვის იყენებს გურიის პრივილეგირტ წოდებას.

აი მთავარი სოციალ-პოლიტიკური დაჯგუფებანი, რომელთა ურთიერთ ბრძოლის ფონზე იშლება ეგ. ნინოშვილის რომანი.

მწერალს რომანში სწორად აქვს ვადმოცემული აჯანყების ორი ფაზა. როგორც ცნობილია, გურიის ვლუხობა 1841 წელს ორჯერ აჯანყდა: პირველად — მაის-ივნისში, მეორედ — აგვისტო-სექტემბერში. ნაწარმოებში რელიეფურად მოსწანს აჯანყების აღმავალი ხაზი, რომელსაც

1) ე. ქართული მწერლობა № 11-12, გვ. 22, 1929 წ.

1 ეგ. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1 გვ. 321.

სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. გურიის გლეხობის პირველი გამოსვლა არა სწორი ვხედავთ იყო წარმართული. გლეხთა წამოყვანა ქობულეთელ ბევის მასან თავდგირიძისა და თავადანაურობის პროვოკატორ ანკესზე. თავადანაურობას სურდა მეფის რუსეთის ბიუროკრატული მმართველობის განდევნა გურიიდან და ძველი ფეოდალურ-პატრიარქალური წყობილების აღდგენა. ამ მიზნის დასაშვად იგი გლეხობას, შემდეგ—აგვისტო-სექტემბერში, — სიტუაცია იცვლება, ჯანყი სხვა ხასიათს იღებს, მოძრაობა ფართოვდება, მისი შინაარსი ღრმავდება, გლეხობა იბრძვის ბატონყმობის ინსტიტუტის წინააღმდეგ, უპირისპირდება პრივილეგიურ წოდებას.

პირველად, მის-იენისში, გლეხობას არ ჰქონდა ვარკვეული, დამთავრებული გეგმა ამ დროს მათი აღსრულების საბაზად ვადიქცა მეფის რუსეთის შთაბრძნის განცხადება: „ჩვენს ხაზინას ყოველწლიურად კომლზე ფული უნდა აძლიოთ“. ამ ვარკვეობით ისარგებლეს შემამულეებში და მასანზე თავდგირიძემ და ხალხი ააღელვებს, მაგრამ პირველი დამარცხების შემდეგ მოძრაობა ფართოვდება, მისი შინაარსი ღრმავდება: „დაღდაპარიამობისთვე და გურიამი, თითქო ჯადღეშარა დაპეროა, ვაისმა საყვირის და ხარის ხმა, რომელზედაც გურიის ვაგუაკეცბმა, თითქო ვაჭერთილი სალდათებია გამოცლილი გენერლის კამანდის ქვეშო, ისე ჯერ ცალცალკე ვროვით წაიყვანეს თავი და შემდეგ კი ყველანი ერთ დიდ-რიცხვად კრებად შესდგენ. ამათი ვხლანდელი აჯანყება ამ თითქო არა კვადა იმას, რომელიც ამათ ამ ორი თვის წინეთ შოახლინეს, პირველი აჯანყების დროს. ამათი მოჭედების შიხანი გამოურკვეველი და ვანუსაზღვრელი იყო, ბევრმა არ იცოდა რისთვის იბრძოდა და რაზედ მოღვაწეობდა, ისე მხოლოდ ფეხის ხმას აუყენ და ჰყვიროდნენ „ან ჩვენ აღ სინი“. ეხლა კი, თითქო მცირეოდენ ნაწილს ვარდა, ყველამ იცოდა, რომ მათი აჯანყების მიზანი ბატონყმობის დარღვევა და ახალ გამოცხადებულ ვადასახადზე უარის ყოფა იყო... მაგრამ, როგორც ესტეტი, ჯანყის მოთავე საუკეთესო პირები მტკიცედ იღვენ განზრახვებ და რას დასდებდნენ, თუ ზოგიერთებს არ ვაგებობდათ იმათი ლტოლვილების აზრი“.

ასე ხდება ევ. ნინოშვილის რომანში გლეხური მოძრაობის ეპიქოა შინაარსის გაფართოება, მისი ვადარბა ბატონყმური წყობილების მოსპობისათვის ბრძოლაში. მართებულად შეინიშნავს ფ. მასარაძე: „ეფტერობ, რომ გასაქვირად სრულებით არ უნდა ჩაითვალოს, თუ გურიის გლეხები აჯანყების დროს თანდათან მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ბატონყმობა უნდა მოსპობი-

ლიყო. ამიტომ ნინოშვილი ამ შემთხვევაშიც არ ღალატობს ისტორიულ სინამდვილეს და სრულად სამართლიანად იქცევა, როცა იგი თავის რომანის შინაარს აგებს თავადანაურობისა და გლეხ-კაცობას შორის ამტყდარ კლასობრივ ბრძოლის ფონზე. 1“.

როგორც აღვნიშნეთ, პირველ ხანებში თავადანაურობა ცდილობდა გლეხობა გამოეყენებია თავისი ინტერესებისათვის, მაგრამ როცა გლეხთა მოძრაობა ბატონყმურ ინსტიტუტს აღუდგა წინ, პრივილეგიურმა წოდებამ შესცვალა ტაქტიკა და თვითმპყრობელობას ამოუღდა ვერტლში. ევ. ნინოშვილი შექმნილ ისტორიულ სიტუაციას შესტად სახავს რომანში, იგი წერს: „თუცადა რუსეთის ვანდენა თავადანაურებში ასტეხეს თავდაპირველად, მათ აყყყანეს გლეხები რუსების წინააღმდეგ, მაგრამ მაშინ, როცა გლეხებმა რუსეთის ქვეშევრდომობიდან განთავისუფლების შეცადინეს, მონობის (ბატონყმობის) დამხობის მეცადინეო ზედ მიატანეს, თავადანაურობამ იცბინა ენახე და ამ „უენაური ჰირის“ (ისინი ასე ეძახდნენ ბატონყმობის უარყოფას) თავიდან ასამორებლად, სხვა ვხა საღდა იყო, ისევე რუსების შემწეობა დაიხიხა საჭიროდ, ვადამიზნა ცოლ-შვილი და მიეშვარებოდა ოზურგეთის მახრის უფროსთან“.

აჯანყების ოფიციალური მკვლევარი ე. ჩუდნოვი ანალიტიკურად წარმოვიდგენს თავადანაურობის მოქმედებასა და როლს 1841 წლის გურიის ისტორიულ ამბებში 2. აღნიშნულს ადასტურებს მეორე ოფიციალური დოკუმენტი — კავკასიის ცალკე კორპუსის სარდლის ინფორმაცია, სადაც ვკითხულობთ: „თუმცა ხელმძღვანელთა შორის იყო თავადობისა და აზნაურობის მცირე რიცხვი, მაგრამ საერთოდ ამ კლასში არ უღალატა თავის მოვალეობას და ვაგზავნილ ჯართან ერთად დიდად შეუწყო ხელი ჯერ აჯანყებულთა დათრგუნვას და შემდეგ შეამზობთა დაპატიმრებას“ 3.

ამგვარად, თავადანაურობამ უკვე აგვისტოს დასაწყისიდანვე მოიყარა თავი ოზურგეთში, შეადგინა მილიცია და ყოველმხრივ დასმარებას უწყვეტა პოლკოვნიკ ბრუსილოვს ოზურგეთის, რომელიც ვარშემორტყმული იყო 4000-მდე შეიარაღებული აჯანყებულ გლეხით, დაცვის საქმეში. როცა აჯანყებულებმა ვააცხოველეს შეტევა ოზურგეთის ასაღებლად, ბრუსილოვმა მოიწვია თავადები, რომელნიც ოზურგეთის მილიციონერთა ხელმძღვანელებად ითვლებოდნენ 4. სთხოვა ვაგზავნენ თავიანთი მილიციონერები საკარანტინო სავეშაგოს ვასამაგრებლად.

1 „პროლეტარული მწერლობა“, № 3, 1930 წ.
 2 В. Чуднов, Восстание гурийцев в 1841 г., Кавказский сборник, т. XIV, 1890 г.
 3 ჭ. ზაქაძურაძე, გურიის აჯანყება, გვ. 91.

ეგ. ნინოშვილს რომანში მოცემული აქვს ეს ისტორიული ფაქტი.¹

გურიის აჯანყების ჩაქრობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ოზურგეთის თავადაზნაურთა მილიციამ. იგი მზურგაულ მონაწილეობას იღებდა დამნაშავეთა აღმოჩენასა და დაჭერაშიც, თავდადებით ეძებდა აჯანყებულთა მეთაურებს, რომ ისინი გადაეცა მთავრობისათვის დასასჯელად. ვენატრ რომანში აღნიშნულ ისტორიულ ფაქტებს სოციალურად ამხვილებს და კლასობრივ ბრძოლის ფონზე შლის.

საინტერესოა შემდეგი ეპიზოდიც: ისტორიულად ცნობილია, რომ როდესაც აჯანყებულებმა აფისტოს რიცხვებში ოზურგეთს აღუა შე-მობარტყეს, დაამარცხეს ჩოხატაურიდან მომავალი იმერეთის მილიცია პოლკოვნიკ წერეთლის მეთაურობით და ამრიგად 8—13 აფისტოს განმავლობაში აჯანყებულებმა დაიკავეს ოზურგეთის როგორც ახლობელი სიმაგრეები და სოფლები, ისე მისგან მიმავალი გზები ქუთაისსა და ფოთისაკენ, ბრუსილოვმა ფარულად გაგზავნა მოციქული ოზურგეთიდან ზუგდიდში თავად დადიანთან, რომელსაც სთხოვა გამოეგზავნა მებრძოლი მილიცია რედუდკალეს, ფოთისა და სიმაგრე წმ. ნიკოლოზის ხაზით ოზურგეთისაკენ, ოზურგეთსა და ფოთს შორის მიმოსვლის აღსადგენად. ასეთი ოფიციალური ისტორიული ფაქტი, ვენატრ მიუყვება აღნიშნულ ფაქტს, მხოლოდ კლასიურად უფრო აღრმავებს. მწერალი სამეგრელოს მილიციის დახმარების იდეას მარტო პოლკოვნიკ ბრუსილოვს არ აცდენებს. ამ საკვანში იგი თავადაზნაურობის კლასიურ შეგნებას დიდ როლს ანიჭებს. ვენატრ წერს:

¹ ეგ. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებულა ტ. I, გვ. 301.

² В. Чудинов, Восстание гურიццев в 1841 г. Акты, т. IX, стр. 174.

„უკანასკნელი ყველასგან მიღებული იქნა ერთი თავადის რჩევა. ამ თავადმა არჩია, რომ გავაყენონ კაცი სამეგრელოში, დადაიანთან და სთხოვონ ერთობ გურიის თავად-აზნაურთაგან სამეგრელოს მთავარი, რომ მან მოაშველოს თავისი ხალხი და ისწას. ქ. ოზურგეთში გულებების მიერ დამწყვდელი გურიის თავად-აზნაურობა. ეს განზარბვა მოიწონა მახრის უფროსმაც. დაიწერა საჭირო წერილი გურიის თავად-აზნაურობის სახელით თავადი დადიანის სახელზედ. წერილში... ბოლოში იყო მოყვანილი და შემდეგ სამიწად გაორკაცებულად და გადამეტებულიად აღწერილი გურიის თავადაზნაურობის გაქცევა: „მოაღწია ღვთის რისხვამ და ქვეყნის დაქცევამ ზეგზე, — ეწერა სხვათა შორის წერაღში, — და ჩვენმა შინაყვამმა გაბედეს ზენ სამსახურზე უარის უოფა, დაგვაწყვდიეს ქალაქ ოზურგეთში და გვიბრუნენ დახოციეს. გვიშველ ქმრათ, დაგვდევი საუქუნო ვალი და ამოგვიყვანე ამ გაქცევისაგან. ნუ დაიშურებ დასაქცევათ ჩვენი მოღალატე შინაყვების ოჯახებს, ცეცხლი მოუდევით სოფლებს და შეანანეთ ჩვენი ღალატი“. წერილის ბოლოში მოაწერეს ხელი წარჩინებულმა და თავმოწონე თავად-აზნაურებმა და აგრეთვე მახრის უფროსმა უკანასკნელად.

საზოგადოებრივი მოვლენების მოეტრები ასახვისას ეგ. ნინოშვილი არ სცილდება ისტორიული სინამდვილის ჩარჩოებს, მაგრამ შინაარსის მიხედვით მას აღრმავებს და გარკვეულ სოციალურ-კლასობრივი ბრძოლის ფონზე ამტკებს. სწორედ ეს არის დამახასიათებელი ვენატრს რომანში.

ეგ. ნინოშვილს ისტორიული მოვლენებისა და პერსონაჟების მხატვრული ასახვისას რომანში შეაქვს თავისი შენათხზი, მაგრამ ამ უკანასკნელს ამყარებს თვით ისტორიულ მოვლენებზე, ლოგურად უკავშირებს მათ.



ახალი მასალები ეგნატე ნინოშვილისა და მისი ზოგადი ნაწარმოების პროტობივის შესახებ

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებითი მეთოდის გამორკვევისათვის მცირე მნიშვნელობა როლი აქვს მისი ცნობილი მოთხრობის—„ქრისტიანეს“ დაწერის ისტორიას.

ქართულ მკითხველებში დიდად პოპულარული ეს ნაწარმოები, რომელიც შემდეგ სტენაზედაც დიდხანს იღვებოდა, დაწერილია სულ რამდენიმე დღის განმავლობაში ზესტაფონში, როდესაც იქ ეგ. ნინოშვილი მსახურობდა 1892 წელს. მოთხრობა „ქრისტიანე“ თავისი შინაარსით ნამდვილი ამბავია. მოთხრობილია 1883 წელს ს. ნონხათში მომხდარი ამბავი. მოთხრობის უარყოფითი მოქმედ პირთან, იასონ უქმამესთან, ნამდვილად — ახნაურ ბედია კომახიძესთან, ეგნატე ნინოშვილს გარკვეული ურთიერთობა ჰქონია.

მგრამ სანამ ამ ურთიერთობას შევხებოდეთ და ახალი მასალებით გაავსებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი ექსკურსი გავაყოთ, თუ დღემდე რაა ცნობილი „ქრისტიანეს“ პროტობივის შესახებ.

ქართული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი, ეგ. ნინოშვილის თხზულებათა კრებულის მე-4 გამოცემის რედაქტორი სიმონ ხუნდაძე გამოცემისათვის დართულ სარედაქციო შენიშვნაში წერს:

„...როგორც დიდი უმეტესობა ეგნატეს მოთხრობებისა, ეს შესანიშნავი ნაწარმოებიც (ივულისსებება „ქრისტიანე“) ავტორს რეალურ სინამდვილეზე აუგია. გურიის სინამდვილეში მართლაც ქონია აღვლილი „ქრისტიანეში“ მოთხრობილ მსგავს ფაქტს, რომლითაც ავტორს უსარგებლია და თავისებურად გადაუყვებია. ჩვენ მიერ შეკრებილი ცნობებით, აგრეთვე იმ ცნობებით, რომელიც ჩემი დავალებით და გეგმებით შეკრება ა. წულაძემ იასონ უქმამის სახით ეგნატეს გამოუხსავს გურიისი კარგად ცნობილი ახნაური ბედია კომახიძე და მისი ოჯახი. ეგნატე და კომახიძე ერთ დროს კარგად ნაცნობები ყოფილან. გადმოგვცემენ, რომ იმ დროს, როდესაც ეგნატე მსწავლავდა იყო ნონხათში, ამავე დროს აქვე სოფლის მწერლად იყო ბედია კომახიძე, მამა ბ. კომახიძისა ბუფანი დიდი შექმნილი კაცო ყოფილა. მისი ოჯახი პატრიარქალურ-ფეოდალურ წესებზე

ყოფილა აგებული. ბედია სქესობრივად დაჯავშორება მეზობელ გლეხის ქალს მ. ორ-მისას, რომელსაც ეპიცი შექმნია. ბედია, რასაკვირველია, ქალის შერთვა არ ჰქონია სახეში, მან მხოლოდ ეინა მოიკლა და შემდეგ ქალს თავი მიანება. მ. ორ-მის ქალს თავისი შვილი ფოთში ხეტულით მოეპურე მდიდარ უშვილო ეპიტისათვის ბ. თ-სათვის მიუვლია, რომელსაც ბავშვი უშვილია და გამოუზრდია, შეკრებილი ცნობით ბედია კომახიძემ შემდეგი 1905 წლის რევოლუციის დროს ეს ბავშვი თავის შემეცდირედ იცნო, უნდოდა თავის ქონების ნაწილი მისთვის დაეტოვებინა. ამჟამად ქრისტიანეს შვილი ცოცხალია“.

ეს ცნობები ზოგიერთ ნაწილში არ არის საყვებთ ზუსტი. ასე, მაგალითად, ქრისტიანეს შვილი არავისთვის მიუვლიათ, „ბუშის“ გავითების შემდეგ ქრისტიანე ბათუმში გაახოცეს. ხოლო მისი შვილი ბაბუამ და ბებია მიაშვილა ფოთის ხეტუის მრეწველს თელაის. მისი თავგადასვლა, მისივე ზელით დაწერილი, ამჟამად ჩვენს ხელშია, მასვე შეუკრებია თავის სოფლებსა და მახლობლებში ქრისტიანეს და, საერთოდ, ეგ. ნინოშვილის შესახებ ცნობები. ახლა ეს ჩანაწერები ექვს რვეულს მოიცავს და ინახება სახალხო განათლების მუზეუმში. ამ ახალი მასალებით რამდენიმედ ივსება ეგნატე ნინოშვილის ბიოგრაფია. მაგალითად, ე. ნინოშვილის თხზულებათა სრულ კრებულში დაბეჭდილ ბიოგრაფიაშია თითქოს ეგნატეს ოდესმე რკინიგზის „პადრაი“ (იჯარა) ჰქონდა აღებული. ქვემოთ მოყვანილი ცნობიდან ჩანს, რომ ასეთი სამუშაო აღებული ჰქონია ბედია კომახიძეს და ეგნატე მხოლოდ ანგარიშებს უღვევდა მას. დამატებითი ცნობებით გამოარკვევლია, აგრეთვე, რომ ეგნატემ ასწავლა ბედია კომახიძეს წერა-კითხვა. ეგნატემ ურჩია მას რკინიგზის სამუშაოს აღება, ეგნატე შეელოდა მას ანგარიშსწორებაში მუშებთან და ეგნატემ ბედიათთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ამ უკანასკნელმა მუშები მოატყუა და ყალბი ფული შეატყუა. საქმის მომსურე და მკვლევ პირთა ჩანაწერებით, ეგნატეს ბიოგრაფიის ზოგიერთი მომენტი სულ სხვა სახით დგება.

ახლა მოვესმინოთ ეგ. ნინოშვილის ყოფილ მოწაფეს ოქრობირ ვასაძეს. მან ქრისტიანის შვილს კოსტა თელისა ეგ. ნინოშვილის და ბედია კომახიძის შესახებ შემდეგი ჩააწერინა:

სოფელ ბედია კომახიძის სოფელ ჩოჩხათის განაპირას ჰყავდა ახლო ნათესავე სილოვან კომახიძე. ისინი ერთმანეთში ძმისავით შეწყობილნი იყვნენ. სილოვანს ს. ჩოჩხათში ბატარა სახლი ჰქონდა დადგმული, ბედიას არ ჰქონდა საკუთარი ბინა და ამის გამო რამდენიმე ხნით სილოვანის სახლში ცხოვრობდა. შემდეგ ბედია კომახიძე სილოვანს ჩამოშორდა და საცხოვრებლად გადავიდა ამავე სოფლის მცხოვრებ ივანე ჯიჯევიშვილის ბინაზე. ბედია სოფელში უსაქმოდ დადიოდა. ამ სოფელში იგი გაეცნო ეგ. ნინოშვილს, რომელიც მაშინ მასწავლებლობას ეწეოდა. ნინოშვილმა ბედია კომახიძეს ურჩია: კაცო რომ ასე თავისუფლად დადიხარ და არაფერს აკეთებ, მოდი ჩემთან და წერა-კითხვა მაინც ისწავლეო. ბედია მუშაობდა: ახედა კაცი ვარ და რა დროს ჩემი სწავლა არისო. იგი მართლაც ეგ. ნინოშვილზე მერტა წლოვანებისა იყო. ნინოშვილი არ მოეშვა და ბოლოს მაინც ჩააგონა სწავლის მნიშვნელობა. ბედია დაიწყო მეცადინეობა. მანამდე იგი სკოლაში არ ყოფილა.

ეგ. ნინოშვილი სკოლაში მეცადინეობას რომ მორჩებოდა და შინ დაბრუნდებოდა, აქ მას დახედებოდა ბედია. იმ ხანებში მას ბედიასთან კარგი განწყობილება ჰქონდა. ბედია ეგ. ნინოშვილთან წერა-კითხვა რომ შეისწავლა, შემდეგ ჩოჩხათის მამისახლისი კანცელარიაში დიწყო მუშაობა. იქ მას დიღამს არ უშხაბურია. იმ ხანებში სამტრედიიდან ბათუმამდე გაჰყავდათ რყინისგზა. ბედია კომახიძის ეს რომ გაუგია, სამსახურისათვის სოფლან კანცელარიაში თავი დაუწებებია და გზის გაყვანის სამუშაო რამდენიმე მანძილზე იჯარით აუღია. ბედიას ამ სამუშაოს შესასრულებლად აყვანილი ჰყოლია სხვა მუშები, რომელთა მუშაობას იგი ხელმძღვანელობდა. ამ მუშაობის დროს ეგ. ნინოშვილი, როგორც ნასწავლი და საქმის მცოდნე ელამიანი, უხმარებოდა ბედიას ანგარიშების შედგენაში. ერთხელ, ზელფასის დარიგების დროს, ასეთი რამ მოხდა: დარიგებული ფულიდან რამდენიმე ყალიბი გამოდგა და არსად არ მიიღეს. როდესაც ეს ამბავი ნინოშვილს გაუგია იგი წასმხუბვებია ბ. კომახიძეს. მისთვის უთქვამს: ასეთი საქმე რაც აქ დატრიალდა ვალბი ფულის შესახებ, არ არის სასიამოვნო, მუშა კაცმა თავის ნაშრომი მიიღოს და ვერ გამოიყენოს! ამის შემდეგ მე თქვენთან მუშაობას თავს ვანებებო, და მართლაც დაანება მასთან მუშაობას თავი. ჩამწერი კოსტა თელისა შეკითხვავს, — თუ რა ხასიათი მიიღო ამ

უსიამოვნებამ, მისცეს თუ არა ვინმე პასუხის-გებაში, ვასაძეს უპასუხია: ამის შესახებ არაფერი არ გამოვიდა და ეს საქმე მეტი დაწვრილობით არ მასოსვო. ქრისტიანს შესახებ კი ოქრობირ ვასაძეს შემდეგი ვანუცხადებია: “ბედია კომახიძემ, სანამ იგი ბერძნის ქალს მოიტაცებდა, თავისი მოქმედებით და მოქარაგული სიტყვით მოხიზლა მ. ო-ძის ქალი, სიტყვა მისცა, ცოლად ვითხოვო, მოატყუე, შეაცდინა, თავისი მოქმედებით ოჯახს უსიამოვნება მიავიანა”. ამ ნაამბობის ავტორი ოქრობირ ვასაძე ნინოშვილის მონათლულის ძმისშვილი ყოფილა, ამ ოჯახში ეგნატეს ხშირი მიმოსვლა ჰქონია და ერთხანს იქ უცხოვრია კიდევ.

ისთან უქმამე — ბედია კომახიძე, ნაწარმოების მიხედვით უარყოფითი ტიპია, უსაქმური აზნაური, მსუნაგი. წუწყი, ქალების მუსუსი, თავის წოდების დიდად დამუცხებელი, გუცხს რომ თავს არ გაუყადრებს, ქრისტიანს, მშვენიერ და წარმოსადგმ გლეხის ქალის უღვლოდ მომპყუებელი. ასეთი და კიდევ უარესი ყოფილა იგი ცხოვრებაში ოქრობირ ვასაძის, კოსტა თელისა და სხვათა ჩვენებთ. ეგნატემ ეს პირი ტიპის სიმალღმდე აიყვანა და მისი ცხოვრების ზოგერთი მომენტია ამის მიხედვით შეაკეთა, გადაასხავაფერა, მაგრამ უარყოფითი ტიპი არსებითად მაინც ასეთი დარჩა. რასაკვირველია, ეგნატე მას უარყოფითი ტიპად ვერ გახლიდა, რომ ის ასეთი არ ყოფილიყო ცხოვრებაში.

კარბ. დონაძემ ამ რამდენიმე წლის წინათ გამოსცა წიგნი პროტოტიპების საკითხისათვის ეგნატე ნინოშვილის შატრულ შემკვიდრებობაში ავტორი ამტკიცებს, რომ ისთან უქმამის პროტოტიპი ბედია კომახიძე სინამდვილეში უფრო დაღებიითი პირი იყო, ვიდრე უარყოფითი. იგი წერს: „...ბ. კომახიძე, როგორც აღვნიშნეთ თავსაზნო ფიგურა იყო გუროს თავდაზნაურთა წრეებში. იგი საქმიად მოწინავე განათლებულ პირად ითვლებოდა... ბედია ზრდილობიანი და თავაზიანი სიტყვა-პასუხის კაცი იყო. საქველმოქმედო და საზოგადოებრივ საქმეებზე დიდად შესტკიოდა გულს... სკოლა სამკითხველეთა ეხმარებოდა... ბ. კომახიძის ახლო მეგობრთა და მეზობლთა ვადმოცემით იგი არც ისე შორს მდგარა ხალხისაგან... და სხვა. გამოდის, რომ ე. ნინოშვილს დაღებითი პირი უარყოფითად დაუხატავს. ასეთ შემთხვევაში ისთან უქმამის პროტოტიპი ბ. კომახიძე სრულიად არ არის, ამაში კ. დონაძე უამჯვლად ცდება. ცდება იმიტომ, რომ იგი ემყარება ბ. კომახიძის ახლო ნათესავეებს ჩვენდამსა და შეფასებას, არ იხენს მათ მიერ გამოცემული ცნობებისაღმი კრიტიკულ დამოკიდებულებას. ეს ცნობა რომ არაა სწორი, ამას მკითხველი ქვემოთ დაინახავს მისი შვილის კოსტა თ-

ლიას ნაამბობიდანაც, ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ახლავს ითქმის: დაღებიანი ტიპის აღმზარებლისაგან უარყოფითი ტიპის აღმზარებელი არ გამოყვავთ და ამას ვერც ეგ. ნინოშვილი გამოიყვანდა, მით უნებრც ეგნატი, რომელიც უფრო აღერ მასთან კარგი განწყობილებით იყო დაკავშირებული, კავშირს არ გაწყვეტდა. ამ შემთხვევაში ეგ. ნინოშვილს დიდი პრინციპულობა და მუშა-ხალხის ერთგულება გამოუჩენია, როდესაც მისი უსინდისო მომტყუებელი დაუგებია და მასთან ყოველგვარი კავშირი შეუწყვეტია.

კიდევ უფრო საინტერესოა ქრისტინეს (მენიკი ორაგველიძის) მის გიორგის ცოლის ებე ორაგველიძის ნაამბობი, ჩაწერილი იმავე კოსტა თელიას მიერ (სახალხო განათლების მუზეუმშია დაცული). ეს ებე ორაგველიძე 1950 წ. გარდაცვლილა და მას თავის სიცოცხლეში კოსტა თელიასთვის უთქვამს:

ქრისტინე ტანად იყო მაღალი, მოსულე, შავთმიანი, შავთვალწარბა, დიდთავლებიანი. მას ჰყავდა სამი უფროსი და ფოტინე, ირინე და მიაა. თვითონ ქრისტინე (მენიკი) უველაზე უმცროსი იყო, ჰყავდა აგრეთვე ერთი ძმა გიორგი. მენიკის მამას ივანე ერქვა, დედამ—ფეფიკი. ნათესაური კავშირი ქრისტინესა და კომპანისტს შორის არ ყოფილა. მენიკის მამას ივანეს ჩონჩაბთში მონათლული ჰყოლია ერასტი ლომაძე, რომელიც ცოლ-შვილით ცხოვრობდა ამ სოფელში, ქრისტინეს სახლიდან კილომეტრის დაცილებით. ლომაძის სახლიდან ზედიე კომპანისტის საცხოვრებელ ბინამდე ნახევარი კილომეტრის მანძილიც არ იქნებოდა. ქრისტინეს პირველი შეხვედრა-გაცნობა ლომაძის სახლში მოხდა. ბენიანტისა და სხვებისგან გაიფიქრია, რომ მენიკი (ქრისტინე) ხშირად იჩიებოდა ლომაძის სახლში წასვლის და რამდენიმე დღეც რჩებოდა იქ. ზედის კომპანტე ამ დროს ჩონჩაბთში ცხოვრობდა და მსახურობდა. იგი ღარიბი აზნაური იყო. ჩემი ქმარი, ქრისტინეს ძმა გიორგი, უერბად გზაში გარდაიცვალა 1930 წ. მიაა უველაზე უფროსი და 1946 წელს გარდაიცვალა 103 წლის ასაკში.

ზედია კომპანტის მიტოვების შემდეგ ქრისტინე დახელოვებული მაკნაქლის ნაწული ხომარაკის მეშვეობით მიუთხოვებით ბათუმელი ვაჭრის გ. ჰელიძისათვის. ამ ვაჭართან მას 8 თვე უტოვებია. ფეხმძიმე ქრისტინეს ყვავილბატონები შეპყრია, თუჯაში შარტახელი ყოფილა, ავადმყოფს სარეცხი გაურეცხია, ავადმყოფობა გართლებია და რამდენიმე დღის შემდეგ გარდაცვალებული ქმარის ქვლიძეს მენიკის სოფელში ჰქირაუფლებსათვის შეუტყობინებია, ისინიც ჩასულან ბათუმში და დაუსაფლავებათა. დასაფლავების შემდეგ რაც ქონება ქრისტინეს ჰქონია სახლიდან მიტანილი

თუ ქმრის მიერ შეტენილი, ქმარს მტრის დედისათვის მიუტია.

ამავე ებე ორაგველიძეს კოსტა თელიასს შეკითხვაზე — რა იყო ჩემი ბავშვობის შესახებო, უპასუხია: ქრისტინეს ძმამ, გიორგიმ მე რომ მიუთხოვა და თუჯაში მიმიყვანა, მაშინ შენ აყვანში იწევი. 15 დღის შემდეგ ქრისტინე ბათუმში გაათხოვეს. წასვლისას, სხვებთან ერთად, ქრისტინე მეც გავაძლიე ნახევარ კილომეტრზე; გამოთხოვების დროს გადავკოცინეთ ერთმანეთი და ქრისტინემ გვითხრა, მაღე ჩამოვალ, გნახავთო. ქრისტინე კარგი იყო. რა საზოგადოებაშიც არ უნდა ყოფილიყო, ყურადღებას მიიქცევდა, წლოვანებით 18-19 წლის იქნებოდა.

ახლა მოვუხსინოთ თვით კოსტა თელიას, რომელიც დღესაც ცოცხალია და სამგორში ცხოვრობს და მუშაობს, უკვე 80 წელს მიღწეულია. აი მისი ნაამბობი.

მე რომ პირველად ბეგან თელიას ფოთში წავიყვანე ივარ, ეს ამბავი ბიბოლანეშია, ებე ორაგველიძემ, ასე მამბობს: წაყვანის დღე დაწვლია არ მახსოვს, ფოთიდან თელია ეტლით ამოვიდა. იგი შესასხლავად ზორბა, მაღალი კაცი იყო. ეტლი ეზოში შემოიყვანა. მოიტანა პვირფასი შავი ღვინო და საქმელები. სუფრასზე საღმრთმდე ისხდნენ. კარგი დრო გაატარეს, შებინდებისას ჩახსხეს ეტლში, გვერდში ბაბუა მოგისვენს და ფოთისაკენ გააჭაროლეს. ბაბუაშენი ივანე უკან ითბი დღე არ დაბრუნებულა.

აფხაზური პოეზიის ფორმირებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის ბაგრატ შინკუბას — ლექსის ოსტატსა და ნოვატორს. მისი პოეტური ნაწარმოებები, უკანასკნელი წლების მანძილზე შექმნილი ეპიკური ტროები, როგორიცაა რომანი ლექსად „ჩემი თანამემამულეები“ და პოემა „კლდის სიმღერა“, გვიზიდავენ ცხოვრების ღრმა ცოდნით, ხალხურობით, მათში გამოხატულ გრძნობათა სიმართლით.

მწერალთა შემოქმედების ზრდას მოწმობს უკანასკნელ წლებში გამოხული ზოგიერთი მწერლის — მ. ციეიბას, გ. გულის, ი. პაპასკირის, მ. ლაყრბაის, მ. ხაშას, დ. დარსალიას, პ. ჭკადუას, ი. თარბას, ა. ლასურის, კ. ლომის, ა. ჯონუას, მ. პაპასკირის, ჭ. ჯონუას და სხვების წიგნები. უკანასკნელ წლებში მათ შეეძატა ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები.

ეს ფრიად დადებითი მოვლენა ყველას გახარებს. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია, თუნდაც მოკლედ, არ შევხებით ზოგიერთ ნაკლოვანებას.

თუ თვალს გავადევნებთ და ანალიზს გავუყუთებთ აფხაზური ლიტერატურის ნაწარმოებებს, რომლებიც შეიქმნა მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობის შემდგომ პერიოდში, უუპველად მო-

წამენი ვახვდებით იმისა, რომ აფხაზურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ ცოტაა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც მკაფიო საღებავებით ვეხატავდნენ ჩვენი დღეების პერიოდის. არის მოთხრობები, ლექსები და პოემები, სადაღმ გამოხატულია კოლმურნების გამორეული შრომა, სოფლის მშრომელთა სახეები. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, ასეთი სრულფასოვანი ნაწარმოებები ჯერ-ჯერობით ცოტაა. ცოტაა ნაწარმოებები მუშათა კლასზე, ინტელიგენციაზე. მათ შესახებ საჭიროა წერა და, რაც მთავარია, არის საწერი მასალა. ჩვენ თვალწინ აღმოცენდა მეშახტეთა ქალაქი — ტყეარჩელი ნაციონალური მუშათა კადრებით. აფხაზეთის მრავალ კუთხეში ავიავდა ელემტრო-სადგურების ჩირაღდნები, ვვაჭვს საკუთარი ფაბრიკები და ქარხნები, პროდუქტებისა და მრეწველობისათვის, ძვირფასი ნედლეულის დამამზადებელი საბჭოთა მეურნეობები. ჩვენს ირგვლივ ხდება უდიდესი ცვლილებები, შრომაში იზრდებიან ვაჭკადებთან ახალი ადამიანები. წარსულს ნაბრუნად წინანდელი ჩამოტრეწილობა. აფხაზეში აბუტებში, პროზაიკობებში და დრამატურგებში უნდა აღწერონ რესპუბლიკის მშრომელთა შესანიშნავი ცხოვრება. ამ მხრივ ჩვენი ლიტერატურა ჯერ კიდევ ვალშია მკითხველის წინაშე.

მწერლებს შორის ბევრია ნიჭიერი, რომელთაც შეუძლიათ დაწერონ მხატვრული თვალსაზრისით ძალიან სასარგებლო და კარგი ნაწარმოები, მაგრამ ამის ვაკეთება სოხუში ჯდომით, ანდა ერთხელ და მოკლევადიანი მოგზაურობის სამუშაოებით, რასაკვირველია, შეუძლებელია უნდა ითქვას, რომ მწერალს ადვილად შეუძლია დაწეროს კარგი წიგნი კოლმურნეზე და კოლმურნეთა ცხოვრებაზე, მაშინ როდესაც იგი ცხოვრობს თვით კოლმურნეობაში და შესაძლებლობა აქვს პირადად ადევნოს თვლი შრომისა და ცხოვრების მთელ რიგ რთულ მოვლენებს. ჩვენთან კი ყველა მწერალი, ერთის ვამოკლებით (ე. ნაზხალა), ჩამოვიდა და ცხოვრობს სოხუში, ისინი იშვიათად იმყოფებიან კოლმურნეობასა და საბჭოთა მეურნეობებში.

ბევრი ჩვენი მწერალი ზივის, რომ უკირთ თემის მოძებნა და არ იცინა, რაზე წერენ. ხდება ისეთი კურორტებიც, როდესაც ზოგერთი ჩვენი მწერალი თემის საძებრად მიდის მოკლენიანი მივლინებით საბჭოთა კავშირის შორეულ მხარეში (ლასურია, ლომია და სხვ.). რასაკვირველია, ასეთი მოგზაურობა არ იძლევა სასურველ შედეგს, რადგან ნაუძობთედად მწერბილი მასალა ყოველთვის არ შეიძლება საფუძვლად დაედოს კარგ ნაწარმოებს. ამის შედეგად ვღებულობთ ზერეულ დაწერილ ლექსს ანდა ნარკვევს.

ჩვენ არა ვართ მოგზაურობის წინააღმდეგი. კარგი იქნებოდა ერთი ვინმე მიანიც წასულიყო ყამირი მიწების რაიონში, ვმუშავა იქ და დაეწერა ნაწარმოები, ვრანდიოზული საქმეების შე-

სახებ. ეს უფრო სასარგებლო იქნებოდა, ვინემ ზოგიერთი მწერლის ნაქარევი უსარგებლო მოგზაურობანი. ამასთან ერთად, ლტქედ უნდა დავინტერესდეთ ადგილობრივი თემბატიით და ყოველივე იმით, რაც ვარს არტყია მწერლის. ამ მხრივ ჩვენ ვვაჭვს უმარავი შესაძლებლობა. აი რას წყერდა ა. პ. ჩებოვი თავის მეგობარს ჯერ კიდევ 1882 წელს, როცა იგი სოხუში იყო:

«Если бы я пожил в Абхазии хотя месяц, то думаю, написал был с полсотни обильных сказок. Из каждого куста, со всех теней и полутеней на горах, с моря и с неба глядят тысячи сюжетов».

მეოცე ყრილობაზე აღინიშნა, რომ „ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება ჯერ კიდევ ბევრ რამეში ჩამორჩება ცხოვრებას, საბჭოთა სინამდვილეს, რომლებიც ვანუზომელად მიდიარია, ვინემ მისი გამოხატვა ხელოვნებასა და ლიტერატურაში“.

აფხაზ ლიტერატორებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი წარმატებები და შესაძლებლობა აქვთ შემდგომი შემოქმედებითი ზრდისათვის, მაგრამ მთავარია ლიტერატურული ოსტატობის პრობლემა, რომელიც წარმოადგენს აფხაზური ნაციონალური ლიტერატურის განვითარების ერთ-ერთ მთავარ საკითხს თანამედროვე ეტაპზე. მწერალი, რომლისთვისაც ძვირფასია ჩვენი ლიტერატურის ინტერესი, სერიოზულად უნდა ჩაუღიქონდეს ოსტატობის საკითხს და არ უნდა ვითქვას უმარავი ნაწარმოების გამოქვეყნებაში, ბევრი ფულის შოვნის სურვილია.

ზოგიერთი პოეტური და პროზაული ნაწარმოები მოწმობს პოეტებისა და პროზაიკოსების არასაკმარის ყურადღებას ფაქტების შერჩევის დროს, სახეთა სიღარიბეს, ილუსტრაციულობას, გადატრიალებლობას. ასეთ ნაწარმოებებს მთიხელობისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

აფხაზური ლიტერატურის მთელ რიგ ნაწარმოებთა ნაკლია ის, რომ მათში არ იგრძნობა ცხოვრების დანახვის სიღრმე, ძალზე ცოტაა დადებითი გმირის ცოცხალი და სრულქმნილი მხატვრული სახეები, ისინი ხშირად მცდარად გამოხატავენ რეალურ სასიცოცხლო კონფლიქტებს.

მეგმართოთ ფაქტებს. ჰიეიკო ჯონუას პოემა „სასიძოში“ დასმულია მნიშვნელოვანი საკითხი: ესაა ოჯახისა და საზოგადოებაში აღზრდის საკითხი. იგი ამ თემას წყევტს უბრალოდ და ზერეულად. პოემა არაა საბოლოოდ დამუშავებული, სუსტია ენობრივად, იდეურად მანკიერი, ავტორს გამოჰყავს დასკვნა, რომ პოემის გმირი ზურვი აცმა იმიტობადა უსაქმური, რომ მას ცუდად ზრდიდა დედა (მამის შესახებ არ ვგინდებთ ლაპარაკი, იგი, ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ, დიდი არამზადაა).

თუცა აღზრდის შედეგად ცუდი გზით წივიდა ზურციკი, მაშინ უნდა დავგენახა, თუ როგორ ზრდიდა დედა თავის შვილს. ამას კი ვერ ვებღავე. სიერითად, ზურციკის მოქმედება არ შეიძლება ავსნით მისი აღზრდით. ნათუ დედამ ჩააგონა მას, რომ ლამაზი ქალიშვილი დანახვისთანავე უნდა მოეტაცინა? დედას არ შეუძლია თავის ვაჟს ბავშვობისას ჩააგონოს ასეთი რამ. როგორც ცნობილია, ძველად აფხაზეთში გავრცელებული იყო ქალიშვილების მორატება. შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ქალიშვილების მორატება მაშინ ცუდი აღზრდის შედეგი იყო? ავტორი არ სწევდება ცხოვრებისეულ მოვლენებს და ვერ წვევებს მთელი სიღრმით მის მიერ აღძვრულ საკითხს.

ჩვენი დღემდე არ არის მთლიანად აღმოფხვრილი ზოგიერთი ძველებური მივენი ჩვეულება. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი მშვენიერი ტრადიციები და ამასთან ერთად, უნდა ვებრძოდეთ ცუდ გადმოჩინებებს. მიუხედავად ამისა, ქ. ჯონსის შემოსვენებულ პოემაში გვითხრობს:

Если за столом она обслуживает тебя —
значит ей стоять,
Это называется по-абхазски (апсуара),
Люблю это я.

ესე იგი პოეტ ქ. ჯონსის ბატონკაცურად უყვარს იჯდეს და იჭიფოს. ქალი კი უნდა იდგეს სუფრასთან და ემსახუროს მას. ამას ავტორი აფხაზურად უწოდებს „აფსუარას“, რომელიც მას უყვარს.

პოემაში ბევრია გულუბრყვილო, მოუფიქრებელი, ავტორის ესთეტიკური ვემოციების დაქვეითების დამდასტურებელი აღვნიშნები. აი, ზურციკი თავის ამხანაგებთან ერთად მანქანით მიემგზავრება სოფელში ქალიშვილის მოსატაცებლად. მანქანით ვიღვინი მიაქვს, რათა შექმნას შობილებობა, რომ დაკრძალვებ მიღიან, მთერალმა ახალგაზრდებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. ვიღვინი კი ამ დროს ვიდაცამ კამერს ჩამოაყვია კისერზე. ზურციკი დააბტიმრეს, როგორც დამნაშავე, პოეტის კი დაცინის მის მშობლებს და ასე მიმართავს მათ: „იტორეთ, იტორეთ ეს თქვენთვის სისარგებლოა უფრო მეტიც იწუხეთ“ პოეტის მიმართავს ზურციკის დედას:

Мне нравится, что она поцарапала свое
лицо,
Плачь побольше, сердце облегчилось,
Ударяя побольше в сердце, в голову,
как это приятно...

ასე წერა დედაზე, იმის ნაცვლად, რომ ვიგრძობთ რაოდენ ცხოვრებისეულ მასალაში, ნიშნავს მოძებნილი იოლი გამოსავალი. ეს არაა კარგი, არა მგონია, რომ ჩვენმა დედებმა ასეთი ლექსები-სათვის მაღლობა გვითხრან.

პოემის უარყოფით ვიზირებს დახასიათებისას

(პოემაში კი მხოლოდ ასეთები არიან) ავტორი არქმევს მათ სხვადასხვა აღმავლოებულ მეტასახლებს. ავტორს არ ეყო ძალს გუგუნა თავის ვიზირთა ხასიათები, ნაცვლად ამისა, იგი შეუვრაცხყოფელ სიტყვებს იწველებს. პოემაში ცხოვრება დანაწილია მრუდ სარკით. სინამდვილის ცალმხრივად გამოხატავს მხატვრული ოსტატობისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებას არ შეიძლება ავტორი მარცხამდე არ მიევყვანა.

ქ. ჯონსამ დაწერა ძალზე სუსტი პოემა „სასიმო“. მიუხედავად ამისა, ეს სუსტი პოემა ჯერ კრებულში შეიტანეს, შემდეგ კი მის რჩეულ პოეტურ თხზულებებში. მაგრამ აფხაზეთის ვი-მომცემლობა ამას არ დასჯერდა და ახლა აპირებს ეს წიგნი ქართულ ენაზე გამოცემას. რისთვის და რა მიზნით?

შემოსვენებულ პოემას აქვს ბევრი სხვა ნაკლოვანებაც. უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ი. თარბამ შესაძლებლად ცნო შეეჭო ეს მღარე ნაწარმოები თავის წერილში, რომელიც დიდებულია მწერალთა ყრბობის წინ ვაზთა სან-პოთა აფხაზეთში“. თარბას სიტყვით, პოემა „სასიმო“ „მნიშვნელოვანი მოვლენაა უკანასკნელი პერიოდის აფხაზურ ლიტერატურაში“.

დიდი ნაკლოვანებებით ხასიათდება ავრთვე-ა. ლასურიას, ქ. ლომისას, თება გურჯუას, ი. თარბას და ზოგიერთი სხვა მწერლის ნაწარმოებები.

ი. თარბას პოემაში „რადღენ თება“ ეხედებით მშრალ რიტორიკას და მოხუცის მოსაწყენ და-რიტებებს. აი, მაგალითად:

— Да это замечательное дело,
Я пожелаю тебе учебу.
Как видишь время новое
Без учебы вперед не пойдешь...
Труд — сегодня счастье,
Любите трудиться,
Вы ответственны перед жизнью,
Жизнь вперед ташите!..
Это учеба же, дал, — учеба.
Без учебы — труд непрочен.
Прежде всего, труд, дал.

(Подстрочный перевод).

მითხველს კი არ უნდა ვასწავლოთ (როგორც ვუდაგოგმა), არამედ მოვეთხროთ იმის შესახებ, რაც ჩვენთვის ცნობილია, რაც ვვალდებულ-გვინაჯავს და ვვებარებს.

დიდი ზიანი მოაქვს ჩვენი პოეზიისათვის დეკლარაციულობას, პოეტური მხატვრობის გარეშე დაწერილ ლექსებს. ქ. ჩახხალია ლექსში „აფხაზ-ახალგაზრდობას“ წერს:

Перед нами сейчас
Очень большие дела,
Мы как никогда

Сейчас заняты трудом.
 Недостатки, упущения,
 Нам надо устранить,
 Сколько узнал, сколько выучил,
 Настолько ты полезен.

არ ღირს ვეაგრძელოთ ამ ლექსის ციტირება, შეიკო პოეზიის ერთი მხსნაღერა არაა.

ა. ლასურას ნება-სურვილით, „ყოველისშემძლე“ საყვარულს განიცდის 16 წლის ახალგაზრდა. მას შეუყვარდება თავისი მასწავლებლის ცოლი — რაისა დუბოვა. ამ „ჩანაფიქრს“ მიუძღვნა ავტორმა დიდი და, მე ვიტყვოდი, პესიმისტური პოემა „დღევანური“. ვაეს ცრემლი სდის, ლაპარაკის უნარიც დაუკარგავს, თავგზა აბნეიდა და ა. შ. საბჭოთა საზოგადოების მოზარდი თაობა შორსაა სისტემატელებისაგან, რასაც პოეტს თავს ახვევს მას. ჩვენი მოზარდი თაობა ისწრაფვის სწავლისაკენ, შრომისაკენ, ამიტომ ძველი მახინჯი მთვლება, რომელიც აღწერილია ლასურას პოემაში, ჩვეს საზოგადოებაში ძალზე იშვიათად გვხვდება. ეს ამბავი რასაკვირველია, გამოგონილია და არაფერია სავსებით არა აქვს საბჭოთა სინამდვილესთან. სამწუხაროდ, გამომცემლობებში არა იშვიათად ვაპარება ხოლმე ამის მსგავსი არაფრისმთქმელი „ნაწარმოებები“.

არ არის ვაშლილი ბრძოლა მშობლიური სახსუსტისა და სიწმინდისათვის. ზოგი დამახინჯებულად ხშირითს ამ თუ ამ სიტყვას, ზოგიც ზელოვნურად ართულებს სიტყვებს. ენობრივი მოუქნელობის მაგალითები ბევრია: ჯ. ლომის, ჭ. ჯონუას, ა. ლასურას, ი. თარბას პოეტურ ნაწარმოებებში და, აგრეთვე, მთელ რიგ ახალგაზრდა ავტორთა შემოქმედებაში. ვაშოტ-დლო მწერლებს მმართველთ, დავიშარონ ახალგაზრდა მწერლებს ენობრივი ისტატობის ამაღლებაში.

ჩვენს კრიტიკოსებს მმართველთ, უფრო დაკვირვებით გააჩირონ მწერალთა ლიტერატურული პრაქტიკა და დროულად დავიშარონ სიტყვის ისტატობის ნაკლოვანებათა გამოსწორებაში, იბრძოლონ ლიტერატურული ნაწარმოების ხარისხის ამაღლებისათვის.

აფხაზეთში ჯერ კიდევ ფართოდაა გავრცელებული დიდი ქორწილები, ალაპები და ქელეხები, რომლებშიც ასობით და ასასობით ადამიანი იღებს მონაწილეობას. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

საჭიროა გავიკებოთ ამგვარი უარყოფითი მოვლენები. მაგრამ ზოგიერთი ჩვენი მწერალი თავის ნაწარმოებში არ იხენს კრიტიკულ და მოკიდებულებას გადმონათების მიმართ. აი, მაგალითად, რა სწერია ლექსში „აფხაზური ქორწილი“, სადაც პოეტი კემფ ლომია უმღერის გრანდიოზულ ქორწილს:

Мясо лежит, как Кавказский хребет.
 Дымом клубится парная абыста.

Куры румяны, как вешний рассвет.
 Яростно пламя аджики душистой.
 Словно невеста краснее подлива,
 Перец горит в ней любовным огнем.
 А хачапури глядят горделиво,
 Древний орнамент из сыра на нем.

Фрукты пестреют на скатерти белой.

Вина играют и радуют взгляд,
 Льетса рубиновый ток изабеллы,
 Будто бы гуси, кувшины шпшат.

Встал, как утес, тамада соглавлый...

ეს პალარათიანნი მოხუცი თამადა, ბრძენი ლექსის მთქმელი პოეტიდან პოემაში ვადადის. მას არც პროზაიკოსები ივიწყებენ.

რასაკვირველია საერთოდ, ქორწილი უარსაყოფელი არ არის, მაგრამ დასავლობა დამახინჯებანი, რასაც დიდი ზიანი მოაქვს ჩვენი საზოგადოებისათვის.

მოკლედ შევხივრდებით აფხაზური ენიდან რუსულ და ქართულ თარგმანებზე.

ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ რუსსა და ქართველ მწერლებს, რომლებიც დიდ დახმარებას გვიწვევენ აფხაზური ლიტერატურის რუსულ და ქართულ ენებზე თარგმნისა და გამოცემის დარგში.

აფხაზური ლიტერატურის ქმნილებანი რუსი, ქართველი და სხვა ხალხების მწერალთა დახმარებით ცნობილი ვახდა საბჭოთა ქვეყნის ფართო მკითხველი მისისათვის. 1957 წელს თბილისში გამოცემული ორი კარგად გაფორმებული წიგნი — „აფხაზური პოეზიის ანთოლოგია“ და „აფხაზური პროზის ანთოლოგია“ სწრაფობას აძლევს ქართველ მკითხველს, ფართოდ გაეცნოს აფხაზი ლიტერატორების შემოქმედებას. დიდ მიწვევად უნდა ჩითვალოს გამომცემლობა „ხუდოესტვენიანა ლიტერატურას“ ბერს ალახან მოსკოვში გამოცემული „აფხაზური პოეზიის ანთოლოგია“. კმაყოფილებით უნდა აღენიშნოთ ის დიდი დახმარება, რომელიც ამ საქმეში გავკვირებს ირაკლი აბაშიძემ, შალვა აფხაიძემ, აგრეთვე მწერლებმა — არკადი დევემა, სიმონ ლაქინმა და სხვებმა.

ჩვენ დიდად ვაფასებთ რუსი და ქართველი მთარგმნელების შრომას, მაგრამ აქაც საჭიროა მახვილი თვალი: ცენტრალურ გამომცემლობებში არ უნდა გადგრეს ისეთი ნაწარმოებები, რომლებსაც მშობლიურ ენაზე არა აქვთ სათანადო შესრულება და დაბალ მხატვრულ დონეზე დგანან. ხანდახან ესიც ხდება, რომ ასეთ სუსტ ნაწარმოებებს მთარგმნელები „გაქიმივენ“, ამოკლებენ, ალაპაზებენ და, ბოლოს და ბოლოს, ირივენილისაგან ვერცხა მხოლოდ რტყები და წლიკები.

დავიმოწიოთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი.

ი. თარბას პოემა — „რაყდენ ეთა“ რუსულ ენაზე გამოვიდა ორი სახელწოდებით: „კარიბჭესთან“ (ყურანალი „ღრუბდა ნაროლოვ“) და „აიამიანი ვუდღვა გზას“ (გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“) ორი სათაური კიდევ ასატა-

ნია. მაგრამ რა მოხდა შემდეგ? პოემის ორიგინალი თარგმანში თითქმის ნახევარზე მეტად შემცირდა, ბევრი თავი ამოვარდა, მათ შორის პოემის დიდი ნაწილი — ივანე კუზნიჩისა და რაედენე ეიბას გამგზავრება დონბასში. ორიგინალში ქალიშვილი ლიდა ორლოვა (რუსი), რომელიც შეუყვარდა რაედენეს, თარგმანში კი იგი გადაიქცა აფხაზ ლიდად, რომელიც შვილიშვილია იმ მოხუცისა, რომელსაც ხედება რაედენე, როდესაც იგი გაუღებდა გზას.

დასაშვებია, რომ თარგმანში ვაიციბროსს დედნის მოუქნელობა, მრავალსიტყვიანობა, შიშველი აღწერა და სხვა შეუსაბამოებანი, მაგრამ ეს უნდა გაკეთებულიყო ორიგინალში, ალბათ ავტორის ხელი შეუშალა ამჭარბებამ, მხატვრული სიტყვისადმი პასუხისმგებლობის გრძნობის დაზღვევებამ. ამ პოემის დასაწყისი ე. ელისევეის თარგმანში:

Еще петух не прокричал
Свое ку-ка-реку,
Еще мотор не застучал
Спросонок на току,
Еще предутренняя муть
Не улеглась почти
А человек собрался в путь.

ორიგინალში კი ეს ნაწყვეტი ასეა სიტყვასიტყვით:

Комсомолец Ражден Жиба
Когда ему захотелось в город,
Чтобы поехать поучиться,
Его родители, радуясь, одели его,
Дав ему пищу на дорогу,
Собрался он далеко.

როგორც ხედავთ, არაფითარი მამალი ორიგინალში არაა. არ არის ავრთუფე არც მობტორი, არც დენი. იბადება კითხვა: რომელია ავტორი — ელისევეი თუ თარგმანი?

დავიმოწმებ ორიგინალის „გადახალისებებს“ კიდევ ერთ ნიმუშს:

ე. ვერტმენკომ თარგმანს ა. ლასურისას პოემა „სამწუხარო სიყვარული“ (ორიგინალში: „დაუვიწყარი“), რომლის დასაწყისი ასე ვლერს:

თარგმანი:

Не повторяй я сложный рассказ,
Его у кого-то выпытав.
В нем правда простая,
Как слезы из глаз,
Без рассуждений, без выводов.

ორიგინალი:

Никто этого мне не рассказал,
Я не услышал его как сказку,
Правду, пережитую мной, без лжи,
Правдиво, я до сих пор, хранил в
сердце своем.

თარგმანი:

Я не люблю вас рассказчишки-ловкие,
С праведной мудростью на языке,
Я не люблю вашей умственной
логики

И неизбежной морали в конце.

ორიგინალი:

Я сниму с своего сердца замок,
Я открою свое сердце,
Как открывают несгораемый шкаф,
Смотрите на него, куда тринадцать
лет назад
Вошли совместно любовь и
страданье.

თარგმანი:

Не будет логики, не будет морали!
Вы помните образ далекий Мериани?
У нас есть абхазский Мериани-Араш.
Его не запрешь, как машину, в
гараж.

ორიგინალი:

Для амортизации скажу тебе
Спасибо мое родное сердце.

Ты дорогое мое!

Я хочу всем рассказать во
всеуслышание
Как ты одолело страданье,
Как ты оплакало свою любовь.

ამ არის ერთი ტაეტი, რომელიც, ალბათ, მთარგმნელს მიერაა შეთხზული, რადგან ლასურისას პოემის ორიგინალში იგი არ მოიპოვება. მით უმეტეს თავს ნებას მივცემ მოვიყვანო ეს ტაეტი:

Мораль его, логика — вечный полет.
Он только законом полета живет.
Возьми меня, конь, на широкую спину,
Принеси с вершиной в долину,
С вершины свершений, раздумий,
метаний,
В святую долину воспоминаний.

როგორც ჩანს, ავტორის არაფერი იქვს ნათქვამი ზღაბრულ ცხენზე — ქართულ ლეგენდარულ შერანზე და ჩვენს სახელოვან აფხაზურ არაშზე, ლოვიკაზე და „დასასრულში მალა მორალზე“. ავტორი სულ სხვას ამბობს: ციხე-სიმაგრეზე, ცეცხლგამძლე კარადაზე, გულის ამორტიზაციაზე და გამოტირებულ სიყვარულზე.

ამ როგორ აკეთებენ თარგმანებს ავტორიზებული ბჭყარედებით. ეს მკითხველის მოტყუებაა და უპატივეველობა. პოეზიაში, რასაკვირველია ძნელია აღუქმებური თარგმანი. გამოჩენილი რუსი პოეტის ვუკოესკის სიტყვებით რომ ვთქვათ, პოეტი — მთარგმნელი — ავტორის მერტოქეა, მაგრამ ორიგინალის გვერდის ავლა, ავტორის მ-

გვირად წერა ახალი ნაწარმოებისა არც ლამაზია და უზერხელეცა.

კიდევ უფრო მეტი კერძობი ხდება აფხაზურ-რიდან ქართულ ენაზე თარგმნის დროს. ბევრ შემთხვევაში თარგმანი სრულდება აფხაზური ტექსტის არა ქართულად, არამედ რუსულ ბჭე-რედების მიხედვით. მოსკოვში გამოცემულ ბევრ თარგმანში დამწებელი შეცდომები უფრო მეტ შეცდომებს იწვევენ.

მთარგმნელობითი საქმისადმი დაუღვევარ და-მოკიდებულებას იქამდე მივყავართ, რომ კარგი ნაწარმოები სუსტად ითარგმნება ანდა ჩრდილ-ში რჩება. მშობლიურ ენაზე მკრთალად დაწე-რილ, ანდა, საერთოდ, სუსტ ნაწარმოებს ხანდა-ხან, რატომღაც, ზალისთ თარგმნიან რუსულ და სხვა ენებზე და ასეთი ნაწარმოებები გამოდისან ნაციონალური ლიტერატურის დამწებების სახით. ჩვენ უნდა ვთხოვით მთარგმნელებს და გამო-ცემლობებს, რათა მათ უფრო მეტი მომთხო-ვნელობა გამოიჩინონ.

აფხაზი მწერლების ნაწარმოებთა რუსულ ენა-ზე გამოცემა დიდი ღონისძიება და გამოცემა ყოველი თარგმნილი ავტორისათვის. ამიტომ სათარგმნელად უნდა შეირჩეს საუკეთესო ნა-წარმოებები, რომლებშიც დამსახურეს მეთხ-ველის აღიარება მშობლიურ ენაზე. საჭიროა ამ საქმეს დიდი ყურადღება მიექცეს და თავიდან ავიციდნით მთარგმნელების მიერ დამუშავებულ „გაყეთებულ“ ნაწარმოებთა პუბლიკაცია.

ბევრს მოუხმენია აფხაზური ზალხური სიმღე-რების მდიდარი მეროდია და ქვრეალობა. აფ-ხაზეთის ასრ კულტურის სამინისტრომ კი უბე-ში შეცდომად დაუწვა, როდესაც აფხაზური ზალ-ხური სიმღერების გამოცემა მთლიანად მიანდო აფხაზეთის ასრ კულტურის სამინისტროს ზალ-ხური შემოქმედების სახლის დირექტორს, მოს-კოვში ა. ქორთუას და ზოგიერთ სხვა აზნაავს. რომლებსაც ბრალი მიუძღვით აფხაზური სიმღე-რების ფალსიფიკაციის საქმეში.

1957 წელს სახელმწიფო მუსიკალურმა გამო-ცემლობამ გამოაქვეყნა კრებული „აფხაზური სიმღერების“ სახელწოდებით, რომელშიაც თავ-მოყრილია 168 სიმღერა. ამ წიგნის ინიციატო-რებს, აღბათ, კარგი საქმის გაკეთება სურდათ. სიმღერების ტექსტები, მცირე გამოცემისის გარდა, მთლიანად დამახინჯებული და ფალსი-ფიკირებულია. ორიგინალები არასწორადა და-წერილი, მათი თარგმანიც და აუბრალოებენ და ამახინჯებენ ტექსტს, ანდა ისტორიულ ფაქტს, რომელსაც მიეძღვნა ესა თუ ის სიმღერა.

სიმღერის ორიგინალსა და რუსულ თარგმანს შორის ჩვეულებრივ არაფერია საერთო, აფხა-ზური ტექსტი დამახინჯებულია. მიემართო მაგალითებს.

სიმღერა („სამშობლო“) ასე იწყება ორიგინალში:

Разносится запах цветущей Родины,
Солнце светит, сердце согревая,

Подрастающая молодежь тебя воспевает,
Великая партия ты вперед растешь.

О нашей прекрасной Родине сложено
много песен,
Но я хочу спеть еще одну песню — о
родной Абхазии.

Абхазия! Твои леса и сады полны аро-
мата,
Твои парки и здравнищи предоставлены
народу,
Твой целебный климат побеждает любой
недуг.

აფხაზურ ორიგინალში, საერთოდ, არაფერია ნათქვამი აფხაზეთის, მისი ტყეების, ბაღებისა და სამკურნალო ჰავის შესახებ, ჰავისა, რომელიც თითქოს ყოველგვარ დაავადებას კურნავს.

ანალოგიურადვე შედგენილი სხვა სიმღერე-ბის ტექსტები. ამგვარად, ეს ლამაზად გამოცე-მული წიგნი — „აფხაზური სიმღერები“ უმრავ-ლეს შემთხვევაში შეიცავს აფხაზური სიმღე-რების ყალბ ტექსტებს.

აფხაზეთის კულტურის სამინისტროს (ვ. კვარ-ჩელია) და აფხაზეთის მწერალთა კავშირს გვირდი არ უნდა ავიღო ამ აშკარა წუნისათვის ამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმეში უნდა მიგ-ვეზიდა ჩვენი სამწერლო და მუსიკალური საზო-გადოებრიობა, აფხაზეთის ენის ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, პირველ ყოვლისა, ისე-თი გამოჩენილი მუსიკისმკოდენი, როგორც აიანი ა. ბალანჩივაძე, გ. ჩხიკვაძე და დ. შვე-დოვი. ეს აზნაავები წლების მანძილზე ავრთვებ-დნენ და სწავლობდნენ აფხაზი ხალხის მუსიკა-ლურ შემოქმედებას, უნდა ითქვას, რომ პრო-ფესორმა შედგოვა გერ კიდევ 1934 წელს და-წერა აფხაზური ოპერა და იგი მაშინვე იქნა გა-მოცემული თბილისის მუსიკალური გამოცემე-ლობის მიერ. ბევრი სიმღერა იქნა შეკრებილი და გამოცემული აფხაზური სიმღერების კარგი მკოდნეების — კოვანისა და კ. მიხარას მიერ. ათასწულ აჯობებდა, ხელახლა გამოვეყენებინა ზემოთაღნიშნული ნაწარმოებები, ვიდრე გამოგ-ვეცა მუსიკალური ნახევარფაბრიკატები ამ საქ-მეში ნაკლებ კომპენტეტურთა პირის ა. ქორთუ-ას ხელმძღვანელობით.

აფხაზეთის მწერალთა პირველ ყრილობაზე ლამაზად იყო აფხაზეთის გამოცემლობის ნა-ლოკიანებზე. აქ შეეხრდებით იმ გარემოებაზე, თუ როგორ იბრძვიან გამოცემლობები გამო-საქვეყნებელი მხატვრული ლიტერატურის ხა-რისხისათვის. ჩვენი წიგნების გარეგნული გა-ფორმება, შეიძლება ითქვას, კარგია. მაგრამ გა-მოცემლობაში დღემდის არადამაკმაყოფილებე-ლად ტარდება ხელნაწერებზე მუშაობა. ხელ-ნაწერები იოლად იკაფავენ გზას და ყოველგვარი

შრომისა და გარჯის გარეშე იგზავნიდნენ დასახლებულად. დაბალ დონეზე დგას გამოცემლობაში ჩაბარებულ ხელნაწერთა რეცენზირების რეცენზენტებიც სათანადო პასუხისმგებლობით არ ეყიდიდნენ დასახებულად ვადაცემულ ამკარად სისტ. ხანდახან ხალტურულ ნაწარმოებებსაც კი. არიან „ხელისანი“ რედაქტორებიც.

მწერალმა რაც დაწერა, ყველაფერი არ უნდა შესთავაზოს გამოცემლობას. მან მკაცრად უნდა შეარჩიოს საუკეთესო ნიმუშები და ის გამოსცეს. მრავალ პოეტურ კრებულში, რომლებიც გამოსულია „ჩქეულის“ რუბრიკით, უფრო ხშირად თავმოყრილია ყველაფერი, რის დაწერაც კი მოუწყრიათ მის ავტორებს თავისი სიცოცხლის მინიმუმზე. ეს ავტორები ხშირად სცილდებიან თავმდაბლობის საზღვარს.

გარდა ამისა, ხელახლა იცემა ბევრი სუსტი ნაწარმოები, — მკითხველზე კი არავინ ზრუნავს. აი ზოგიერთი საამისო ფაქტი:

ა. თარბას „მოგზაურის შენიშვნები“, რომელიც დაიწერა ჩეხოსლოვაკიაში ავტორის მოგზაურობის შესახებ, ძალზე მდიარე და უსუსური ნაწარმოებია. იგი ჯერ დაიბეჭდა ვაზეთ „აფსნის ყაფი“-ში (მას მოუნდა ვაზეთის ათი სარდაფი), შემდეგ მოლიანად გამოქვეყნდა ჟურნალ „ალაშარაში“. თქვენ გგონიათ, ამით დასრულდა ყველაფერი? ჟურნალის სვეტები ხელახლა შეიკრა და „მოგზაურის შენიშვნები“ გამოიცა ცალკე წიგნად (შესანიშნავი გარეკანით).

1956 წელს აფხაზეთის სახელმწიფო გამოცემლობამ გამოსცა წიგნი „აფხაზეთის ხანდაზმული ადამიანები“, რომელიც შედგენილია ავტორთა კოლექტივის — ი. შაფორის, ი. ღარსინას, ი. ქორთუას, ვ. ჩიქვათას მიერ. ეს მასობრივი გამოცემა ნაჩქარევად და შესრულებული და წიგნიც არაკეთილსინდისიერადაა გაფორმებული.

საკვირველია, რომ აფხაზეთის ხანდაზმულობის ეს ვი-სპეციალისტები მოხუცების ხნოვანებს, რაღაცნაირი ვარაუდით, ვ. ი. რაღაცნაირი სტატისტიკური წესით აზუსტებდნენ, და საბუთებით კი არ ინტერესდებოდნენ. პატივცემული მოხუცების სურათები ისეა დამახინჯებული, რომ მთ ვერც კი იცნობთ. რასაკვირველია, მეცნიერება ვერავითარ სისიკეთოს სვეტ აპოიდებს ამ უპასუხისმგებლო ნაჯღამნიდან, რომლის გამოცემისათვისაც დახარჯულია საქმიოდ დიდი სახელმწიფო თანხა.

აღნიშნული წიგნის მთავარი ავტორი შაფორი, რომელმაც აფხაზეთის გამოცემლობის პასუხისმგებელი რედაქტორების—ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის — შ. ვაგოზის და კულტურის მინისტრის ვ. ქვარჩელიას მაღლობა დაიმსახურა, გაემგზავრა აფხაზეთიდან და აფხაზეთის ხანდაზმულთა ბედით შემდეგ აღარ დაინტერესებულა. ასე და ამგვარად, ახლამოველნიცა ხელსაყრემი მოატყუა გამოცემლობა და სხვებიც.

მოუყვანილი მგალობები პირდაპირ ადასტურებენ,

რომ აფხაზეთის გამოცემლობა უშვებს უხარისხო ნაწარმოებებს, ცოტა უწყობს სახელმწიფო თანხებზე, რომლებზეც დეტალურად სახიზაა მიღებული. გამოცემლობის დირექტორი თემა გურჯია, როგორც ვტყობა, საჭიროდ არ თვლის ისეთი საკითხებით დაინტერესდეს, როგორცაა სახელმწიფო თანხების სწორად დახარჯვა. ხომ არ გვმართებს დავეფიქრდეთ, რამდენი ფული დაგვრჩება კარგი წიგნების გამოცემად, თუ გზას დავეხმავთ უფრო წიგნებს? მაგრამ საკითხის ამ შარეს გამოცემლობა მინც გვერდს უვლის. უფრო მტრის საგამომცემლო გეგმაში შეაქვთ ისეთი „წიგნები“, რომელთა დაწერას ჯერ არავინ შესდგომია. ეხადია, არც მწერალთა კავშირს, არც აფხაზეთის გამოცემლობას წინასწარ არ შეუძლიათ თქვან, თუ როგორი ხარისხის იქნება ეს წინასწარ მოფიქრებული გამოსაცემი შრომა. ამგვარად, ავან-სად — 1958—1959 წ. გამოსაცემი ლიტერატურაში შეტანილი იყო 16 ნაწარმოები რომელთა არსებობა არავინ არ ვაგონია. მე ვფიქრობ, საკმარისა, ჯერ დაიწეროს ნაწარმოები, იმეშაონ ხელნაწერზე და შემდეგ ჩიდიოს აფხაზეთის გამოცემლობის „პორტფელში“, რომელიც ხარისხის მიხედვით შეუდგება გამოცემას.

ხვენი ლიტერატურული კრიტიკოსები არ იღვრიან ნაწარმოების სრულფასოვან გარჩევას. უმრავლეს შემთხვევაში იფარგლებიან ამა თუ იმ ნაწარმოების შინაარსის ზეგარეულ გადმოცემით, — მხატვრულ ოსტატობის საკითხი კი არ შექვდება არა იშვიათად ზოგიერთი მწერლის ზედმეტი შექება და ხობა-დიდება. სასურველია, ყველა ჩვენგანმა თავი შეიკავოს ურთიერთ შექებისგან და გადავიდეთ ჩვენი მეშობის უფრო კრიტიკულ შეფასებაზე.

კრიტიკოსები ეშინიათ, რომ ესა თუ ის ავტორი არ განაწყენდესო, და წერენ წყალ-წყალად რეკამაციებს, ნაცვალ საანალიზო ლექსის, პოემისა და რომანის ნაყოფიანებათა გულდასმითი კრიტიკული ანალიზისა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა კრიტიკოსი შ. ინალიფა. შემთხვევითი როლია, რომ უკლებლივ ყველა მწერალი მკაფიოდია მისი კრიტიკისა.

რამდენიმე სიტყვა აღმანახ „ლიტერატურაშია აფხაზის“ შესახებ, (აფხაზეთის ასსრ მწერალთა კავშირის ორგანო).

თითქოს ეს აღმანახი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ აფხაზეთის ლიტერატურის საუკეთესო ძალები, უნდა ყოფილიყო ძალზე საინტერესო ფართო მკითხველსათვის. სამწუხაროდ, მკითხველთა მხრივ აღმანახის მოთხოვნილება ჯერ კიდევ უმნიშვნელია „სოთხუხეჩატის“ ცნობით, აღმანახი ჩაწოლილია და ძალზე მსუქლია მისი გაყიდვა.

აღნიშნული ნაყოფიანების მთავარი მიზეზია აღმანახის სარედაქციო კოლეგიის არადამაკმაყოფილებელი მეშობა. არ შეიძლება ითქვას,

რომ მთავარი რექტორი ლ. გოლდინოვი კარგად უძღვებოდას თავის საქმეს. აღმანახში იბეჭდება სუსტი და, ნაწილობრივ, სრულად უნდა ტერკის სტატიები და ნაწარმოებები. საქართველოს ავითო უკანასკნელი წინასაყარობა № 8, რათა დაერწმუნდეთ ჩვენი შეფასების სისწორეში. გვეგონა, რომ ამ წინასაყარობაში ნაწარმოებები შეთხვეული დაინახავდა ჩვენს გამოჩენილ მწერლებს, მაგრამ ეს, იშვიათი გამოხატვის ვარა, არ მოხდა. სამაგიეროდ, აფხაზეთის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები ამ ქება-დიდებათა მოხსენებელი თავმდაბლობის ყოველგვარი საზღვრების დარღვევით.

ნაყოფიანებები აქვს, აგრეთვე, შურნალ „ალაშრას“. ამ შურნალის ფურცლებზე შეთხვეული ზნობად ზედება უფლო, ნაკლებად შინაარსიან და მხატვრული თვალსაზრისით სუსტ მოთხრობებს, ლექსებსა და პოემებს. ჩვენ გვყავს მხატვრული სიტყვის ბევრი ნიჭიერი ოსტატი. რედაქტორი ვადღებულა, გულმოდგინედ შეარჩოს შურნალისათვის სათანადო მასალა, შურნალის ავტორიტეტი მაშინ კიდევ უფრო ამაღლდება. შურნალის ხელმძღვანელობა (მთ. რედაქტორი ა. ჯონია) უფრო უნდა დაუახლოვდეს შეთხვეულ საზოგადოებას.

ცუდადა ჩვენში ადგილობრივი გამოცემული წიგნების რეალიზაციის საქმეც. უკანასკნელ ხუთ წელიწადში გამოცემული იყო 2.472.243 მანეთის თანხის წიგნები. 1959 წ. 1 იანვრისათვის ამ რაოდენობიდან რეალიზებული არ იყო 1.050.448 მან. წიგნები. თუ გადავხედავთ აღნიშნულ ფაქტებს, არ შეიძლება გვერთა ავუაროთ იმ დიდ ნაყოფიანებებს, რომლებიც გვაქვს წიგნით ვაჭრობის საქმეში, განსაკუთრებით სოფლის მისახლოებაში. ეს ფრიალ კულტურული ღონისძიება გერ კიდევ დაბალ დონეზე დგას.

აქამდ აღვილობრივი გამოცემის წიგნები იყიდება „აფაქშირის“ სოფლის მაღაზიებში. აღნიშნულ მაღაზიებში მისვლამდე წიგნები, ვაუფრობილებლად გადატანის შედეგად, ფუძდება. მაღაზიაში წიგნები აწვევია საპანის, ნავთისა და კარაქის გვერდით. მრავალ მაღაზიაში სინესტე და სხვა ანაწარმალური პირობებით უფუძებენ წიგნს გარეგნულ საბჭს. ბევრ მაღაზიაში წიგნები ზეინებად აწვევია მოღრეცილი და გაბინძურებული, ქუჭუინი ყლებით. ამ დიდი დანაშაულის მიზედებს „აფაქშირის“ გამგეობის თავმჯდომარეს ნ. ჩხორუას და „წიგნეაქრობის“ დირექტორს ი. შამუგიას, რომლებიც მოვალენ არიან დამყარონ კულტურა სოფლად წიგნით ვაჭრობის საქმეში. არც ისე ძნელია ყოველ სოფლსაბჭოში აშენდეს წიგნის ფარდული წიგნის შესანახი პატარა საწყობებით. შეიძლება სპეციალური ყუთების დამზადება კოლმურწინეთათვის ცხენებით შინ წიგნების მისაწოდებლად.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზნობად აფხაზეთის გამოცემლობის მიერ გამოშვებული წიგნების ნაწილის რეალიზაცია, საერთოდ, შეუძ-

ლებელი შეიქნა. ასეთი წიგნები აღმოჩნდა სულ 543.468 მანეთისა. ამ ბრალის დღეებზე წიგნების მოვაჭრე ორგანიზაციისათვის არ შეეძლება უმეტესად ეს წიგნები რეალიზებული არ იქნა მკითხველის მიერ. წიგნები ეყუო თარობა, მაგრამ მათ არავენ კითხულობდა, მკითხველი არ იყო დაინტერესებული ამ წიგნებით. მაგრამ მკითხველის დადანიშნულება ყოველთვის არ შეიძლება. რომელი მწერალი იყიდის, მაგალითად, არტელში ანდა „მესტაროში“ დამზადებულ უხარისხო საქონელს—მრუდე სარკეს, ანდა ასეთ ფეხსაცმელებს, რომელშიც წვალი შედის? კარგი ნაწარმოებები, როგორცია, მაგალითად, ი. პაპასკირის რომანები „ხანგრძლივი ცხოვრებისათვის“ ანდა „ქალის ღირსება“ სწრაფად გაიყიდა. ამრიგად, გარკვეული დანაშაული იმ ავტორებს მიუძღვის, რომლებმაც არ მოგვეცეს ხარისხიანი პროდუქცია.

ჩვენი სურვილია, გვეჩინდეს კარგი, ხალხის ცხოვრებასთან მჭიდოდ დაკავშირებული ლიტერატურა და ხელოვნება, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია.

ზოგიერთ მწერალს წყინს, როდესაც მას ამხანაგურ კრიტიკულ შენიშვნას აძლევენ. ავტოცულებენ ხმებს, თითქოს ისინი „ზემოთ“ არ უყვართ. ასეთ ამხანაგებს, ჩანს, სურთ მოიპოვონ იაფი ავტორიტეტი და სიმამათა გულტრყეილო, ლიტერატურულ საქმეებში ნაკლებად ვათვითცნობიერებულ ხალხში და როგორმე თავიანთი ასეთი ნაწარმოებები გააძვირონ ისეთ კიშვაროში, რომელშიც ისინი ვერაფრით ვერ გაეტყვიან. მათ სურთ, როგორც იტყვიან, იყვენ „თავისუფალი დახვები“ ლიტერატურაში, ე. ი. იცხოვრონ ლიტერატურული და შეთხვეულთა კრიტიკისათვის მიუწვდომელ ფარგლებში. ჩვენ კოლექტიურად უნდა გარდავეწმნათ ასეთი გაყოყინებულები და, ამასთანავე, არაჯანსაღად მოახროგენ მწერლები, პირდაპირ და დროულად დაეხმარონ მათ შეეცდომათა გამოსწორებაში. აფხაზეთის მწერალთა კავშირის ახალი გამგეობა და მისი თავმჯდომარე აშ. ი. თარხა ვაღდებული არიან მიიღონ გადაწყვეტილი ზომები აფხაზეთის მწერალთა პირველ ყრილობაზე აღნიშნული ნაკლოვანებებისა და ჩავარდნების აღმოფხვრისათვის.

აფხაზეთის მწერლებმა ღრმა კმაყოფილების გრძობით მიიღეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. ესაა მებრძოლი პროგრამა ყველა მწერლისა და კულტურის მოღვაწისათვის. სკკ ოცდიანერთე ყრილობა შთააგონებს აფხაზეთის ლიტერატურისათვის ახალი შემოქმედებითი მიღწევებისაგან, მოუწოდებს მათ ისეთი ნაწარმოებების შექმნისათვის, სადაც უფრო სრულად იქნება ასახული საბჭოთა ადამიანების შესანიშნავი საქმეები, აღმამანებისა, რომელთაც ხელმძღვანელობს ბრძელი კომუნისტური პარტია.



V-VI საუკუნეთა ქართლის პიტიახშები და მათი სახელოს საპიტხისათვის¹

პიტიაშთა ინსტიტუტის არსებობა ძველ ქართლში დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას იპყრობს. მაგრამ ვიდრე პიტიაშთა ანუ ერთისთავთა სამაროვანი მცხეთაში აღმოჩნდებოდა, საუბარი მათ შესახებ უძველესი ქართული და სომხური ნარატიული ძეგლების მიხედვით ხერხდებოდა მხოლოდ. აღნიშნული ძეგლების წყალობით, ქართლის პიტიაშთაგან მეცნიერებაში ცნობილი იყო: არშუშა (V საუკუნის პირველ ნახევარი) ვარსკენი (V საუკუნის მეორე ნახევარი) და არშუშა (VI საუკუნე) ამასთან ერთად, მეცნიერებაში შემუშავებულ იქნა გარკვეული თეორიული პიტიაშთა ინსტიტუტის წარმოქმნისა და მისი ხასიათის შესახებაც.

მეცნიერთა აზრით, IV საუკუნის ბოლოში, მართალია, ქართლში პოლიტიკური მთლიანობა აღდგენილ იქნა, მაგრამ ქართლის მეფე შინეშაშინ-შაპის ვასალად იქცა. მათი სიტყვით: „ფორმალურად მოსპობილი ორშეფობა მათ (იგულისხმება — სპარსელმა, კ. გ.) ფაქტობრივად ვანაახლეს სპეციალურ დაწესებულებების პიტიაშთის — შექმნით ქართლში. ეს იყო კონტროლის ორგანო ადგილობრივ მმართველ წრეებისა და, უწინარეს ყოვლისა, მეფის მიმართ. საგანგებო მოხელე, რომელიც „ქართველთა პიტიაშის“ („პიტიაშთი“ სპარსულად „ქვეყნის მმართველ“ ნიშნავს) წოდებულებას ატარებს, თვალყურს ადევნებს ქართლის მეფის, სპარსეთის ვასალის, მოქმედებას. ამით თვით პოლიტიკური დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, უფრო მჭიდრო ხდება.“²

ამასთან ერთად, მკვლევარნი ქართლის პირველ პიტიაშებს სპარსულად მიიჩნეოდნენ და „მოქცევადა ქართლისაჲს მიხედვით თითქოს პირველ ასეთ პიტიაშად ვიღაც ქრაბ-ხარ-ბო-ზარ-ღს ასახელებდნენ, მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ, მათი აზრით, „როცა სპარსეთის შთავრებამ ქართლის დიდ აზნაურებში მომხრეები გაიჩინა, შაჰები ქართლის პიტიაშად უკვე ქართველებს ნიშნავდნენ, ვინ-

მეს დიდ აზნაურთაგან“². სწორედ ასეთ პიტიაშებად არიან მიჩნეული მკვლევართა მიერ ზემოაღნიშნული: არშუშა, ვარსკენი და არშუშა.

ასეთი იყო მეცნიერებაში გაბატონებული აზრი პიტიაშთა ინსტიტუტის შესახებ მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საქმიანობის დაწყებამდე. მაგრამ 1938—1940 წლების არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა, როგორც ცნობილია, თავდაყირა დააყენეს ჩვენი წარმოდგენები დასახელებული ინსტიტუტის შესახებ. გამოიჩინა, რომ პიტიაშთა ქართლში სპარსულთა მიერ V საუკუნეში დაწესებული არ არის, როგორც ეს მანამდის იყო მიღებული, არამედ ის ძველის-ძველი და, რაც მთავარია, ადგილობრივი ხასიათის — ქართული სახელმწიფოებრივი დაწესებულებაა. ამასთან ერთად, დადგინდა, რომ ადრინდელ ხანაში ქართლის პიტიაშში სპარსეთის შაჰის მოხელე არ ყოფილა, რომლის მოვალეობაში თითქოს ქართლის მეფის მეთვალყურეობა შედიოდა, პირიქით, ის ქართლის მეფის პიტიაშში, ანუ ერთისთავი იყო და, ამდენად, მის ერთგულ სამსახურს ეწეოდა მხოლოდ.

მაგრამ ეს იყო თქმული მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მასალებით ცნობილ და, საერთოდ, ადრინდელი ხანის პიტიაშთა შესახებ რაც შეეხება V—VI საუკუნეთა პიტიაშებს, მათ შესახებ კვლავ ძველი თვალსაზრისი იქნა დატოვებული ძალაში და ეს უკანასკნელი დღესაც აღიარებულია მეცნიერებაში. ასე, მაგალითად, პროფ. გ. წერეთელი თავის „არმაზის ბილინგვაში“ ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „მერმინდელ ეპოქაში, დაახლოებით V საუკუნის დასაწყისში, როდესაც ივერთის სამეფო სპარსეთის ვასალურ დამოკიდებულებაში მოექცა, პიტიაშში (ახლა უკვე ერთი, მთელი პროვინციისათვის) სსანთან იმერეთის საჰემპყრობების მიერ ინიშ-

² კ. კეკელიძე, აშუშა პიტიაშის ბეჭდის წარწერის გავებისათვის. ეტიუდები ძველ ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1956, გვ. 151.

¹ სიმონ ჯანაშია, საქართველოს ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე 1937, გვ. 124.

ნება ვითარცა მმართველი სავასალო ტერიტორიისა ან თანამმართველი ქართველი მეფეებისა. სწორედ ეს მდგომარეობაა ასახული მერმინდელ მრავალიცხვან ცნობებში „ქართლის პიტიახმა შესახებ“.

ასევეა გამოქვეყნებული ეს საკითხი საშუალო სკოლისათვის შედგენილ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოშიც: „უხლა (საუბარი) ეხება, ქართლ-კახეთის ვითარებას მე-4 საუკუნის დამლევისა და მე-5 საუკუნის დამდგმისათვის-კ. გ.) ქართლის მეფე უკვე სპარსეთის მეფის ვასალად იყო გამოცხადებული, რომ გულ უფრო შვიდად ჰქონოდა სპარსეთის მეფემ ქართლში თავისი მოხელე გამაგზავნა. ამ მოხელეს პიტიახმის თანამდებობა ექონა.“

ამგვარად, მკვლევარნი V საუკუნისათვის პიტიახმა ინსტიტუტში გარკვეულ ვარაუდებს ვარაუდობენ და ამ დროიდან მოყოლებული ახალ საფეხურს ამჩნევენ კიდევ. მათი სიტყვით, ეს ამგორე საფეხური უკვე წარმოადგენილია ახ. წ. Vს., როდესაც ქართლში სულ ერთი პიტიახმა (პიტიახმი ქართლისაჲ) ისიც სპარსეთის მეფისა“.

ასე რომ, მკვლევარნი ნარატულ ძეგლებში მოხსენებულ ქართლის გვიანდელ პიტიახმებს — არშუშას, ვარსკენს და არშუშას სპარსეთის პოლიტიკის მოზრეებად და შაჰინშაჰის აქტიურ ავენტებად მიიჩნევენ დღესაც. მათი აზრით, ისინი ახორციელებდნენ ქართლში (ადგილობრივი) მეფის მეთვალყურეობას და ამ უკანასკნელის ყოველგვარ საძვივო საქციელს დაუყოვნებლად აცნობებდნენ ზოლმე ირანის ბრძანებებს, მაგრამ, თუ ეს სწორია, მაშინ, ცხადია, ქართლის პიტიახმა ინსტიტუტი (V საუკუნისათვის) მართლაც, უჩვეულო გარდატეხა მომხდარია: ძველად ქართლის პიტიახმა ადგილობრივი მეფის მარჯვენა ხელი და მისი ერთგული თანამეგობარი იყო, ახლა ის სრულიად საპირისპირო მდგომარეობაში აღმოჩენილია: პიტიახმი ქართლის მეფის მუდმივ მეთვალყურედ და მის ნამდვილ საშინელებად ქცეულა აღნიშნულ თეორიას სხვა სიმძვინვარეობები ახლავს თან; საქმე ის არის, რომ ამის მიხედვით, გურკავიველი რჩება, საერთოდ, ქართლის პოლი-

ტიკური მდგომარეობა V საუკუნის დამდგმისათვის, სწორედ რომ გაუგებარია ირანის შაჰის ოფიციალური მეთვალყურის რწმუნებში ინფორმირებულ ქართლში, ასეთი რწმუნებებიც კი სუვერენული ქვეყნის უფლებებს ვერ შეუთავსებოდა. ჩვენ, რასაკვირველია, ვიცით, რომ V საუკუნეში, აგრესიული სპარსეთის მოძალეხას მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ქართლი მაშინ შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდა სპარსელთა წინააღმდეგ და ის არათუ V საუკუნის დამდგმისათვის, არამედ მის მგორე ნახევარშიაც გმირულად იბრძებოდა სისანიანთა სპარსეთის ძლიერ იერიშებს. ასე რომ, დებულება V საუკუნის ქართლში შაჰინ-შაჰის მეთვალყურის ოფიციალურად არსებობის შესახებ ძალიან საუკვოდ გამოიყურება. ჩვენ არ ვიცით არც ერთი შემთხვევა სპარსელთა მიერ რომელიმე აქ მოხსენებული პიტიახმის დანიშვნისა. პირიქით, რამდენად ეს ვარსკენის მაგალითიდან ჩანს, სათანადო პატივს ისინი მემკვიდრეობის წესით ღებულობენ.

ამასთან ერთად, მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ პიტიახმი ქრამბ-ხარბორ-ზარდის მოსვლას ფაქტი, რასაც მკვლევარნი ასე გულმოდგინედ უმყარებინან, ამ შემთხვევაში სრულიად არაფერ შეაშია. მართალია, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, ქრამბ-ხარბორ-ზარდი მოვიდა „ტოლისად ქალაქად ცხად“, მაგრამ მკვლევართა აიწუღებათ, რომ ის მოვიდა, როგორც სპარსელი მხედართმთავარი და დამპყრობელი (რომლის მსგავსი სხვაც ბევრი უნახავს ჩვენს ქვეყანას) და, რომ „ქართლი მისსა ზარტსა შედგა და სომხითი და სივნიეთი და გუასპურავანი“¹. სიტყვათა მემკვიდრეობა აქ სხვა არაფერი აქვს ნათქვამი, გარდა იმისა, რომ ქრამბ-ხარბორ-ზარდი მოვიდა თბილისს, დაიპყრო ქართლი, სომხეთი, სივნიეთი და გუასპურავანი და დახარჯა ისინი. ასე რომ, ქრამბ-ხარბორ-ზარდი აქ მეფის მეთვალყურედ არ მოსულა, მეფობა მის დროს ქართლში, არ ჩანს და ყოველგვარი საუბარი „მის მეთვალყურეობაზე“ უადგილოდ გამოიყურება. ამგვარად, არშუშა, ვარსკენი და არშუშა არ არიან ქრამბ-ხარბორ-ზარდის მემკვიდრეები და ფუნქციონალურად მათ შორის სრულიად არაფერია საერთო.

ამგვარად ესეც რომ არ იყოს, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია არშუშას და მის მემკვიდრეთა იდუარე მარწმასა და პოლიტიკური ორიენტაცია სხვა გზითაც გამოვავლინოთ. ამ შრივ

¹ გ. წერეთელი, არშუშის ბილინგა. აკად. ნ. შარის სახელობის ვნის, ისტორიისა და მატრიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე. XIII, 1942, გვ. 41.

² ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია 1950, გვ. 103.

³ ა. აფაქიძე, საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შემწე. თბილისში წყიფიებული საჯარო ლექციის სტენოგრაფია. 1956, გვ. 48.

¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, თბილისი, 1892, გვ. 42—43.

საქმარისია, მათ შოლევწობას და პრაქტიკულ საქმიანობას უფრო გულდასმით დედაკვირდეთ. ამა, ერთი ევითხოვა, ვის შხარეზე არიან ხსენებული პიტახშები იმ სამკდრო-სასიციოცხოლო ბრძოლაში, რომელსაც ქართული ხალხი ეწეოდა სპარსელთა წინააღმდეგ V—VI საუკუნეებში? განვიხილოთ მათი საქმიანობა ცალკე-ცალკე.

არშუშა პიტახშე (პირველი) როგორც ცნობილია, არშუშა ქართლის პიტახში მოხსენებულა იაკობ ხუცესთან შუშანიის წამებაში¹ და V საუკუნის სომეხ ისტორიკოსთან—**აზარეფ ბარბელთან**. ის მონღაწეობდა V საუკუნის პირველ ნახევარში, კერძოდ, ლასსეთის ტახტზე იუზიგერდ II ზეობის დროს (438—457) ეს იყო ხანა, როდესაც ძლიერი ირანი ამიერკავკასიაში ვამბატონებისათვის თავგამოდებით იბრძოდა. ეს საჭმე მან, ჩვეულებრივ, სარწმუნოებით დაიწყო. ირანს, სურდა ამიერკავკასიის ქვეყნებში (საქართველო-სამხეთ-აღმართში) ქრისტიანობა გავრცეხილი იქ მის მაგიერ ცეცხლთაყვანისმცემლობა განმტკიცებია. ამ მიზნით, იუზიგერდს, როგორც ლაზარე ფარბელი იუწყება, ამიერკავკასიის სამივე ქვეყნიდან თავკაცები დაუბარებია და ქართლიდან შაპის კარზე არშუშა პიტახში წასულა. იმავე მემკვირვანის მითითება-მომწვევლათვის იქ მკაცრად მოუთხოვიათ ქრისტიანობის აღტოვება და მახდებნობის (ცეცხლთაყვანისმცემლობის) მიღება. შეკრებილნი იძულებულნი გამხდარან, ფორმალურად მანც, დაყოლოდნენ შაპის ნებას, და მათ ცეცხლთაყვანისმცემლობა მიუღიათ. მხოლოდ ამის შემდეგ დაუთხოვიდა ისინი შაპინ-შას, მათთვის მოგვებები გაუტანებია და ამიერკავკასიის სამივე ქვეყანაში მახდებნობის ქადგება უბრძანებია. მაგრამ ვამსაყუთრებით საგულესხმოა ლაზარე ფარბელის კიდევ ერთი ცნობა იმის შესახებ, რომ სპარსეთის ბრძანებულ მოწვეული თავკაცებისათვის მძველები მანც გამოუთმევიდა და ამ მიზნით მას ქართველთაგან არშუშა პიტახში დაუნარჩუნებია ლაზარე ფარბელს ამის შესახებ ნათქვამი აქვს: „ხოლო ქართლის პიტახში არშუშა და სიენთეთის მთავრის ვასაკის ორი შვილი: ბაბიცი და ამირნერსე აღარ განათვისებულა სპარსთა მეფემ იუზიგერდმა სომხეთის სხვა ერთსთავებთან ერთად. მიიღო რა მხედველობაში წინამდებარე საქმეთა გურკვევლობა, დაუკებდა და სიფრთხილე გამოიჩინა“¹. ამგვარად, ცნობილ სომეხ ისტორიკოსს მოეპოვება გარკვეული მითითება იმის შესახებ, რომ

ისინი (არშუშა ქართლის პიტახში და სომეხი უფლისწულები) სპარსეთის ბრძანებულს საგანგებოდ უოლია შეპყრობილნი¹ ამიერკავკასიაში, როგორც მძველები. სწორედ ასე უხსნიდა ლაზარე ფარბელის ეს ცნობა დიდ ქართველ მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს (იხ. მისი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1928, გვ. 219). ხოლო V საუკუნის მემკვირვანის მითითება, ელტყობთ, დამაჯერებლად დღადღებს არშუშა პიტახშის პოლიტიკური ვინაობის შესახებ. თუ სპარსელებმა ის მძველად დაიტოვეს ამკარაა, არშუშა არ არის შაპის მიერ დანიშნული მოხელე და არც სპარსული ორიენტაციის კაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოვიღოთ, რომ სპარსეთის ბრძანებულმა თავისივე მოხელე დაიტოვა მძველად რაც ხალხთა ისტორიაში უმავალთათ და პოლიტიკური თვალსაზრისით უაზრობა იქნებოდა. პირაქით, მძველობის ფაქტიდან ზედმიწევნით იტყვივა, რომ არშუშა ქართლის პიტახში, სამშობლო ქვეყნის ერთგული მშვილი და მისი ერთგული კეთილდღეობისათვის მოშურნე მებრძოლი უყოფილა. რომ ჩვენი დავიკრება სწორია, ეს დასტურდება იმ დახასიათებითაც, რომელიც ამ არშუშას შესახებ იაკობ ხუცესს მოეპოვება. იაკობის სიტყვით, როდესაც ვარსკენ პიტახშმა (ამ არშუშას ძემ) ოჯახური კონფლიქტის გამო, სხვაგან წასვლა და ოჯახის დაშობა უსაყვედურა თავის ცოლს— შუშანიკს, ამ უკანასკნელმა მოურიდებლად მიახალა თავის ქმარს: „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და შემეცა დეაჟუტე. ხოლო მამამან შენმა აღმმართა სამარტულენი და ეკლესიანი აღმშენა, და შენ მამისა შენისა საქმენი განპრყუნენ და სხუად გარდაჟკიენ კეთილნი მისი; მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახილ თჳსა, ხოლო შენ ღვენი შემოიხუნენ; მან ღმერთი ცათა და ქვეყანისაა აღიარა დაარწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უფარ ჰუად და ცეცხლსა თაუფინის ეც“¹. როგორ ვხედავთ, ვარსკენთან შეპირისპირებთ, აქ მოცემული მისი მამის, არშუშა ქართლის პიტახშის შესანიშნავი დახასიათება. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია, როგორც თავდადებული მამულისშვილი, რომელმაც არა მარტო პრწყმენა და აღიარა ჭეშმარიტი ღმერთი, არამედ აღმართა სამარტულენი, აღაშენა ეკლესიები, წმიდანი დამაჯვიდრა საყუთარ სახლში და სხვა

¹ იაკობ ხუცესის ბრძანებულნი. მარტვლობა შუშანიისი. გამოსცა და გამოკლევა დიურთოილია აბულაქემ. თბილისი, 1938, გვ. 13

¹ ჯაფარ ქაჯაყი. შათმ. ნაყოფი, 104, გვ. 55

კეთილი საქმე გააკეთა¹. ძნელი დასაჯებელია, ასეთი პირი მოხელედ და აჯნად გავმოგროვდა სპარსეთის მბრძანებელს ქართლში. ყოველ შემთხვევაში, სამშობლოს ღალატი, გერავითარი ვხით არშუშას ზემოაღნიშნულ დახასიათებას ვერ მივყვებით.

ვარსკენ პიტიახში. იაკობ ხუცესის „შუშანიკის მარტვილობის“ წყალობით, ჩვენ, ზემოაღნიშნულ პიტიახშითა სამეულიდან, უველაზე უფრო მეტი ცნობა ვარსკენის შესახებ მოგვებოდა. როგორც ცნობილია, ვარსკენ პიტიახში იყო „ძმ არშუშასი“ „ნაშობი მამისა და დედისა ქრისტიანეთა“. ის V საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა. მამასაღამე, ვახტანგ გორგასლის თანამედროვე ყოფილია. ვარსკენიც, თავიდანვე, ქართლის ერთგული პიტიახში იყო, ღირსეული მეგობარე თავის სახელოვან მამა-პაპათა. მხოლოდ შემდეგ, როგორც ცნობილია, მის მოღვაწეობაში მოხდა გარკვეული ვარდატება. იაკობ ხუცესის სიტყვით: „იყო მერვესა წელსა (...) სპარსთა მფფისასა, კარად სამეფოდ წარემართა ვარსკენ პიტიახში ძმ არშუშასი...“ ის წაიდა სპარსეთს, ეახლა სპარსეთის მბრძანებელს. დასტოვა ქრისტიანობა და ცეცხლთაყვანისმცელობა მიიღო. პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს ფაქტი, რასაკვირველია, სპარსულ ორიენტაციებზე დიდგამას ნიშნავდა. ამერიიდან, შაჰინ-შაჰმა ქართლში ერთგული მოკავშირე გაიჩინა. ყველაფერი ეს ცხადია, „სამშობლო ქვეყნის ღალატი იყო და ვარსკენმაც თავისი პირადი კეთილდღეობისათვის ეს გზა იჩინა“.

დამახასიათებელია, რომ თავითონ ვარსკენი ამ აქტის შემდეგ ერთგვარ პასუხისმგებლობას უთუოდ გრძნობდა და მას, საზოგადოებრივი აზრის თავის სასარგებლოდ გაღმობირების მიზნით სამშობლოში საზეიმო დაბრუნება მოუსურებდა. იაკობ ხუცესის მიხედვით, როდესაც ვარსკენი სპარსეთიდან ბრუნდებოდა „და ვითარცა მოიწია იგა საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ქერეთისასა, ზრახვა ყო, რაათა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი“. ძირითადი მოტივი პიტიახშის ასეთი სურვილისა იაკობ ხუცესს არ გამოჰპარვია. მისი სიტყვით, ვარსკენს მათი დახვედრა ნდომებია იმისათვის „რათა მათ გამო ვითარცა ერთგული სოფლად

შევიდეს¹.“ ჩვენ, რასაკვირველია, არ ვიციტ შესძლებდა თუ არა მოღალატე პიტიახში ასეთი საზეიმო დაბრუნებით თავისი დანაშაულის დაფარვას, მაგრამ თვითონ „დაქტრ მისნი“ ერთგულებას² მოჩვენებისა უაღრესად სიმპტომურია. კარგად ცნობილია ისიც, რომ გარკვეული დროის შემდეგ ქართლის მოფემ მთებრუნებულ დრო უპოვა ქვეყნის მოღალატე პიტიახშს და „ვახტანგ მოკლა პიტიახში იგი უმჯულოა ეახვენ წელსა ოცდა მებუთესა პეროზ მეფისასა“³. ვარსკენი რომ თავიდან შაჰის მიერ დანიშნული მოხელე და საერთოდ, სპარსეთის ორიენტაციის კაცი ყოფილიყო, საკითხავია, როგორღა იქნებოდა შესაძლებელი მისი ამ ერთი ნაბიჯის, როგორც ღალატის კვალიფიკაცია და მისი სიკვდილის დასჯაც ამასთან დაკავშირებით? უპიკველია, ვარსკენიც, თავდაპირველად თავისი ქვეყნის ერთგული შეილი და ქართლის სახელოვანი პიტიახში იყო. ამ მხრივ, ის არაფრით არ განსხვავდებოდა ქართლის დანარჩენ პიტიახშებისაგან. მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ (პეროზის ზეობის მერვე წელს) მის მოღვაწეობაში მოხდა საბედისწერო ვარდატება: ვარსკენ პიტიახში ღალატის გზაზე დადგა. სწორედ ამიტომ დამსახურა მან ქვეყნის მოღალატის სახიზღარი სახელი და შესატყვისი სასჯელიც.

არშუშა პიტიახში (მეორე) ეგსტათე მცხეთელის მარტვილობაში, რომელიც VI საუკუნით თარიღდება, ქართლის მთავართა შორის მოხსენებულია „არშუშა ქართლის პიტიახში“. მისი მამისშვილობის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. აჟად. სიმონ ჯანაშია ყურადღებას მიაქცევდა „პიტიახშის უფლებების შემოამაგლობით დამკვიდრებაც ერთ სახლში“ და სწორედ ამ არშუშას შესახებ წერდა: „სახელის განწერების მიხედვით, ცხადია, რომ იგი იმავე სახლს გუთუნის (შესაძლოა, ზემოთ-მოხსენებულ არშუშას შვილიშვილი და ვარსკენის შვილიც იყოს)⁴.“ სრულიად გამსხვავებულ პოლიტიკურ ვითარებას ქონდა ადგილი ქართლში ხსენებული არშუშას დროს: ქვეყანა სპარსელთა მიერ იყო დაპყრობილი და მას შაჰის მიერ გამოგზავნილი მოხელე — მარზანი განაგებდა, რომელსაც ეგსტათე მცხეთელის მარტვილობის უცნობი ავტორის სიტყვით, რომ ითქვას „ყოფიდა კაცისა ქართლს მას ქელიწაფების სიკუდილი და ცხოვრება“⁵.

¹ საკითხავია ისიც, თუ როგორ ვახვედდა შუშანიკი ვარსკენთან ცხარე კამათში, არშუშა პიტიახშის ასეთი დახასიათებას, რომ ეს უკანასკნელი ქვეყნის მოღალატე და შაჰინ-შაჰის მოხელე ყოფილიყო?

¹ იაკობ ტურტაველი, მარტვილობა შუშანიკისი, თ. აბულაძის გამოცემა, 1938, გვ. 5.
² იქვე, გვ. 018.
³ სიმონ ჯანაშია, საქართველო აღმართული ფეოდალიზაციის გზაზე. თბილისი, 1937, გვ. 133.

მეგრამ ასეთ ვითარებაში, გაუგებარია თვითონ ლაქტი ქართლში პიტიახშის არსებობისა. თუ პიტიახში სპარსეთის შაჰის მოხელეა ქართლში, რომლის ვალდებულებას თითქოს ქართლის მეფისათვის თვალყურის დევნება შეადგენდა, საკითხავია: ეს აღდგენებდა თვალყურს ეს არ-შეშა პიტიახში, ან, საერთოდ, რად სჭირდებოდა ასეთი მოხელე სპარსეთის შაჰს ამ ახალ ვითარებაში, როდესაც ქართლს მეფე არ ჰყავდა და მას თვითონ შაჰის მიერ დანიშნული — მარზანნი განაგებდა? ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, იმ ძველი თეორიით, პიტიახშის ადგილის მოქანება ქართლის სახელმწიფოებრივ აპარატში ძალიან ძნელია.

მისთან ერთად, უაღრესად დამახასიათებელია, არ შეუშა (შეორე) პიტიახშის ამ, ვითომდა შაჰის ერთგული მოხელის პრაქტიკული საქმიანობა ქართლში. ვესტათე მცხეთელის მარტვილობის თანახმად, არშეშა პიტიახში ქართლის ერთი ამ მთავართავანია, რომელიც გამოისახილა თბილისში სპარსელთა საპატიმროში მყოფ ეესტათეს და სხვა მცხეთელ ქრისტიანებს. ამის შესახებ იქ ნათქვამია: „რთავს ამქედარდებოდა მარზანანი იგი, აღდგეს მთავარი ქართლისანი და სამეფო ქართლისა კათალიკონი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშეშა ქართლისა პიტიახში და სხუანი სეფეურნი და მარზანანსა პრქვეს: „ვეე-ღრუბთ შენსა მავს უფლებასა, სათხოველსა ერთსა ვთხოვთ“. ხოლო მან პრქვა მათ: „ოქეთ რაჟცა გნებავს, რაჟცა იყო, რომელი თქვეს არა მიგმადლუ? ხოლო მათ ყოველთა პრქვეს: „გვედრებით შენ, ჯერ გინჩნდი შენ, უფალო, განტევებაჲ კაცთაჲ მათ, რომელნი იგი მცხეთელნი ქრისტიანობისათჳს საპყრობილედ მიცემულ არიან.“ პრქვა მათ მარზანანნი მან: „იგი კაცნი მოსაკლავად შეგუგანდეს, ხოლო თქვენითა ოხითა ვანუტრევენ ვეინი“. ხოლო მათ შადლი მისცეს მას, და უბრძანა განტევებაჲ მათი და გამოიყვანეს ივინი მიერ საპყრობილით და მოვიდეს ივინი ვინად თესა. 1“ ამგვარად, არშეშა პიტიახში ქართლის პატრიოტულ ძალებთან თანაშემუბნლად მოღვაწე ჩანს. ის ხომ სამეფო ქართლის კათალიკონთან, გრიგოლ ქართლის მამასახლისთან და სხვა სეფეურლებთან ერთად გამოვიდა, და ისეთ კაცთა ქომაგობა იკისრა, რომელნიც სპარსეთის შაჰინდელი კანონების თანახმად, „მოსაკლავად შეგუგანდეს“. ხოლო ასეთი განწესობლებსა და, მით უფრო საქმიანობა ამ მიმართულებით, ძნელი საფიქრებელია სპარსეთის მბრძანებელს, თავის მოხელისათვის ქართლში მოეწონებია.

ყველაფერი ეს, ვფიქრობთ, იმდენად უხელმძღვანელებს დაეისვენათ: ქართლის არც ერთი ზემოაღნიშნული პიტიახში სპარსეთის შაჰის ხელისუფლებით უყოფილა და არავინ, მათ შორის ვარსკენიც (ლალატამდე) სპარსეთის სასარგებლო სამსახურს არ ეწეოდა. ასე რომ, ხსენებული პიტიახშიები, ისევე როგორც მათი აღრინდელი კოლეგებიც, ქვეყნის მართებლობის ადგილობრივი (ეროვნული) აპარატის წარმომადგენლები არიან და თავისი ქვეყნის და მეფის ერთგულ სამსახურს ეწეოდნენ მხოლოდ. სწორედ ამით იყო შთავიზღუდილი თითოეული მათგანის საზოგადოებრივი, თუ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობა. ამ შხრივ, არავითარ გარდატეხას ქართლის პიტიახშითა ინსტიტუტში არც ყსაუკუნეში და არც რომელიმე სხვა დროს, აღვიძო არ პქონია.

ამის შემდეგ გასარკვევია მხოლოდ საკითხი ქართლის საპიტიახშოს შესახებ. რას წარმოადგენდა ტერიტორიალურად ქართლის საპიტიახში ან, რაც იგუვს, რომელი მხარე ჰქონდა ქართლის პიტიახშის საგამგეოდ ჩიზარებული? ყველა შეკვლევარი, ვინც კი სპეციალურ ლიტერატურაში ამ საკითხს დღემდე შეხებია, ძალაუნებურად ქვემო ქართლისავე იხრებოდა. ასე რომ, არშეშას, ვარსკენს და არშეშას სიხი, არსებობდა, ქვემო ქართლის პიტიახშებად მიიჩნევენ. ამ შხრივ ცოტა ვაწუე აკად. კ. კეკელიძე დგას. იგი ზემოაღნიშნულ ვარსკენს, მართალია, ქვემო ქართლის პიტიახშად თვლის, მეგრამ იმავე დროს, მას იგი კავკასიის „შხარის“ ან „ქუსტაის“ გამგეადი მიიჩნია. 1 აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია აგრეთვე პეტრეობის საკითხში. ი. ვ. ჯავახიშვილის მიხედვით, პეტრეობი ქართლის საპიტიახშიში შედიოდა. მისი სიტყვით, „პეტრეობი აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლის ანუ ბერძნის სამეფოს უკიდურესს სამხრეთი თემი იყო.“ 2 იმავე აზრს იზიარებს პროფ. ი. ბ. ულიძეც, რომელსაც პეტრეობი ქართლის ისეთივე მხარედ მიიჩნია, როგორც ტაშირი იყო. 3 ჯ. ანაშიაძე, ასეთ მოსაზრებას არ იწყენარებდა. მისი მითითებით პეტრეობი ქართლის საზღვრებში არ

1 კ. კეკელიძე, არშეშა პიტიახშის ბეჭდის წარწერის გაგებისათვის. ეტრუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1, თბილისი 1956, გვ. 153.

2 ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, თბილისი, 1928, გვ. 192.

3 იაკობ ცურტაძეელი მარტვილობად შეშანიკისი, 1938, გვ. 56.

1 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. 1, შედგენილი სოლ. უზნაზიშვილის მიერ. თბილისი, 1946, გვ. 47.

შედიოდა. ის ქართლის მოსახლერე ქვეყანა იყო მხოლოდ¹. სხვა მხრივ, ვიმეორებ, ქართლის საპიტიახშოს ყველა მკვლევარი, საბოლოო ანგარიშით, ქვემო ქართლის ფარგლებში ათავსებდა.

მთავარი მოტივი, რის გამოც მკვლევარნი ასეთ ძიებისას ქვემო ქართლისკენ იხრებოდნენ, ეს ვარსკენ პიტიახშის ადგილსამყოფელი — ცურტავე იყო. რადგანაც ცურტავეის ადგილმდებარეობა ქვემო ქართლში იგარაუდება (სადაც „ბოლნისისა და რუსთავის შორის“), ამიტომაც ვარსკენის საპიტიახშოსაც მკვლევარნი ქვემო ქართლის ფარგლებში პოულობდნენ. ამჟარა, ასეთი მოტივით ქართლის საპიტიახშოს განსაზღვრა მაინცდამაინც მყარია არ ჩანს და, რაც მთავარია, არა დამაჯერებელია, მაგრამ, კიდევაც რომ დადასტურდეს, რომ ცურტავე ქვემო ქართლშია, მართა ამის მიხედვით, რასაკვირველია, ვერ დადგინდება, რომ ქართლის საპიტიახშო სწორედ ეს კუთხეა.

ჩვენი დაკვირვებით, ამისათვის ზოგიერთი სხვა ფაქტორის გათვალისწინებაც იქნება აუცილებელი. ასე, მაგალითად, ცნობილია, რომ ქართლის მარზბანს ურბანს (VI—VII ს.) თრიალეთის რეხაშოც (ქვემო ქართლის საპიტიახშო) იჯდა. სწორედ იქ მიყავთ მასთან კახეთში შეპყრობილი აბაბოს ნეკრესელი, მაგრამ ამის მიხედვით, რასაკვირველია, ძალიან გაპირდებოდა მტოეცება იმისა, რომ ის მხოლოდ ამ მხარის ხელისუფალია².

სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქართლის საპიტიახშოს ზემოაღნიშნული ლოკალიზაცია (როგორც ქვემო ქართლი) აჩვენებს პირველ წყაროთა ზოგიერთი ეპიმეტიანელი მითითების გაგება-განმარტებას.

¹ ს ი მ ი ნ ი ა ნ ა შ ი ა, საქართველო აღმოსავლეთი ფეოდალიზაციის გზაზე, 1937, გვ. 125.

² ჰერეთის ლოკალიზაციის ვარკვევაში ს. ჯანაშვილი უთუოდ მართალია, რომ მისი დაკვირვება უფრო სწორია, დასტურდება „შუშანიის წამების“ იმ ადგილის მიხედვით, სადაც საუბარია ჰერეთის მოღწეული პიტიახშის მიერ თავისიანების დაბარების შესახებ და ნათქვამია: „რამათა მათ გამო ვითარცა ერთგული სოფლად შევიდეს“ — (იხ. იაკობ ცურტაველი, გვ. 5), ამის მიხედვით, ვფიქრობთ, მკაფიოდ ირკვევა ისიც, რომ პიტიახში, რომელიც ჰერეთში მოსულა და იქ იმყოფება, ჯერ კიდევ თავის ქვეყანაში (ქართლი) შესულა არ არის და საბოლოო შეხვედრას იქ საზღვარზე უცდიდა. ასე რომ, შეიძლება დანამდებლებით ითქვას: იაკობ

ასე, მაგალითად, კ. კეკელიძის მითითებით, ვარსკენი თუ ქვემო ქართლის პიტიახშია, მაშინ გაუგებარია მისი „საქართველო“ წასვლა პუნებზე („პონთა ზღვა“) [ქრთმულნიც კასპიის ზღვის ჩრდილოეთ მხარეში ცხოვრობდნენ და არაფრითარ კავშირში ქვემო ქართლთან არ იმყოფებოდნენ].

ასევე, შუშანიის წამების სომხური (ვრცელი) რედაქციის თანახმად, ვარსკენ პიტიახშია თუ ეს ანდომებს თავის სამფლობელოს შემოვლას, რაც იმავე მკვლევარის მითითებით, ქვემო ქართლისათვის გადაპარბებელია¹. ან კიდევ: თუ არშუშა (I) მხოლოდ ქვემო ქართლის პიტიახშია, გაუგებარია, ქართლის ფარგლებიდან შაბის კარზე მძველად მაინცდამაინც მისი დატოვებას ფაქტი. ნუთუ მაშინ მთელ ქართლში ქვემო ქართლის პიტიახში უფრო საბატიო პირი სხვა არაფერს მოიძებნებოდა? ასეთი შესაძლებლობა აქ, რასაკვირველია, არაფრით გამოიხატული არ არის, მაგრამ ძალიან პირობულად კია.

თუ არშუშა (მეორე) ქვემო ქართლის პიტიახშია, გაუგებარია, თბილისში მარზბანთან მცხეთელ ქრისტიანთა მეოხად მისი გამოსვლის ფაქტი. საკითხავია, რატომ აწუხებდა ქვემო ქართლის პიტიახშს მცხეთელი ქრისტიანების ამბავი? მცხეთა ზომ არასოდეს ქვემო ქართლის ფარგლებში არ შედიოდა და იქაური საქმეები მას, საერთოდ, არ ეკითხებოდა.

ამჟარა, ქართლის საპიტიახშოს ძიებისას ჩვენ ვერ ვგვაგებარ მტოეც საფუძველზე და ამიტომ ვერც ქაბერებზე ანალოგიური საკითხებზე დამაჯერებელი პასუხის ვაცემას.

ჩვენი დაკვირვებით, ჯეროვანი ურბანდება არ ექვევა იმ ვარკვევას, რომ ყველა ავტორი უნდა კი, პირველად იხსენიებს ხსენებულ პიტიახშებს და მათი თანამედროვე იყო. მათ იცნობს, როგორც ქართლის საპიტიახშებს. ასევე ეს ლაზარე ფარპელთან, რომელიც არშუშა პირველის თანამედროვე

ხუცესთან ჰერეთი ქართლის საზღვრებში ნაგულისხმევი არ ჩანს.

რაც შეეხება, კ. კეკელიძის მოსაზრებას, ვარსკენ პიტიახშის კავკასიის მხარის ანუ „კურტაის“ გამგველ უოფნის შესახებ, იგი არაფრით დასაბუთებული არ არის. ხოლო „შუშანიის წამებაში“, რომლის წყალობით ჩვენ ვარსკენ პიტიახშს, საერთოდ, ვიცნობთ, ამის შესახებ სრულიად არაფერია ნათქვამი. საკვირველი კია, თუ როგორ შეიძლებოდა იაკობ ხუცესს ვარსკენის მოღვაწეობის ასეთი მხარე გამოჩინოდა, მაშინ როდესაც მის შესახებ მას არა ერთი, გაცილებით უფრო წყარომანი ამბავიც კი, აღნიშნული უფს.

³ კ. კეკელიძე, ეტრულები, I, გვ. 153.



ყოფილი ასევე ეს იაკობ ხუცესთან, რომელიც ვარსკენ პიტიაშიც კარის ხუცესი (მოძღვარი) და მთელი მისი მოღვაწეობის თვალთვლითადაც იყო; ამასვე აქვს ადგილი ვესტაზე მტკვრის მარტვილობის უცნაო ავტორთანაც, რომელიც აგრეთვე არშუშა მეორის თანამედროვე ჩანს და სხვა. ამგვარად, პირველ წყაროებში ყველგან ჩვენ საქმე გვაქვს ქართლის პიტიახშეებთან. ხოლო ქართლის უღრესად გარკვეული გეოგრაფიული პოლიტიკური ცნება იყო ძველ საქართველოში. ქართლი ეწოდებოდა მაშინ აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ერთად აღებული (ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში, ასე ეწოდებდნენ მთელ საქართველოსაც). ასე რომ, პირველ წყაროთა მითითებით, არშუშა, ვარსკენი და არშუშა მთელი ქვეყნის-ქართლის პიტიახშეები არიან და არა მარტო მისი ერთი რომელიმე ნაწილისა, როგორც ეს დღემდე შეწყნარებული ზოგიერთი მკვლევარის მიერ¹.

მაგრამ რას ნიშნავს მთელი ქვეყნის პიტიახშე, როგორია მისი ფუნქციები და რა იდეალა უქარავეს მაგ ქართლის სახელმწიფოებრივ წყობილებაში? აღნიშნული საკითხების გასარკვევად ჩვენ უნდა გავიხსენოთ ქართული ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილი დებულება „პიტიახშეა“ და „ერისთავთა“ ინსტიტუტების იდენტრობის შესახებ, ხოლო შემდეგ მივმართოთ სხვა, ძველ ქართულ წყაროებს და მათი დახმარებით გადავავლოთ თვალი ქართლის უძველეს სახელმწიფოებრივი წყობილების ძირითად ქარკასს. ხსენებული თვალსაზრისით, ყველაზე უფრო საკულისხმო ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში ლეონტი მროველი და გუგუშვილი ჩანს. მართალია, ისინი გვიანდელი (XI ს.) ავტორები არიან, მაგრამ ეხებიან ქართლის აღრინდელ (უძველეს) ფართებას და ერისთავთა ანუ პიტიახშეთა ინსტიტუტის შესახებაც იძლევიან სრულიად გარკვეულ მითითებას.

ლეონტი მროველის თანახმად, ერისთავობა ქართლში ქართველთა პირველ მეფეს ფარნავაზს დაუწესებია. მისი სიტყვით, მას ვანუწესებია რვა საერისთავო:

- მარგვეს (არგვეთის),
- კახეთის,
- ხუნანის,

სამშვილდის,
წუნდის,
ოდრის,
კლარჯეთის
ეგრისის

და ერთიც
სასამეტი — (შიდა ქართლის), რომელიც მისივე მითითებით, „მთავრობით განაგებდეს უოველთა ერისთავთა ზედა“.

ქართლის ცხოვრებაში ჩვენ ერისთავთა კიდევ ერთი ნუსხა მოგვეპოვება, კერძოდ, „ვახტანგის ცხოვრებაში“ სწორედ იმ ადგილას, სადაც მოთხრობილია სამხრეთის შორეული ქვეყნებისაგან ვახტანგის სალაშქროდ წასვლის ამბავი, დასახლებულ არიან შემდეგი ერისთავები:

- პირველად გუგუშვილი სასამეტი, მყრობელი შიდა ქართლისა და მფლობელი უოველთა ერისთავთა;
- და დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა;
- და გრიგოლი; ერისთავი პერეთისა;
- და ნეკისარან, ერისთავი ხუნანისა;
- და ადარნესე, ერისთავი სამშვილდისა;
- და სამანალი, ერისთავი შიდა ეგრისისა და სუანეთისა;
- და ბაკურ, ერისთავი მარგვესა და თაყეურისა.

[და] არტავაზ, ერისთავი კლარჯეთისა; და ნასარ, ერისთავი წუნდისა; და ბიერტიჩიან, ერისთავი ოდრისა. ² ქართლის ცხოვრების ერისთავთა ეს ორი ნუსხა განსაკუთრებულ მსგავსებას იჩენს ურთიერთ მიმართ. არა მარტო ერისთავთა საერთო ოდენობა, არამედ საერთოთა მხარეთა დასახლებაც ორივე შემთხვევაში თითქმის ერთნაირია.

ორივე ნუსხის მიხედვით, საქართველოს მიწა-წყალი ერისთავთა შორის განაწილებული ჩანს. ამ მხრივ გამონაკლისს თითქმის შიდა ქართლი წარმოადგენს. შიდა ქართლში, ერთი შეხედვით, ერისთავი არ არის. ფარნავაზმა ყველგან გაგზავნა-ათავის ერისთავი, იქ კი, მან მხოლოდ სამხეტეი დაადგინა.

მაგრამ, საკამრისა ჩვენ სასამეტის წარმოქმნას, მის სამოქმედო ისარგებს და ფუნქციონალურ მოქმედებას ოდნავ ჩაუვყრდნობ, რომ სასამეტისა და ერისთავის იგივეობაში აღვიღად დაერწმუნდეთ. არსებითად განხილუ-

¹ უთუოდ სწორია აქედ. გ. წერეთლის მითითება იმის შესახებ, რომ ქართლის პიტიახშეები მთელი „პროვინციისა“, ანუ ქვეყნის ხელისუფალი არიან. (იხ. მისი „არამაზის ბილინგვა“, გვ. 41.), მაგრამ ეს არ არის მხოლოდ V საუკუნის მოვლენა, არამედ გაიკლებით უფრო აღრინდელი და ქართლში პიტიახშობის დასაბამიდან მომდინარე ჩანს.

² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. უაუხნიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, 1955, გვ. 24-25.

³ იქვე, გვ. 185-186.

ლი, სპასპეტი იგივე შიდა ქართლის ერისთავია, ისიც ერისთავებთან ერთად ჩნდება, იმასაც მეფე ნინუას და ქვეყნის გარკვეული კუთხე ჩაბარებული აქვს. ისტორიულად რომ ქართლის ერისთავი, მართლაც არსებობდა, ეს სხვა არაერთი ექვიმეტანელი მასალოთაც დასტურდება.

ჩვეულებრივ, შიდა ქართლის ერისთავი თავის საერისთავოს ლაშქრის მეთაური იყო, სწორედ ისე, როგორც ამას სხვა საერისთავოშიც პქონდა ადგილი. მაგრამ განაყოფიერებდა საგუნდოსშიაო ის ადგილი, რომელიც შიდა ქართლს პქონია დაკავებული საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის სამხედრო წყობაში. თუ მართალია ვახტანგ ბატონიშვილის მითითება (ერეკლე II-ის ძე), საქართველოს მხედრობა ერთიანობის ხანაში ოთხ გუნდად ყოფილა დაყოფილი: „ესე იგი მეწინავე და მეწინავედ იყვნენ სრულიად ახალციხელნი და მხარე მისი, ხოლო შემარჯვენედ სრულიად იმერეთი, აფხაზ-ჯიქითურთ. ხოლო შემარცხენედ კახნი ხოლო სამუდამ იყვის მეფე და ახლდენ ქართველნი და უფროს ჯამგარით დაწესებული მხედრობა.“¹ თუ ჩვენ არ ვუდებთ, ეს ნაკვთიანი მითითება ზოგიერთ დადასტურებას უფრო აღრინდელ წყაროებშიც პოულობს. ამის მიხედვით ირკვევა, რომ ლაშქრობის დროს, საქართველოს მეფე შიდაში ანუ ცენტრში მდგარა და მას ახლდნენ „უფროს ქართველნი“ (იგიულისხმება — ქართლელი) ამგვარად, აშკარაა, ქართლის ლაშქრის ძირითადი მოვალეობა მამინ მეფის ხლება და მისი დაცვა ყოფილა. თუ სწორია დებულება იმას შესახებ, რომ ქართლის ასეთი ფუნქცია ერთიანობის ხანაში არ უნდა იყოს წარმოქმნილი, არამედ ის გაიკლებით უფრო ადრეიდან მომდინარე ხანს, მაშინ, ცხადია, აღნიშნულ პრიორიტეტს, გარკვეული სახით, პიტიაზობის ხანაშიც უნდა პქონოდა ადგილი და შიდა ქართლის მხედრობას იმთავითვე ქართლის სამხედრო წყობაში ლეიბ-გვარდიის საპატრიო მოვალეობა პქონია დაკისრებული. ხოლო აქედან, წერტილის მითითებით, ირანში „ამ ლეიბ-გვარდიის თასისთავის უშუალო მოვალეობაში შედიოდა მეფის დაცვა, ამიტომ ის განაგებდა მეფის ეზოს (კარის, სასახლის) საქმეებს და მოხსენებებს აწვდიდა მეფეს მომხდარი ამბების შესახებ“.² ხოლო აქ, საქართველოში რამდენადაც მეფის დაცვა ქართლის ლაშქრის ვეალებოდა, ასეთი ვალდებულება

ერისთავს უნდა განეხორციელებინა. სწორედ ამიტომ და ამ ნიადაგზე იქმნებოდა შესაძლებლობა ქართლის ერისთავის შემდგომი დინამიკური განვითარების საშუალოდ. მართალია ის რად ლიარა, რომ ქართლის ერისთავი მუდამ მეფეს უნდა ხლებოდა, მის მახლობლად უნდა ემოქმედებინა და მისი დავალებები შეესრულებინა. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ქართლის ერისთავის სამხედრო-პოლიტიკური დაწინაურება. ქართლის ერისთავი, იმავე დროს, მეფის მხედრობითადაც ანუ სპასპეტად იქცა.³

სპასპეტიც მეფესთან ერთად, თუ დამოუკიდებლად (მეფის მითითებით) სხვადასხვა სამხედრო ოპერაციებს ახორციელებდა. სამეფო კარზე სპასპეტი განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა, სასახლეში მისი ადგილის განათავალისწინებლად უთუოდ მნიშვნელოვანი ჯუღანშორის ერთი ცნობა, რომელიც ახლად აღზვევებულ ვახტანგ გორგასალის მიერ მოწვეულ დარბაზობას შეეხება. მემბატანის სიტყვებით „ჯუღანშორ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოსნი დასხდეს საყდართვე და სხუანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სელებითა, და თათისთავნი და ასისთავნი და ყოველი ერთი წარმოგეს ზე.“⁴

აქედან თითქოს აშკარაა, რომ სპასპეტი დარბაზობის დროს მეფესთან ყველაზე უფრო ახლო და მეფის მსგავსად ისიც საყდარზე ჯდებოდა (საყდარი — უფროსი კაცის დასაჯდომი სკამი, ტახტი), მაშინ როდესაც „ყოველი ერისთავნი“ სხედდოდნენ სელებით (სელი — ჩვეულებრივი უხურავი სკამი), ხოლო დარბაზის სხვა ერთი ფეხზე იდგა. დამახასიათებელია ისიც, რომ როცა იმავე სტატიურ კაბუტმა მეფემ პირველი სიტყვა წარმოთქვა და ერთ-ერთი სალაშქრო გეგმა წარმოადგინა, დარბაზის ერთიდან საპასუხო სიტყვა მხოლოდ სპასპეტს წარმოუთქვამს, სხვები კი, როგორც მემბატანე იუწყება, „დაემოწმნეს ყოველნი წარჩინებულნი და ერისთავნი ზრახვასა მისსა.“

ასე რომ, სპასპეტი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილე და მისი ერთიანობისთვის მომხრე — მებრძოლი ჩანს. მის სიტყვას სასახლეში ყოველივე დიდი გასაჯალი პქონდა და უიმისოდ იქ ვერც ერთი მნიშვნელოვანი საქმე ვერ გადაწყდებო-

¹ ვახტანგ ბატონიშვილი, ისტორიკოსი, ტფილისი, 1914, გვ. 3.

² ა. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, გვ. 45.

³ სამეფო ლაშქარი კი შედგებოდა მხედრობით გუნდებისაგან, რომლებიც მეფის ბრძანებით საერისთავოებიდან თავთავისი ერისთავის მეთაურობით გამოდიოდნენ.

⁴ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი, I, 1955, გვ. 147.

და. სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში სპასპეტის განსაკუთრებული მდგომარეობით ყოფილა გამოწვეული ის მწუხარება, რომლითაც შეხვედრიან ქართლის მეფე და სტეპათეარნი ევაგრეს ბერად აღკვეცის საქმეს. სათანადო წყაროში ამასთან დაეკავშირებით ნათქვამია: „აწ მივითხრა თქუენ ღირსისა ევაგრისათეს. თუ ეითარ ძიება-ყვეს მეფემან და მთავართა ქართლისათა, და ესმა რამ მონაზონებამ მისი, რადუნ შეუწუნეს, რამეთუ ესე იყო მე მდგომად მეფისა განმგებელსამეფო მასა ქართელთა მასა და ფრიალ მქნე და განმარჯუებულ სპასპეტნი.“ (ხაზი ზეენი — კ. გ.).

ყველაფერი ეს, ვფიქრობთ, იძლევა ვარკვეულ საფუძველს ზოგიერთი დამკვიდრის ვასაქებულად: ქართლის ერისთავთა შორის შიდა ქართლის ერისთავი უბირატესი მდგომარეობის მქონე ჩანს. ერთდროულად ის იყო მეფის სპასპეტი — მთელი ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და „შემდგომად მეფისა გამგებელ სამეფო მასა ქართველთა მასა“, ე. ი. მეფის პირველი თანამეფე ყოფილა. ასე რომ, შიდა ქართლის ერისთავი დანარჩენ ერისთავებზე უფრო მაღლა იდგა ის იყო „პყრობელი ყოველთა ერისთავთა“ და მას ხელი, სამხედრო საქმე იქნებოდა, თუ სამოქალაქო, მთელ ქართლზე მიუწოდებოდა. სწორედ ამიტომ წყაროებში ისინი ცნობილ არიან, როდორც ქართლის ერისთავები. სავალიის-ხმოა, რომ ქართლის ერისთავთა ასეთი უბირატესი მდგომარეობა მომდევნო ისტორიულ ხანშიაც საკმაო მტკიცე შემონახული ჩანს, ყოველშემთხვევაში, ისინი მომდევნო საუკუნეებშიაც იხსენიებიან „დიდი ერისთავის ან კიდევ „ერისთავთ-ერისთავის“ —

1 ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1955, გვ. 108.

წოდებულებით. ასე, მაგალითად „საღმრთის“ ეპითეტით მოხსენებულია „საღმრთის“ მტკნულ ღვთისთა ნერსე ქართლის ერისთავი, რომლის სასახლეში ილიზარდა ზენი ქვეყნის სახელგანთქმელი საეკლესიო მოღვაწე ვრიგოლ ხანძთელი, ხოლო უფრო გვიან, როგორც ცნობილია, ქართლის ერისთავები იტარებენ ერისთავთერისთავის წოდებულუბასაც. ასე იხსენება „შატიაზე ქართლისამში“ ზუჯად ქართლის ერისთავი, რომელმაც ტაოში ბავრატ III-ის ვარდაცვალების შემდეგ „წარმოიღო გუთში მისი ზვადმან ერისთავთერისთავმა, და დამარხა ბედისი.“¹ ასეთივე წოდებულებით ცნობილი არიან საბუთებში XI — XIII საუკუნეთა ქართლის ერისთავები: რატო, სულაგრიგოლ და ბევა სურამელუბი.

რადგანაც ზენი მიერ არა ერთხელ ხსენებული არ შეუშა, ვარსკენი და არ შეუშა ბირველ წყაროებში, ყველგან, ქართლის პიტიახშებად იხსენიებიან, უამწველია ისინი, სწორედ ასეთი, მაღალი კატეგორიის (მთელი ქვეყნის, ქართლის) ერისთავები იწოდებულან არიან.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია მათი მოღვაწეობა, როგორც უფრო ვასავეები და ისტორიულად გამართლებულიც.

რაც შეეხება, ქვემო ქართლის სამიტიახშოს, თავის დროზე, რასაკვირველია, ისიც არსებობდა (სწორედ ისე, როგორც ასეთ რამეს სხვაგანაც ჰქონდა ქართლში — ადგილი), მაგრამ ქვემო ქართლის პიტიახში ჩვეულებრივი (რიგითი) პიტიახში იყო. მას ხელი მთელ ქართლზე ვერ მიუწვდებოდა და არავითარ შემთხვევაში, მას ქართლის პიტიახშის წოდებულება არ შეიძლებოდა ჰქონოდა.

¹ ქართლის ცხოვრება 1955, გვ. 283.



პეტო. თაყაიშვილი



მობრუნებები*

ამ კრებაზე გადაწყდა, რომ ხელმოკლე მოწაფეთა შემწე კომიტეტის თავმჯდომარედ უნდა ყოფილიყო თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი. იმ დროს კი წინამძღოლად იყო კოწია მუხრანსკი, ჩემი ძმებისა და ჩემი დიდი მეგობარი. კვლავ წაშოეყენებინათ ჩემი კანდიდატურა და ნ. ცხვედაძე გამოიმგზავნეს. უსათუოდ უნდა იყისრო სასწავლებლის გამგეობაო. მე გადაჭრადი უარი შევეუთვალე. „რატომ, კაცო, ეს ხომ პატრიოტული საქმეაო?“, შემივთხა. მე პირდაპირ ვუთხარი: „ჩემთან რას მოდიხარ, ჩემზე ბევრად უკეთესი პედაგოგი ვგაედათ გამგედ, დიდიდან საღამომდე მავ საქმეს უჯდა, სხვა არა ახსოვდა რა, მე მის მაგივრობას ვერ ვაწვევ და ის აიძულეთ, დაენებებინა სკოლისთვის თავი. როგორ არა გრცხვენიანთ, ჭიჭინაძესთან კაცო რომ ვაგდეთ-მეთქი?“ „მართალიაო, მაგრამ ისეთი ფიცები იყო, რომ ღეთის წყალობას ვერ ვტყუდობი“ (არადგინს შეაწევდა ხოლმე და იმიტაო). „ახლა მე რომ მოვიდვ, ხომ სათამაშოდ უნდა შევიქნე-მეთქი?“ მართლაც, ისე წიფვანეს საქმე, რომ კომიტეტში სასწავლებლის გამგეს როდია ჰქონდა გადაწყვეტი ხმა! უპირველეს ყოვლისა, ამაზე ვუთხარი, სანამ ეგ წესი არ შეიცვლება, მე იქ მიმსვლელი არა ვარ-მეთქი. ესეც არ იყოს, ახლა მასწავლებლად ვმუშაობ და თვეში 200 მანეთს ვშოულობ, ხოლო თქვენ კი გამგეს 150 მანეთს აძლევთ-მეთქი. ვარდა ამისა, ორკლასიანი სასწავლებლის გამგეობის ხელს როგორ მოვიკიდებ-მეთქი? (მოსამზადებელ კლასში 30 კაცსაც კი ვეღარ უყრიდნენ უკვე თავს; თითქმის აღარაყენ აბარებდა იქ შეიღებს, რადგან ორკლასიანი სასწავლებლიდან გიმნაზიაში აღარ იღებდნენ). ამაზე მიმახსუბა: „არა, კლასები უსათუოდ უნდა მოეუმატოთ და გიმნაზიად უნდა ექციოთო“. „თუ ვერ არ იქნება, ლამარაკე ზედმეტია-მეთქი!“ ბოლოს, ისეც ვუთხარი, რომ გამოსაცდელია წესი, რომლის მიხედვითაც ყველას შეუძლია შემწეობის საზოგადოების წევრად გახდომა, ვინც კი 3 მანეთს გადაიხდის. „ეს იმას ნიშ-

ნავს, რომ თუ ვინმე უფარვის მასწავლებელს გამოავლენს საშსაბურდიან, ის წევრად გახდება, მერე მიადგება და შენი ლანძღვის მტერს აღარაფერს გააკეთებს-მეთქი“. „ეგ ყოველივე გვესმის და შეიძლება გამოსწორდესო“, მითხრა ცხვედაძემ. აქვე უნდა აღვნიშნო ერთი ეპიზოდი: აღრე ის ერთ ჩემს გამოცდის დაესწრო, როგორც კომიტეტის წევრი და ისეთი შეკითხვები მისცა მოწაფეებს, რომ პასუხის გაცემა ძნელი იყო. იმ გამოცდის ესწრებოდა ნ. მარტი, იმაჟამად თბილისში მყოფი. ის ხომ ყოველთვის ძალზე ფიცები კაცი იყო და ასეთი რამ რომ შეამჩნია, იყვირა: „რას ჰგავს ეს, ვანგებ აბნევეს მოწაფეებსაო!“ ცხვედაძეს შერცხვა და წაივია.

ჩემი უარი რომ გაეგო კ. მუხრანსკის, თვითონ მოვიდა და მითხრა: „შენ ვინ გკითხავს, ჩვენ გიბრძანებთ და უნდა დადგე კიდევაცაო! როცა მე ამირჩიეს მარშიად და კომიტეტის თავმჯდომარედ, რაღა მაშინ ამბობ უარსაო?“ მაშინ მე ჩამოვუთვალე პირობები, ურომლისოდაც ვერ დაეთანხმებოდი გამგეობას: 1) სკოლას ყოველ წელს თითო კლასი მოემატოს და სრული კერძო გიმნაზია გახდეს; 2) წესდება შეიცვალოს ისე, რომ სკოლის გამგეს ჰქონდეს ყოველი საჭმის გადაწყვეტი ხმა კომიტეტში და აღარ იქნენ მიღებული სამმანეთიანი წევრები; 3) სწავლის პედაგოგიური დაყენების საკითხში მე საესებით ჩემი შეხედულებისამებრ მოვიქცევი და არავითარი ჩარევასა და თავისი აზრის აძაღუბის ნების ამ მივეც კომიტეტს; 4) თუ ვვინდა, რომ სკოლაში კარგ მასწავლებლები ვიშოვოთ, უსათუოდ უნდა გავთანსწორდეს ჯამაგირი სახელმწიფო გიმნაზიათა მასწავლებლებისა და აქაც ყოველი 5 წლის შემდეგ წელიწადში 250 მანეთი უნდა მოემატოთ; 5) სკოლას უნდა ჰყავდეს ბუხალტერი, ბუხალტერულ წესზე უნდა იქნეს დაყენებული სამნეთ ნაწილი და პასუხისმგებელიც კომიტეტი უნდა იყოს“. ბოლოს დაესძინე, რაღა მე ჩამეცხვიებინართ, სხვას მიაძღვოთ ვისმე-მეთქი. ამაზე მიმახსუბა: „სხვა არაყენა გვეყავს და პატრიოტულმა გრძობამ უნდა ვაიძულოს, რომ მოჰკიდო ამ საქმეს ხელიო“. მე ვუთხარი: „რაც ეგარა, ვინება-

გამგედ, სანამ უკეთესს იმოგინდეთ, მაგრამ შტატგარეშე მასწავლებლობას თავს მიიხეივ არ დავანებებ, რადგან ვიცი, რომ როცა იქნება, არც მე მომისვენებთ, ინტრიგას დამიწყებთ და ისევე მიაბრუნებთ წასვლას, როგორც კივინიამ აიძულეთ-მეთქი. ან კი რა გაგვგებათ სკოლისა, აღმთურა თქვენ არ იცით და ბერძნული-მეთქი...“ საბოლოოდ ასე მიპასუხეს: „ყველა პირობას აგისრულებთ, გარდა ორისაო. წესდების შეცვლის საკითხს ვერ აღუძრავთ, რადგან ამასობაში ვიი თუ სულაც დაგვებტრონ სკოლა, მაინც კონტრაბანდად გვაქვს დაარსებული და ლამობენ მის გაქვეშებასაო, მაგრამ პირობას ვაძლევთ, რომ, სკოლის საქმევებს რაც შეეხება, არც ერთი სხდომა უთქვენოდ არ გვექნებაო. პენსიასაც მთლიანად ვერ გავიღებთ და თვით პედაგოგებმაც უნდა შეიტანონ ხოლმე თავიანთი წვლილი, ცოტ-ცოტა, სათანადო დანიხის დატოვებაშიო“. ასეთ პირობებზე დავთანხმდებ და დავდებო სასწავლებლის გამგედ. „Однако, вы нас ограничили!“-ო, მითხრა კ. მუხრანსკი... მერე მივედი იანოვსკისთან და ვუთხარი, აი ასე, გამგედ ამირჩიეს-მეთქი. მიპასუხა: „Ну и прекрасной Скажите им, что их выбор совпал с моим!“ ოღონდ გიმნაზიიდან წე წახვალთ, იქ ითვლებითი ამასობაში ამირჩიეს კომისია, რომელსაც უნდა განეხორციელებინა ჩემ მიერ წაყენებული ყველა პირობა. ბუხხალტერი რომ მოიუენეს, ძლიერ მოაწესრიგა ანგარიშთანაბა ისე იყო არბულ-დარეული, და 100 მანეთი დააწერა ნ. ცხედაძეს, რომელიც დროებით განაგებდა ამ საქმეს. ასე დაიწყო საქმე. გავეყვით იმ ორი კლასიდან და თანდათან მოვტყდებოთ თითო კლასი. ენკენისთვიდან უკვე მომატებული ჯამაგირები მივიღეთ ყველამ, პენსიას საკითხიც მოგვარდა. გიმნაზიის პედაგოგებს ყველას უკვე კარგად ვიცნობდი და, რაკი ჯამაგირიც გათანაწირობებული გვექონდა, ვინც საუკეთესო იყო და გვიწოდდა, ისინი მოვიწყეთ. ამრიგად, თანდათან ზადგა კალაბრში მასწავლებლი და ნორმალურ გიმნაზიად იქცა. სათავადაზნაურო კი ვრქვა, მაგრამ გლუხთადა სხვათა შეილებსაც ზნორად ვიღებდით, თუკი ვარკოდნენ და უქირლათ. ზოგჯერ ასაკვადსულ მოწაფეებსაც კი ჩვირისებდით, რაკი ზნევიან არ მიიღებდნენ და ნიქს კი ვატყობდით. ამისათვის მზრუნველისაგან საყვედური მოგვდიოდა, მაგრამ თავს იმით ვიმართლებდით ხოლმე, რომ კერძო სასწავლებელი ვიყავით. სამაგაიროდ, ბევრს მასწავლამოწურებულს, ნიქიერსა და კარგი მომავლის შემოს, მაგრამ ზელმოდლე ახალგაზრდას შევუწყეთ ზელი საშეღოს სწავლის მიღებაში და ისინი საბოლოოდ სასარგებლო მოქალაქეებიც გამოვიდნენ. ამრიგად ვაკეთებინებდით, ასე ვთქვათ, დემოკრატიულ

საქმეს იმ თთქოს უღარესად არისტოკრატიულ დაწესებულებას, სათავადაზნაუროს მანეს ასს-თანავე, როგორც ცნობილია: „შეგნებულ-მეს-ვეურები (ილიას მეთაურობით) ბევრ ეროვნულ-კულტურულ საქმესაც აკეთებინებდნენ ბანეს თავის დროზე; ასე რომ, საბოლოოდ, ბანეს სახსრები მნიშვნელოვანწილად მიიხეივ ზნარებდებოდა ზალხს, ამ სიტყვის ფართო გაგებით...“



საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების შესახებ ზემოთ მხოლოდ კანტიკენტად ვლაპარაკობდი: მისი შემოაბა დაწერილებითაა ასახული მის მიერ გამოცემულ კრებულებში („წველი საქართველო“) და მასალებში („საქართველოს სიძველენი“). გარდა ამისა, მაქვს ბირველი 10 წლის შემოაბის საგმად ვრცელი ანგარიში, რომელიც 1917 წელს დაიწყო და წაიკითხე კიდევაც, მაგრამ მას შემდეგ, საერთო მდგომარეობის გაართულებისა გამო, ველარ გამოვაქვეყნე. ჩემივე მოკლე ანგარიში, წაიკითხელი რუსეთის ექიმთა და ბუნებმეტყველობა ყრილობაზე. დაბეჭდილია იმ ყრილობის კრებულში, რა თქმა უნდა, რუსულად.

ეს საზოგადოება რომ შეიქმნა, პრაკინციამიც მოგებაქეს: ქუთათურებმა დასვეს საკითხი, ჩვენც უნდა დავაარსოთო. ამ საქმეს თაოსნობდა სილოვან ხუნდამე, რომელსაც, საერთოდ, ახასიათებდა ასეთი მიდრეკილება. გადაიწერეს ჩვენი წესდება და დააარსეს ქუთათისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, ოღონდ არც მუშაყები ჰყავდათ და არც მასალა ჰქონდათ კარგა ხანს. მაგრამ, რაკი მაინც კარგი იქნებოდა, თუკი გამოიდნენ შემოაბის, ჩვენგან სურათები გავგზავნე. ნიქები და ზელნიწერები ცოტა მოვაოვებოდათ — მხოლოდ ის, რაკ კირილე ლორთქიფანიძისათვის ვადეცა ერთ აბაშიქეს წერაკითხვის საზოგადოებისათვის ვადმოსაგზავნად, და ამას კი იქ დაეტოვებინა. მათ შორის იყო შესანიშნავი მინაქპირანი ხატო და რამდენიმე საყურადღებო ზელნიწერი. კირილემ, საერთოდ, ძალიან ნელმა კაცმა, არ გამოგზავნა ის ზელნიწერები: „რეფერატო უნდა დაწერო და, წინააღმდეგ და. ბაქრძისა, უნდა დავამტიკოთ, რომ ზედრული დამწერლობა ბუცურზე უფრო აღრინდელიაო“ (ერთ-ერთ ზელნიწერზე მხედრული მინაწერი ყოფილიყო და, ჩანს, იმაზე ამირებდა დაყრდნობას). ეს ჯერ კიდევ მაშინ იყო, კერ რომ ქუთათისის გიმნაზიში ვსწავლობდი. მიერიც მას აქვთ ხულ ამირებდა ის რეფერატის დამწერის. გიმნაზიაც ვავათავე, უნივერსიტეტიც ვავათავე, სათავადაზნაურო სკოლაში შემოაბაც დაიწყო და

(1904 წელს) შეეწყობე კიდევაც, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაც დეპარტეთ (1907 წლის სექტემბერს, მორიგი არქეოლოგიური მოგზაურობიდან რომ დავბრუნდი, მახსოვს, ილია ახალი მოკლული იყო; წესდება კი მინამდევ გვექონდა დამტკიცებელი) და კირილეს ის რეფერატი ჯერაც არა ჰქონდა დაწერილი. შევუთვალე, ამ ახალ საზოგადოებას მუხურემისათვის მაინც გამომიგზავნე-მეთქი. მაგრამ უარი მომჭერა, რეფერატისათვის მჭირდება და იმას კი იმიტომ ვერ ვწერ, რომ თბილისის არქეოლოგიური ყრილობის რქმებიც მჭირია და ვერსად ვიპოვო. ავდეკი გავუგზავნი ის რქმებიც ქუთაისში მიმავალი ს. გორგაძის ხელით. კირილეს ძალიან იამბ, მას შემდეგ ორ წელიწადს ვითომ კიდევ წერდა რეფერატს, ის წიგნი მადლობით უკან გამომიგზავნა, მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ არაფერი დაუწერია. ქუთაისშიც ვახსენე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, კარილევ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, აეღო და სწორედ ის აბაშიძისეული ნივთები და ხელნაწერები დაედო საზოგადოების მუხურემის ფონდად. იმ დროს უკვე ძალიან მოტუხილი და წელში მოკაკული იყო (ამ სიტყვის პირდაპირი თანმგებლობით) ეს ერთ დროს მწვენიარი, თვალტანადი კაცი იდგალურად პათიოსანი აღამიანი იყო, მაგრამ რაღაცა უშარეს, სულ ტყუილ-უბრალოდ აუტყვებს სასამართლო საქმე და სასამართლომ კი ყველა უფლებების ჩამორთმევა მოუსაჯა, მაგრამ იქაურმა თავდაზნაურ-რობამ გამოიღო თავი და მისი პატიება ვა-მოითხოვა...

ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას რეეოლუციამდე თითქმის არა გაუქმებია-რა.

რეეოლუციის წინა წლებში თბილისში დაარსდა კიდევ ერთი ახალი საზოგადოება — ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისა (გ. რუხილაძის თაოსნობით). მისი გამგებლობა ს. გორგაძეს ჩააბარეს. საზოგადოების საქმიანობა უშეფერხებლად ჩვენი მწერლების ნაწარმოებთა გამოცემაში გამოიხატებოდა (მაგ., დავით გურამიშვილის კრებული გამოცეცს).

შემდეგ მისი მამბებელი, თ. ყორანიძის ერთ-ერთმა ვაჟმა (ხელობით იურიტაძე, ერთხანს რომ ეთნოგრაფიაშიც დაამიარა მუშაობა ჩვენი საზოგადოების ხაზით) და სხვებმა დააარსეს „Культурное общество Грузии“, მაგრამ ამ საზოგადოებას, რამდენადაც ვიცი, შეკრებებს-საუბრების მერტ არა გაუკეთებია-რა.

სარგის კაჟაბაძემ რომ უნივერსიტეტში დაამთავრა, თავდაპირველად ჩვენთან მოვიდა, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში და მომიტანა იგი. ჯაგაბიშვილის მიერ სარეკომენდაციო წერილი: „ნიჭიერი კაცია, უმაღ-

ლესი სასწავლებელი ახალი დამთავრებული აქვს, გამოიყენეთ და ამუშავეთი“. ჩემს მოადგილეს ალ. სარაჯიშვილს ინუ ვაუტარდა; თბილისის საკუთარი შეილი მოსვლოდეს. საერთოდ, ისეთი დრო იყო ჯერ კიდევ, რომ თითოეული საიმედო კაცის გამოჩენა შირთლაც ვასახარებელი იყო, იმდენად ცოტა გვეყავა სპეციალისტი. დაეწყებინეთ მუშაობა ს. კაჟაბაძეს საზოგადოებაში, მაგრამ მას შალე უთანხმოება მოუვიდა ა. სარაჯიშვილთან, ი. სონდლანშვილთან, ჩემთან და სხვა ნიჭიერი მკვლევარი კი გამოდგა და ბევრიც წერა და ბეჭდა. შესანიშნავი აღამიანი იყო მისი ში და ვით კაჟაბაძე, ახალგაზრდობაშივე მშვენიერად ხატავდა და კარგად ვაღმოიღო, ჩვენი საზოგადოების დავალებით, დადაინათა უკანასკნელი (ჩიჭვანბის) დიხასიტის ფრესკული პორტრეტები, მაგრამ შერე აღარ ინდობა ამგვარი მუშაობა.



ვაჟა-ფშაველას პირველად ვაგეკანი, პეტერბურგში რომ ჩამოვიდა უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელად. ქართულ სტუდენტთა კრებებზე ვხედავდი ხოლმე, ის მაშინ პოეტად ჯერ არ იყო ცნობილი, თუმცა აუარებული ფშერი ხალხური ლექსი იცოდა ზებირად და ხშირად კითხულობდა, ძალიან კარგად. თბილისში რომ ჩამოვედი და წერა-კითხვის საზოგადოების გამგებობის წევრად ამირჩიეს, იმხანად ვაჟა გამწესებულ იყო მასწავლებლად საზოგადოების სკოლაში, სოფ. თონეთს. იქაურებმა საჩუკარი შემოიტანეს გამგეობაში: „ეს ვინ ვაღარეული გამოგიგზავნიათო, სატევაზი აქვს და დაგეჩხა ყველაო“. სოფლის მამასახლისსა და თანამდებობის პირებს ვერ ეგუებოდა, ხალხის მიმართ მათი უმსგავსო საქციელი აშფოთებდა და, მართლაც, გაულახავს ზოგი მოთავნა. საერთოდ, ვაჟს მძაც კი წერს, ძალზე ღონიერი და შეუპოვარი კაცი იყო და ვარშემო ყველას ეუწინოდა მისიო... როგორც პოეტმა, ნაშეგნავად მას შემდეგ მოხივებუა სახელი, ერეკლე მეორის შესახებ რომ დაწერა პოემა. დიდად შეუწყო ხელი მის პოპულარიზაციას ილია ჭავჭავაძემ, როგორც უკვე აღვნიშნე... მერე ციმბირის წყალღო დაემართა ვაჟას: გაქირვებით ცხოვრობდა ფშავში და ქირიანის საქონლის ხორცი შეეჭამა. ამის შედეგად ცალი თვალი დაუსახინარდა. საერთოდ, ამბობენ (მე კი არ ვყოფილვარ იქ), რომ ისიცა და მისი ცოლიც ფეხშიშველანი დადიოდნენ სახლში, ისე უქირადათ... საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება რომ

დაეიარსე, ვეფს წინადადება მივეცი დაწერა ეთნოგრაფიული ნარკვევები ფშავის შესახებ და, მართლაც, მოიტანა „ფშაველი და მისი წუთისოფელი“, რომელიც დაიბეჭდა „ძველ საქართველოში“. თუმა ასეთი განვესაზღვრე: „ფშაველი დაბადებულან საკვილიანად“. როგორც ცნობილია, მან ბარწყინივალედ განახორციელა ეს თუმა და ის ვრცელად წერილი მისა შემოქმედების ერთ-ერთი შედეგირიცაა და ქართული ეთნოგრაფიული ლიტერატურისაკენ რა თუმა უნდა, პონორარაც კარგი გადამეღბადეთ, ისე რომ ერთ ხანს სულს მოითქვამდა. მერე ისეთივე წერილები უნდა მოიტანა ხევსურებისა და მოხვევების შესახებაც, მგარამ ევლარ მოიცილა... პირველი მსოფლიო ომის დროს ერთხელ თბილისში იყო ჩამოსული, მშინმედ ვახდა ავად და დავაწინეთ ლაზარეთში, რომელიც სათავადაზნაურო ვინაზიის ახალ შენობაში იყო მოთავსებული; ხშირ-ხშირად მივდიოდა ხოლმე სანახავად... იქვე გარდავეცუდა“.

ძალიან უღარესად ნიჭიერი კაცი იყო ვეფა, თან ფსიქოლოგია ბოლომდე ნამდიელი მთიელისა შერჩა, თუმცა კი ფართოდ განათლებული და კარგი ნაკითხი იყო. ევროპის გაველენა მის შემოქმედებას ოდნავაც არ წაქაჩებოდა. მძებნი უყვლა ნიჭიერი პყავდა. ერთმა მათგანმა, თედო რაზიკაშვილმა, აუარებელი კარგი მასალა შეგვიგროვდა ხალხური ზეპირსიტყვიერებისა. ძალიან კარგი, ზედმიწევნით პატიოსანი სრულიად უანგარო აღმამანი იყო. წინასწარ ვეფსივდა ხოლმე ფულს, მაგარამ გვეუბნებოდა: „კაცო, თუ არ დავი გლუხკაცი და არ დალავეინე, ისე ლექსი არ გიტყვისო!“ საერთოდ, ხომ ფშაველი უყვლა პოეტი და ზეღუქვა — ქალებიც კი, მახსოვს, წინამძღვრინათ-კარის სკოლაში ერთი ფშაველი ქალი პყავდათ მოსაშახურედ და, რაც არ უნდა გუტყვა მისთვის, მაშინვე გავიღუქვავდა. იმავე დროს, ცნობილია რომ, მაგალითად გურიაში შედარებით სუსტია ხალხური პოეზია (გვარცუდებულია ფირალს ლექსები), საერთოდ, ჩემი აზრით, კარგი ზეპირი პოეზია მთიანი კუთხეებისათვისაა დამახასიათებელი. ხევსურეთშიც ბევრია პოეტი, ოღონდ იქაური ლექსები უფრო სუსტია, ვიდრე ფშაური.

მინდა გაეიხსენო ზოგი რამ მამათა ქუთათელაძეთა შესახებ, რომლებთანაც აბლოს ვეყავი ცხოვრებაშიცა და მემუშაობაშიც და რომელთაც ბევრი გაუეყოზობათ ჩვენი კვლტურის ძველბების დაცვა-შესწავლისათვის.

არისტო (არისტობულ) ქუთათელაძე ბევრად უფროსი იყო თავის მამზე, დავითზე. მან დამათავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავ-

ლური ფაკულტეტი და გერ გორის საოსტატო სემინარიაში იყო ქართული ენის მასწავლებლად, მერე კი თბილისის სათავადაზნაურო ვინაზიის — ალ. ჰუნიანძის დროსაც და ჩემს დროსაც. მამამისი, ვასილი, ძველი დროის კარგად ცნობილი არქიმანდრიტი იყო ხონში 1. არისტომ კარგად იცოდა ზუტურის კითხვა და საეკლესიო ვალაბა. მშვენიერად კითხულობდა ქართულ ლექსებს და კარგად აზნადებდა ხოლმე მოწაფეებს სასკოლო ლიტერატურული საღამოებისათვის, შესაფერისი დიქციით კითხვაში წერანოდა. ძალიან გაბაცებული იყო ქართულლიტერატურისათვის, უყვარდა ჩვენი ძველები და მემუშაობდა მათ დასაცავად. ხშირად ბეჭდვდა სათანადო შენაარსის წერილებს ჩვენს ქურნალ-გაზეთებში და, მათ შორის, საბეშოშიც (მაგონდება, მაგალითად, ძალიან კარგი ნარკვევი ნიკორწმინდის ეკლესიის სიძველეთა შესახებ — „მოამბევი“, წერილი ძველი არქიმანძის შესახებ — „ნაკადულში“ და სხვ.). სულ ქართულად წერდა, რუსულად არაფერი დაუწერია თუ დაუბეჭდავს. ბევრი წერილი აქვს დაბეჭდილი „ივერიაში“ საქართველოს ისტორიისა და სიძველეთა შესახებ. გამსაყურებთ აღსანიშნავი ისაა, რომ იქ მან პირველად გამოაქვეყნა ამონაწერი იერუსალიმის გუბარის მონასტრის ბელნაწერიდან — გრივოლ ხანთელის ცხოვრების ბიოლიტგვაობა, ვიდრეწერილი იერუსალიმს ნამყოფი ქართველი მოგზაურის (გვარად, მგონი, ლორთქიფანიძის) მიერ. სწორედ ამით გამომღვანდა, რომ იმ მონასტრის ბელნაწერთა შორის ყოფილიყო (და ალ. ცავარელს კი შეუშინეველი დარჩნოდა მათი აღწერისას) ჩვენი ძველი მწერლობის ერთი უბრწყინვალესი ძველი ხანძთელის ცხოვრება. ასეთი რამის გამოჩენა აღმათ იმ არანორმალური პირობებშითაც აიხსნება, რომლებშიც, როგორც უკვე აღენიშნე, ცავარელს მოხლოშია იქ მუშაობა, და ავრეთვე მისი მხედველობის სისუსტით. შემდეგ ის ბელნაწერი ფოტოგრაფიულად ვაღმოიღო ნიკო მარამ და, როგორც ცნობილია, მშვენიერადაც გამოსცა, მაგარამ პირველი სიჯნალი იმ ნაწარმოების არსებობისა და მნიშვნელობის შესახებ კი სწორედ არისტო ქუთათელაძეს ეკუთვნის... მსგავსი მარცხი მოუვდა თავის დროზე თ. გორდანასაც: მას ვამორჩა საეკლესიო მუზეუმის სათანადო კრებულში ბასილის თხზულება „სერაპიონ ზარზელის ცხოვრება“, რომელიც შემდეგ მოსე ჯანაშვილმა გამოსცა და რომლის დიდ მნიშვნელობა აგრეთვე საყოველთაოდაა ცნობილი.

1 ამჟამად ქ. წულუკაძე.



თურქული საისტორიო წყარო საქართველოს შესახებ



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ გამოცა მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტის, მე-16 საუკუნის თურქული ხელნაწერი ძეგლის — „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ მესამე წიგნი.

ცნობილია თურქოლოგმა პროფ. ს. ჯიქიამ წლების განმავლობაში დიდი მუშაობა გასწია ხსენებული ძეგლის, საქართველოს ისტორიის ამ პირველხარისხოვანი და მდიდარი წყაროს, შესასწავლად. 1941 წელს მან გამოცა „დავთარის“ ქართული თარგმანი (წიგნი მეორე), რომელსაც წინ უძღოდა არაბული დამწერლობით შესრულებული თურქული ტექსტის ამოკითხვა-დადგენისათვის გაწეული ხანგრძლივი შრომა. 1947 წელს კი მკვლევარმა გამოაქვეყნა „დავთარის“ დედანი (თურქული ტექსტი; წიგნი I). ახლა კი ჩვენ ხელთაა გამოკვლევა ტექსტის შესახებ.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ სახევრო წიგნია, რომელიც მე-16 საუკუნის ბოლოს თურქეთის სახელმწიფო მმართველებს შეუდგენიათ ახლად დაპყრობილი ქვეყნის, საქართველოს ღვიძლი ნაწილის — სამცხე-საათაბაგოს ანუ მესხეთის მოსახლეობის აღწერისა და ვადასახადების გაწერის მიზნით.

„დავთარი“ წარმოადგენს 490-გვერდიან მოზრდილ ხელნაწერ წიგნს, რომელიც თავის დროზე ახალციხეში ინახებოდა და, როგორც ოფიციალური დოკუმენტი, პრაქტიკულ გამოყენებაში იყო თურქ დამპყრობელთაგან სამცხე-ჯავახეთის გათავისუფლების შემდეგ წიგნი ახალციხეშივე დარჩენილია და რუსეთის მიერ დაპყრობულ სამხარო აქტივის განვარდულებაში გადასულა, საიდანაც იგი ერთ-ერთ ბეგს გაუტანია და ამ გზით კერძო პირების ხელში მოხვედრილა. ბოლოს ახალციხელი ანტიკვარის — შ. ჩარუხჩიევისაგან ეს მნიშვნელოვანი ძეგლი, პროფ. ივ. ჯავახიშვილის (როგორც უნივერსიტეტის რექტორის) განკარგულებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუძენია. ამჟამად კი იგი დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

„დავთარი“ მოიცავს სამცხე-ჯავახეთის, ტაოსა და არტანის ანუ, როგორც თურქები უწოდებდნენ, გურჯისტანის ვილაიეთის დაბასოფლებისა და ქალაქების დაწერილებითს აღწერას, იძლევა ცნობებს ხალხის სამეურნეო საქმიანობასა და ვადასახადთა ამ რთულ სისტემაზე, რომელიც მძიმე ტვირთად აწეა დამორჩეულ ქართველ გლეხობას. მასში შესულ სოფელთა სახელწოდებანი და ამ სოფლებში მცხოვრებ მეკომურთა სიები ნათელ წარმოადგენს გვაძლევს იმაზე, თუ რა მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დასახლებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციები იქ ოსმალთა ხელისუფლების დამყარებამდე. შავალითსათვის შეიძლება ავიღოთ ახალციხის ლივაში მოხსენებული ჭაპარაქის ჩაოინი, რომელიც დაახლოებით დღევანდელ ურავლის ხეობას (ურავლისა და ანდრიაწმინდის სას. სამპოებს) უდრის. დღეს არსებული სოფლების გარდა, „დავთარი“ ამ ჩაოინში დამატებით ასახელებს შემდეგ სოფლებს: ჩორჩო, ფულა, ბორჯომი, ახდილა, მოლარათბანი, ბერდიკათბანი, თათალსხევი, კაკლონი, მამაქხეთი, კოკევი (ზემო და ქვემო), ფორხიეთი, შორაშეთი, მლაშისხევი, მაიკეთი, ბოსთანი, ოლოდა, გორგათბანი, აბათბანი, მაპელისხევი, კართლანი, ოკეთი, ხეჭიზა, ახალკეთი, ოხიმა, (ზემო და ქვემო) და კიდევ მრავალი სხვა.

საუფრადღებოა, რომ ხალხის მესხიერებაში ჯერ კიდევ არ წაშლილა 300 წლის წინათ არსებულ სოფელთა ეს სახელწოდებანი, ზოგიერთი მათგანი, როგორც, შავალითად, მაიკეთი, ახდილა, ფულა, ოხიმა, ბორჯომი, მაიკეთი, კულუღეთი, ჭაქკარი, ოკიზა და სხვანი დღესაც ცნობილია ნასოფლარების სახით.

როგორც ვიცით, ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის პირველსავე ხანებში ამ კუთხიდან მასობრივად იძუარა ქართველი მოსახლეობა და შიდა საქართველოში გადასახლდა, რის შედეგადაც მთელი რაიკი დასახლებული პუნქტები დაცარიელდა. ამ ფაქტს კარგად ადასტურებს „დავთარის“ მონაცემები.

თურქ მოხელეებს დამორჩეული კუთხე ზუსტად და ზედმიწევნით აღწერიათ, სოფლების

გარდა, მათ მოუხსენებიათ საყაენ ადგილები, პალატი, საძოვრები, მდინარეები, ტბები, არხები, ეკლესია-მონასტრები და, საერთოდ, ყველა ის ადგილი. საიდანაც შემოსავლის მიღება შეეძლო. ამასთან ერთად, არ გამოჩინებიათ მათ დროსვე გაპარტახებული, გაუკაცრიელებული ადგილებიც, რომლებიც წარმოიშვა მისახლოების იმეგავით. ამგვარი იმდროინდელი ნასოფლარები „დაეთარშიც“ საკმაოდ ბლომადა შეტანილი, როგორცაა, მაგალითად, წინისი, ვარძია, წყუთაჯვარა, ელიასუბანი, საბუღარა, ბოლოცლუ, ასფარა, თათეთი, ქვემო ინთორა, კარკლანი, მამაშინდა, ხიდურეთი, უკანკულისი, ეშმაკთუბანი, ლაშაბუბანი. წიგნში მათი რიცხვი 300-ს აღწევს.

ისტორიულ სამცხე-საათაბაგოს, როგორც ეწოდებოდა, თერქეთის ხელისუფლებამ გურჯისტანის დიდი ვილაიეთი უწოდა და თურქულ სახელმწიფო-ადმინისტრაციულ დაყოფას დაუქვემდებარა: ვილაიეთში გამოყო სანჯაყები, ანუ ლივაები, ამ უკანასკნელში კი — ნაიები (რაიონები).

„დაეთარში“ შეტანილია ახალციხის, ხერათვისის, ახალქალაქის, ჩრდილის (ჩილდირის), ფოცხოვის, პეტრეს, დიდი არტაანის და ფანაყის ლივაების სრული აღწერილობა. აქ ზუსტადაა წარმოდგენილი თეთვეულ ლივაში შემავალი რაიონის სოფლები, როგორც დასახეგრავი ობაქტები, მათში მცხოვრებთა სახელობით სიგე, რომლებსაც თან ახლავთ სხვადასხვა ვადა-სახადისა თუ გამოსაღების დასახელება და მათი ჯამი ახრებში.

ამ სიგეის სახით „დაეთარი“ ძვირფას და უხვ მასალას გვაწევს ადამიანთა ქართული საყოფარესო სახელებისა და გვარების ისტორიისათვის. აქ გვხვდება მამაკეთის ისეთი საყურადღებო სახელები, რომლებსაც დღეს ქართული გვარების ფუძეებში თუღა ვიპოვი. ასეთები: ვარძელ, მაზანი, ბაღრა, მახარებელ გულისა, კაკაბა, ხუხუა, იმედა, მასურა, კაკა, გოგინა, ნათელა, აღ-ღაშელა, ვარსიმა, ფოჭა, ლაშქარა, ძამა, ლასურა, მარკონა, ზედგინა, ოზბელა, შაველა, ლომა და მრავალი სხვა.

ვადასახდომა სახეობანი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მე-16 საუკ. სამცხე-ჯავახეთის სოფლის მეურნეობის დარგებზე და, საერთოდ, კეთილს ეკონომიკაზე. ირკვევა, რომ თურქ დამპყრობთა დამკვიდრების პირველ პერიოდში აქ შეეწინააღმდეგებოდა გერ კიდევ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, ძველში წარმოდგენილ გამოსაღებთა ჩამოთვლაც კი საკმაოა იმისთვის, რომ გავიგოთ, მისი-საქმიანობის რა მნიშვნელობა სახეობის მისდევდა გლეხობა ამ კუთხეში. აქ ჩამოთვლილია გამოსაღები ხილზე, იონჯისა და თევზზე, ბოსტანზე, ფუტკარზე, ღორზე, ცხვარზე, იალაზე, წისქვილზე და სხვ. ყურძნის მოსავლის გარდა, წიგნში დასახელებულია ხორბლის,

ქერის, ქვავის, ფეტვის, მუხუნოს, ოსპის, ცერცის, კაკლის, სელის კულტურების.

გამოკვლევის დასაწყისში ს. გუბის წარმოდგენილი აქვს ხელნაწერის აღწერილობა, რასაც მოჰყვება „გეოგრაფიული და ტოპონომიკური შენიშვნები“ მოკლე შესავლათ. შესავალში განმარტებულია შრომის მიზანი, დაბასიათებულია კვლევის მეთოდები და წყაროები.

„შენიშვნები“ პირფ. გუბის გამოკვლევის ყველაზე დიდი და საყურადღებო ნაწილია (21—603). იგი შილიანად მოიცავს „დაეთარის“ გეოგრაფიული და ტოპონომიკური ერთეულების შემოხილვას ძველისეული თანამედვერობით და ფართო კვლევითი მუშაობის შედეგს წარმოადგენს.

ძველი საისტორიო მწერლობის, მწერლობითი ძეგლების, ხალხური სიტყვიერების, მთელი რიგი ოფიციალური წყაროების, საარქივო დოკუმენტების, რუკების გამოყენებით, ქართულ-თურქული ტრანსკრიპციისა და ფონეტიკურ თავისებურებათა შედარების გზით, აგრეთვე სპეციალური ლიტერატურის გათვალისწინებით შედგენილი ბევრი შენიშვნა მთელ სტატიადაა არს ჩამოყალიბებული და ისტორიულ-ფილოლოგიური ძიების საყურადღებო ნიმუშს წარმოადგენს, როგორცაა, მაგალითად, ახალციხის ციხის რაბათი (გვ. 42—50), მეიღანი (84—89), ცხროპა (115—119), დემოთია (148—150), ოცხის ციხის რაბათი (162—167), შორათა (204—208), სირგვი (274—277), დიდი ხორანა (320—328), დღვი (419—422), პეტრეს ნაიე (469—474), დიდი არტაანის ლივა (496—506), მგლინა (528—530).

ამ მრავალმხრივი ძიების შედეგია, რომ ავტორის დაზუსტებული აქვს დიკრიტიული ნიშნების უქონლობის გამო ძველში ძნელად ამოცნობის ან საეჭვოდ ამოცნობული გეოგრაფიული სახელები. მაგალითად, სოფ. წინისა და ქვინტას შორის მოხსენებული სოფლის სახელი მკვლევარს პირველად თურქულ-სად ამოუცნობავს და ასეც დიდებულაღეს იგი „დაეთარის“ მეორე ტომში, ოღონდ კიბების ნიშნით, რადგან ეს ამოცნობვა მაშინ მას არ აგზავოფილებდა. შემდგომში ძიების დროს, საქართველოს ცენტრალური-ისტორიული არქივის საბუთების ვაცონისას, იგი ამ დასკვნამდე მისულა, რომ თურქულ სახელწოდების ნაცვალად ეს სიტყვა უნდა იკითხებოდეს როგორც თორნისი ან თურნისი ო.ე. ვარაუდით უდავოდ სწორია. ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ ნასოფლარი ტორნისი (და არა თორნისის) არსებობა ახალციხის რაიონის სოფ. სვირის მიდამოებში, მხვთლო-მთის მახლობლად. ჩვენ მიერ ჩაწერილი ვადმოცემის თანახმად, ამ სოფლიდან უცხოეთში ვიტაცებულ ქართველ ტყვე ქალს უთქვამს: „მახვილსი ქალი ვარ, ტორნისისა რაბათი ვარ, ვაპ-

შენ ზემო კუბრის წყაროა".¹

წიგნში დადგენილია თურქული ენის ზეგავლენით ან სხვა მიზეზებით შეცვლილ-გადასხვაფერებული და ზნორად დამახინჯებული გეოგრაფიული სახელები და აღდგენილია მათი წყარო, ეროვნული სახე, როგორც მაგალითად, წყაროთი, ხომი, ნიობრები, თმოგვი, ბოლაჯური, დერეელი, ზველი, საყუნეთი, კვალობეთი, ონდორა, ჰაქარაქი, ტამალა, სხილისი, კვანჯლა, კასათიბი, აღიგვენი, ღრტილა — ნაცელად შთი არასწორად ხმარებული, მთელბელი ფორმებისა: წყაროთი (ან ზელდროთი), ხემა, ნაობრები, თმოგვი, ბოლაჯური (ან ბოლაჯერი), დერსელი, ძველი, საღუნეთი (ან საღვინეთი), კოლტახევი, ორგორა, ჰემერეტი, დამალა, სუხლისი, კონჯლა, ქისათიბი, აღიგვენი, იხტილა...

თურქულ ძველში ამოკითხულ ასევე გეოგრაფიულ სახელთა შესწავლამ ავტორის საშუალება მისცა საბრძანებლო მუშაობა გაეწია ისტორიული რუკის შესადგენად. წიგნს დართული აქვს დოკ. ალ. ასლანიკაშვილის მიერ კარგად შესრულებული რუკა, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვძლევს გურჯისტანის დიდი ვილაიეთის ქართული დაბასოვლები და ქალაქების განლაგებაზე.

გეოგრაფიულ პუნქტებზე მსჯელობისას, მათი ლოკალიზაციის, დასახლებულობის თუ სხვა საკითხთა უკეთ გასაშუქებლად პროფ. ს. ჯიქიას ზნორად მოყავს მეტად საყურადღებო ცნობები ისტორიული წყაროებიდან, რაც მას ზოგჯერ ეტიმოლოგიების გამოყვანაშიც ეხმარება და თავისთავად ძვირფას მასალას წარმოადგენს კუთხის ისტორიის ვასათვალისწინებლად. ამის სიილუსტრაციული ვასილია დიფინაზილით რამდენიმე მაგალითი; თუმცა ქ. ასლციხესთან მდებარე სოფ. კლდის სახელწოდების ამოკითხვა „დავთრის“ ფორმებიდან ექვს არ იწვევს და ამ სახელით ცნობილი პუნქტის აღვლილბრძანებობა ვარკვეულია, შენიშვნების ავტორი ამით მაინც არ კმაყოფილდება და ამ სოფლის შესახებ მოყავს ცნობები ი. ნებეირძის მოგონებებიდან, იქვე ახსენებს, აგრეთვე, შატბერდის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული პირის ახესალმა კლდელის ეიანობისა და წარმოშობა-სადაურობის საკითხსაც (57, 58). ასევე იქვეა იგი უდის მახლობლად ძველი არსებული სოფლის მეი დნის მიმართაც, როდესაც, ხალხური ლექსების გარდა, ისტორიულ არქივში დაცული დოკუმენტებიდან მოყვანილი აქვს საინტერესო ცნობები ამ სოფლის მფლობელი ბეგების — ხურციძე-ჩორჩიანელების გამაჰმადიანე-

ბული შტოს მემკვიდრეთა ცხოვრებისა და მათი ოსმალეთში გადასახლების თაობაზე (მწ., 89); თანაგრავანის ტბის სახელწოდებაზე მსჯელობის დროს წყაროებიდან უხვად მოყვანილი ცნობები და მათი შედარებითი საშუალებას აძლევს ავტორს, გამოიქვას დამაჯერებელი მოსაზრება ამ სახელწოდების წარმოშობაზე და იგი ტ ბ ა ფ ა რ ა ე ნ ი ს სიტყვების შერწყმიდან მიღებულად ცნობს (345—349); „დავთრის“ მიხედვით ტაძრის სოფ. დგვარის ერთ-ერთი უბანია მსჯელობის რა ამის შესახებ, მკვლევარი საკითხის აფართოებს და ძველი ქართული მწერლობის ძველებს უკავშირებს. იგი არცევეს, რომ თურქულ წყაროში მოხსენიებული ეს პუნქტი სწორედ ეს ტაძრისია, რომელიც ნახსენებია გორაკი მთაწმინდლის ცხოვრებაში, როგორც სამცხეში არსებული მნიშვნელოვანი მონასტერი, სადაც გ. მთაწმიდელს პირველადწყებითი სწავლა მიუღიაო (გვ. გვ. 129, 130).

ამგვარი ისტორიული გქსურსები წიგნში უამრავია. მათი შემწიობით დადგენილია ბევრი საყურადღებო ფაქტი, რაშიც, მდლდარ საეციადურ ლიტერატურის რაჰა ცოდნასთან ერთად, მიჩნის ავტორის მახვილი დავიერება და მეცნიერული ალღო. ამის მაგალითებად თუნდაც ის გამოდგება, რომ დავთრისეულ გადათურქებულ „სახარეკ“-ში პროფ. ს. ჯიქიამ ქართული „ტ ბ რ ო ქ ა“ ამოიკნო, სახელწოდება იმ გეოგრაფიული პუნქტისა, რომელიც მოხსენიებულია ბ. ზარზმელის თხზულებაში (X საუკუნე) და ეს სახელი მიიჩნია მესხეთში გავრცელებულ ზანურ სიტყვად, რაობის პირვანდელი სახე შეიძლება „ნ ბ ო რ ო ქ ა“ უოფლიყო (ქართულად ცხრა ქა, ანუ ცხრა წყარო). მსგავსად ამისა, ჩვენმა ავტორმა ბევრნაირად შერყვნილი სიტყვა „ზ ა ქ ე რ ზ ი ნ შ ი“ ქართული ზ ა ქ ა რ წ მ ი ნ დ ა ამოკითხა და „ქ ო ვ ა ნ ა ს“, „ქ ე ვ ხ ა ს“ ფორმებში კი — ქ ვ ა ქ ა ო ო ნ.

ავტორის ეტიმოლოგიური ძიებანი უმრავლეს შემთხვევაში ისტორიულად გამართლებული და ენობრივი კანონზომიერებით განმტკიცებულია. მაგალითად, უდავთა, რომ „ქართლის ცხოვრების“, „ო ძ რ ხ მ (იგივე ოძრახე) ფონეტიკური ტრანსფორმაციის შედეგად მოგვეც ო ც ხ ე (თანმედროვე აბასთუნის ძველი სახელი, 163), დავთრისეული მ ა ხ ო ლ უ ქართულ მახვილის თურქულად გადაკეთებული ფორმა (170), ჯ ო ლ დ ა ს (ნასოფლარი მტერის ხეობაში) პირვანდელი სახე ბექას სამართალში მოხსენიებული ქ ო ლ თ ა ა (263), ნასოფლარის სახელი გ რ ი ა წარმოდგარია გ რ ი ა ლ-სიავან (279), ჯავახეთის ერთ-ერთი სოფლის თანამედროვე სახელი მ ი მ ზ ა რ ა მიღებულია მ ა მ ქ ვ ა - რ ა ს ა გ ა ნ (336), ჯ ვ ა რ ი ნ ა შ ი ჯვარ სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმა უნდა დავინახოთ, (ჯ ვ ა რ ა ნ), (320), თანამედროვე ტ ი რ ქ ე ა ძველი ქართული დ ი რ ქ ე ა -ლის ფონეტი-

¹ ეს და ჩვენ მიერ აქ მოყვანილი სხვა მაგალითები გეოგრაფიულ სახელწოდებებზე ამოღებულია ჩვენი გამოქვეყნებული შრომიდან: „სამცხე-ჯავახეთის ტიპონიმიკური ლექსიკონი“, 1938 წ.

კრალ შეცვლილი სახეა (358), და ჩ ა ნ დ ა რ ა , ჩ ა ნ დ რ ა — ჩ ა მ ძ ე რ ა ლ ა ს ი , შ ა ლ ო შ ე თ ი მომდინარეობს სალოშეთი-დან (256). ბენარა (იგივე ბ ე ლ ნ ა რ ა) შეიძლება ბ ა ლ ნ ა რ ი-დან იყოს წარმომდგარი (158), კ ე ლ ა - კ ა ლ ი-დან და სხვ.

პროფ. ს. ჯიქიას ნაკვლევი ბევრ საყურად-ღებო ცნობას შეიცავს საქართველოს გეოგრაფიის რიგი საკითხების გასაშუქებლად. ეს ფაქტი კი ნათლად მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ საჭიროა ენათმეცნიერული ძიება ახლდეს თან კუთხის გეოგრაფიულ შესწავლას.

„დაეთრის“ შენიშვნებს საყურადღებო წვლილი შეაქვთ, განსაკუთრებით, საქართველოს საისტორიო გეოგრაფიაში, ურომლისოდაც ყოველად შეუძლებელია წინაპართა ცხოვრების რკვევა. სახელოვანი ისტორიკოსი აკად. ა. ჯავახიშვილი წერდა: „ვისაც შსურს მომხდარი ამბების მნიშვნელობა და ქართველთა ცხოვრების განვითარების მიმდინარეობა ნათლად წარმოიდგინოს, მას ჯერ საქართველოს იმდროინდელი გეოგრაფია შესწავლილი უნდა ჰქონდეს“.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაჯილდოების“ უხეხი ფაქტობრივი მისაღებით ავსებს და ამდიდრებს შესხეთის მხარეთა ისტორიულ გეოგრაფიას. ამ წიგნის ისტორიულ-გეოგრაფიულ ჩვენებათა საფუძველზე პროფ. ს. ჯიქიას დაზუსტებული აქვს მდებარეობა მთელი რიგი გეოგრაფიული პუნქტებისა, რომელიც ლოკალიზაციის საკითხი მეცნიერებაში არ იყო დღემდე გადამწყვეტილი, ანდა სადაოდ იყო მინჯული (დემოთის ციხე, ცხროკა, დღივი, ყველის ციხე...).

„დაეთრის“ ცნობებს, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, გეოგრაფიული ლექსიკის სწინილის დაცვის მხარე. ირკვევა, რომ ხალხურ თქმულებებზე დაყრდნობით გაბრუნებული და უკანასკნელ ხანებში თვითნებურად გადაკეთებული ზოგიერთი სოფლის სახელები რომლებსაც ოფიციალური აღიარება აქვთ მოპოვებული, შეედომებს შეიცავს და აუცილებელია მათი პირვანდელი სწორი სახის აღდგენა. საესებით უმართებულოდ უწოდეს, მთავლითად, ასინძის რაიონის სოფლებს ძველი ნაცვლად ზ ე ე ლ ი ს ა , ო რ გ ო რ ა ნ ა ც ვ ლ დ ო ნ დ ო რ ი ს ა , ა ყ ყ ვ ი ტ ა , ნ ა ც ვ ლ ა ძ ძ ე ტ ი ს ა , დ ა შ ა ლ ა ნ ა ც ვ ლ ა დ ტ ა მ ა ლ ი ს ა და მსო.

ყველა ზემოთქმულიდან ნათელი ხდება, რა ზომ დღივი „დაეთრის“, ამ თავისებური და უნიკალური ძველის მნიშვნელობა როგორც საისტორიო და საგეოგრაფიო წყაროსი. საქართველოს არც ერთი კუთხისათვის არ მოგვეპოვება, სამწუხაროდ, „დაეთრის“ მსგავსი წყარო, რომელიც გეოგრაფიისათვის ასეთ მდიდარსა და ამომწურავ ცნობებს შეიცავს... და ეს მასალა მერად ძვირფასია იმისათვის, ვისაც სურს დეტალურად შეისწავლოს საქართველოს ამ ფრიალ მნიშვნელოვანი კუთხის მოსახლეობა და

მიმოწყალი, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქართველი ხალხის ერთი დიდუნი წამლე“ (გვ. 07, 08).

მაგრამ „დაეთარი“, პირველყოფისა, მაინც ენობრივი ძველია, რომელსაც თურქული ენისათვის უცხო და უჩვეული ქართული ტომონი-მიურის ტერმინების ველმოცემა აქვს დაკისრებული. ეს ფაქტი განაპირობებს მკვლევართა ორ მხრივ ინტერესს ძველსადაც, რომელიც, ერთ მხრით, წარმოგვიდგება, როგორც წყარო გარკვეული ისტორიული პერიოდის (მე-16 საუკ.) თურქულის შესისწავლად და, მეორე მხრით, მდიდარ მონაცემებს იძლევა თურქულ-ქართულ ენათა მიმართების გასაშუქებლად. ამიტომ ბუნებრივია, რომ „დაეთრის“ ტექსტუალური შესწავლა შეცნირებათა აკადემიის (მე-16 საუკ.) მხრივ ინტერესში, სახელმძღვანელო, მის აბო-აღ-მოსავლურ ენათა განყოფილებაში მოხდა დამით მერად მნიშვნელოვანი საქმე იქნა წამოწყებული, რომელიც კიდევ მოელს გავრცელება ამ ძველის სხვადასხვა სპეციალისტების მერ შედგომა შესწავლა-გამოყენების მხრივ, ამიტომია, რომ თვით პროფ. ს. ჯიქიას ფართო ფილოლოგიური მუშაობა ძველზე ამ სარკეცნ-ხით წიგნით არ ამოიწურა. ატორის უკვე მომზადებული აქვს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაჯილდოების“ IV წიგნი, რომელშიც მოიკმულია ძველის ვრცელი ენობრივ-გრაამატიკული ანალიზი და, კერძოდ, ძიებანი თურქულ-ქართულ ენობრივ შესატყვისობათა შესახებ. ჩვენ ვესურს აქ ურადღება გავამხვილოთ წიგნში აღძრული იმ საკითხებზე, რომელიც მნიშვნელობა აქვთ წინინდა მხარეთმცოდნერი თვალსაზრისით და ამ ხაზით რამდენიმე შენიშვნა წარმოვადგინოთ ამ ღირსშესანიშნავ გამოკვლევებზე.

ახალციხის ღივს მე-20 სოფლის სახელად პროფ. ს. ჯიქიას ამოკთხული აქვს ჩ ა კ ი - დ უ ლ ა , და, თუმცა საარქივო სიაც ამ გამოთქმის სასუქით უჭერს მხარს, მკვლევარს მაინც, სიტუთხილვ გამოუჩენია და მისთვის კითხვის ნიშანი დაუსვამს. ჩვენი შეგვიძლია დავადსტურით, რომ სოფ. ანდრიაშინინდას და ღრუღ-შორის ქ. ახალციხის ჩრდილოეთით მართლც-არსებობს ნასოფლარი ჩაკიდულა და ამიტომ „დაეთრის“ მითითება ამ სოფლის არსებობაზე სინამდვილედ უნდა ვცნოთ და ზემოხსენებული კითხვის ნიშანიც მოვხსნათ.

ამავე ღივში 21-ე სოფლად თ ა ვ ა ნ დ ე ლ ე მკვლევარს პირობითად აქვს ამოკთხული, ხოლო საარქივო დოკუმენტში შესაბამისად მოიკმულ Havanaზე სახელწოდების დამადასტურებლად ვერ იყენებს, როგორც არასწორად დაწერილს. ჩვენი აზრით, დაწერილობის ამ შეცდომის გასწორება ადვილად შეიძლება. აქ უფროდ Havanaში უნდა ყოფილიყო, რადგან სწორედ იმ მიდამოებში, სადაც 21-ე სოფელია დასახლებული, ახალციხის ჩრდილო-დასავლეთით, ცნობილია ნასოფლარი ნავანეზი

(იმავე სახელწოდებას ატარებს მისი მიმდგომი მთის კალთაც) და იქნებ „დაეთარმიც“ თავანდელის ნაცვლად ეს სოფელი ივლისს-ზაფხულად?

79-ე გვერდზე აღნიშნულია სახელწოდება — მოღნი ს ეკლესია, ისტორიულ დოკუმენტში კი დაწერილი ყოფილა მოღნი ნი ს, ეკლესია. არც ერთ ამ გამოთქმას მხარს არ უჭერს ადგილობრივი მონაცემები. ახალციხის მახლობლად, ზემოხსენებულ ნაენების მიდამოში, შემონახულია ნანგრევები რომელთაც ხალხი მოღნის, ანდა მოღნის ეკლესიის უწოდებს, ასევე აქვს იგი მოხსენებული ვინმე მესხს („დროება“, 1879 წ. № 171). ეს ფაქტი ანგარიშვასაწევი ამოკითხვის დასაზუსტებლად.

„დაეთრის“ მიხედვით, ახალციხის ლეანთი არსებული სოფელი ზ ა დ ე ნ ი (173). ქართლის ცხოვრებაში კი გვხვდება ზ ა დ ე ნ - გ ო რ ა აქედან ბუნებრივი იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ ორივე ტერმინი ერთი და იმავე სოფლის აღნიშვნად ტერმინი იყო, მით უმეტეს, რომ ზადენ-გორას სახელით სოფ. ბენარისთან დღესაც ცნობილია მთა, რომელზედაც ნასოფლარი შეინიშნება (1956 წ. აქ დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრაც კი ჩატარდა), იგივე სახელი მოხსენებული აქვს ვინმე მესხსაც¹.

„დაეთრის“ შენიშვნებში ზადენი და გორა სხვადასხვა ობიექტებადაა გახარებული, რადგანაც გორა „დაეთარში“ ცალკე არის მითითებული, როგორც დამოუკიდებელი სოფელი (გვ. 168), ჩვენი აზრით, ეს სულაც არ უშლის ხელს, რომ ზადენ-გორაც ცალკე არსებულყოფიერად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზადენი და ზადენ-გორა ორი პარალელური სახელი იყო ერთი და იმავე სოფლისა, რომელიც მდებარეობდა ბენარის მახლობლად, მთაზე, გორა კი ცალკე არსებობდა სოფელ ხარჯამთან.

ამინდის რაიონში შემავალ სოფლის სახელს ინდუსსა ავტორი ავანტირებს ერთ ხალხურ გადმოცემაში ნახსენებ ხარის სახელს „ინდუსასთან“ და წერს: „პროფ. მ. მ. ჩიქოვანის მიერ ამ კუთხეში ჩაწერილი თქმულების მიხედვით „ინდუსა“ ერქვა თურმე ხარს, რომელიც საშენ ქვას ეხილებოდა, მაგრამ „ინდუსას ქვა“ არქვეია იმ ადგილსაც, საიდანაც ეზიდებოდნენ ქვას. შესაძლებელია ამ თქმულებაში მოცემული ადგილის სახელი „ინდუსა“ ჩვენი ინდუსა სოფელს ჰგულისხმობდეს“ (194). ჩვენი აზრით, ამ ვარაუდს ნაკლები საფუძველი აქვს, რადგან სოფელი ინდუსა და საფარის მონასტერი ერთმანეთისაგან ძალიან დამორჩეულია და, თანაც, მტკვრის ხეობითა და გაუვალი მთებით არიან გაყოფილნი, ამიტომ წარმოუდგენელია ხალხს ეთქვა, ხარის ქვას უგზოდ ეზიდებოდა. თქმულებაში გარკვე-

ვით არის ნათქვამი, რომ მონასტრის ქვას კისათბის ტყიდან ეზიდებოდნენ (ჩვენ მიერ ჩაწერილი ვარიანტით კი ნასოფლარ ოხ ბ შ ი ს, მიდამოდან, სახელდობრ, ბ უ ქ ე ნ გ ვ ე რ დ ი დ ა ნ). კისათბიდან ნასოფლარი ოხ ბ შ ი ს ე რ თ ზ ა ზ ე მდებარეობენ და საფარისადაც შორის არ არიან რაც შეეხება ადგილს „ინდუსას ქვას“, იგი მართლაც არსებობს სოფ. ანდრიაშინდისა და საფარის შორის, მაგრამ ეს სახელწოდება, პირველყოფისა, აღნიშნულია ლოდისა, რომელიც მინდორში ნიშნულად დგას და რომლის გამო ადგილიც ამ სახელს ატარებს. ხალხის გადმოცემით, ეს ქვა თურმე უკანასკნელად მოქრონი ინდუსა ხარს, მაგრამ გზად დამთვი დეცა და დაიღუპა, მონასტრისათვის განკუთვნილი ქვა კი შეთხვევის ადგილზე დარჩა.

სოფ. ქ ე ა ც ე ნ ის შესახებ მსჯელობისას (გვ. 393-398) ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ ეს სახელწოდება სამცხეში გავრცელებულია არა მარტო სოფლის სახელად, არამედ, საერთოდ, ამართლი კლდეების აღსანიშნავადაც. ჩვენ დამატებით შევევლია მიუთითოთ სოფელ ანდრიაშინდისა და საფარის შორის არსებულ კლდეზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ქ ე ა ც ე ნ ის უწოდებს და სწამს, რომ იგი გავიყვებული ადამიანია. სწორია აგრეთვე ქეაკისათვის სიტყვა ჭ ო რ ა ს და ეწერება. ამ სიტყვას მესხეთში დღეს კიდევ ხმარობენ, რითაც აღნიშნავენ უანებს შორის ლოდებისაგან აგებულ სანიშნო სვეტს, მოხუცთა მეტყველებაში არის გამოთქმებიც: „ქეები დაჯორტეთო“ (ე. ი. დაჯორეთო), ან „რა ჭორტეთით აუღებულხარო“.

რაც შეეხება ვინმე მესხის მიერ ჩაწერილ ხალხურ ლექსში მოხსენებულ ჭ ო რ ა ტ ს, იგი მართლაც ადგილის სახელია, მაგრამ სოფ. ქეაკისის მეორე სახელი კი არ არის, როგორც ავტორი ვარაუდობს, არამედ სოფ. ვალის მიდამოებში საყვანე მიწებს აღნიშნავს, ადგილობრივი მას ჭ ო რ ა ტ ე ბ ს უწოდებენ. ჭორატები ახლოსაა ნასოფლარ ოჯორჯალთან.

გარდა უხვი წყაროებისა და სპეციალური მეცნიერული შრომებისა, პროფ. ჯ. ჯიქია იყენებს სამხარეთლოდნეო ხასიათის სტატეებს, რომლებიც გამოქვეყნებულია ძველ ქართულ პერიოდულ გამოცემებში. მათი ავტორები იყვნენ მესხეთის კარგად მცოდნე პუბლიცისტები, რომლებიც უმთავრესად „დროებას“ და „ივერიას“ აწვდიდნენ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიურ და საეოგრაფიო მასალებს ადგილობრივად. ამასთან დაეკავშირებოთ სასურველი იყო „დაეთრის“ კომენტატორს ხელთ ჰქონოდა ვინმე მესხის (ი. გვარამაძის) „ქართლის ცხოვრება“, რომელიც თუმცა სუსტია, როგორც ისტორიოგრაფიული ნაწარმოები, სამაგიეროდ, საყოველთაო ტრადიციული ცნობებს შეიცავს. შეიძლება გამოყენება, აგრეთვე, ს. ბაგრატიონის, ლ. მჭედლიშვილის სტატეებისა და ილია

¹ ვინმე მესხი, ი. გვარამაძე, ქართლის ცხოვრება, 1881 წ. გვ. 33.

აღზარდების წიგნისა — „ბუნება და ცხოვრება“.

არაბულ-თურქული დამწერლობის უაღრესი სირთულის გამო, წიგნი კიდევაც ამოუცითხველად დარჩენილი გეოგრაფიულ სახელთა მცირე რიცხვი, ზოგი ამოკითხვა კი საუკუთადა მჩნეული. ამ ხარვეზების შესავსებად, აგრეთვე „დათისი“ უოველმზირი და ღრმა შესწავლისათვის აუცილებელია დღევანდელი მესხეთ-ჯავახეთის უკეთ გაცნობა. საჭიროა პირველ რიგში

აღიწესოს ამ კუთხის ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობის ყველა ადგილი, ძველი ნაგებობანი, ნასოფლარები, საყარებო, მიწისქვეშა ხვრელები (დარბანი), გამოქვაბულები და დარაოდეს გეოგრაფიულ თუ ტოპონომიკურ სახელთა მთელი მარაგი. ეს დავებარება მკვლევართ არა მარტო საისტორიო გეოგრაფიის პრობლემათა გადაჭრაში, არამედ ქართული ერისა და ქართული კულტურის ისტორიის საკითხთა რკვევაშიც.

დოქ. ილია შინუაჩაძე

მნიშვნელოვანი შრომა ქართულ ქორეოგრაფიაზე

ქართული ხალხის უმრეტლა შემოქმედებითა ენერჯიამ და მხატვრულმა ფანტაზიამ ნათელი გამოხატულება პოვა არა მარტო მონუმენტურ არქიტექტურულ ძეგლებში, ფრესკებში, ნახაზითა და ფერების განსაცვიფრებელი შეხამებით გამოჩნეულ მინიატურებში, ძვირფას სამკაულებში, არამედ შესანიშნავ პოეზიასა, ლეგენდებსა, ზღაპრებსა და თქმულებებში. საყოველთაოდ ცნობილია ქართული ხალხური სასიმღერო კულტურის სიმდიდრე და ნაირფეროვნება, ჩვენი სიმღერების გამოჩახველი მელოდორობა, კილოთა სირთულე და ბუნებრივი მრავალმანობა. არანაკლებ მდიდარია ქართული ხალხური ქორეოგრაფიაც, რომელმაც, ხალხურ პოეზიასა და მუსიკასთან ერთად, ისტორიული განვითარების რთული გზა გაწვლი.

ქართული ხალხური ცეკვები შეიძლება ორ შთავარ ჯგუფად დივიდოთ: უმრავლესობა ცეკვებისა მიეკუთვნება გლეხურ ფოლკლორს, დანარჩენი — ქალაქურს.

ხალხურ ცეკვებში, ისე როგორც სამუსიკო ფოლკლორში, ასახულია ქართული ხალხის ეთნოპოიური, სოციალური და უოფაცხოვრებითი პირობები უძველეს დროთაგან დღემდე, ამ ხალხის მსოფლმეგობრება, ხასიათი, ტემპერამენტი.

საუკუნეთა მანძილზე ქართველმა ხალხმა დააჯროვა დიდი რაოდენობა ცეკვებისა, რომელნიც გამოირჩევიან ფორმის, ეანრის და მათი განმსახლრევი შინაარსის მიხედვით. ზოგიერთ ცეკვას, ისე როგორც ცალკეულ სიმღერას, ემჩნევა წარმართული კულტურის, ძველთა-ძველ წესჩვეულებათა ზეგავლენის აშკარა ნიშნები.

ქართული ხალხური პოეზია და მუსიკა შედარებით დიდი ხანია, რაც დაკვირვებული და სისტემატური კვლევა-ძიებისა და პოპულარიზაციის საგნად იქცა; იგივე არ შეიძლება

იოქვის ჩვენს ქორეოგრაფიულ ფოლკლორზე-აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩამოყალიბებულ პირველ ქართულ ეთნოგრაფიულ გუნდებში (მ. ბალანჩივაძე, ფ. ქორიძე, ლ. აღნიაშვილი და სხვ.) ეროვნულ ცეკვებს ან სრულებით არ ეთმობოდა ადგილი, ან კიდევ, მათი რაოდენობა თბილისელებით (განსაკუთრებით — „ლუკერიო“) განისაზღვრებოდა. მხოლოდ საბჭოთა წლებში შექმნილ დიდ ანსამბლებში (განსაკუთრებით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები) მნიშვნელოვანი ადგილი აქვს განუყოფელი მრავალფეროვანი ხალხურ ცეკვებს. უკანასკნელთა ფართო პოპულარიზაციის, როგორც ჩვენში, ისე საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც, აქტიურად შეუწუთ ხელი 1945 წელს ჩამოყალიბებულმა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა ნიჭიერი ოსტატების — ნინო რამიშვილისა და ილიო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. ამავე წლებში გამოქვეყნდა წერილები, შრომები, მეთოდოიური მასალები, რომლებშიაც განხილულია მეტად საინტერესო საკითხები ქართული ცეკვების, მათი წარმოშობისა და რაობის შესახებ. ამ მიმართულე-ბით ნაყოფიერი მუშაობა აქვთ ჩატარებული დ. კანელიძეს და დ. კავრიშვილს. მთელ რაგ საინტერესო ცნობებს ძველი ქართული ცეკვების შესახებ ვხვდებით აკადემიკოს ი. კავი-ხიშვილის შრომაში: „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“. ყურადღების ღირსია აგრეთვე პროფ. შ. ასლანიშვილის მეცნიერული დაკვირვებანი და დასკვნები ცალკეული ხალხური ცეკვების შესახებ. მაგამ ყოველივე ეს მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ვაზრდულ მოთხოვნილებებს, რომელთაც საბჭოთა საზოგადოებრობა უყენებს ქორეოგრაფიული ხელოვნების სპეციალისტებს. ამიტომ, ვასიებია ის ცხოველი ინტერესი,

სახელგანთქმული ქართველი ბალერინის და ქორეოგრაფიის თეორიტიკოსის ლილი გვარამაძის მიერ გამოქვეყნებული ახალი, მტკიცედ შინაარსიანი შრომისამდმი, რაც ცეკვის ხელოვნებით დაინტერესებულმა პირებმა გამოიხინა.

ლ. გვარამაძის პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომი — „ქართული ცეკვის წარმოშობისა და მორფოლოგიის საკითხისათვის“ (1947) წარმოადგენდა ერთგვარ მოსამზადებელ ეტაპს სარტყელზეო შრომის შექმნამდე. მასში მხოლოდ დამსწრეა და ნაწილობრივ გადაწყვეტილი ის საკითხები, რომელთაც ფართო გაშუქება და შეცნობილი დასაბუთება პოვეს ავტორის მეორე მნიშვნელოვან შრომაში — „ქართული ხალხური ქორეოგრაფია“ (1957 წ., გამომც. „ხელოვნება“). აღნიშნული შრომა შედგება ამ წიგნის რედაქტორის, თათარ ეგაძის საკმარის ვრცელი წინასიტყვაობისა, ავტორის მოკლე შესავალისა, ხუთი თავისა და ბოლოსიტყვაობისაგან. წიგნს დართული აქვს ბიბლიოგრაფიული მასალის სია, 50 სურათი და 21 სანოტო შეკვლითა.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ლილი გვარამაძის ეს შრომა პირველი კომპლექტური მცენიერები ნაშრომია; იგი მიძღვნილია ქართული ხალხური შემოქმედების ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგის — ქორეოგრაფიული ფოლკლორისადმი და წარმოადგენს ავტორის მიერ ამ დარგში სერიოზულ დაკვირვებასა, ცვლვისა, მეთოდური ანალიზისა და შეცნობილი განზოგადებთა ნაყოფიერი ეტაპს. ავტორს, როგორც ჩანს, დიდი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა გამოუყენებია, დეტალურად შეუსწავლია არა მარტო უშუალოდ ხალხური ცეკვები, არამედ ძველი ქართული რიტუალური წესჩვეულებანი, სპორტული ასპარეზობანი, სახვეთი ხელოვნების მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლი და, ზოგჯერ, მხოლოდ საცეკვაო მეროდაზე დაყრდნობით, ძველი ანუ გარდასული ცეკვების ხასიათი და ქორეოგრაფიული ნახაზებიც კი ილუტრირა.

სარტყელზეო შრომის მცენიერული და შეშეცნობილი დიერებულება იმიტად არის შეპირებული, რომ მისი ავტორი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლილი გვარამაძე, რომელიც ქართული საბჭოთა ეროვნული ბალეტის ერთერთ აქტიურ მშენებლად გვევლინება — თვით არის სახელგანთქმული ნიჭიერი მოცეკვავე-პროფესიონალი და, ამავე დროს, ხალხური ცეკვების—განსაკუთრებით „ქართლის“ — გამორჩეული შემსრულებელი. ამგვარად, დასახელებული შრომის ავტორი კარგად იცნობს საკვლევ თემს როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად, რასაც, ასეთ შემთხვევაში, უპირატესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ვიდრე ქართული ქორეოგრაფიული ფოლ-

კლორის უძვირფასესი ნიმუშთა აღწერასა და კლასიფიკაციას შეუდგებოდეს, ავტორი უნება იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ და შრომითი ურთიერთობათა სხვადასხვა ფორმებს, რომელნიც ქართველმა ხალხმა, თავისი მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების გზაზე გაწელო, და რაც საფუძვლად დაედო საცეკვაო ხელოვნების ამა თუ იმ ფორმის წარმოშობას.

თუმცა ავტორი, ხალხური ცეკვების ფორმირების პროცესში, გეოგრაფიულ ფაქტორს გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს, მაგრამ იგი მართებულად აღნიშნავს გეოგრაფიული ფაქტორის ზეგავლენას ცეკვათა ამა თუ იმ ჯგუფის წარმოშობაზე.

მაგალითად — წერს ლ. გვარამაძე — სვანეთის მუღამება ყინულზეა და შეაკრება ბუნებამ დიდი დიასვა სვანების ხასიათს. მტკიცე მიზანსწრაფვა და ეფექტობა აისახა გვიერად დიდებულ სვანურ „ფერხულეში“, კავკასიონის სამხრეთ კალთებზე შეიქმნა ცეცხლოვანი, მთის ნაკადივით დაუტყრომელი ცეკვა „მთოლურა“, ქართლისა და კახეთის აყვავებულ ველებზე განვითარდა ნარნარა, ლირიული „ქართული“. მტრის საზღვრის სიახლოვე ხელს უწყობდა აქარულ-გურული მხედრული ცეკვის „ბორბუის“ დანერგვას, რომელიც მონადირეთა ცეკვიდან წარმოიშვა.

გეოგრაფიული პირობებითვე შეიძლება აიხსნას ნაწილობრივ ქართული ცეკვის ტექნოლოგია. ნარნარა „დავლა“ და „გასამა“ უფრო დამახასიათებელია დაბლობი ადგილებისათვის, ხოლო ყოველგვარი „ჩაკვა“, ნახტომისებური მოძრაობა მთელ ტერფზე და ფეხის თითებზე დამახასიათებელია მთიანი რელიეფის რაიონებისათვის“ (გვ. 2).

ავტორი ნათელს ხდის ხალხური ცეკვების მრავალსაუკუნოვან კავშირს ქართველთა ყოფი-ცხოვრებასთან, წესჩვეულებებთან, სამეურნეო წყობასთან, რის დასამტკიცებლადაც იგი მიმართავს მთელ რიგ მცენიერებათა—ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ენათმეცნიერების და აგრეთვე, ლიტერატურის, სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის საინტერესო მონაცემებს. ასე, მაგალითად, დღემდე შემორჩენილი უძველესი ფრესკების, მინიატურების ან მუსიკალური ნიმუშების დაკვირვებული შესწავლის შედეგად ავტორი აღადგენს ხასიათსა და თავისებურებას ცეკვებისას, რომელთა ტექნოლოგია დაკარგულია.

გამოიძის რა დებულებიდან, რომ შრომის ხასიათი, შრომითი ურთიერთობის ფორმები გავლენას ახდენენ ამა თუ იმ ცეკვის წარმოშობაზე, ლ. გვარამაძეს, მონადირეთა ცეკვა „შუშარა“ მიანიჩა საქართველოს ხალხური ქორეოგრაფიის უძველეს ნიმუშად. ასეთივე

ძველ ცეკვათა რიტმებს მიაკუთვნებს იგი როკვის (რელიგიური ცეკვები, „სალამის ცეკვა“ — აღდგენილი მე-10-14 საუკუნეთა საეკლესიო წიგნებში მოცემულ მინიატურების მიხედვით, ცეკვა ცეცხლის გარშემო — როგორც წარმართობის გადანიშნის და სხვ.) და წრული ცეკვის ანუ ფერხულის ნაირსახეობებს.

ავტორს მოყავს მეტად საინტერესო მასალა და დაწვრილებით აღწერს წრიულ ცეკვას — ფერხულს; ამ უკანასკნელის კლასიფიკაციისას იგი გამოყოფს ფერხულებს: პატრიოტულს, სამხედროს (ორსართულიანი „ზემყერლო“ და სამსართულიანი „შირმინკელი“), შრომითს („ოსხაჟუ“), საყოფაცხოვრების (გამოიყვანებოდნენ საეკლესიო და სოფლის დღესასწაულებზე) და ა. შ. მასობრივ წრიულ ცეკვებში ავტორი ამჩნევს დრამატურების ელემენტს (გუნდების დიალოგიური ფორმა, სოლისტისა და გუნდის გადასახლება და სხვ.), თუმცა, სამწუხაროდ, არ იძლევა მითითებებს იმაზე, თუ, კონკრეტულად, რაში მდგომარეობს არსი ამ დრამატურებისა სხვადასხვა სახის ფერხულებში.

შრომის მეორე თავში გომეჭებულია საწესჩვეულებო-რიტუალური ცეკვები და თამაშობანი საქართველოში. ავტორი აკვირებს რიტუალს, დაკავშირებულს წმ. ვიორგის კულტთან, რაზეც შეცვალა ძველად გავრცელებული კულტი მთავრისა, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს „თეთრი ვიორგის მონა ქალების ცეკვა“, რასაც თან ახლავს ქალთა გუნდის მიერ სიმღერა „დიდების“ შესრულება.

ავტორი ეხება აგრეთვე ცეკვებს, რომელთაც ასრულებდნენ ემიგრაციური ავადმყოფობით (უშთავრესად — ყუვილით) დაავადებულთა წინაშე, რიტუალურ-სამხედროებისა და მიცვლებულის კულტთან, ახალ წელთან, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებულ სიუეტური წესჩვეულებებს, ვრცელად ეხება „სამაიას“ წარმოშობას და ამ ცეკვის ნაირსახეობებს, ძველად ჩვენში გავრცელებული მასობრივ სანახაობებს — „ბერიკაობას“ და „ყუენობას“, — დაწვრილებით განიხილავს რა მათი წარმოშობის შორეულ საწყისებს, რომელთაც წარმართობის დროსავენი შევყავართ. ამავე უძველეს პერიოდს მიეკუთვნებოდა რიტუალური ცეკვები „საქმისაი“, „ადრეკიაი“, „მელია-თულუბი“ და სხვა.

თუმცა, ავტორის დასკვნით, ძნელია იმ მოძრაობათა ტექნოლოგიის დადგენა, რომლებიც საფუძვლად დაედო ზემოაღნიშნულ რიტუალურ ცეკვებს, მაგრამ შეიძლება ემიგრაციულ ცეკვებისა და მათი რიტუალური ნახატის ხასიათზე სასიმღერო რიტმის მიხედვით. თუ ეს მეცნიერული მიგნება სწორია (რამისაც ეპვი არ ვეუბარება), მაშინ, ამგვარად სა-

კითხის დასმაც კი უდავოდ დიდ ინტერესს იწვევს, რადგან დღეს ძნელია დასადგენია ძველი ცეკვების ტექნოლოგია. შეიძლება აღდგენილ მღერ შემორჩენილი ძველივე რიტუალური სიმღერების და მათი მეტრო-რიტმული საფუძვლის შესწავლის გზით წარმართობის და დადებითი შედეგებიც მოგვეცეს.

შრომის მესამე თავი — „გისამხედროებულ ასპარეზობანი და ცეკვები“ — მიზნად ისახავს დამატაციოს დებულება, რომ საქართველოში უძველეს დროიდან გავრცელებული სხვადასხვა სახის გასამხედროებულ ასპარეზობანი, თამაშობანი და ფიზიკური საჯარჯიშობები („ხოვანბური“, „რადარაბაგანი“, „ლელო“, „ისინდი“, „ყაბახობა“, „დოლი და მარულა, ცვიანობა, კრივი, ლახტი, ჯამბაზობა და სხვ.) ხელს უწყობდნენ ისეთ მოძრაობათა გამოქვეყნებას, რომელიც შეზღვევ ცეკვებში გამოიყენებოდნენ უოველდღე ეს, რა თქმა უნდა, ცხოველ ინტერესს იწვევს. მაგრამ, სასურველი იქნებოდა, რომ ავტორს, უფრო მეტი დეტალიზაციით, ეიდრე ეს შრომის ამ თავშია მოცემული, გამოიყუთ სხულის ის მოძრაობანი, კორპუსის მიმოხრები, პლასტიკის ელემენტები და ა. შ. რომელიც ავტორის მიერ აღწერილი სპორტული თამაშობებიდან და გასამხედროებულ ასპარეზობიდან ამა თუ იმ ცეკვაში გადავიდნენ. ამით საგრძნობლად გაიზრდებოდა მესამე თავის მეცნიერული ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა. იმედია, რომ თვითლ. გვირამაძე, რომელიც საგნის დრმა ცოდნას იზენს, მიადგენებს საჭირო დასკვნებს, რითაც შექმნა მოყფვის ჩვენამდე მოღწეულ სამხედრო და სხვა, ვაჟკაციური იერით გამორჩეულ ცალფა, ჯგუფური და მასობრივი ცეკვების ტექნოლოგიის ზოგიერთ ელემენტების წარმოშობის საკითხს.

ორი უკანასკნელი თავი მიძღვნილია ქალთა და ვეთა ცალფა, წვეილადი და ჯგუფური ცეკვებისადმი, როგორიცაა: ქართული, ცერული, სიმღერ, განდგანი, აფხაზური, ხანჯლური, ბალადური, კინტაური და სხვა. ავტორს, გარდა ამ ცეკვებთან დაკავშირებული სინტერესო სტორიული ცნობებისა, მხატვრული და პროფესიულად აქვს აღწერილი თვითველი ცეკვის დამახასიათებელი ბუნება, ილუბები და აზრობრივი-ემოციური შინაარსი, აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორს, პირველად ლიტერატურაში ქართული ხალხური ცეკვების შესახებ აღწერილი აქვს არიარა, შარათინი, ლაზური და შტშპარი.

ავტორის მთელი რივი დებულებები, როგორც, მავალითად, სამხედრო ცეკვა-ბორუმის, პეტანდული კავშირის საკულტო წესჩვეულებებთან; დადგენა მონადირეთა ცეკვის, როგორც ხალხური ქორეოგრაფიის ერთ-ერთი აღნიშნუ-

ლი ნამუშისა; შრომითი ცეცვის ვარდაქმნა რიტუალურ ცეკვად შთაერის ღვთაების პატივსაცემად; შუშპარის წარმოშობა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით, ახლებური მიდგომა სამაიასადმი, ძნობისაჲში და ი. შ. წარმოადგენს ახალ სიტყვას ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მეცნიერულ შესწავლაში არა მარტო ფართო მკითხველთათვის, არამედ სპეციალისტებისათვისაც.

ლ. გვარამაძე არ იფარგლება ამა თუ იმ ცეკვის აღწერით, ხალხის ყოფაცხოვრებასთან ქართველთა შორეული წინაპრების შრომით მოღვაწეობასთან შრავალმხრევი კავშირის დადგენით; იგი იძლევა აგრეთვე მეტწილ ცეკვათა დამწერლობით ტექნოლოგიას, რაც წარმოადგენს არა მარტო მეთოდურ-მეცნიერებით, არამედ წმინდა პრაქტიკულ ინტერესსაც. ასე, მაგალითად, ავტორს გარჩეული აქვს ტექნოლოგიური საფუძვლები ცეკვების: ფერხელის, ხორუმის, ქართლის, ხანკლურის, ცერელის, სიმღის, განდაგანის და სხვ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც იგი ეხება მხოლოდ სახელწოდებას ცეკვისა, რომელიც დღეს პრაქტიკაში არ გვხვდება, ავტორს მოუყვას ასეთი ცეკვის აღწერა ისტორიკოსების, ძველ ცეკვათა თანამედროვეების ან უბრალო დამსწრეთა მიერ. ამასთან უნდა აღინიშნოს საქმოდ ვრცელი, წიგნის ბოლოს თანდაართული საყურადღებო ლიტერატურა (200 სახელწოდებაზე მეტი). გამოყენებული ავტორის მიერ აღნიშნულ შრომაში.

ლ. გვარამაძე მხოლოდ გაკერით ეხება ძველი საქართველოს მალაღი სოციალური ფენების

საცეკვაო ხელოვნებას, მაშინ როდესაც ცეკვას, ისე როგორც მუსიკის ხელოვნებას, საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკონდა განკუთვნიებული სამეფო კარზე და ფეოდალთა ყოველდღიურ ცხოვრებაში დარბაზობის, ზეიმებისა და ნადიმების დროს. მართალია, როგორც სამუსიკო, ისე ქორეოგრაფიული ფოკლორის წმინდა ეროვნული ნიშან-თვისებები მშრომელი მასების წიაღში წარმოაშობოდა და ვითარდებოდა, მაგრამ ისტორიული თეატლსაზრისით არც ის არის ინტერესს მოკლებული, თუ რას წარმოადგენდა ცეკვის ხელოვნება მაღალ ფეოდალურ წრეებში და რამდენად იყო იგი დაკავშირებული ქორეოგრაფიულ ფოკლორთან.

მეფედავად ცალკეულ შენიშვნებისა, ლიო გვარამაძის შრომა — „ქართული ხალხური ქორეოგრაფია“ უდავოდ მაღალ შეფასებას იმსახურებს. ეს ძვირფასი და ფრიალ საყურადღებო შრომა, დაწერილი საგნის ღრმა ცოდნით, გადმოცემული ნათლად, მკაფიოდ, კარგი ლიტერატურული ენით, არსებით დახმარებას აღმოუჩენს ყველა იმს, ვინც სერიოზულად დაინტერესებული ქართული ეროვნული ქორეოგრაფიული ხელოვნების შესწავლითა და მეცნიერული კვლით.

საჭიროდ მიგვაჩნია მიუთითოთ ამ შრომის რუსულ ენაზე გამოცემის აუცილებლობაზე, რათა ლ. გვარამაძის მიერ აქ გაშუქებულ საკითხებს გაეცნოს საბჭოთა კავშირის და უცხოეთის ფართო საზოგადოებრიობა.

კახლე ხუზა.

წიგნი საქართველოში მუშათა რევოლუციური მოძრაობის შესახებ



„საბჭოთა საქართველომ“ რუსულ ენაზე გამოსცა ნ. ჩახეაშვილის ნაშრომი „მუშათა მოძრაობა საქართველოში“ (1870—1904 წ. წ.).

ამ წიგნის გამოცემა სასარგებლო საქმეა. იგი მიძღვნილია საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის მნიშვნელოვანი და ხანტერესო პერიოდის შესწავლისადმი. ნაშრომში დაწერილებით და თანმიმდევრობით განხილულია საქართველოს გვირგვინ პროლეტარიტის როგორც გაჩენის, ისე მისი რევოლუციური წარსულის სახელოვანი ისტორია, ვიდრე რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დაწყებამდე.

წიგნში ფართოდ არის გამოყენებული ვ. ი. ლენინის ნაშრომები და კარგადაა ნახელები საქართველოს რევოლუციური მოღვაწეების კავშირი ვ. ი. ლენინთან, მოთბობილია იმ უდიდესი ყოველდღიური დახმარების შესახებ, რასაც ლენინი უწყევდა საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს.

წიგნი დაწერილია მდიდარი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე, გამოყენებულია პირველწყაროები, უმთავრესად საარქივო დოკუმენტები, რომლებიც ავტორს მოუპოვებია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, მოსკოვის, ლენინგრადის და, აგრეთვე, ბათუ-

მის სახელმწიფო საისტორიო არქივებში, მარტ-სიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივში. ნაშრომში გამოყენებულია გამოკვეთებული საარქივო დოკუმენტების სხვადასხვა კრებულები, რევოლუციური პრესის მასალები, სხვა ავტორების ნაშრომები მიძღვნილი ამ პერიოდისადმი, მათ შორის რევოლუციამდელი ავტორების ნაშრომებიც.

წიგნის შესავალ თავებში ავტორი სწორად განიხილავს საქართველოში კაბიტალიზმის განვითარებას საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ. მიუხედავად ამისა, რომ ამ საკითხის განხილვა ავტორის ძირითად ამოცანას არ შეადგენს, მან საარქივო და სხვა წყაროების საფუძველზე კარგად გვიჩვენა, რომ კაბიტალიზმის განვითარება საქართველოში სწრაფ ტემპით წვდია წინ საგლეხო რეფორმის შემდგომ პერიოდში. ავტორმა გვიჩვენა სახალხო მეურნეობის დარგების კაბიტალისტურ ყიდაზე გარდაქმნის, მანუფაქტურული მრეწველობის კაბიტალისტურ წარმოებად გადაცევისა და სახალხო მეურნეობის ახალი დარგების განვითარების პროცესი. წიგნში ნახვებშია, თუ როგორ თანდათანობით უთმობდა იდგილს ძველი წარმოებითი ურთიერთობანი ახალ წარმოებით ურთიერთობებს. ავტორი მართალია, როდესაც ამტკიცებს, რომ საგლეხო რეფორმის, მიუხედავად ამისა, რომ იგი ძირითადად გატარებული იქნა ბატონეობის მორტოვალეთა ინტერესების შესაბამისად, მაინც პქონდა პროგრესული მნიშვნელობა.

ავტორი უჩვენებს, რომ კაბიტალისტური წარმოების განვითარება მიმდინარეობდა როგორც წვრილსაქონლური და მანუფაქტურული მრეწველობის საფუძველზე, ისე ერთ გარეშე. კაბიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის განვითარებაში საქართველოში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსულმა და უკრაინულმა კაბიტალიზმმა. რკინიგზების გაცხოველებულმა მშენებლობამ 80-90-იან წლებში და მათმა გამოყენებამ ეკონომიური კავშირისათვის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე რუსეთის ცენტრალურ რაიონებთან დაამჭარეს კაბიტალიზმის განვითარების ტემპი საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ავტორი არ ემაყოფილდება მარტო კაბიტალისტური მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების შესწავლით. იგი მითითებებს იმ ცვლილებებზე, რომლებიც გამოიწვია კაბიტალიზმის განვითარებამ ქვეყნის სოციალურ წყობაში. ავტორი მართალია, როდესაც ვაწინხილავს კაბიტალისტური მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებასთან ერთად ახალი საზოგადოებრივი კლასების — პროლეტარიატისა და ეროვნული ბურჟუაზიის წარმოშობის საკითხს. პირველი სამრეწველო მეშები

საქართველოში გაჩნდნენ ჯერ კიდევ რეფორმამდელ პერიოდში. მაგრამ ჩამოყალიბება თანამედროვე სამრეწველო პროდუქციისა და იწყო მხოლოდ საგლეხო რეფორმის შემდეგ. ნაშრომში ამის დასადასტურებლად, სათანადო წყაროების საფუძველზე, მოცემულია საქართველოს ქალაქების სამრეწველო — სავაჭრო მოსახლეობის ზრდის თვალსაჩინო დინამიკა. მაგრამ ავტორი იძლევა რა მუშათა რიგების რიცხოვნობის ზრდის სურათს, ამავე დროს, განსაზღვრავს მას, როგორც სასებით ახალ საზოგადოებრივ კლასს — საფაბრიკო პროლეტარიატს. წიგნში სწორადაა ნახვებები, აგრეთვე, ის სოციალური ფენები და კლასები, რომლებიდანაც ყალიბდებოდა ეს კლასი. ესაა რეფორმის შედეგად ვალტარებული გლეხობა, კუსტარები, ვაპროლეტარებული ხელოსნები, რუსეთის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული მეშები და სხვა. ავტორი სამართლიანად ამტკიცებს, რომ სამრეწველო პროლეტარიატი საქართველოში ყალიბდებოდა როგორც მრავალეროვნო კლასი. ეს გარემოება ერთგვარ გავლენას ახდენდა რევოლუციური მოძრაობის ხასიათზე საქართველოში.

ავტორი სავსებით მართალია, როდესაც ამტკიცებს, რომ მუშათა მოძრაობა საქართველოში წარმოიშვა და ვითარდებოდა როგორც სრულიად რუსეთის მუშათა მოძრაობის განუყოფელი ნაწილი. წიგნში ნათლად, თუმცა ზოგჯერ არასაფასებოდ თანმიმდევრობით, ნახვებშია ძირფესვიანი განსხვავება 70-იანი წლების მუშათა რევოლუციური მოძრაობასა და 90-იანი მუშათა რევოლუციური მოძრაობას შორის. მუშათა პირველი გამოსვლები ატარებდნენ სტიქიურ-ეკონომიურ ხასიათს და არაორგანიზებული იყო. 90-იან წლებში მუშათა მოძრაობა იღებს მასობრივ-პოლიტიკურ და ორგანიზებულ ხასიათს. მუშათა კლასი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიების ხელმძღვანელობით იქცევა სერიოზულ პოლიტიკურ ძალად. 90-იანი წლების ბოლოს საქართველოს მუშათა მოძრაობა იწყებს შეერთებას სოციალიზმთან.

პირველი სოციალ-დემოკრატიული მუშათა ჯგუფებისა და წრეების შექმნის საქმეში საქართველოში სერიოზული დამსახურება მიუძღვით რუს რევოლუციონერებს. ავტორი ფართოდ განიხილავს მათს მოღვაწეობას საქართველოში და განსაკუთრებით კი მ. გორკის, თ. აფანასიევის, მ. კალინინის, ა. ლუხინის, ი. ფრანჩესკის, ი. კოვანის, ნ. კოზერენკოსა და სხვების რევოლუციური საქმიანობას. მაგრამ ავტორს შეტბ ყურადღება უნდა მიექცია და დაწერილებით მოეცა რუს და ქართველ რევოლუციონერთა ერთობრივი ბრძოლის სურათი მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ნ. ჩხეიძის ნაშრომში მოცემულია საქართველოს პირველი მარქსისტული ორგანიზაციის — „მესამე დასის“ სწორი შეფასება, კარგადაა წარმოდგენილი „მესამე დასის“ რევოლუციური და ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა შორის წარმოებული ბრძოლის ისტორია და ამ ბრძოლის ხასიათი. ავტორის მიერ სათანადოდ შეფასებულია სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ისეთი გამორჩენილი მოღვაწეების როლი როგორც იუვენე ნ. სტალინი, ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე, მ. ცხაკია, ფ. მახარაძე და სხვ.

წიგნში გადმოცემულია იმ ბრძოლის ისტორია, რომელსაც ეწეოდნენ რევოლუციური მარქსისტები ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების შექმნისათვის საქართველოში, პარტიის მეორე ურთილობის მოწვევისათვის. ლენინის, ლენინური პარტიის საიმედო დასაყრდენს საქართველოსა და ამიერკავკასიაში წარმოადგენდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომელიც შეიქმნა 1903 წლის მარტში ა. სტალინის, მ. ცხაკიას, ა. წულუკიძის, ფ. მახარაძის და სხვა რევოლუციონერების ხელმძღვანელობით.

სხვა ავტორებისაგან განსხვავებით, ნ. ჩხეიძის აშუქებს მრავალი რიგითი მუშა-რევოლუციონერების საქმიანობასაც, რიგითი მებრძოლების მოღვაწეობას ზღვის საქმის, მუშათა კლასის საქმის გამარჯვებისათვის. მკითხველს ეცნობა მრავალ ათეულ და ასეულ ახალ სახელს თავმდაბალი, მაგრამ თავდადებული მებრძოლებისა, რომელთაგანაც ბევრმა თავისი სიცოცხლეც შესწირა მუშათა კლასის საქმეს.

ნ. ჩხეიძის ნაშრომი თავისუფალი არ არის ზოგიერთი ნაკლოვანებისაგან.

ავტორი, ჩვენი აზრით, სწორად არ იქცევა როდესაც არ იძლევა პირველწყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვასა და შეფასებას. შესაძლებელი ან სხვა ადგილას საჭირო იყო მას გამოეთქვა თავისი მოსაზრება ფ. მახარაძის, გ. ხაქაბურძის, პ. გუგუშვილის, ა. კიციანის, ლ. გორგილაძის, კ. კვანტრის, ს. ხუნდაძის და რევოლუციამდელი ავტორებისა და სხვათა ნაშრომის შესახებ.

ასევე ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ავტორი არ იძლევა სათანადო შეფასებას „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებს“ და, კერძოდ, მის პირველ და მეორე თავებს (პირველი თავის ავტორია მ. მახარაძე, მეორე თავისა გ. ყვანია და კ. ივანიძე). ეს მით უფრო აუცილებელი იყო იმიტომაც, რომ ავტორი ეთანხმება „ნარკვევებში“ გამოთქმულ თითქმის ყველა დებულებასა და მოსაზრებას.

ჩვენი აზრით ავტორს უფრო ღრმად უნდა

გაეშუქებინა მუშათა მოძრაობისა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლებს შორის ურთიერთობა კავშირი. ეს აუცილებელი იყო საქართველოს პარტიებში. ცნობილია, რომ საქართველო, მიუხედავად კაპიტალისტური ურთიერთობათა განვითარებისა, მაინც რჩებოდა მრეწველობის მხრივ სუსტად განვითარებულ ქვეყნად. 1897 წლის აღწერის მიხედვით, მსხვილ, საშუალო და წვილ საწარმოებში, ევროპაში, ტრანსპორტზე დასაქმებული იყო მოსახლეობის 12%. დანარჩენი მისი უღელსი ნაწილი სოფლის მეურნეობას მისდევდა. ასეთ პირობებში მუშათა კლასისათვის მერტად მწვავედ იდგა საკითხი მოკავშირეების შესახებ გლეხობის სახით. ამიტომ არასამართლიანია, როდესაც ავტორი სოფლად გაიშუქებულ რევოლუციურ მოძრაობასა და მის კავშირს მუშათა მოძრაობასთან ეტება მხოლოდ 1904 წლის მოვლენების აღწერისა და შეფასების დროს (გვ. 309-310).

ავტორი ყოველთვის კრიტიკულად როდი ეიღებება საარქივო მასალებსა და სხვა პირველწყაროებს. არის წიგნში ცალკეული შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ფაქტი არასწორია. ასე, მაგალითად, 216 გვერდზე მოტანილ პროკლამაციის გამოშვების თარიღად შეცდომით დასახელებულია 1901 წელი.

ზოგიერთ ავტორი (გვ. გვ. 230, 231, 237, 239, 248, 248, 213, 314 და სხვ.), უჩვენებს რასაარქივო წყაროების ფონდებისა და საქმეების ნომრებს, 1900, 1901 და 1902 წლების ამბების აღწერის დროს წყაროებს ათარილებს 1898 წლით. შესაძლებელია, საქმე იწყებოდეს 1898 წლიდან და მასში მოცემული დოკუმენტების-დათარილება გრძელდებოდა შემდგომი წლებისათვის. ამიტომ საჭიროა ნაწევრები იქნეს საარქივო საქმის თარიღი მასში მოთავსებული იმ დოკუმენტის მიხედვით, რომელიც ყველაზე გვიანდელია. ავტორს კი ამ გარემოებისათვის უნდა ეძებებინა არ მიუტყუებია. წყაროების დათარიღების დროს საჭიროა არ არის მარტო საარქივო საქმის გარეკანზე დასმული თარიღით დაკმაყოფილდეთ.

აღნიშნული ნაკლოვანებები სრულიადაც არ არის დამახასიათებელი მთელი წიგნისთვის. ისინი უმნიშვნელოა წიგნის დადებით მხარეებთან შედარებით.

ნ. ჩხეიძის ნაშრომი წარმოადგენს სერიოზულ მოვლენას საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიის შესწავლის საქმეში. სასურველია იგი, იმ შენიშვნების გათვალისწინებით, რაც გამოითქვა და გამოითქვება ამ წიგნის შესახებ, გამოიცეს ქართულ ენაზე.

ს. ჩხარტიშვილი



რ. რაიკვილი



წერილი რედაქციის მიმართ

გასული წლის „მნათობის“ № 12-ში გამოქვეყნდა გ. მეგრელიშვილის წერილი — „მის. თუმანიშვილის მსოფლმხედველობის საკითხისათვის“. აღნიშნულ სტატიაში ავტორი ეხება ჩვენს მონოგრაფიას („მისი თუმანიშვილი“), მაგრამ ნაცვლად მისი ობიექტური შეფასებისა, ამახინჯებს როგორც ნაშრომის მთლიან კონცეფციას, ასევე, ცალკეულ ადგილებს. ამიტომ საჭიროდ ვთვლით განვაცხადოთ შემდეგი:

1. გ. მეგრელიშვილი, ჩვენი წიგნის 155-ე და 164-ე გვერდებზე მითითებით, ირწმუნება, რომ თითქმის ნათქვამი გვექონდეს: მის. თუმანიშვილი მტერია მონარქიისა, „შეფის ხელისუფლებისა და მისი ორგანოების მძაფრი კრიტიკისა“. ჩვენი წიგნის 155-ე გვერდზე კი სწერია: ისეთი მძაფრი კრიტიკა, როგორც მოცემულია ზემოხსენებულ „სიზმარში“ („ესეიარი“, 1862 წ. იანვარი), მის. თუმანიშვილს არ ახასიათებს. ასეთი გამგებლობა. მის არც ასაკს შეეფერებოდა და არც მაღალ თანამდებობას“. 164-ე გვერდზე კი ამ საგანზე ლაპარაკი საერთოდ არ არის.

2. გ. მეგრელიშვილი ცდლობს დაამტკიცოს, რომ ჩვენ თითქმის მის. თუმანიშვილს მივიჩნევთ 40—60-იანი წლების ქართული დემოკრატიის მნიშვნელოვან ფიგურად, და ასახელებს წიგნის 135-ე 193-ე გვერდებს. სინამდვილეში არც 135-ე და არც 193-ე გვერდებზე ამის მსგავსი არაფერია სწერია. ამასთან, 135-ე გვერდზე საკუთარი არაფერი გვაქვს ნათქვამი, იქ მოყვანილია მხოლოდ განსვენებულ ლევან ასათიანისა და პროფ. შალვა რადიანის შეხედულებანი თუმანიშვილის შესახებ, მაგრამ არც მათს შეხედულებებში ვხვდებით იმას, რაც აქ გ. მეგრელიშვილს ამოუკითხავს.

ჩვენ ვამბობთ სწორედ იმის საწინააღმდეგოს, რასაც მეგრელიშვილი გვაწყობს. კერძოდ, ჩვენ ვწერთ: „მის. თუმანიშვილს გლახთა განთავისუფლების საქმე ცალმხრივად ესმოდა“ (გვ. 194). 121-ე გვერდზე კი ზახვასმითია აღნიშნული, რომ „მის. თუმანიშვილის შეხედულებანი გლახთა გათავისუფლების საკითხებზე ვერ სცილდებოდა ზომიერი ლიბერალიზმის ფარგლებს“.

3. გ. მეგრელიშვილის წიგნის 130-ე გვერდზე „ამოუკითხავს“ ჩვენი „აღმართოვანება“ ავტორული საკითხების გერმანულ-პრუსიული

გადაპრის გამო და ენერგიულად ასაბუთებს პრუსიული გზის რეაქციულობას. ნამდვილად კი, 130-ე გვერდზე, ვისახელებთ, რა მრავალი ქვეყნის უმთაა და მონათა მღვთმარობის შესწავლას მის. თუმანიშვილის მიერ, სხვათაშორის, ეამბობთ: «Система барщинных работ тягостная и несостоятельная», ამბობს თუმანიშვილი და გამოთქვამს სურვილს დამყარდეს ისეთი ურთიერთობა ბატონსა და უმას შორის, როგორც გერმანიაში, ან როგორც მოციქა ახლანდ ინგლისი კანადის მიმართ“. საკითხავია: როგორ დაინახა აქ რეცენზენტმა ავტორული რეფორმის პრუსიული გადაწყვეტილსაღმი ჩვენი აღმართოვანება?

4. გ. მეგრელიშვილი ამბობს: „ავტორი წერს, რომ ზომიერი ლიბერალიზმი კი ძირფესვიანდ განსხვავდებოდა მემშაშურლი იდეოლოგიისაგანო“ და, რადგან ჩვენს წიგნში მიმსგავსებულ წინადადებებსაც კი ვერ პოულობს, აზჯერად იგი გვერდს ავერ ასახელებს, მაგრამ ამ მისსავე ნათქვამ „ანტიმემორიკულ, ანტილენინურ“ თეზისებს მაინც თავგამოღებით ეკამათება.

5. გ. მეგრელიშვილი წერს, რომ ჩვენ თითქმის აღმართოვანებით აღვნიშნავთ მის. თუმანიშვილის დანიშვნას მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს საბჭოს წევრად. 25-ე გვერდზე მართლაც ვწერთ, რომ „1874 წელს თუმანიშვილს ნიშნავენ მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს საბჭოს წევრად“ მაგრამ იქნებ გვასწავლოს მეგრელიშვილი, როგორ უნდა ითქვას ეს სხვაგვარი?

მაგრამ აქ უფრო მეტად ორიგინალური მსჯელობაა საინტერესო. „ავტორს ავიწყდება, — გვიკვირებს კრიტიკოსი, — რომ არც ერთ საზოგადოებრივ მოღვაწეს, რომელსაც არა თუ რადიკალური პოლიტიკური პროგრამა გაჩნდა არამედ ლიბერალურ ოპოზიციაში ედგა ცარისტს, მაღალი საზოგადოებრივი თანამდებობისათვის არ მიუღწევია ცარიზმის პირობებში“. ამასთან დაკავშირებით ვეინდა ვკითხოთ რეცენზენტს: როგორი საზოგადოებრივი თანამდებობა გვირა გრამოეღვს? ნუთუ იგი არ იყო მეფის რუსეთის ელჩი სპარსეთში? იქნებ

მას ჰკონია რომ ვლჩობა მაღალი საზოგადოებრივი თანამდებობა არ არის, ან ვრითოდღოვს პროგრესული იდეები არავითარ „ობოზი-ციაში არ ვედა ცარისმს?“ განა დაბალი საზოგადოებრივი თანამდებობა ეკავა ალ. ჰავაიკაძეს ან. გრ. ორბელიანს? თუმანიშვილმა რომ მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს საბჭოს წევრობას მიაღწია, მანინ „იარაღის“ ავტორი იქ მეფისნაცვლად არ იყო?

6. გ. მეგრელიშვილი მეტად უცნაურად მიიჩნევს ჩვენს შეხედულებას იმის შესახებ, რომ „ოფიციალურად პუბლიცისტიკაში „საქართველოს მოამბე ვერ გამოიღობდა ბატონყმობის წინააღმდეგ (იხ. ჩვენი წიგნის 130-ე გვ). მაგრამ მოვუსმინოთ თითო ი. ჰავაიკაძეს:

„ყველაზე დიდი ნაკლავანება ჩვენი ქურნა-ლისა ის იყო, — ამბობს ის „საქართველოს მოამბის“ მე-11 ნომერში, — რომ სხვა-თაშორის, დროების ინტერესს არ ჰქონდა. ეს ინტერესთა ყოველი ქურნალის სუ-ლი, ეს აქოველებს, ეს აბრუნებინებს მას სულსა. არცერთი ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება არცერთი თოქმის ფაქტი, არც-ერთი საქმე, რომელიც ყველას თავაწინ ვიცტ-რიალებს... არამც თუ ვერ ახსნა ჩვენმა ქურ-ნალმა, არამედ ვერც კი ვაგებდა, რომ მიჰყარე-ბოდა, თემცა ზოგჯერ სცადა... ამის გამო ჩვენს ქურნალს ფერი დააქლდა. „მოამბე“ შორიდან დაუწყო ტრიალი მას, რაც ახლო ვასასინჯო იყო“ (ე. ი. ბატონყმობას). ეს გა-საგებია, ილიამ ამ ქურნალის გამოცემის ნებართვა მიიღო იმ პირობით: „Чтобы в нем не помещалось никаких политических... рассуждений“. გ. მეგრელიშვილს, ეს შენიშე-ნაც ნასესხები აქვს ი. ლორთქიფანიძის საგან, რომელმაც ჩვენ მოსაზრებთა წინააღ-მდეგ „საქართველოს მოამბეში“ „გლახის ნაამ-პობის“, „კაცია-ადამიანის“ და „კაცო-ყარაღის“ დაბეჭდვის ფაქტზე მიუთითა, მაგრამ ნუთუ ამხ. მეგრელიშვილი, მსგავსად ი. ლორთქიფანი-ძისა, პუბლიცისტური წერილებისაგან ვერ ახ-ხედავს ამ ნაწარმოებებს?

7. სრულ გუგუბრობაზეა, აგრეთვე, დამუ-რებული გ. მეგრელიშვილის მსჯელობა იმის შესახებ, თუ ვინ არის დემოკრატი პოლიტი-კაში, რას წარმოადგენდა საგლებო რეფორმა, ვინ იყო მისი მომხრე და ა. შ.

თავში — „მის. თუმანიშვილი — გლეხთა გან-თავისუფლებისათვის მზადების პერიოდში“, (გვ. 118 — 130) საბარტეო მასალებზე დაყრდნობით, ნათელყავით, რომ იმ დროს როცა ქართველ დიდგვარაინთა უმეტე-სობა — დიმიტრი უიფიანის მეთაურო-ბით — წინააღმდეგი იყო საქართველოში მეფის კულმაცეცილი მინიფისტის გა-ტარებისადა, ამტკიცებდა, ჩვენში ბატონ-ყმობა არ არსებობს, ბატონია და ყმას შორის

„მამაშვილური“ დამოკიდებულებაა, შოთ-ხოვდა არსებული საზოგადოებრივი წყობილე-ბის ხელშეშელება დატოვების შეუძლებლობას, მის. თუმანიშვილმა თავის მრავალრიცხოვან მოხ-სენებებში დაასაბუთა, რომ ჩვენში ბატონ-ყმობა ისეთვე მკაცრი იყო, როგორც რუსეთში და მინიფისტის გატარების აუცილებლობას დაუჭირა მხარი. ამ მოქმედებას ჩვენ (და არა მარტო ჩვენი) ვუწოდებთ არა დემოკრატიზმი და რევოლუციური დემოკრატიული მოძრაობის ბეღადობა, არამედ „დემოკრატიზმისა და ჰუ-მანიზმის ტენდენციები“ (გვ.119). ეს არის და ეს. გ. მეგრელიშვილი არ ედავება ჩვენ მეტრ მოტიანილ არცერთ საბუთს და გვიციენებს, რომ ეს რეფორმა გლეხთა გაძარცვა იყო და არა განთავისუფლება, მამასაღამე, ვინც მას მხარს უჭერდა, მეტრ რომ არა ვთქვათ, ბოძე დასაკიდი მაინც არისა. ეს სჭირდება დღეს იმის სწავლება, რომ ეს რეფორმა გლეხთა გაძარცვა იყო, მაგრამ განა იგივე „რეფორმა“ არ იყო წინ გადადგმული ნაბიჯი გლეხთა განთავისუფლების გზაზე, მონაპოვარი მშრო-მელი ხალხისა, რომლის ზრძოლამ აიძულა მე-ვე „გათავისუფლებისა გლეხები“ ზემოდან, სანამ ქვემოდან თითონ გაითავისუფლებდნენ თავს! განა ამ რეფორმებს არა ჰკონია დადე-ბითი მნიშვნელობა, ახალი, უფრო მაღალი საზოგადოებრივი ფორმაციის — კაპიტალიზმის განვითარებისათვის?

მის. თუმანიშვილს ჩვენ ვუპირისპირებთ არა მათ, ვისაც ეს რეფორმები არასაქმარისად მიანდა, არამედ იმათ, რომელთაც სურდათ ბატონყმობის ხელშეშელება დატოვება.

8. ჩვენ, როგორც ფაქტს, აღვნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ მოწაფის მერხზე მჯდომი თუმი-ნიშვილი „თბილისის გიმნაზიის ყუავილში“ ერთმანეთს უპირისპირებს მონარქიულ და რესპუბლიკურ წყობილებებს, და ნათელ-ყავს, რომ რესპუბლიკური მართვის დროს ზნა ესხნება ხალხთა შემოქმედებით ძა-ლებს, გ. მეგრელიშვილი კი მიუღ გვერდს ანდომებს იმის მტკიცებას, თუ როგორი რეს-პუბლიკა როგორსა სჯობს, როგორ მართავ-დნენ ბოიარები ნოვგოროდის რესპუბლიკას, რომის პატრიციები — მონათმფლობელურ რეს-პუბლიკას და ა. შ. რა შუაშია იქ ყოველივე ეს? განა ყოველგვარი რესპუბლიკა ყოველგვარ მონარქიაზე მაღლა არა დგამს? ცნობილია, რომ 1832 წლის თავდაზნაურული უმეტეულების მონაწილეთა უმეტესობა მონარქიის აღდგენა-ზე ოცნებობდა, სოლ. დოდაშვილი კი რესპუბ-ლიკის მომხრე იყო, სწორედ ამიტომ მას, მონ-არქისტებთან შედარებით, პროგრესულ მოღ-ვაწედ ეთვლით, თუმცა არავის მოუვა აზ-რად ამტკიცოს, რომ დოდაშვილი სოცილის-ტურ რესპუბლიკას მოითხოვდა.

9. ჩვენი დასკვნით, თუმანიშვილი არის „ახალი, მე-19 საუკუნის 60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ „თერგდალეულთა“ თაობის მედროშეთა ერთ-ერთი წინამორბედი, ნიდაგის მომზადებელი, ამ პერიოდში განაღებულ ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის დამწყები, მამთა იდეოლოგიის მოწინააღმდეგეა (გვ. 206). გ. მეგრელიშვილს აქედან გამოაქვს ასეთი დასკვნა: „ის (ე. ი. მე. დ. რ.) მას თვლის რევოლუციურ-დემოკრატიულ მხატვრულ ლიტერატურის და პუბლიცისტიკის წარმომადგენლად, 40—60-იანი წლების ქართული დემოკრატიზმის უმნიშვნელოვანეს ფიგურად“. ამგვარად, გ. მეგრელიშვილი გამოთქმას — „თერგდალეულთა წინამორბედი“ აიგივებს გამოთქმასთან „რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობის წარმომადგენელი“, ხოლო ცნებას — „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დამწყები“ — ცნებასთან „ქართული დემოკრატიზმის უმნიშვნელოვანესი ფიგურა“.

გ. მეგრელიშვილი არ გვეთანხმება თუმანიშვილს ეუწოდოთ „თერგდალეულთა“ ერთ-ერთი წინამორბედი, მაგრამ მოეუხსინათ თვითონ მათ:

„ჩვენს ლიტერატურაში, — წერდა ილ. ჯავახიშვილის „ივერია“, — ბევრს ბარათაშვილი მართლმარტო ჰგონია... ბევრი ვერ ამჩნევდა ჩვენი ლიტერატურის იმ ხანას, რომელიც ბარათაშვილის ლექსებით დაიწყო, მაგრამ ზოგიერთებმა კი შეამჩნიეს ესა, მისცეს მხარი და თავის ნიჭისა და ცოდნის შესაფერი ღვაწლი დასდეს მას. ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი ამ მხარის მიმცემთაგანი და მხარის დამამშვენებელი ყოფილა მის. თუმანიშვილიც. ამას

უწერია თავის ლექსები ნ. ბარათაშვილის დროს და ბევრი უფრო ადრეც... [წმინდა] ამ ავტორის ბედი არ უწერია [წმინდა] უფრო ბედი არ უწერია — დ. რ.), მაგრამ ამის თხზულებაში თითქოს იგივე აზრია გამოთქმული, რაც ბარათაშვილის ლექსებში, და შესანიშნავი არის, რომ მის, თუმანიშვილი... პონებრივი მიმბაძავი კი არ არის, იმას თითქოს წინდაწინვე აქვს გამოთქმული იგი, რაც ბარათაშვილის თავის საუკეთესო ლექსების წერის დროს უგრძნობა“ (იხ. „ივერია“, № 7, 1881 წ.).

მამ, რატომ უნდა იწვევდეს წყრომას „თერგდალეულთა“ წინამორბედად ვალიაოთ ნ. ბარათაშვილის „მხარის მიმცემი და დამამშვენებელი“ მის. თუმანიშვილი, რომელიც უფროსი მეგობრის სიკვდილიდან თხოთმეტიოდ წლის შემდეგ პირველად გამოვიდა პროგრესულ აზრთა მქადაგებელი მახვილი პუბლიცისტიკური ფელეტონებით და, ილიას თქმით იყო „ფენომენი ჩვენს პორიზონტზედ“!

განა შეიძლება აქ დაეინახოთ „იდეალიზაცია თუმანიშვილისა“, თუ ერთმანეთში არ აეურვეთ ცნებებს — „წინამორბედი“ და „მედროშე“, „დემოკრატიული ტენდენცია“ და „რევოლუციური დემოკრატია“?

დასასრულ, უნდა შევნიშნო, რომ ჩვენი მონოგრაფია მის. თუმანიშვილის შესახებ სრულიად არ მიგვაჩინა უნაკლოდ: იქ შეიძლება სადავოც ბევრი რამ იყოს და დასაზუსტებელიც, მაგრამ ამ მონოგრაფიას, ისევე როგორც უოველგვარი ნაშრომის განხილვას, ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის მცოდნე შეუდგომელი კრიტიკოსი ესაჭიროება.



ახალი წიგნები



საბჭოთა მწერალი



- ხერვანტესი** — დონ კიხოტი. წიგნი 2. თარგმანი ნიკო ავალიშვილისა. რედ. ნ. ავალიშვილი. გვ. 586, ფასი 22 მან. 15 კაპ.
- გრიგოლ ორბელიანი** — თხზულებათა სრული კრებული. აკაკი გაწერელიას და ჯუმაბერ ქუმაბერიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. რედ. სერგი ჭილაია. გვ. 598, ფასი 22 მან. 60 კაპ.
- პაოლო იაშვილი** — ლექსები, პოემა, მოთხრობები, თარგმანები. შემდგენელი შალვა დემეტრაძე. რედ. ირაკლი აბაშიძე გვ. 495, ფასი 13 მან. 10 კაპ.
- ქართული ანდაზები** — შეადგინა აკანდელაკმა რედ. ლენა შენგელია. გვ. 95, ფასი 2 მან. 60 კაპ.

საგლიტრაჟი

- ქ. ქუჩუაშვილი** — ბიჭები, რედ. გ. შატბერაშვილი. გვ. 27, ფასი 1 მან. 60 კაპ.
- გრიგოლ პარკაძე** — სოსანას ნაამბობი. რედ. ნ. კალანდარიშვილი. გვ. 88, ფასი 85 კაპ.
- ემილია პარჯი ბაზანი** — ჯალათი თარგმანი ბ. შირცხულაძისა. რედ. ნ. ჩირაძე. გვ. 72, ფასი 50 კაპ.
- ი. არსენიევი** — შეხვედრები ტაივაში. თარგმ. გ. ზურაბიანისა. რედ. შ. სულაბერიძე გვ. 165, ფასი 3 მან. 50 კაპ.
- ა. ბახტინი** — სიბაბუკის ხანა. თარგმ. ს. აბულაძისა. რედ. ა. შენგელია. გვ. 215, ფასი 4 მან. 50 კაპ.

შეცდომის გასწორება

„მნათობი“ № 3-ში, გვ. 137-ის პირველი სვეტის მესამე აბზაცი უნდა იკითხებოდეს: „ეს საზარელი ბოღვა ისევე აღსდგა გერმანელთა მებსიერებაში, როცა ერთი წლის წინ ბუნდესვერის არჩევნების დღეებში“...

გვ. 140, მეორე სვეტის პირველი აბზაცი: „ამავე დროს შეწყდება გერმანიაში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებისა და სხვა ოფიციალურ პირთა დღემდე არსებული ყველა კონტაქტი აშშ-ს დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალების შესაბამის წარმომადგენლებსა და სხვა ოფიციალურ პირებთან იმ სიკეთხეზზე, რომლებიც ბერლინს შეეხება“....

ფანო 8 ა.

6 22 / 122



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕლო»